

# **სამოქალაქო კანონი**

კრებულში გამოქვეყნებულია ერთგვაროვანი სასამართლო  
პრაქტიკის ჩამოყალიბებისა და სამართლის განვითარებისათვის  
მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებები. ამ და სხვა საქმეთა მოძებნა  
შესაძლებელია საქართველოს უზენაესი სასამართლოს ვებ-  
გვერდზე: [http://www.supremecourt.ge/default.aspx?sec\\_id=133&lang=1](http://www.supremecourt.ge/default.aspx?sec_id=133&lang=1)

**საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებანი  
სამოქალაქო საქმეებზე  
2014, №12**

**Decisions of the Supreme Court of Georgia  
on Civil Cases  
(in Georgian)  
2014, №12**

**Entscheidungen des Obersten Gerichts von Georgien  
in Zivilsachen  
(in der georgischen Sprache)  
2014, №12**

**Решения Верховного Суда Грузии  
по гражданским делам  
(на грузинском языке)  
2014, №12**

**ტექნიკური რედაქტორი მარია მაღალაშვილი**

**რედაქციის მისამართი: 0110, თბილისი, ძმები ზუბალაშვილების  
ქ. №32, ტელ: 298 21 03; [www.supremecourt.ge](http://www.supremecourt.ge)**

**შურნალი გამოდის საქართველოს უზენაესი სასამართლოსა და  
საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს საერთო  
სასამართლოების დეპარტამენტის მხარდაჭერით**

# სახელმისამართის გადახდისგან გათავისუფლება

## განხილვა

№ას-442-417-2014

6 ივნისი, 2014 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო  
საქმეთა პალატა  
შემადგენლობა: ვ. როინიშვილი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
ბ. ალავიძე,  
პ. ქათამაძე

**დავის საგანი:** მომსახურების საზღაურის ანაზღაურება,  
პირგასამტებლოს დაკისრება, ფულადი ვალდებულების დარ-  
ღვევის გამო ზიანის ანაზღაურება

### აღწერილობითი ნაწილი:

შპს „..... ც-მა“ სარჩელი აღძრა სასამართლოში სს „.... ჯ-ას“  
მიმართ დაზღვეულ პირთა მიმართ განეული სამედიცინო მომ-  
სახურების ღირებულების, პირგასამტებლოს დაკისრებისა და  
ფულადი ვალდებულების შესრულების ვადის გადაცილების გა-  
მო ზიანის ანაზღაურების მოთხოვნით.

მოპასუხებ სარჩელი ნაწილობრივ ცნო.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა  
კოლეგიის 2014 წლის 23 იანვრის გადაწყვეტილებით სარჩელი  
დაცმაყოფილდა, რაც სააპელაციო წესით გაასაჩივრა მოპასუ-  
ხებ.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმე-  
თა პალატის 2014 წლის 22 აპრილის განჩინებით სს „.... ჯ-ას“  
სააპელაციო საჩივარი განუხილველად იქნა დატოვებული შემ-  
დეგი დასაბუთებით:

პალატამ დადგენილად ცნო, რომ საქალაქო სასამართლოს  
2013 წლის 26 დეკემბრის სხდომას, რომელზეც დამთავრდა საქ-  
მის არსებითი განხილვა და გადაიდო გადაწყვეტილების სარე-  
ზოლუციო ნაწილის გამოცხადება, ესწრებოდნენ მხარეთა წარ-  
მომადგენლები, აღნიშნულის თაობაზე ჩამოერთვათ ხელწერი-  
ლი.

საქმეში წარმოდგენილი ხელწერილის თანახმად, საქალაქო  
სასამართლოს 2014 წლის 23 იანვრის გადაწყვეტილება სს „....  
ჯ-ას“ წარმომადგენელს ჩაბარდა 2014 წლის 31 მარტს.

სააპელაციო პალატამ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპრო-  
ცესო კოდექსის 369-ე მუხლის 1-ლი ნაწილით, 259<sup>1</sup> მუხლით,

61-ე მუხლის მე-3 ნაწილით, მე-60 მუხლის მე-2 ნაწილით და დადგენილად მიიჩნია, რომ სააპელაციო საჩივრის წარდგენის ვადის ათვლა დაიწყო საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილების გამოცხადების 30-ე დღიდან – 2014 წლის 22 თებერვლიდან და ამოიწურა ამავე წლის 7 მარტს, რომელიც არ იყო უქმედე, სააპელაციო საჩივარი მხარეზე წარადგინა 2014 წლის 3 აპრილს, რაც სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 374-ე მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად, მისი დაუშვებლად ცნობის საფუძველს წარმოადგენდა.

სააპელაციო სასამართლოს განჩინებაზე კერძო საჩივარი შეიტანა სს „.... ჯ-ამ“ (გაკოტრების მმართველი კ. ვ-ი), მოითხოვა მისი გაუქმება და საქმის წარმოების განახლება შემდეგი საფუძვლებით:

საქალაქო სასამართლოს 2014 წლის 23 იანვრის გადაწყვეტილების გასაჩივრების ვადის დარღვევა გამოწვეული იყო საპატიო მიზეზით, კერძოდ, 2013 წლის 31 დეკემბრის ბრძანების საფუძველზე აპელანტს გაუუქმდა დაზღვევის ლიცენზია და დაიწყო გაკოტრების საქმის წარმოება, გაკოტრების მმართველად დაინიშნა კ. ვ-ი. კომპანიაში მიმდინარეობდა გაკოტრების საქმის წარმოებასთან დაკავშირებული პროცესები, რაც კრედიტორთა, მათ შორის მოსარჩელის ინტერესების დაცვას ემსახურებოდა, თანამშრომლებს შორის არ იყო განაწილებული უფლება-მოვალეობები, საზოგადოებას ჯერ კიდევ არ გააჩნდა კანცელარია ან ასეთი დანიშნულების სტრუქტურული ერთეული და მიუხედავად საზოგადოების მცდელობისა, თვალყური ედევნებინა სასამართლოში მიმდინარე პროცესებისათვის, სასამართლოს მხრიდან აპელანტის ინფორმირება ვერ ხერხდებოდა. ეს ყველაფერი აისახა სწორედ წინამდებარე საქმეზე გადაწყვეტილების დროულად ჩაუბარებლობაზე, ამას ხელი შეუწყო იმ გარემოებამაც, რომ საზოგადოების გაკოტრების მმართველი ხშირად მივლენილი იყო რეგიონებში. მითითებული გარემოებები კი, კერძო საჩივრის ავტორის შეფასებით, საფუძველი გახდა სააპელაციო საჩივრის წარდგენის ვადის საპატიოდ დარღვევისა.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2014 წლის 15 მაისის განჩინებით „სახელმწიფო ბაჟის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის პირველი პუნქტის „ყ“ ქვეპუნქტით სს „.... ჯ-ა“ სახელმწიფო ბაჟის გადახდი-საგან გათავისუფლდა, ხოლო მისი კერძო საჩივარი მიღებული იქნა განსახილველად.

### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლო კერძო საჩივრის საფუძვლების ანალიზის, საქმის მასალების შესწავლისა და გასაჩივრებული განჩინების იურიდიული დასაბუთების შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ სს „..... ჯ-ას“ კერძო საჩივარი საფუძვლიანია და უნდა დაქმაყოფილდეს შემდეგი გარემოებების გამო:

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 420-ე მუხლის თანახმად, კერძო საჩივრების განხილვა ზემდგომ სასამართლოებში წარმოებს შესაბამისად ამ სასამართლოებისათვის გათვალისწინებული წესების დაცვით. ამავე კოდექსის 393-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ და „ბ“ ქვეპუნქტებისა და მე-3 ნაწილის თანახმად, სამართლის ნორმები დარღვეულად ითვლება, თუ სასამართლომ არ გამოიყენა კანონი, რომელიც უნდა გამოიყენებინა, გამოიყენა კანონი, რომელიც არ უნდა გამოიყენებინა, საპროცესო სამართლის ნორმების დარღვევა მხოლოდ მაშინ შეიძლება გახდეს გადაწყვეტილების გაუქმების საფუძველი, თუ ამ დარღვევის შედეგად საქმეზე არასწორი გადაწყვეტილება იქნა გამოტანილი.

გასაჩივრებული განჩინებით საპელაციო პალატამ სს „..... ჯ-ას“ საპელაციო საჩივრის განუხილველად დატოვების საფუძვლად მიუთითა იმ გარემოებაზე, რომ აპელანტისათვის ცნობილი იყო საქალაქო სასამართლოს მიერ გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის გამოცხადების თარიღი, შესაბამისად, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 259<sup>1</sup> მუხლის პირველი ნაწილის საფუძველზე, ჩათვალა, რომ აპელანტი ვალდებული იყო გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის გამოცხადებიდან არა უადრეს 20 და არა უგვიანეს 30 დღისა გამოცხადებული იყო საქალაქო სასამართლოში და ჩაებარებინა გადაწყვეტილება, აღნიშნული ვალდებულების დარღვევის გამო, სასამართლომ ჩათვალა, რომ საპროცესო ვადის დენა დაინყო გადაწყვეტილების გამოცხადებიდან 30-ე დღეს – 2014 წლის 22 ოქტომბერვალს და ამოიწურა ამავე წლის 7 მარტს, რომელიც არ იყო უქმედე, სააპელაციო საჩივარი მხარემ წარადგინა 2014 წლის 3 აპრილს.

საკასაციო პალატა ვერ დაეთანხმება გასაჩივრებული განჩინების ზემოაღნიშნულ სამართლებრივ დასაბუთებას და გასაჩივრებული განჩინების საწინააღმდეგოდ მიუთითებს შემდეგ გარემოებებზე:

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 369-ე მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად, სააპელაციო საჩივრის შეტანის ვადაა 14 დღე. ამ ვადის გაგრძელება და აღდგენა დაუშენებელია და იგი იწყება მხარისათვის დასაბუთებული გადაწყვეტილების გადაცემის მო-

მენტიდან. დასაბუთებული გადაწყვეტილების გადაცემის მომენტად ითვლება დასაბუთებული გადაწყვეტილების ასლის მხარისათვის ჩაბარება ამ კოდექსის 70-ე-78-ე მუხლების ან 259<sup>1</sup> მუხლის შესაბამისად, ასევე 259<sup>1</sup> მუხლის 1-ლი ნაწილით დადგენილი ვადის გასვლის შემდეგ. ნორმის დისპოზიციიდან გამომდინარე, საკასაციო პალატა თვლის, რომ კანონმდებელი ზემოაღნიშნულით ადგენს სააპელაციო საჩივარის წარდგენის 14-დღიანი ვადის დენის დაწყების ზოგად წესს და აღნიშნულს უკავშირებს გადაწყვეტილების გადაცემის მომენტს, გადაწყვეტილების გადაცემის მომენტად კი, განიხილავს გადაწყვეტილების სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 70-ე-78-ე მუხლების შესაბამისად გადაცემას, ასევე 259<sup>1</sup> მუხლით დადგენილი წესით მხარისათვის ჩაბარებას, ან ამავე ნორმის პირველი ნაწილით გათვალისწინებული ვადის გასვლას. საკასაციო სასამართლოს მოსაზრებით, კანონის ზემოაღნიშნული დანაწესი ზოგადია და ამ ვადის დენის სწორად გამოთვლისათვის, სავალდებულოა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 259<sup>1</sup> მუხლის სწორი ანალიზი.

მართალია, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 259<sup>1</sup> მუხლის 1-ლი ნაწილი იმ მხარეს, რომელიც ესწრებოდა გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის გამოცხადებას ან ვისთვისაც ცხობილი იყო მისი გამოცხადების დღე, უდეგენს ვალდებულებას, თავად გამოცხადდეს სასამართლოში გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის გამოცხადებიდან არა უადრეს 20 და არა უგვიანეს 30 დღისა და ჩაიბაროს გადაწყვეტილება, ნინააღმდეგ შემთხვევაში, ამ ვადი დენა მისი გამოცხადებიდან 30-ე დღეს დაიწყება, თუმცა, ნორმის მიზნების სწორი განმარტებისათვის, სავალდებულოა მისი მე-2 ნაწილის დანაწესის სრულყოფილი ანალიზი, კერძოდ, დასახელებული მუხლის მე-2 ნაწილით დადგენილია, რომ ამ კოდექსის 46-ე მუხლით გათვალისწინებული პირებისათვის, ასევე პატიმრობაში მყოფი იმ პირებისათვის, რომლებსაც არ ჰავათ წარმომადგენელი, გადაწყვეტილების ასლის გაგზავნასა და ჩაბარებას უზრუნველყოფს სასამართლო ამავე კოდექსის 70-ე-78-ე მუხლებით დადგენილი წესით.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 46-ე მუხლი არეგულირებს სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან მხარეთა უპირობო გათავისუფლების საფუძვლებს და ეს საფუძვლები ამავე ნორმის პირველ ნაწილშია ჩამოთვლილი, თუმცა კანონმდებლის მიერ ნორმაში შემოთავაზებული ჩამონათვალი ამომწურავი არ არის და მისი მე-2 ნაწილით განსაზღვრულია სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ სასამართლო ხარჯების გადახდისაგან მხა-

რეთა გათავისუფლების სხვა კანონისმეირი შემთხვევის არსებობა.

საპროცესო ნორმით გათვალისწინებული ეს უკანასკნელი გამონაკლისი რეგულირებულია სპეციალური კანონით – „სახელმწიფო ბაჟის შესახებ“ საქართველოს კანონით, რომელის მე-5 პუნქტი ადგენს როგორც სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 46-ე მუხლი პირველი ნაწილით გათვალისწინებულ, ისე ამ ნორმისაგან განსხვავებულ კლასიფიკაციას. დასახელებული კანონის მე-5 მუხლის პირველი პუნქტის „ყ“ ქვეპუნქტის თანახმად, საერთო სასამართლოებში განსახილველ საქმეებზე სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან თავისუფლდებიან ლიკვიდაციაში მყოფი კომერციული ბანკები, მზღვეველი და არასაბანკო სადეპოზიტო დანერებულებები – საკრედიტო კავშირები – კომერციული ბანკების, მზღვეველისა და არასაბანკო სადეპოზიტო დანესხებულებებისათვის – საკრედიტო კავშირებისათვის დაუფარავი სესხების, სესხების პროცენტებისა და სხვა დებიტორული დავალიანებების დაპრუნებაზე აღძრულ ყველა სარჩელზე (იხ. სუსგ №ას-1069-1003-2012, 3 აგვისტო, 2012 წელი).

იმ გარემოების გათვალისწინებით, რომ აპელანტ მხარეს, მოცემულ შემთხვევაში, სწორედ ლიკვიდაციაში მყოფი მზღვეველი წარმოადგენს, ხოლო დავა სადაზღვევო დაუფარავი ვალდებულებიდან გამომდინარე დავალიანების დაკისრება წარმოადგენს, მოპასუხის (აპელანტის) მიმართ სასამართლომ არასწორად გაავრცელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 259<sup>1</sup> მუხლის 1-ლი ნაწილი, ნაცვლად ამავე ნორმის მე-2 ნაწილისა.

პალატა ყურადღებას ამახვილებს იმ გარემოებაზეც, რომ საქალაქო სასამართლოს მხარისათვის გადაწყვეტილების ასლი სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 70-78-ე მუხლებით დადგენილი წესით არ გაუგზავნია, ხოლო აპელანტმა იგი ჩაიბარა 2014 წლის 31 მარტს, თავის მხრივ, სააპელაციო საჩივარი ფოსტას ჩაბარდა 2014 წლის 4 აპრილს. ამ გარემოებათა ანალიზით კი, პალატა თვლის, რომ სს „.... ჯ-ას“ სააპელაციო საჩივრის წარდგენის ვადა არ დაურღვევია რაც სააპელაციო პალატის განჩინების გაუქმების საფუძველია.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 412-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტის, მე-2 ნაწილისა და 394-ე მუხლის „ე“ ქვეპუნქტის თანახმად, საკასაციო სასამართლო აუქმებს გადაწყვეტილებას და საქმეს ხელახლა განსახილველად აბრუნებს სააპელაციო სასამართლოში, თუ გადაწყვეტილების დასაბუთება იმდენად არასრულია, რომ მისი სამართლებრივი საფუძვლიანობის შემოწმება შეუძლებელია. ამ მუხლის 1-ლი ნა-

წილით გათვალისწინებულ გადაწყვეტილებას საკასაციო სასა-მართლომ საფუძვლად უნდა დაუდოს სამართლებრივი შეფა-სება, რომელიც სავალდებულოა სააპელაციო სასამართლოსათ-ვის. საქმე ხელახლა განსახილველად შეიძლება დაუბრუნდეს სააპელაციო სასამართლოს იმავე ან სხვა შემადგენლობას.

ზემოაღნიშნული გარემოების გათვალისწინებით, საკასაციო სასამართლო თვლის, რომ სს „.... ჯ-ას“ კერძო საჩივარი საფუძ-ვლიანია, რაც მისი დაკმაყოფილების წინაპირობას წარმოად-გენს, შესაბამისად, მოცემული საქმე სააპელაციო პალატას უნ-და დაუბრუნდეს ხელახლა განსახილველად ქონებრივ დავაზე სააპელაციო საჩივრის დასაშვებობის ხელახლა შემოწმების მიზ-ნით.

### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპ-როცესო კოდექსის 419-ე, 420-ე მუხლებით და

### **დ ა ა დ გ ი ნ ა:**

1. სს „.... ჯ-ას“ კერძო საჩივარი დაკმაყოფილდეს.
2. გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქა-ლაქო საქმეთა პალატის 2014 წლის 22 აპრილის განჩინება და საქმე სააპელაციო საჩივრის დასაშვებობის შემოწმების ეტა-პიდან ხელახლა განსახილველად დაუბრუნდეს იმავე სასამარ-თლოს.
3. კერძო საჩივრის ავტორი სახელმწიფო ბაჟის გადახდისა-გან გათავისუფლებულია.
4. საკასაციო პალატის განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივ-რდება.

## სახელმწიფო პაზის ოდენობის შემცირება

### განხილვა

№ას-775-736-2013

30 სექტემბერი, 2013 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო  
საქმეთა პალატა  
შემადგენლობა: ბ. ალავიძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
თ. თოდრია,  
პ. ქათამაძე

**დავის საგანი:** სესხის დაპრუნება, იპოთეკით დატვირთული ქონების რეალიზაცია (სარჩელში), გარიგების ნაწილობრივ ბათილად ცნობა (შეგებებულ სარჩელში)

#### აღწერილობითი ნაწილი:

ლ. ლ-ამ სარჩელი აღძრა სასამართლოში თ. კ-ას მიმართ, 2009 წლის 25 სექტემბრის სესხის ხელშეკრულებიდან გამომდინარე, სასესხო დავალინების – 31500 აშშ დოლარის, პროცენტის – 1 575 აშშ დოლარის, პირგასამტებლოს – 15 985 აშშ დოლარის დაკისრების, ასევე თანხის გადახდევინების მიზნით იპოთეკით დატვირთული, ქ. თბილისში, თ-ის ქ. №17ა-ში მდებარე თ. კ-ას საკუთრებაში არსებული №39 ბინის (საკადასტრო კოდი №....) იძულებით აუქციონზე რეალიზაციის შესახებ შემდეგი საფუძვლებით:

2009 წლის 25 სექტემბერს ლ. ლ-სა და თ. კ-ას შორის გაფორმდა სესხის და იპოთეკის ხელშეკრულება, რომლის საფუძველზეც ლ. ლ-ამ თ. კ-ას ასესხა 31 500 აშშ დოლარი ერთი თვის ვადით, ყოველთვიური 5%-ის დარიცხვით. მხარეთა მიერ ასევე შეთანხმებული იქნა პირგასამტებლო – ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე 0,3%-ს ოდენობით. კრედიტორის მოთხოვნების უზრუნველყოფის მიზნით იპოთეკით დაიტვირთა თ. კ-ას საკუთრებაში არსებული უძრავი ქონება.

მსესხებელმა დაარღვია სესხის ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულება და მხარეთა მიერ შეთანხმებულ ვადაში სესხის თანხა არ დააპრუნა.

მოპასუხებ სარჩელი არ ცნო და შეგებებული სარჩელით მიმართა სასამართლოს სესხისა და იპოთეკის ხელშეკრულების ბათილად ცნობის თაობაზე.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2013 წლის 11 აპრილის გადაწყვეტილებით ლ. ლ-ას

სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა, თ. კ-ას ლ. ლ-ას სასარგებლოდ დაეკისრა, 2009 წლის 25 სექტემბრის სესხის ხელშეკრულებიდან გამომდინარე, ძირითადი თანხის დავალიანების – 31 500 აშშ დოლარის, პროცენტის – 1 575 აშშ დოლარის, პირგასამტკებლოს სახით 3 000 აშშ დოლარის გადახდა, გადაწყვეტილებით მოპასუხე თ. კ-ის დაკისრებული თანხის გადახდევინების მიზნით, დადგინდა თ. კ-ას საკუთრებაში არსებული იპოთეკით დატვირთული უძრავი ქონების იძულებით აუქციონზე რეალიზაცია, მოსარჩელეს უარი ეთქვა მოპასუხისთვის პირგასამტებლოს სახით 12 985 აშშ დოლარის გადახდის დაკისრებაზე, თ. კ-ას შეგებებული სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება თ. კ-ამ გაასაჩივრა სააპელაციო წესით.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2013 წლის 3 ივლისის განჩინებით სააპელაციო საჩივარი დარჩა განუხილველად შემდეგ გარემოებათა გამო:

სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2013 წლის 5 ივნისის განჩინებით თ. კ-ას შუამდგომლობა სახელმწიფო ბაჟის გადახდის გადავადების თაობაზე არ დაკმაყოფილდა, თ. კ-ას სააპელაციო საჩივარზე დაუდგინდა ხარვეზი და ხარვეზის შევსების მიზნით გახჩინების ასლის ჩაბარებიდან 10 დღის ვადაში დაევალა, სახელმწიფო ბაჟის სახით სახელმწიფო ბიუჯეტში 1443 აშშ დოლარის ეკვივალენტი ლარის გადახდა და გადახდის დამადასტურებელი მტკიცებულების ამ განჩინებით დადგენილ ვადაში სასამართლოში წარდგენა. მასვე განემარტა, რომ სასამართლოს მიერ დანიშნულ ვადაში ხარვეზის შეუვსებლობის შემთხვევაში სააპელაციო საჩივარი დარჩებოდა განუხილველად.

2013 წლის 24 ივნისს პალატას განცხადებით მიმართა თ. კ-ამ, რომელმაც ოჯახის ეკონომიკური მდგომარეობის გათვალისწინებით იშუამდგომლა სახელმწიფო ბაჟის ოდენობის 1000 ლარამდე შემცირების შესახებ. შუამდგომლობა აპელანტმა დააფუძნა იმ გარემოებას, რომ ოჯახში მუშაობს მხოლოდ მისი მეუღლე, რომლის კმაყოფაზეც არიან თავად, მისი მცირენლოვანი ბავშვები და მეუღლის მამა.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 48-ე მუხლის თანახმად, სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ სასამართლო ხარჯების გადახდის გადავადების ან მათი ოდენობის შემცირების საკითხის გადაწყვეტილისას სასამართლო მხედველობაში იღებს მხარის ქონებრივ მდგომარეობას შუამდგომლობის ავტორის მიერ წარმოდგენილი უტყუარი მტკიცებულებების საფუძველზე. ამდე-

ნად, აღნიშნული გარემოების უტყუარად დადასტურების ტვირთი ეკისრება მხარეს, რომელიც ითხოვს სასამართლო ხარჯების გადახდის გადავადებას ან მათი ოდენობის შემცირებას.

პალატის მოსაზრებით, განსახილველ შემთხვევაში, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 102-ე და 103-ე მუხლების მოთხოვნათა შესაბამისად, აპელანტს სასამართლოსათვის ქონებრივი მდგომარეობის ამსახველი მტკიცებულებები არ წარმოუდგენია, შესაბამისად, სასამართლო მოკლებული იყო შესაბლებლობას, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 105-ე მუხლის მოთხოვნათა დაცვით შეეფასებინა მტკიცებულებები და ემსჯელა მხარის ქონებრივ მდგომარეობასა და მის თანმდევ შედეგებზე სასამართლო ხარჯების ოდენობის შემცირებასთან მიმართებით. პალატამ განმარტა, რომ უტყუარი მტკიცებულებებით ქონებრივი მდგომარეობის დადასტურება კანონისმიერი პირობაა და სასამართლო არ არის უფლებამოსილი, მტკიცებულებათა არარსებობის პირობებში, დაამაყოფილის ბაჟის გადახდისაგან გათავისუფლების თაობაზე წარმოდგენილი შუამ-დგომლობა.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 59-ე მუხლის თანახმად, მხარე ვალდებულია, სასამართლოს მიერ განსაზღვრულ ვადაში შეასრულოს ის საპროცესო მოქმედებები, რაც მას სასამართლომ დაავალა, წინააღმდეგ შემთხვევაში იგი კარგავს ამ საპროცესო მოქმედებათა შესრულების უფლებას.

აღნიშნულიდან გამომდინარე, სასამართლოს მიერ დანიშნულ ვადაში ხარვეზის შეუვესებლობის გამო, თ. კ-ას სააპელაციო საჩივარი დაუშვებლობის გამო დარჩა განუხილველად.

სააპელაციო სასამართლოს განჩინებაზე თ. კ-ამ შეიტანა კერძო საჩივარი და მოითხოვა მისი გაუქმება შემდეგი საფუძვლებით:

სააპელაციო პალატამ არ გაითვალისწინა, რომ მოცემული დავა ეხება თ. კ-ას ერთადერთ საცხოვრებელ ფართს, სადაც მასთან ერთად ცხოვრებენ მისი მეუღლე, მეუღლის ავადმყოფი მამა და ორი არასრულწლოვანი შვილი. შეგებებული სარჩელის მიმართ მხარის ინტერესი ძალიან დიდია. ამგვარად, აპელანტს შესაძლებლობა უნდა მისცემოდა, არსებული საპროცესო საჭულებებით დაეცვა საკუთარი ინტერესი და სახელმწიფო ბაჟის გადახდა მთლიანად ან წანილობრივ უნდა გადავადებოდა.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 48-ე მუხლის შესაბამისად, მხარემ წარადგინა საკუთარი ეკონომიკური მდგომარეობის დამადასტურებელი მტკიცებულებები, კერძოდ, ცნობა, რომ აპელანტი უმუშევარია, მეუღლის მამა შრომისუუნაროა,

შეიღები სწავლობენ სკოლაში და ოჯახის შემოსავალს შეადგენს მხოლოდ თ.კ-ას მეუღლის შემოსავალი – 1000 ლარი თვეში.

### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლო კერძო საჩივრის საფუძვლების შესწავლისა და გასაჩივრებული განჩინების იურიდიული დასაბუთების შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ თ. კ-ას კერძო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს, სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებული განჩინება გაუქმდეს და საქმე დაუბრუნდეს იმავე სასამართლის სააპელაციო საჩივრის დასაშვებობის ხელახლა შესამოწმებლად შემდეგ გარემოებათა გამო:

გასაჩივრებული განჩინებით დადგენილია, რომ თ. კ-ას სააპელაციო საჩივარი დარჩა განუზილველად სახელმწიფო ბაჟის – 1443 აშშ დოლარის ეკვივალენტი ლარის გადაუხდელობის გამო.

საქმის მასალებით ირკვევა, რომ თ. კ-ამ როგორც პირველი ინსტანციის, ისე სააპელაციო სასამართლოში იშუამდგომლა სახელმწიფო ბაჟის რაობის შემცირებისა და მისი გადახდის გადადების თაობაზე.

აღსანიშნავია, რომ თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიამ გაიზიარა მხარის მოთხოვნა სახელმწიფო ბაჟის გადახდის გადავადების შესახებ. სააპელაციო პალატამ კი იხელმძღვანელა რა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 48-ე მუხლით, შემოიფარგლა მხოლოდ მითითებით, რომ სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 102-ე და 103-ე მუხლების მოთხოვნათა შესაბამისად, აპელანტს სასამართლოსათვის ქონებრივი მდგომარეობის ამსახველი მტკიცებულებები არ ნარმოუდგენია, შესაბამისად, სასამართლო მოკლებულია შესაძლებლობების, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 105-ე მუხლის მოთხოვნათა დაცვით შეაფასოს მტკიცებულებები და იმსჯელოს მხარის ქონებრივ მდგომარეობასა და მის თანმდევ შედეგებზე სასამართლო ხარჯების ოდენობის შემცირებასთან მიმართებით.

საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ სააპელაციო პალატას არ გამოუკვლევია აპელანტ თ. კ-ას მიერ ზემოხსენებული შუამდგომლობის დასასაბუთებლად წარდგენილი მტკიცებულებები და გასაჩივრებული განჩინებით სათანადოდ არ დაუსაბუთებია, მხარის მიერ მითითებული გარემოებანი ქმნიდა თუ არა სახელმწიფო ბაჟის ოდენობის შემცირებისა და სახელმწიფო ბაჟის გადახდის გადავადების სამართლებრივ წინაპირობებს.

როგორც ზემოთ აღინიშნა, აპელანტმა თ. კ-ამ იშუამდგომლა სააპელაციო სასამართლოს წინაშე სახელმწიფოს ბაჟის იდენტობის 1000 ლარამდე შემცირებასა და მისი გადახდის გადავადების შესახებ, რასაც ითვალისწინებს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 48-ე მუხლის დანაწესი.

ხსნებული ნორმის თანახმად, სასამართლოს, მხარეთა ქონებრივი მდგომარეობის გათვალისწინებით, შეუძლია ერთ ან ორივე მხარეს გადაუვადოს სახელმწიფო ბიუჯეტის სასამართლოდ სასამართლო ხარჯების გადახდა ანდა შეამციროს მათი ოდენობა, თუ მხარე სასამართლოს წარუდგენს უტყუარ მტკიცებულებებს.

ამდენად, სასამართლო ხარჯების ოდენობის შემცირებისა და გადახდის გადავადების შესაძლებლობა არსებობს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ სასამართლოს მხარის მიერ წარდგენილი უტყუარ მტკიცებულებების შესწავლისა და ანალიზის საფუძველზე შეექმნება შინაგანი რწმენა მხარის მძიმე ქონებრივი მდგომარეობის შესახებ, კერძოდ, რომ მას არ შეუძლია კონკრეტული დროისათვის ან გარკვეული ოდენობით სახელმწიფო ბაჟის გადახდა.

საკუთარი მოთხოვნის დასასაბუთებლად აპელანტმა მიუთითა, რომ საქმის მასალებში წარმოდგენილია მისი მძიმე ეკონომიკური მდგომარეობის დამადასტურებელი მტკიცებულებები, რომელთა საფუძველზეც დასტურდება, რომ აპელანტის ოჯახის ერთადერთი შემოსავლის წყაროა მისი მეუღლის ხელფასი, თავად თ. კ-ა უმუშევარია, ჰყავს ორი არასრულწლოვანი შვილი და ცხოვრობს მეუღლის მამასთან ერთად, რომელსაც მძიმე ჯანმრთელობის მდგომარეობა აქვს.

საქმის მასალებში, კერძოდ, თ. კ-ას შეგებებულ სარჩელთან ერთად მხარის მიერ წარმოდგენილია ცნობა, რომ თ. კ-ას მეუღლის – ლ. ჯ-ას ყოველთვიური ხელფასია 1100 ლარი, სამედიცინო დოკუმენტაცია მამამის ჯ. ჯ-ას ავადმყოფობის შესახებ, მხარის არასრულწლოვანი შვილების დაბადების მოწმობები, ასევე ცნობა სს „თ. ბ-ან“, რომ ლ. ჯ-ას 2012 წლის 21 ნოემბრის მდგომარეობით ერიცხებოდა სასესხო დავალიანებები საკრედიტო ბარათსა და სამომხმარებლო სესხთან დაკავშირებით.

სააპელაციო სასამართლოს აღნიშნული მტკიცებულებები საერთოდ არ შეუფასებია იმის მიუხედავად, რომ აპელანტი თავის შუამდგომლობაში მათზე უთითებდა და აპელირებდა.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ თ. კ-ას კერძო საჩივარი გასაჩივრებული განჩინების გაუქმების შესახებ საფუძვლიანია და საქ-

მე უნდა დაუბრუნდეს სააპელაციო პალატას, რომელმაც საქ-  
მის მასალების სრულყოფილად შესწავლის შედეგად უნდა გა-  
მოარკვიოს, არსებობს თუ არა თ. კ-ას მიმართ სახელმწიფო ბა-  
ჟს გადახდასთან დაკავშირებით არსებული სამოქალაქო საპ-  
როცესო კოდექსით გათვალისწინებული შეღავათების გამოყე-  
ნების წინაპირობები და ხელახლა იმსჯელოს წარმოდგენილი სა-  
აპელაციო საჩივრის დასაშვებობაზე.

### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს  
სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 419-ე, 420-ე მუხლებით და

### **დ ა ა დ გ ი ნ ა:**

- თ. კ-ას კერძო საჩივარი დაკმაყოფილდეს.
- გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქა-  
ლაქო საქმეთა პალატის 2013 წლის 3 ივლისის განჩინება და საქმე  
დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს სააპელაციო საჩივრის და-  
საშვებობის ხელახლა შესამოწმებლად.
- საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ გა-  
საჩივრდება.

### **საპროცესო მოქმედების შესრულების ვადა**

#### **განჩინება**

№ას-254-238-2014

2 ივნისი, 2014 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო  
საქმეთა პალატა  
შემადგენლობა: ვ. როინიშვილი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
ბ. ალავიძე,  
პ. ქათამაძე

**დავის საგანი:** ქონებაზე საკუთრების უფლების აღიარება,  
მოძრავი ნივთების გამოთხოვა უკანონო მფლობელობიდან

### **აღწერილობითი ნაწილი:**

შ. და ბ. კ-ებმა სენაკის რაიონულ სასამართლოს ი. კ-ას წინა-  
აღმდეგ სარჩელით მიმართეს ქონებაზე საკუთრების უფლების

აღიარების მოთხოვნით.

ი. კ-ამ სასამართლოში შეგებებული სარჩელი აღძრა ქონების მესაკუთრედ ცნობის და უკანონო მფლობელობიდან მოძრავი ნივთების გამოთხოვის მოთხოვნით.

სენაკის რაიონული სასამართლოს 2013 წლის 31 ოქტომბრის გადაწყვეტილებით შ. და ბ. კ-ების სარჩელი არ დაკმაყოფილდა; ი. კ-ას შეგებებული სარჩელი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ: აღიარებულ იქნა ი. კ-ას საკუთრების უფლება „ნივის“ მარკის ავტომანქანის (სახელმწიფო ნომერი .....). ს წილზე, გაუქმდა საზიარო უფლება ამ ქონებაზე, საზიარო საგნის გაყიდვითა და ამონაგების განაწილებით; უარი ეთქვა ა) აპაშის რაიონის სოფელ ნაესაკოვოში მდებარე უძრავ ქონებაზე, საკადასტრო კოდით №....., აგრეთვე – 0.9 ჰა და 0.6 ჰა მინის ნაკვეთებზე საკუთრების უფლების აღიარებაზე; ბ) ბ. კ-ასაგან სამი სული მეწველი ძროხის (თავისი ნამატით) და ერთი სული ცხენის (თავისი ნამატით) გამოთხოვასა და მოსარჩელისათვის გადაცემაზე; გ) შ. კ-ასაგან 12 სული 2 მეწველი ძროხის (თავისი ნამატით), მატარებლის სატვირთო რკინის ვაგონის გამოთხოვასა და მოსარჩელისათვის გადაცემაზე. ზემოაღნიშნული გადაწყვეტილება ი. კ-ამ სააპელაციო წესთ გაასაჩივრა შეგებებული სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის ნაწილში.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2013 წლის 18 დეკემბრის განჩინებით ი. კ-ას შუამ-დგომლობა სახელმწიფო ბაჟის გადახდის გადავადების თაობაზე არ დაკმაყოფილდა, აპელანტს დაევალა განჩინების მისთვის გადაცემიდან 10 დღის ვადაში სახელმწიფო ბაჟის – 1200 ლარის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტის დედნის წარდგენა.

განჩინების პასუხად ი. კ-ამ მიუთითა, რომ დავის საგნის ღირებულება 4000 ლარი იყო და ხარვეზის შევსებისათვის დადგენილი ვადის გაგრძელება მოითხოვა.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2014 წლის 10 იანვრის განჩინებით მოსამართლის აცილების შესახებ განცხადება არ დაკმაყოფილდა, ხარვეზის შევსებისათვის დადგენილი ვადა გაგრძელდა 15 დღით.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2014 წლის 10 თებერვლის განჩინებით ი. კ-ას სააპელაციო საჩივარი განუხილველად დარჩა. სააპელაციო სასამართლოს მითითებით, საპროცესო ვადების გამოთვლის წესი დადგენილია საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-60 და 61-ე მუხლებით: დღეებით გამოსათვლელი საპროცესო

ვადის დენა იწყება იმ მოვლენის დადგომის მომდევნო დღი-დან, რომლითაც განსაზღვრულია მისი დასაწყისი. საპროცესო მოქმედება, რომლის შესასრულებლადაც დადგენილია ვადა, შეიძლება შესრულდეს ვადის უკანასკნელი დღის ოცდაოთხ საა-თამდე. თუ საჩივარი, საბუთები ან ფულადი თანხა ფოსტას ან ტელეგრაფს ჩაბარდა ვადის უკანასკნელი დღის ოცდაოთხ საა-თამდე, ვადა გასულად არ ჩაითვლება.

საპელაციო სასამართლოს 2014 წლის 10 იანვრის განჩინე-ბით დადგენილი საპროცესო ვადის დენა დაიწყო 2014 წლის 16 იანვარს და დასრულდა 2014 წლის 30 იანვრის 24:00 საათზე. აპელანტმა განცხადებით სააპელაციო სასამართლოს 2014 წლის 31 იანვარს მიმართა. რაც შეეხება ინტერნეტ-სივრციდან ამო-ლებულ ინფორმაციას, რომლითაც აპელანტი ამტკიცებს, რომ ელექტრონული ფოსტის მეშვეობით მან ხარვეზის შევსება სა-სამართლოს მიერ დადგენილ ვადაში მოახერხა. კოდექსის მე-9 მუხლის მე-4 ნაწილის თანახმად სამართალწარმოება ხორცი-ელდება სახელმწიფო ენაზე; ხოლო საქართველოს კონსტიტუ-ციის მე-8 მუხლის თანახმად საქართველოს სახელმწიფო ენა არის ქართული, აფხაზეთში – აგრეთვე აფხაზური. დოკუმენტი წარმოდგენილი არ არის სამართალწარმოების ენაზე. ამდენად, სააპელაციო სასამართლო ვერ დაეყυრდნობა მას, როგორც მტკი-ცებულებას.

აღნიშნული განჩინება ი. კ-ამ კერძო საჩივრით გაასაჩივრა. მისი მითითებით, ხარვეზი ვადაშია შევსებული, რადგანაც 2014 წლის 30 იანვარს დაზუსტებული სააპელაციო საჩივარი და სა-ხელმწიფო ბაჟის გადახდის ქვითარი მისმა წარმომადგენელმა რ. შ-ამ გააგზავნა ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ოფი-ციალური ელექტრონული ფოსტის მისამართზე [kutaisi-appeal@court.ge](mailto:kutaisi-appeal@court.ge), რის თაობაზეც აცნობა მოსამართლის თანაშემ-ნე ვ. ბ-ს. ვ. ბ-მ უთხრა, რომ ელექტრონული ფოსტით გაგზავნი-ლი დოკუმენტის დედნებიც წარედგინა სააპელაციო სასამარ-თლოში, რაც შეასრულა მეორე დღეს. ელექტრონული შეტყო-ბინებით ირკვევა, რომ გაიგზავნა 31 ფაილი, სწორედ იმდენი ფურცელი, რამდენიც წარდგენილ იქნა სააპელაციო სასამარ-თლოში.

### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ განიხილა კერძო საჩივარი, შეის-წავლა საქმის მასალები, გასაჩივრებული განჩინების სამარ-თლებრივი დასაბუთებულობა და მიიჩნევს, რომ ი. კ-ას კერძო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 368-ე მუხლის თანახმად, თუ სააპელაციო საჩივარი არ უპასუხებს ზემოჩამოთვლილ მოთხოვნებს ან სახელმწიფო ბაჟი არ არის გადახდილი, სასამართლო ავალებს საჩივრის შემტან პირს შევსოს ხარვეზი, რისთვისაც მას გადას უნიშნავს. თუ ამ ვადაში ხარვეზი არ იქნება შევსებული, სააპელაციო საჩივარი აღარ მიიღება. სააპელაციო საჩივარზე ხარვეზის შესავსებად სააპელაციო სასამართლოს მიერ დანიშნული ვადა სასამართლომ შეიძლება გააგრძელოს მხოლოდ მხარეთა ოხოვნით.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2013 წლის 18 დეკემბრის განჩინებით ინგა კოპრავას შუამდგომლობა სახელმწიფო ბაჟის გადახდის გადავადების თაობაზე არ დაკმაყოფილდა, აპელანტს დაუვალა განჩინების მისთვის გადაცემიდან 10 დღის ვადაში სახელმწიფო ბაჟის – 1200 ლარის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტის დედნის ნარდეგენა.

განჩინების პასუხად ი. კ-ამ მიუთითა, რომ ვადის საგნის ღირებულება 4000 ლარი იყო და ხარვეზის შევსებისათვის დადგენილი ვადის გაგრძელება მოიხოვა.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2014 წლის 10 იანვრის განჩინებით მოსამართლის აცილების შესახებ განცხადება არ დაკმაყოფილდა, ხარვეზის შევსებისათვის დადგენილი ვადა გაგრძელდა 15 დღით. განჩინება მხარეს 2014 წლის 15 იანვარს ჩაბარდა.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-60 მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, წლებით, თვეებით ან დღეებით გამოსათვლელი საპროცესო ვადის დენა იწყება იმ კალენდარული თარიღის ან იმ მოვლენის დადგომის მომდევნო დღიდან, რომლითაც განსაზღვრულია მისი დასაწყისი, ხოლო 61-ე მუხლის მე-3 ნაწილის მიხედვით კი, საპროცესო მოქმედება, რომლის შესასრულებლადაც დადგენილია ვადა, შეიძლება შესრულდეს ვადის უკანასკნელი დღის ოცდაოთხ საათამდე. თუ საჩივარი, საბუთები ან ფულადი თანხა ფოსტას ან ტელეგრაფს ჩაჰპარდა ვადის უკანასკნელი დღის ოცდაოთხ საათამდე, ვადა გასულად არ ჩაითვლება.

განსახილველ შემთხვევაში, ხარვეზის შევსების ვადის ათვლა 2014 წლის 16 იანვრიდან დაიწყო და 30 იანვარს ამოიწურა. ი. კ-ამ დაზუსტებული სააპელაციო საჩივარი და სახელმწიფო ბაჟის გადახდის ქვითარი 31 იანვარს წარადგინა. მან ასევე წარადგინა ამონაბეჭდი ელექტრონული ფოსტიდან იმის დასადასტურებლად, რომ ხარვეზი სასამართლოს მიერ დადგენილ ვა-

დაში შეავსო.

საკასაციო სასამართლო არ იზიარებს სააპელაციო სასამართლოს მტკიცებას, რომ აღნიშნული მტკიცებულება არ უნდა შეფასდეს, ვინაიდან სამართალწარმოების ენაზე არ არის წარდგენილი.

საკასაციო სასამართლო იზიარებს სააპელაციო სასამართლოს მითითებას, რომ სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-9 მუხლის თანახმად, სამართალწარმოების ენა არის ქართული, ამასთან აღნიშნავს, რომ სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 135-ე მუხლის თანახმად, წერილობითი მტკიცებულება, როგორც წესი, წარდგენილ უნდა იქნეს დედნის სახით. თუ წარდგენილია საბუთის ასლი, სასამართლოს, მხარეთა შუამდგომლობით ან თავისი ინიციატივით, შეუძლია მოითხოვოს დედნის წარდგენა. პირი შეიძლება განთავისუფლდეს დედნის წარდგენისაგან მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ დაამტკიცებს, რომ ასეთი საბუთის წარდგენა გარკვეული მიზეზით, რომელსაც სასამართლო საფუძვლიანად მიჩნევს, შეუძლებელია. საბუთის ასლისათვის მტკიცებულებითი მნიშვნელობის მინიჭება დამოკიდებულია სასამართლოს შეხედულებაზე. აღნიშნული ნორმიდან გამომდინარე, როდესაც დოკუმენტის დედანი უცხო ენაზე შედგენილი, მტკიცებულების ძალა სწორედ მას გააჩნია. ის გარემოება, რომ სასამართლოში საქმის განხილვა სახელმწიფო ენაზე ხორციელდება, არ გამორიცხავს უცხო ენაზე შედგენილი მტკიცებულების გამოკვლევას და შეფასებას, თუ სასამართლოს ამის შესაძლებლობა გააჩნია. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 105-ე მუხლიდან გამომდინარე, სასამართლო ვალდებულია, გამოიკვლიოს და ერთობლიობაში შეაფასოს მხარის მიერ წარმოდგენილი ყველა მტკიცებულება, იმავდროულად, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 104-ე მუხლის შესაბამისად, სასამართლოს შეუძლია, არ მიიღოს გარკვეული მტკიცებულებები. ისეთ პირობებში, როდესაც სასამართლო იღებს მტკიცებულებად უცხო ენაზე შედგენილ დოკუმენტს, ვალდებულია შეაფასოს იგი, ხოლო თუ მისი შინაარსი გაუგებარია, სასამართლოს შეუძლია, მხარეს დაავალოს თარგმანის წარმოდგენა, შესაბამისად, არასწორია სააპელაციო სასამართლოს დასკვნა, რომ ვინაიდან ამონაბეჭდის თარგმანი არ ყოფილა წარდგენილი, სასამართლო ამ დოკუმენტს ვერ მიიღებს მხედველობაში.

მოცემულ შემთხვევაში, მხარე რუსულენოვან ამონაბეჭდზე ამყარებდა მისი სააპელაციო საჩივრის დასაშვებობის გადაწყვეტისათვის მნიშვნელოვან გარემოებას – ხარვეზის სასამართლოს მიერ დადგენილ ვადაში შევსების ფაქტს, სააპელაციო

სასამართლომ კი, უარი თქვა რა ამ მტკიცებულების გამოკვლევაზე, დაარღვია სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მოთხოვნები, როს შედეგადაც, შესაძლოა, საქმეზე არასწორი გადაწყვეტილება იყოს მიღებული. საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ სააპელაციო სასამართლომ შესაძლოა, არ გაიზიაროს აპელანტის მტკიცება მის მიერ ხარვეზის ვადაში აღმოფხვრის შესახებ, მაგრამ ამგვარი დასკვნა მხარის მიერ წარდგენილი ყველა მტკიცებულების შეფასების შედეგად უნდა გამომდინარეობდეს.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 393-ე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, საპროცესო სამართლის ნორმების დარღვევა მხოლოდ მამინ შეიძლება გახდეს გადაწყვეტილების გაუქმების საფუძველი, თუ ამ დარღვევის შედეგად საქმეზე არასწორი გადაწყვეტილება იქნა გამოტანილი.

იმავე კოდექსის 412-ე მუხლის თანახმად კი, საკასაციო სასამართლო აუქმებს გადაწყვეტილებას და საქმეს ხელახლა განსახილველად აპრუნებს სააპელაციო სასამართლოში, თუ საქმის გარემოებები საპროცესო ნორმების ისეთი დარღვევითაა დადგენილი, რომ ამ დარღვევების შედეგად საქმეზე არასწორი გადაწყვეტილება იქნა გამოტანილი და საჭიროა მტკიცებულებათა დამატებითი გამოკვლევა.

საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებული განჩინება უნდა გაუქმდეს და საქმე ი. კ-ას სააპელაციო საჩივრის დასაშვებობის განსახილველად დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს.

### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 420-ე, 412-ე მუხლებით და

### **დ ა ა დ გ ი ნ ა:**

1. ი. კ-ას კერძო საჩივარი დაკმაყოფილდეს;
2. გაუქმდეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2014 წლის 10 თებერვლის განჩინება და საქმე ი. კ-ას სააპელაციო საჩივრის დასაშვებობის განსახილველად დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს;
3. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

## საპროცესო უფლებამონაცვლეობა

### განხილვა

№ას-550-523-2013

3 ოქტომბერი, 2013 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო  
საქმეთა პალატა  
შემადგენლობა: პ. ქათამაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
ვ. როინიშვილი,  
ბ. ალავიძე

**დავის საგანი:** უფლებამონაცვლეობის დადგენა, სააღსრუ-  
ლებო ფურცლის გაცემა

#### აღწერილობითი ნაწილი:

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმე-  
თა პალატის 2009 წლის 22 ოქტომბრის დაუსწრებელი გადაწ-  
ყვეტილებით:

- მ. ი-ის სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა;
- გაუქმდა აღნიშნულ საქმეზე თბილისის საქალაქო სასა-  
მართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2009 წლის 19 ივნი-  
სის გადაწყვეტილება იმ ნაწილში, რომლითაც მ. ი-ის სარჩელი  
ზიანის ანაზღაურების ნაწილში არ დაკმაყოფილდა და ამ ნა-  
წილში მიღებულ იქნა ახალი გადაწყვეტილება;
- მ. ი-ის სარჩელი დაკმაყოფილდა;
- დ. კ-ს მ. ი-ის სასარგებლოდ დაეკისრა 10000 ლარის გა-  
დახდა მატერიალური ზიანის ასანაზღაურებლად.

დასახელებული დაუსწრებელი გადაწყვეტილება უცვლე-  
ლად დარჩა თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო  
საქმეთა პალატის 2010 წლის 4 იანვრის განჩინებით.

2010 წლის 16 მარტს, თბილისის სააპელაციო სასამართლოს  
სამოქალაქო საქმეთა პალატის 2009 წლის 22 ოქტომბრის და-  
უსწრებელ გადაწყვეტილებაზე გაიცა სააღსრულებო ფურცე-  
ლი, კრედიტორ მ. ი-ის წარმომადგენლის წერილობითი მიმარ-  
თვის საფუძველზე.

2012 წლის 12 ნოემბერს, თბილისის სააპელაციო სასამარ-  
თლოს სამოქალაქო საქმეთა პალატას განცხადებით მიმართა  
გარდაცვლილი კრედიტორის, მ. ი-ის შვილმა ნ. კ-მა. განმცხა-  
დებელმა მოითხოვა კრედიტორის უფლებამონაცვლედ ცნობა  
და სააღსრულებო ფურცლის გაცემა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმე-

თა პალატის 2013 წლის 4 აპრილის განჩინებით ნ. კ-ის ზემომი-  
თითებული განცხადება ნაწილობრივ დაკმაყოფილდა:

ნ. კ-ი ცნობილ იქნა მ. ი-ის უფლებამონაცვლედ თბილისის სა-  
აპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2009  
წლის 22 ოქტომბრის დაუსწრებელი გადაწყვეტილების S ნაწილ-  
ში და დაუსწრებელი გადაწყვეტილების 1/2 ნაწილზე სააღსრუ-  
ლებო ფურცელი გაიცა მ. ი-ის მემკვიდრის, ნ. კ-ის სახელზე.

სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ მოცემულ დავაში  
უფლებამონაცვლეობა დასაშვები იყო, რადგან საქმის მასალე-  
ბით და საქმეში წარდგენილი სამკვიდრო მოწმობების საფუძ-  
ველზე დადგინდა, რომ მოსარჩელე მ. ი-ი გარდაიცვალა 2011  
წლის 27 ივნისს და მის კანონისმიერ მემკვიდრეებს წარმოად-  
გენდნენ მისი შეილები, პირველი რიგის მემკვიდრეები: განმცხა-  
დებელი ნ. კ-ი და მონინაალმდევე მხარე დ. კ-ი. აღნიშნულით  
ასევე დასტურდებოდა, რომ მათ მიიღეს მემკვიდრეობა კანო-  
ნით დადგენილი წესით.

ნ. კ-მა განცხადებაში მიუთითა, რომ მას შეტანილი ჰქონდა  
სარჩელი სასამართლოში დ. კ-ის ულირს მემკვიდრედ ცნობაზე,  
რის გამოც მოითხოვა თბილისის სააპელაციო სასამართლოს სა-  
მოქალაქო საქმეთა პალატის 2009 წლის 22 ოქტომბრის დაუს-  
წრებელ გადაწყვეტილებაზე მხოლოდ იგი ყოფილიყო ცნობილი  
უფლებამონაცვლედ.

დასმულ საკითხთან დაკავშირებით სააპელაციო სასამარ-  
თლომ აღნიშნა, რომ განმცხადებელს არ წარუდგენია დ. კ-ის  
ულირს მემკვიდრედ ცნობის თაობაზე სასამართლოს კანონიერ  
ძალაში შესული გადაწყვეტილება, რომელიც მოცემული უფლე-  
ბამონაცვლეობის დადგენის საკითხის განხილვისას სასამარ-  
თლოს მიერ შეფასდებოდა, როგორც პრეიუდიციული მნიშვნე-  
ლობის მქონე ფაქტი. უფრო მეტიც, განმცხადებელს არც იმის  
დამადასტურებელი დოკუმენტი წარუდგენია, რომ ასეთი მოთ-  
ხოვნით სარჩელი იხილებოდა სასამართლოში.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით სააპელაციო სასამარ-  
თლომ მიიჩნია, რომ განმცხადება ნაწილობრივ ექვემდებარებო-  
და დაკმაყოფილებას, განმცხადებელი ნ. კ-ი ცნობილი უნდა ყო-  
ფილიყო მოსარჩელე მ. ი-ის უფლებამონაცვლედ თბილისის სა-  
აპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2009  
წლის 22 ოქტომბრის დაუსწრებელი გადაწყვეტილების S ნა-  
წილში და დაუსწრებელი გადაწყვეტილების S ნაწილზე სააღ-  
სრულებო ფურცელი უნდა გაცემულიყო მ. ი-ის მემკვიდრის ნ.  
კ-ის სახელზე.

სააპელაციო სასამართლოს განჩინება კერძო საჩივრით გაა-

საჩივრა მ. ი-ის უფლებამონაცვლე ნ. კ-მა, რომელმაც მოითხოვა გასაჩივრებული განჩინების გაუქმება და მისი განცხადების სრულად დაკმაყოფილება შემდეგი საფუძვლით:

სასამართლომ, ნ. კ-ი მ. ი-ის უფლებამონაცვლედ ცნო მხოლოდ ამ უკანასკნელის სახელზე გამოტანილი სასამართლო გადაწყვეტილების 1/2 ნაწილზე, რაც იმით დაასაბუთა, რომ დ. კ-ი ასევე წარმოადგენს მ. ი-ის მემკვიდრეს. ამ შემთხვევაში ყურადღება უნდა მიექცეს იმ გარემოებას, რომ დ. კ-ს მ. ი-ის სასარგებლოდ დაეკისრა 10000 ლარის, უფრო ადრე კი – 27000 ლარის გადახდა. ამავდროულად, სასამართლოსათვის ცნობილი იყო, რომ დ. კ-ი ანარმოებდა სხვადასხვა სასამართლო დავას მ. ი-ის წინააღმდეგ. აღსანიშნავია ისიც, რომ დღეისათვის აღძრულია და განხილვის სტადიაზეა სარჩელი, რომლითაც ნ. კ-ი მოითხოვს დ. კ-ის ულირს მემკვიდრედ ცნობას მამკვიდრებლის – მ. ი-ის დანაშთ ქონებაზე, მის მიერ ჩადენილი ქმედებებიდან გამომდინარე. ამდენად, საქმეში მ. ი-ის საპროცესო უფლებამონაცვლედ ცნობილ უნდა იქნეს ნ. კ-ი, რომელსაც უნდა გადაეცეს უფლებები ყველა იმ ქონებასა და მოთხოვნებზე, რომლებიც მამკვიდრებელს გააჩნდა.

### **სამოტივაციო წანილი:**

საკასაციო სასამართლო საქმის შესწავლის, კერძო საჩივრის საფუძვლების გამოკვლევის შედეგად მიიჩნევს, რომ ნ. კ-ის კერძო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს, უცვლელად უნდა დარჩეს გასაჩივრებული განჩინება შემდეგ გარემოებათა გამო:

საქმის მასალებით ორკვევა შემდეგი:

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2009 წლის 22 ოქტომბრის დაუსწრებელი გადაწყეტილებით:

1. მ. ი-ის სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა;
2. გაუქმდა აღნიშნულ საქმეზე თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2009 წლის 19 ივნისის გადაწყვეტილება იმ ნაწილი, რომლითაც მ. ი-ის სარჩელი ზიანის ანაზღაურების ნაწილში არ დაკმაყოფილდა და ამ ნაწილში მიღებულ იქნა ახალი გადაწყვეტილება;
3. მ. ი-ის სარჩელი დაკმაყოფილდა;
4. დ. კ-ს მ. ი-ის სასარგებლოდ დაეკისრა 10000 ლარის გადახდა მატერიალური ზიანის ასანზღაურებლად;

ზემოხსენებული დაუსწრებელი გადაწყვეტილება უცვლელად დარჩა თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო

საქმეთა პალატის 2010 წლის 4 იანვრის განჩინებით;

2010 წლის 16 მარტს, თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2009 წლის 22 ოქტომბრის დაუსწრებელ გადაწყვეტილებაზე გაიცა სააღსრულებო ფურცელი, კრედიტორ მ. ი-ის წარმომადგენლის განცხადების საფუძვლზე;

2012 წლის 12 ნოემბერს, თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატას განცხადებით მიმართა გარდაცვლილი კრედიტორის, მ. ი-ის შვილმა ნ. კ-მა. განმცხადებელმა მისი ცნობა კრედიტორის უფლებამონაცვლედ და შესაბამისი სააღსრულებო ფურცლის გაცემა;

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2013 წლის 4 აპრილის განჩინებით ნ. კ-ის ზემომითითებული განცხადება ნაწილობრივ დაკმაყოფილდა; ნ. კ-ი ცნობილ იქნა მ. ი-ის უფლებამონაცვლედ თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2009 წლის 22 ოქტომბრის დაუსწრებელი გადაწყვეტილების 5 ნაწილში და დაუსწრებელი გადაწყვეტილების 5 ნაწილზე სააღსრულებო ფურცელი გაიცა მ. ი-ის მემკვიდრის, ნ. კ-ის სახელზე.

კერძო საჩივრის ავტორი მიიჩნევს, რომ სააპელაციო სასამართლოს მხოლოდ იგი უნდა ეცნო კრედიტორ მ. ი-ის უფლებამონაცვლედ, ვინაიდან მას შეტანილი აქვს სარჩელი კრედიტორის მეორე მემკვიდრის – დ. კ-ის ულირს მემკვიდრედ ცნობის შესახებ. ეს გარემოება სააპელაციო სასამართლომ არ გაითვალისწინა.

საკასაციო სასამართლო არ იზიარებს კერძო საჩივრის ავტორის ზემოაღნიშნულ მოსაზრებას და მიუთითებს „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონის 24-ე მუხლზე, რომელიც ანესრიგებს უფლებამონაცვლე პირთა სასარგებლოდ ან სანინააღმდეგოდ სააღსრულებო ფურცლის გაცემის საკითხს, კერძოდ, მითითებული ნორმის მიხედვით, სააღსრულებო ფურცელი შეიძლება გაცემულ იქნეს გადაწყვეტილებაში დასახელებული კრედიტორის უფლებამონაცვლე პირის სასარგებლოდ ან მოვალის უფლებამონაცვლე პირის სანინააღმდეგოდ, თუ უფლებამონაცვლეობა ნათელია ან ამის დამადასტურებელი დოკუმენტი შეადგინა სათანადოდ უფლებამოსილმა ორგანომ ან დაამონმა ნოტარიუსმა. საპროცესო უფლებამონაცვლეობის საფუძვლები მოცემულია სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 92-ე მუხლის 1-ლ ნაწილში, რომლის თანახმად, სადაც ან სასამართლოს გადაწყვეტილებით დადგენილი სამართლებრივი ურთიერთობიდან ერთ-ერთი მხარის გასვლის შემთხვევაში (მოქალაქის გარ-

დაცვალება, იურიდიული პირის რეორგანიზაცია, მოთხოვნის დათმობა, ვალის გადაცემა და სხვა) სასამართლო დაუშვებს ამ მხარის შეცვლას მისი უფლებამონაცვლით.

საკასაციო პალატა განმარტავს, რომ საპროცესო უფლება-მონაცველობის საფუძველია უფლებამონაცვლეობა მატერიალურ სამართლში, როდესაც მატერიალური სამართლის ნორ-მების მიხედვით, დასაშვებია სამართლებრივ ურთიერთობაში უფლებებისა და მოვალეობების სუბიექტების შეცვლა, როდე-საც ახალი სუბიექტი მთლიანად ან ნაწილობრივ თავის თავზე იღებს თავისი წინამორბედის უფლებებს ან მოვალეობებს. შე-საბამისად, თუ უფლებამონაცვლეობა მატერიალური სამარ-თლის მიხედვით დაუშვებელია, მაშინ დაუშვებელია საპროცე-სო უფლებამონაცვლეობაც.

განსახილველ შემთხვევაში, საპროცესო უფლებამონაცვლე-ობა დასაშვებია, ვინაიდან უფლებამონაცვლეობა დასაშვებია მატერიალური სამართლის მიხედვით, კერძოდ, კრედიტორის უფლება ვალზე წარმოადგენს სამკვიდრო აქტივს, რომლის გა-დასვლა მემკვიდრეობზე ხორციელდება კანონით ან ანდერძით, ანდა ორივე საფუძვლით (სამოქალაქო კოდექსის 1306.1 და 1328.1 მუხლები). სააპელაციო სასამართლოს მიერ დადგენილია და საჩივრის ავტორი სადაციდ არ ხდის იმ გარეშოებას, რომ კრედიტორ მ. ი-ის სამკვიდრო კანონით დადგენილი წესით მიი-ღეს პირველი რიგის კანონისმიერმა მემკვიდრეობმა შვილმა – ნ. კ-მა და შვილიმკილმა – დ. კ-მა. მითითებული პირები ითვლე-ბიან თანასწორი უფლებით მემკვიდრეებად, თანახმად სამოქ-ლაქო კოდექსის 1336-ე მუხლის 1-ლი ნაწილისა. მოთხოვნის მემ-კვიდრეობის საკითხი მარტივად წყდება იმ შემთხვევაში, როცა კრედიტორს (მამკვიდრებელს) ჰყავს მხოლოდ ერთი მემკვიდ-რე, ამ დროს ერთი კრედიტორის ადგილს იკავებს ისევ ერთი კრედიტორი. იმ შემთხვევაში კი, როცა გარდაცვლილ კრედი-ტორს რამდენიმე მემკვიდრე ჰყავს, მაშინ თითოეული მათგანი ხდება კრედიტორი და შესაბამისად, თითოეულზე გადადის ვალ-ზე კრედიტორის უფლების მხოლოდ ის ნაწილი, რომელიც მის სამკვიდრო ნიღლს შეესაბამება (სამოქალაქო კოდექსის 461-ე და 1336-ე მუხლები). მოცემულ შემთხვევაში, ვინაიდან მ. ი-ის სამ-კვიდრო თანასწორი უფლებით მიიღეს ნ. და დ. კ-მა, ამიტომ თითოეულ მათგანზე გადავიდა ვალზე კრედიტორის უფლების მხოლოდ ის ნაწილი, რომელიც მათ სამკვიდრო ნიღლს შეესაბა-მება. აქედან გამომდინარე, საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ ნ. კ-ის მოთხოვნის საფუძველზე სააპელაციო სასამართლომ მართებულად გასცა საალსრულებო ფურცელი კრედიტორის

მოთხოვნის მხოლოდ 1/2 ნაწილზე, ვინაიდან განმცხადებელი არ არის კრედიტორის ერთადერთი მემკვიდრე.

დაუსაბუთებელია კერძო საჩივრის ავტორის მოსაზრება იმის შესახებ, რომ სააპელაციო სასამართლოს უნდა გაეთვალისწინებინა დ. კ-ის უღირს მემკვიდრედ ცნობის თაობაზე სარჩელის აღდგრის ფაქტი და სააღსრულებო ფურცელი უნდა გაეცა კრედიტორის მთლიან მოთხოვნაზე. საკასაციო პალატა განმარტავს, რომ დ. კ-ი შეიძლება მიჩნეულ იქნეს უღირს მემკვიდრედ, შესაბამისი სამართლებრივი შედეგებით, მხოლოდ კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილების საფუძველზე. მოცემულ შემთხვევაში ასეთი გადაწყვეტილება არ არსებობს, ხოლო ზემოხსენებული სარჩელის აღაძვრა სააღსრულებო ფურცლის გაცემის დაპრკოლებას არ ქმნის.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 420-ე მუხლის თანახმად, კერძო საჩივრების განხილვა ზემდგომ სასამართლოებში წარმოებს შესაბამისად ამ სასამართლოებისათვის გათვალისწინებული წესების დაცვით. ამავე კოდექსის 410-ე მუხლის თანახმად, საკასაციო სასამართლო არ დააკმაყოფილებს საკასაციო საჩივარს, თუ: ა. კანონის მითითებულ დარღვევას არა აქვს ადგილი; ბ. სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილებას საფუძვლად არ უდევს კანონის დარღვევა; გ. სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება არსებითად სწორია, მიუხედავად იმისა, რომ გადაწყვეტილების სამოტივაციო ნაწილი არ შეიცავს შესაბამის დასაბუთებას.

მოცემულ შემთხვევაში, საკასაციო სასამართლო არ აკმაყოფილებს კერძო საჩივარს, ვინაიდან სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებულ განჩინებას საფუძვლად არ უდევს კანონის დარღვევა.

### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 419-420-ე მუხლებით და

### **დ ა ა დ გ ი ნ ა:**

1. 6. კ-ის კერძო საჩივარი არ დააკმაყოფილდეს;
2. უცვლელად დარჩეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2013 წლის 4 აპრილის განჩინება;
3. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

## ნარომადგენლის უფლებამოსილება

### განჩინება

№ას-1614-1608-2011

21 მაისი, 2012 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო  
საქმეთა პალატა  
შემადგენლობა: პ. ქათამაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
ვ. როინიშვილი,  
ბ. ალავიძე

**დავის საგანი:** ნასყიდობის ხელშეკრულების ბათილად ცნობა

#### აღწერილობითი ნაწილი:

ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 2010 წლის 31 მაისის გადაწყვეტილებით ა. კ-ის სარჩელი დაკმაყოფილდა, ბათილად იქნა ცნობილი შ. გ-ის მინდობილობის საფუძველზე დ. გ-ესა და მ. კ-ეს შორის 2008 წლის 06 ივნისს დადებული ნასყიდობის ხელშეკრულება.

პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა შ. გ-ემ.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2011 წლის 3 ოქტომბრის განჩინებით შ. გ-ის სააპელაციო საჩივარი დარჩა განუხილველად ხარვეზის შეუვსებლობის გამო.

სააპელაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2011 წლის 13 სექტემბრის განჩინებით შ. გ-ეს გაუგრძელდა სააპელაციო საჩივარზე ხარვეზის შევსების ვადა და დაევალა 5 დღის ვადაში სააპელაციო სასამართლოში წარმოედგინა: ა) 800 ლარის ოდენობით სახელმწიფო ბაჟის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტის დედანი; ბ) სააპელაციო საჩივრის შეტანაზე ა. თ-ის (აპელანტის წარმომადგენლის) უფლებამოსილების დამადასტურებელი დოკუმენტი (სათანადო წესით გაფორმებული რწმუნებულება). ამავე განჩინებით აპელანტს განემარტა, რომ სასამართლოს მიერ დანიშნულ ვადაში ხარვეზის შეუვსებლობის შემთხვევაში, მისი სააპელაციო საჩივარი დარჩებოდა განუხილველად.

ზემოხსენებული განჩინება გაეგზავნა და ჩაბარდა აპელანტის წარმომადგენელ ა. თ-ს, 2011 წლის 15 სექტემბერს, შესაბამისად, აპელანტს ხარვეზი შეეძლო შეევსო 2011 წლის 20 სექ-

ტემბრის ჩათვლით.

სააპელაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ აპელანტს განჩინებაში მითითებული ხარვეზი არ შეუვსია და არც რაიმე შუამ-დგომლობით მიუმართავს სასამართლოსთვის.

სააპელაციო სასამართლომ მიუთითა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 368-ე მუხლის მე-5 ნაწილზე, ამავე კოდექსის 63-ე მუხლზე და მიიჩნია, რომ, ვინაიდან აპელანტმა არ შეავსო ხარვეზი, ამიტომ მისი სააპელაციო საჩივარი განუხილველად უნდა დარჩენილიყო.

სააპელაციო სასამართლოს 2011 წლის 3 ოქტომბრის განჩინება კერძო საჩივრით გაასაჩივრა შ. გ-ის წარმომადგენელმა ა. თ-მა.

კერძო საჩივრის თანახმად, პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება უშუალოდ შ. გ-ეს (მხარეს) არ ჩაბარებია. ეს გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა შ. გ-ის წარმომადგენელმა ა. თ-მა, რომელიც საქმეში მონაწილეობდა მხოლოდ ადგომატის ორდერის საფუძველზე. კერძო საჩივრის ავტორის მოსაზრებით, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 96-ე, 98-ე მუხლებიდან გამომდინარე, სასამართლო უწყების ჩაბარებასა და სხვა საპროცესო მოქმედებების შესრულებას სჭირდება მინდობილობა. მოცემულ შემთხვევაში, ასეთი მინდობილობა აპელანტ შ. გ-ეს ა. თ-ისათვის არ მიუცია, ამიტომ ხარვეზის განჩინების ამ უკანსკნელისათვის ჩაბარება ვერ ჩაითვლება უფლებამოსილი პირისათვის ჩაბარებად.

### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების შესწავლის, კერძო საჩივრის საფუძვლების შემოწების შედეგად მიიჩნევს, რომ შ. გ-ის კერძო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

საქმის მასალებით დადგენილია შემდეგი:

ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 2010 წლის 31 მაისის გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა შ. გ-ის ადვოკატმა ა. თ-მა.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2011 წლის 13 სექტემბრის განჩინებით აპელანტს გაუგრძელდა სააპელაციო საჩივარში ხარვეზის შევსების ვადა და დაევალა 5 დღის ვადაში სააპელაციო სასამართლოში წარმოედგინა: ა) 800 ლარის ოდენობით სახელმწიფო ბაჟის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტის დედანი; ბ) სააპელაციო საჩივრის შეტანაზე ა. თ-ის (აპელანტის წარმომადგენლის) უფ-

ლებამოსილების დამადასტურებელი დოკუმენტი (სათანადო წესით გაფორმებული რწმუნებულება). ამავე განჩინებით აპელანტს განეხმარტა, რომ სასამართლოს მიერ დანიშნულ ვადაში ხარვეზის შეუვსებლობის შემთხვევაში, მისი სააპელაციო საჩივარი დარჩებოდა განუხილველად.

ზემოხსენებული განჩინების ასლი გაეგზავნა და ჩაბარდა აპელანტის ადვოკატს ა. თ-ს. სასამართლოს მიერ განსაზღვრულ ვადაში აპელანტს ხარვეზი არ შეუვსია.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2011 წლის 3 ოქტომბრის განჩინებით შ. გ-ის სააპელაციო საჩივარი დარჩა განუხილველად ხარვეზის შეუვსებლობის გამო.

კერძო საჩივრის ავტორი გასაჩივრებული განჩინების გაუქმდებას მოითხოვს იმ საფუძვლით, რომ აპელანტის ადვოკატი, ა. თ-ი, არ შეიძლება მიჩნეულ იქნეს ხარვეზის შევსების ვადის გაფრდელების შესახებ სააპელაციო სასამართლოს განჩინების ჩაბარებაზე უფლებამოსილ პირად, ვინაიდან იგი არ იყო აღჭურვილი ასეთი უფლებამოსილებით სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 96-ე და 98-ე მუხლების შესაბამისად გაცემული მინდობილობის საფუძველზე.

საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ სადაცო საკითხის სწორად გადაწყვეტისათვის მნიშვნელოვანია გაირკვეს ადვოკატის უფლებამოსილების მოცულობა (ფარგლები) იმ შემთხვევაში, როდესაც იგი საქმის განხილვაში მონანილეობს მხოლოდ ადვოკატის ორდერის საფუძველზე.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 94.1 მუხლის „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად, სასამართლოში მხარეების წარმომადგენლებად შეიძლება იყვნენ ადვოკატები. ამავე კოდექსის 96.3 მუხლის მიხედვით, ადვოკატის უფლებამოსილება დასტურდება შესაბამისი კანონმდებლობით დადგენილი წესით.

საქართველოში საადვოკატო საქმიანობის განხორციელების წესსა და პირობებს განსაზღვრავს „ადვოკატთა შესახებ“, კანონი. მითითებული კანონის 1.1 მუხლის მიხედვით, საქართველოში საადვოკატო საქმიანობას ახორციელებს ადვოკატი. ამავე კანონის მე-2 მუხლის მიხედვით, საადვოკატო საქმიანობა მოიცავს: ადვოკატის მიერ იურიდიული რჩევის მიცემას იმ პირისათვის, რომელმაც მას დახმარებისათვის მიმართა (კლიენტი); კლიენტის წარმომადგენლობას საკონსტიტუციო დავის, სისხლის, სამოქალაქო ან ადმინისტრაციული სამართლის საქმეზე სასამართლოში, არბიტრაჟში, დაკავების, გამოძიების ორგანოებში; მესამე პირის მიმართ სამართლებრივი დოკუმენტე-

ბის მომზადებას და კლიენტის სახელით ნებისმიერი დოკუმენტაციის წარდგენას; ისეთი იურიდიული დახმარების გაწევას, რომელიც არ უკავშირდება მესამე პირის წინაშე წარმომადგენლობას.

ზემოხსენებული კანონის მე-4 მუხლი განსაზღვრავს ადვოკატის უფლებებს, კერძოდ, მითითებული მუხლის პირველი ნაწილის „ა“ ქვეპუნქტის მიხედვით, ადვოკატს უფლება აქვს წარმოადგინოს და დაიცვას კლიენტი, მისი უფლებები და თავისუფლებები საკონსტიტუციო, უზენაეს და საერთო სასამართლოებში, არბიტრაჟში და გამოძიების ორგანოებში, სხვა ფიზიკურ და იურიდიულ პირებთან. ამავე მუხლის „დ“ ქვეპუნქტის შესაბამისად კი, ადვოკატს უფლება აქვს ისარგებლოს საპროცესო კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა უფლებებით.

ზემოაღნიშული ნორმებიდან ცალსახად გამომდინარეობს ადვოკატის უფლებამოსილება, წარმოადგინოს და დაიცვას კლიენტის ინტერესები სასამართლოში.

„ადვოკატთა შესახებ“ კანონის მე-19 მუხლი განსაზღვრავს საადვოკატო საქმიანობის განხორციელების საფუძველს. კერძოდ, მითითებული მუხლის პირველი ნაწილის მიხედვით, ადვოკატი საადვოკატო საქმიანობას ახორციელებს ხელშეკრულების საფუძველზე. ამავე მუხლის მე-2 ნაწილის მიხედვით, გამოძიების ორგანოებში ან საქმის სასამართლოში განხილვისას ადვოკატი ვალდებულია საადვოკატო საქმიანობის უფლების დამადასტურებელ მოწმობასთან ერთად წარადგინოს დაგენილი წესით კლიენტის მიერ მასზე გაცემული დოკუმენტი – მინდობილობა ან ორდერი, ხოლო ამავე მუხლის მე-3 ნაწილის მიხედვით, ადვოკატის ორდერის ნიმუშს შეიმუშავებს და ამტკიცებს საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის აღმასრულებელი საბჭო.

ზემოაღნიშული ნორმის შინაარსიდან გამომდინარეობს, რომ სასამართლოში საქმის განხილვისას ადვოკატი უფლებამოსილია კლიენტის ინტერესები წარმოადგინოს და დაიცვას როგორც მინდობილობის, ასევე ორდერის საფუძველზე. ამასთან, ორივე შემთხვევაში ადვოკატმა სასამართლოს უნდა წარუდგინოს ასევე საადვოკატო საქმიანობის უფლების დამადასტურებელი მოწმობა. მინდობილობის გაცემის წესს ადგენს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 96-ე მუხლი, ხოლო, ადვოკატის ორდერის ნიმუშს შეიმუშავებს და ამტკიცებს საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის აღმასრულებელი საბჭო („ადვოკატთა შესახებ“ კანონის 19.3 მუხლი).

საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის აღმასრულებელი

საბჭოს 2006 წლის 1 თებერვლის გადაწყვეტილებით დადგენილია ადვოკატთა ასოციაციის წევრის ორდერის სავალდებულო მოთხოვნები.

საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ ზემოაღნიშნული გადაწყვეტილების მოთხოვნათა დაცვით შედგენილი და გაცემული ორდერი უფლებას ანიჭებს ადვოკატს წარმოადგინოს და დაცვას კლიენტის ინტერესები სასამართლოში. ასეთივე უფლებამოსილებას ადვოკატს ანიჭებს ასევე სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 96-ე მუხლის შესაბამისად გაცემული და გაფორმებული მინდობილობა. აქედან გამომდინარე, შესაძლებელია იმ დასკვნის გაკეთება, რომ ადვოკატის ორდერი, ისევე როგორც მინდობილობა, წარმოადგენს სასამართლოში საქმის წარმოების შესახებ ადვოკატის უფლებამოსილების დამადასტურებელ დოკუმენტს, რომელიც უფლებას აძლევს ადვოკატს მარწმუნებლის სახელით შეასრულოს ყველა საპროცესო მოქმედება, გარდა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 98-ე მუხლში ჩამოთვლილი საპროცესო მოქმედებისა. მითითებული ნორმის მიხედვით, უფლებამოსილება სასამართლოში საქმის წარმოების შესახებ უფლებას აძლევს წარმომადგენელს, მარწმუნებლის სახელით შეასრულოს ყველა საპროცესო მოქმედება, გარდა სარჩელის აღქრისა, არბიტრაჟისათვის საქმის გადაცემისა, სასარჩელო მოთხოვნაზე მთლიანად ან წანილობრივ უარის თქმისა, სარჩელის ცნობისა, სარჩელის საგნის შეცვლისა, მორიგებისა, სასამართლო გადაწყვეტილების გასაჩივრებისა, სააღსრულებო ფურცლის გადასახდევინებლად წარდგენისა, მიკუთვნებული ქონების ან ფულის მიღებისა. წარმომადგენლის უფლებამოსილება ამ მუხლში აღნიშნული თითოეული მოქმედების შესრულებისათვის სპეციალურად უნდა იქნეს აღნიშნული მარწმუნებლის მიერ გაცემულ მინდობილობაში.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ დასახელებული ნორმა ადგენს იმ საპროცესო მოქმედებების ამომწურავ ჩამონათვალს, რომელთა შესრულების უფლებაც არა აქვს წარმომადგენელს სპეციალური მინდობილობის გარეშე. იმისდა მიუხედავად, თუ რომელი დოკუმენტის (მინდობილობის თუ ორდერის) საფუძველზე ახორციელებს ადვოკატი წარმომადგენლობას, ყველა შემთხვევაში, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 98-ე მუხლში მითითებულ მოქმედებათა შესრულება მას შეუძლია მხოლოდ მაშინ, როდესაც მარწმუნებლის მიერ გაცემულ მინდობილობაში სპეციალურადა აღნიშნული ამ მოქმედებათა შესრულებისათვის უფლებამოსილების მინიჭების შესახებ. ეს საპროცესო მოქმედებები უკავშირდება მარწმუნებლის მიერ

თავისი მატერიალურ-სამართლებრივი უფლების განკარგვას და ამიტომ, მათ შესახებ სპეციალურად უნდა იყოს აღნიშნული მინ-დობილობაში. ეს იმას ნიშნავს, რომ ორდერის საფუძველზე ად-ვოკატს შეუძლია შეასრულოს ყველა საპროცესო მოქმედება, რაც არ არის მითითებული სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 98-ე მუხლში, და ორმელთა შესრულება შეუძლია თვითონ მარ-წმუნებელს. ცხადია, ადვოკატის მიერ ასეთი საპროცესო მოქ-მედების შეუძლებლობა გამოიწვევს კანონით გათვალისწი-ნებული, მხარისათვის არასასურველი საპროცესო შედეგის დადგომას.

განსახილველ შემთხვევაში, დადგენილია, რომ სააპელაციო საჩივარში ხარვეზის შეესების გადის გაგრძელების შესახებ გან-ჩინება გაეგზავნა და ჩაბარდა ადვოკატ ა. თ-ს, რომელიც აპე-ლანტ შ. გ-ეს წარმოადგენდა ადვოკატის ორდერის საფუძველ-ზე. მითითებული ორდერი უფლებას ანიჭებდა ადვოკატ ა. თ-ს, რომ წარმოედგინა და დაეცვა შ. გ-ის ინტერესები ნებისმიერი ინსტანციის სასამართლოში. როგორც ზემოთ აღინიშნა, ორდე-რის საფუძველზე ადვოკატს შეუძლია შეასრულოს მხოლოდ ის საპროცესო მოქმედებები, რომლებიც არ არის მითითებული სა-მოქალაქო საპროცესო კოდექსის 98-ე მუხლში. ამ ნორმის მი-ხედვით, ადვოკატს გადაწყვეტილების გასაჩივრება შეუძლია მხოლოდ სპეციალური მინდობილობის საფუძველზე. ადვოკა-ტი ალ.თ-ი სააპელაციო საჩივრის შეტანის დროს ასეთი უფლე-ბამოსილებით აღჭურვილი არ იყო, ამიტომ, სამოქალაქო საპ-როცესო კოდექსის 368.3 მუხლის შესაბამისად, სააპელაციო სა-სამართლო აპელანტს მართებულად დაუდგინა ხარვეზი და დაავალა ალ.თ-ის სახელზე გაცემული მინდობილობის წარმოდ-გენა, რომელშიც სპეციალურად იქნებოდა აღნიშნული ამ უკა-ნას კენლისათვის სააპელაციო საჩივრის შეტანის უფლებამო-სილების მინიჭების შესახებ.

აღნიშნული განჩინება, სააპელაციო სასამართლომ გაუგზა-ნა ადვოკატ ალ.თ-ს და მისთვის ჩაბარება მიიჩნია აპელანტი-სათვის ჩაბარებად, რასაც საკასაციო სასამართლო ვერ გაიზია-რებს შემდეგ გარემოებათა გამო: დადგენილია, რომ ადვოკატ ალ. თ-ს გადაწყვეტილების სააპელაციო წესით გასაჩივრების უფლება არ ჰქონდა მინიჭებული, რაც საფუძვლად დაედო აპე-ლანტისათვის ხარვეზის დადგენას. ამდენად, სააპელაციო სა-სამართლოს მიერ დადგენილი ხარვეზი უკავშირდებოდა წარ-მომადგენლის (ადვოკატის) მხრიდან ისეთი საპროცესო მოქმე-დების შესრულებას (სააპელაციო საჩივრის შეტანას), რომელ-საც სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 98-ე მუხლის მიხედ-

ვით, სპეციალური მინდობილობა სჭირდებოდა. საკასაციო სა-სამართლო მიიჩნევს, რომ ასეთი შინაარსის ხარვეზის განჩინება კანონით დადგენილი წესით უნდა გაგზავნოდა და ჩაპარებოდა უშუალოდ მხარეს, ვინაიდან გადაწყვეტილების გასაჩივრების უფლების არმქონებიროვნების პირი, არ იყო უფლებამოსილი შეესრულებინა ის საპროცესო მოქმედება, რაც პირდაპირ უკავშირდებოდა სწორედ მისი უფლებამოსილების არქონას. განსახილველ შემთხვევაში, სააპელაციო პალატამ ხარვეზის განჩინებით დადგენილი ვადის ათვლა, ამ განჩინების არაუფლებამოსილი პირისათვის (ადგომკატ ალ.თათელიშვისათვის) ჩაბარების დღიდან ათვალა, რაც არ შეესაბამება კანონის მოთხოვნას.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ გასაჩივრებული განჩინება იურიდიულად დაუსაბუთებელია, რაც სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 412.1 მუხლის „ა“ ქვეპუნქტის მიხედვით, ამ განჩინების გაუქმების და საქმის ხელახლა განსახილველად დაბრუნების საფუძველია. საქმის ხელახლა განხილვისას სააპელაციო სასამართლომ კანონით დადგენილი წესით უნდა უზრუნველყოს ხარვეზის შევსების ვადის გარდელების შესახებ განჩინების უფლებამოსილი პირისათვის ჩაბარება და ამის შემდეგ მიიღოს შესაბამისი გადაწყვეტილება.

### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 419-420-ე მუხლებით და

### **დ ა ა დ გ ი ნ ა:**

1. შ. გ-ის კერძო საჩივარი დაკმაყოფილდეს;
2. გაუქმდეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2011 წლის 3 ოქტომბრის განჩინება და საქმე შ. გ-ის სააპელაციო საჩივრის დასაშვებობის ხელახლა შესამოწმებლად დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს;
3. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

## მთკიცების ტვილთი, მთკიცებულებათა შეფასება

### განხილვა

№ას-848-806-2013

24 ოქტომბერი, 2014 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო  
საქმეთა პალატა  
შემადგენლობა: ბ. ალავიძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
თ. თოდრიკია,  
პ. ქათამაძე

**დავის საგანი:** ზიანის ანაზღაურება

#### აღნერილობითი ნაწილი:

სს „მ. კ-მა“ სარჩელი აღძრა სასამართლოში თ. ტ-ის მიმართ  
მოპასუხისათვის შპს „კ-ის“ სასამარგებლოდ 229413,79 ლარის და-  
კისრების მოთხოვნით შემდეგ გარემოებათა გამო:

2011 წლის 18 ოქტომბერს, ერთი წლის ვადით, შპს „კ-სა“ და  
სს „ს. ბ-ს“ შორის გაფორმებული საიჯარო ხელშეკრულების სა-  
ფუძველზე შპს „კ-ს“ უფლება მიეცა გ-ის ქ.№29ა-ში მდებარე  
სს „ს. ბ-ის“ სათავო ოფისში ენარმოებინა სამენარმეო საქმია-  
ნობა. შპს „კ-ის“ 50-50%-იანი წილის მფლობელი პარტნიორები  
არიან მოსარჩელე და მოპასუხე. 2011 წლის 26 სექტემბრიდან  
თ. ტ-ი არის საზოგადოების ერთადერთი დირექტორი.

2012 წლის 24 იანვარს მოპასუხემ დაარსა ანალოგიური ტი-  
პის საწარმო „C. G-პ“ და მთელი აქტივები გადაიტანა ახალ კომ-  
პანიაში, ამასთან, 5 თვითა და 18 დღით ადრე შეწყვიტა შპს „კ-  
სა“ და სს „ს. ბ-ს“ შორის დადებული ხელშეკრულება და იმავე  
შინაარსის ხელშეკრულება დადო „C. G-პ“-ის სახელით.

ხელშეკრულების შეწყვეტამდე შპს „კ-ის“ შემოსავალი გაი-  
ზარდა, 6 თვის განმავლობაში მიღებულმა შემოსავალმა შეად-  
გინა 246681,49 ლარი. მოპასუხემ, როგორც შპს „კ-ის“ დირექ-  
ტორმა, დაარღვია მისი ვალდებულება და ხელშეკრულების ვა-  
დამდე შეწყვეტით, საწარმოს კომერციული ინფორმაციისა და  
თანამშრომლების სხვა კომპანიის ინტერესებისათვის გამოყე-  
ნებით, ასევე მომგებიანი ხელშეკრულების სხვა კომპანიის სა-  
სარგებლოდ დადებით ზიანი მიაყენა საზოგადოებას, რაც პირ-  
დაპირ აისახება მოსარჩელეზე, როგორც 50%-იანი წილის  
მფლობელ პარტნიორზე იძ მიუღებული შემოსავლის სახით, რო-  
მელსაც იგი მიიღებდა სს „ს. ბ-თან“ დადებული ხელშეკრულე-  
ბის შესრულების შემთხვევაში.

მოპასუხებ სარჩელი არ ცნო და მის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა მოითხოვა.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2012 წლის 12 დეკემბრის გადაწყვეტილებით სს „მ. კ-ის“ სარჩელი დაკმაყოფილდა, თ. ტ-ს სს „მ. კ-ის“ სასარგებლოდ დაეკისრა 229413,79 ლარის გადახდა.

საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა მოპასუხებმ.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2013 წლის 25 ივნისის განჩინებით თ. ტ-ის სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა, უცვლელად დარჩა მოცემულ საქმეზე საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება შემდეგი დასაბუთებით:

პალატამ დადგენილად მიიჩნია, რომ შპს „კ-ი“ სამეწარმეო რეესტრში დარეგისტრირდა 2010 წლის 6 თებერვალს, საზოგადოების ხელმძღვანელობასა და ნარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირია თ. ტ-ი. საზოგადოების პარტნიორები არიან: თ. ტ-ი 50 %-იანი წილით და სს „მ. კ-ი“ 50 %-იანი წილით.

2011 წლის 18 ოქტომბერს შპს „კ-სა“ და სს „ს. ბ-ს“ შორის გაფორდა იჯარის ხელშეკრულება, რომლითაც სს „ს. ბ-მა“ შპს „კ-ს“ კვების ობიექტის ფუნქციონირების მიზნით, ერთი წლის ვადით, იჯარით გადასცა ქ.თბილისში, გ-ის №29ა-ში მდებარე შენობის 190.00 კვ.მ ფართი.

2012 წლის 16 თებერვალს შპს „კ-სა“ და სს „ს. ბ-ს“ შორის გაფორმდა შეთანხმება 2011 წლის 18 ოქტომბრის №885/10 ხელშეკრულების 2012 წლის 1 მარტს შეწყვეტის შესახებ.

2012 წლის 1 მარტს შპს „კ-სა“ და სს „ს. ბ-ს“ შორის გაფორმდა იჯარის ხელშეკრულება, რომლითაც სს „ს. ბ-მა“ შპს „კ-ს“ კვების ობიექტის ფუნქციონირების მიზნით ორი თვის ვადით იჯარით გადასცა ქ.თბილისში, გ-ის №29ა-ში მდებარე შენობის 190.00 კვ.მ ფართი.

2012 წლის 24 იანვარს სამეწარმეო რეესტრში დარეგისტრირდა ახალი სუბიექტი – შპს „C. G-p“. საზოგადოების დამფუძნებელი პარტნიორები იყვნენ თ. ტ-ი – 40%-იანი წილით და გ. ე-ა 60% – იანი წილით. საზოგადოების ხელმძღვანელობაზე და ნარმომადგენლობაზე უფლებამოსილ პირს (დირექტორს) ნარმოადგენდა გ. ე-ა.

2012 წლის 2 აგვისტოს მომზადებული ამონაწერის თანახამად, საზოგადოების პარტნიორები არიან: თ. ტ-ი 20% – იანი წილით, გ. ე-ა – 25%-იანი წილით, შ. კ-ი – 25%-იანი წილით და გ. მ-ე – 30%-იანი წილით. საზოგადოების დირექტორი არის გ. მ-ე.

შპს „კ-ის“ დირექტორ თ. ტ-ს არ მიუღია შპს „კ-ის“ პარტნიორ სს „მ. კ-ის“ თანხმობა იმავე საქმიანობის განხორცილების მიზნით შპს „C. G-p“-ის „დაფუძნებაზე.“

2012 წლის 16 მარტს შპს „C. G-p“-სა“ და სს „ს. ბ-ს“ შორის გაფორმდა იჯარის ხელშეკრულება, რომლითაც სს „ს. ბ-მა“ შპს „C. G-p“-ს კეთის ობიექტის ფუნქციონირების მიზნით, სამი წლის ვადით იჯარით გადასცა ქ.თბილისში, გ-ის №29ა-ში მდებარე შენობის 190.00 კვ.მ ფართი. ხელშეკრულების 2.4.6. პუნქტით, შპს „C. G-p“-მა აიღო ვალდებულება, საიჯარო გადასახადის ფარგლებში დაეფარა იჯარის ხელშეკრულების საფუძველზე წარმოქმნილი შპს „კ-ის“ დავალიანება 10 000 ლარი.

სააპელაციო პალატამ გაიზიარა გასაჩივრებული გადაწყვეტილების დასკვნა, რომ შპს „კ-ის“ დირექტორ თ. ტ-ის მიერ დარღვეული იქნა ინტერესთა კონფლიქტის წესები, ამასთან, მან პარტნიორთა კრების წინასწარი თანხმობის გარეშე, პირადი სარგებლის მიღების მიზნით, გამოიყენა საზოგადოების საქმიანობასთან დაკავშირებული ინფორმაცია, რომელიც მისთვის ცხობილი გახდა თავისი მოვალეობების შესრულების/თანამდებობრივი მდგრამარეობის გამო. ამ კუთხით პალატამ მიუთითა პირველი ინსტანციის სასამართლოში მოწმედ დაკითხული შპს „კ-ის“ ბუღალტრის მ. დ. მ-ისა და თ. გ-ის ჩვენებებზე, რომელიც წარმოადგენდა სს „ს. ბ-ს“ როგორც შპს „კ-თან“ ისე შპს „C. G-p“-თან იჯარის ხელშეკრულების გაფორმებისას და დადგენილად იქნა მიჩნეული, რომ დირექტორის ქმედებით შპს „კ-ს“ მიუღებელი შემოსავლის სახით მიადგა 229413,79 ლარის ოდენობით ზიანი.

სააპელაციო სასამართლოს განჩინება საკასაციო წესით გაასაჩივრა თ. ტ-მს, მოითხოვა მისი გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა შემდეგი საფუძვლებით:

სააპელაციო სასამართლომ, მტკიცებულებათა არასწორი შეფასების გამო, არასწორად დაადგინა ზიანის ოდენობა, რის გამოც არსებობს გადაწყვეტილების გაუქმების სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 394-ე მუხლის „ე“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული საფუძველი. სასამართლოს დასკვნა საზოგადოების დირექტორის მიერ მიუღებელი შემოსავლის სახით 229413,79 ლარის ზიანის მიყენების შესახებ დაუსაბუთებელია.

შპს „პ. ა-ის“ მიერ 2012 წლის 27 ივლისს გაცემული დასკვნით შპს „კ-ისათვის“ მიუღებელი შემოსავლის სახით ზიანის მიყენების ფაქტი არ დასტურდება, რადგანაც საქმეში წარმოდგენილი ამავე აუდიტორის განმარტებით, დასკვნაში ასახულია

მხოლოდ პროდუქციის რეალიზაციით მიღებული თანხა რაც მოგებას ან ზარალს არ გულისხმობს. თ.ტ.-ი სააპელაციო საჩივრით სადაცოდ ხდიდა იმ გარემოებას, რომ სადაცო დასკვნაში მითითებული თანხა პროდუქციის რეალიზაციით მიღებულ თანხას წარმოადგენდა, სადაც გათვალისწინებული არ ყოფილა მის მისაძრად საჭირო ხარჯი. სააპელაციო სასამართლომ უარყო როგორც აპელანტის ახსნა-განმარტება, ისევე საქმეში არსებული მტკიცებულებები, მაშინ, როდესაც სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 102-ე მუხლის 1-ლი ნაწილისა და მე-4 მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად, მიუღებელ შემოსავლის დაკავშირებით მოსარჩელეს თავად უნდა წარედგინა სათანადო მტკიცებულებები. მის მიერ წარდგენილი აუდიტორული დასკვნა არ იძლევა საანარმოს მიერ მიუღებელი შემოსავლის გაანგარიშებას. კასატორმა მიუთითა მტკიცებულებათა გამოკვლევის თაობაზე საქართველოს უზენაესი სასამართლოს მიერ დამკვიდრებულ პრაქტიკაზე და აღნიშნა, რომ აპელანტის, მართალია, არ წარუდგინა პროდუქტის მისაღებად გახარჯული თანხის ოდენობასთან დაკავშირებით რაიმე დასკვნა, თუმცა, წარადგინა ამავე შპს „პ. ა-ის“ 2012 წლის 22 ნოემბრის წერილი, რომელიც სასამართლოს არ გამოუკვლევია, მაშინ, როდესაც სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 105-ე, ასევე მე-4 და მე-5 მუხლებიდან გამომდინარე, ვალდებული იყო სადაცო მტკიცებულება ყოველმხრივ, სრულად და ობიექტურად გამოეკვლია. მოსარჩელის მიერ წარდგენილი აუდიტორული დასკვნა დირექტორის ქმედებით საანარმოს მიერ მიუღებელი შემოსავლის განმსაზღვრელ დოკუმენტს არ წარმოადგენს. ამასთანავე, არც საქმის მასალებით არ ირკვევა მიუღებელი შემოსავლის არსებობის ფაქტი და მისი ოდენობა, რაც სარჩელის დაკამაყოფილებაზე უარის თქმის საფუძველია. უზენაესი სასამართლოს არა ერთი გადაწყვეტილების თანახმად, მიუღებელი შემოსავალი წარმოადგენს ანაცდურ მოგებას, მიუღებელი შემოსავალი, შესაძლოა, იყოს პროდუქციის ღირებულების მხოლოდ ის ნაწილი, რაც სუფთა მოგებას წარმოადგენს, პროდუქციის თვითოლირებულებისა და სხვა ხარჯების გამოკლებით. მიუღებელი შემოსავალი ის სარგებელია, რაც შეიძლება დამდგარიყო სამოქალაქო ბრუნვის წორმალური განვითარების შემთხვევაში. ამ თვალსაზრისით გასათვალისწინებელია ის გარემოებაც, რომ მოგების გადასახადის გამოანგარიშების მიზნითაც კი, დაბეგვრის ობიექტი არის დასაბეგრი მოგება. მოცემულ შემთხვევაში შპს „პ. ა-ი“ თავადვე მიუთითებს, რომ დასკვნაში გადმოცემულ თანხა წარმოადგენს პროდუქტის რეალიზაციით მიღებულ თანხას და არ გუ-

ლისხმობს მოგებას ან ზარალს.

### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ შეისწავლა საკასაციო საჩივრის საფუძვლები, შეამოწმა გასაჩივრებული გადაწყვეტილების იურიდიული დასაბუთებულობა და მიაჩინა, რომ თენგიზ ტყეშელაშვილის საკასაციო საჩივრარი ნაწილობრივ უნდა დაქმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

მოცემული დავის საგანია საწარმოს დირექტორის მიერ „მენარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული ინტერესთა კონფლიქტის ნესების დარღვევის გამო (რაც გამოიხატა შპს „კ-ის“ დირექტორის, თ. ტ-ის მიერ მსგავსი საქმიანობის განხორციელებასა და საკუთარი ინიციატივით სს „ს. ბ-თან“ დადგებული ხელშეკრულების მოშლაში) საზოგადოებისათვის მიყენებული ზიანის ანაზღაურება. მოსარჩელე ზიანის ანაზღაურებას ითხოვს არა ფაქტობრივად დამდგარი ქონებრივი დანაკლისისათვის, არამედ მიუღებელი შემოსავლისათვის.

საკასაციო პალატა განმარტავს, რომ განსახილველი დავის საგნის, სასარჩელო მოთხოვნისა და მის საფუძვლად მოსარჩელის მიერ მითითებული ფაქტობრივი გარემოებების ანალიზი, გვაძლევს იმ დასკვნის გაკეთების შესაძლებლობას, რომ მოსარჩელის მოთხოვნის მატერიალურ-სამართლებრივ საფუძველს წარმოადგენს სამოქალაქო კოდექსის 411-ე მუხლი, ასევე „მენარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-9 მუხლის მე-5 და მე-6 პუნქტები, თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ ეს უკანაკენელი ნორმა ზოგადად განსაზღვრავს საწარმოს ხელმძღვანელობასა და წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის პასუნისმგებლობას ინტერესთა კონფლიქტის წესების დარღვევისა და საწარმოს არაკეთილისინდისიერად (საწარმოს ინტერესების საწინააღმდეგოდ) მართვისათვის, ხოლო სამოქალაქო კოდექსის 411-ე მუხლი წარმოადგენს იმ სამართლებრივ ნორმას, რომელსაც შეიძლება დაგუკავშიროთ ის კონკრეტული მატერიალურ-სამართლებრივი შედეგი – ზიანის ანაზღაურება, რომლის დადგომაც სურს სარჩელით მოსარჩელეს.

საკასაციო პალატა განმარტავს, რომ სამოქალაქო დავის სწორად გადაწყვეტას მნიშვნელოვნად განაპირობებს მოთხოვნის სამართლებრივი საფუძვლის ზუსტად განსაზღვრა, რაც სასამართლოს პრეროგატივაა, თუმცა, ასევე არანაკლებ მნიშვნელოვანია სასამართლომ მართებულად დაადგინოს დავის გადაწყვეტისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე ფაქტების (მტკიცების საგანში შემავალი ფაქტების) ამომწურავი ჩამონათვა-

ლი, რათა სასამართლოს არ მოუწიოს იმ გარემოებათა დადგენა, რომლებსაც საქმისათვის არანაირი მნიშვნელობა არ აქვთ, და პირიქით, რათა მთელი სამართალწარმოება საძიებელ ფაქტებზე იქნეს ფოკუსირებული.

განსახილველ საქმეზე სააპელაციო სასამართლოს მიერ დადგენილია, რომ:

შპს „კ-ი“ ახორციელებდა კვების ობიექტის ფუნქციონირებას სს „ს. ბ-ი“-ს ოფისში, ქ.თბილისში, გ-ის №29ა-ში, მხარეებს შორის 2011 წლის 18 ოქტომბერს დადებული ხელშეკრულების საფუძველზე. ხელშეკრულების მოქმედების ვადა განისაზღვრა ერთი წლით.

შპს „კ-ი“-ს დირექტორმა თ. ტ-მა 2012 წლის 24 იანვარს გ. ე-თან ერთად დააფუძნა შპს „C. G-p“, რომელსაც უნდა განეხორციელებინა იგივე საქმიანობა, რაც შპს „კ-ს“, რაზეც შპს „კ-ი“-ს პარტნიორთა კრებას თანხმობა არ მიუცია.

2012 წლის 16 მარტს შპს „C. G-p“-სა და სს „ს. ბ-ს“ შორის გაფორმდა იჯარის ხელშეკრულება, რომლითაც სს „ს. ბ-მა“ შპს „C. G-p“-ს კვების ობიექტის ფუნქციონირების მიზნით სამი წლის ვადით იჯარით გადასცა ქ. თბილისში, გ-ის №29ა-ში მდებარე შენობის 190.00 კვ.მ ფართი, ამასთან, სს „ს. ბ-სა“ და შპს „კ-ს“ შორის გაფორმებული იჯარის ხელშეკრულება შეწყდა უშუალოდ თ. ტ-ის ინიციატივით.

2012 წლის 16 მარტის ხელშეკრულების 2.4.6. პუნქტის მიხედვით, შპს „C. G-p“-მა აიღო ვალდებულება საიჯარო გადასახადის ფარგლებში დაეფარა იჯარის ხელშეკრულების საფუძველზე წარმოქმნილი შპს „კ-ის“ დავალიანება 10 000 ლარის ოდენობით.

შპს „კ-ი“-ს დირექტორის თ. ტ-ის მიერ დარღვეული იქნა ინტერესთა კონფლიქტის წესები, ამასთან, მან პარტნიორთა კრების წინასწარ თანხმობის გარეშე, პირადი სარგებლის მიღების მიზნით გამოიყენა საზოგადოების საქმიანობასთან დაკავშირებული ინფორმაცია, რომელიც მისთვის ცნობილი გახდა თავისი მოვალეობების შესრულების/თანამდებობრივი მდგომარეობის გამო.

დირექტორის ქმედებით შპს „კ-ს“ მიაღდგა 229413,79 ლარის ოდენობით ზიანი მიუღებელი შემოსავლის სახით.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 407-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, სააპელაციო სასამართლოს მიერ დამტკიცებულად ცნობილი ფაქტობრივი გარემოებები სავალდებულოა საკასაციო სასამართლოსათვის, თუ წარმოყენებული არ არის დასაშვები და დასაბუთებული პრეტენზია (შედავება).

კასატორის მთავარი პრეტენზია სასამართლოს მხრიდან ზიანის ოდენობის არასწორად დადგენას ეხება. კასატორის აზრით სასამართლოს განმარტება მიუღებელ შემოსავალთან დაკავშირებით განსხვავდება საქართველოს უზენაესი სასამართლოს ერთგვაროვანი სასამართლო პრაქტიკაში დამკვიდრებული განმარტებისაგან, ამასთან, სასამართლომ არასწორად შეაფასა მოსარჩელის მიერ წარმოდგენილი აუდიტორული დასკვნა, ხოლო საერთოდ შეფასების გარეშე დატოვა შპს „პ. ა-ის“ 2012 წლის 22 ნოემბრის წერილი. კასატორის მითითებული პრეტენზიების საფუძვლიანობის შემოწმების მიზნით, საკასაციო პალატა ყურადღებას გაამახვილებს შემდეგ საკითხებზე:

სამოქალაქო კოდექსის 411-ე მუხლის თანახმად, ზიანი უნდა ანაზღაურდეს არა მხოლოდ ფაქტობრივად დამდგარი ქონებრივი დანაკლისისათვის, არამედ მიუღებელი შემოსავლისათვისაც. მიუღებლად ითვლება შემოსავალი, რომელიც არ მიუღია პირს და რომელსაც იგი მიიღებდა, ვალდებულება ჯეროვნად რომ შესრულებულიყო. ამდენად, კანონმდებელი დაზარალებულს (კრედიტორს) უფლებას აძლევს ზიანის ანაზღაურება მოითხოვოს არა მხოლოდ ფაქტობრივად დამდგარი ქონებრივი დანაკლისისათვის, არამედ იმ ანაცდენი სარგებლისათვის, რომელსაც დაზარალებული მიიღებდა სამოქალაქო ბრუნვის ნორმალური განვითარების შედეგად. მთავარი წინაპირობა მოცემული მუხლის გამოყენებისათვის არის სამართლებრივი სიკეთის ხელყოფა, რასაც შედეგად მოჰყვა ზიანის დადგომა.

საკასაციო პალატა განმარტავს, რომ ზოგადი პრინციპის თანახმად, განსახილველი კატეგორიის დავაში, მოსარჩელეს ეკისრება როგორც ფაქტების მითითების, ასევე მათი დამტკიცების ტვირთი. შესაბამისად, მოცემულ შემთხვევაში, მოსარჩელეს უნდა მიეთითებინა და დაემტკიცებინა, რომ მოპასუხის ქმედება იყო არამართლზომიერი, ამ ქმედებამ გამოიწვია ზიანი, მოპასუხის ქმედებასა და დამდგარ ზიანს შორის არსებობს მიზეზობრივი კავშირი, ასევე ის თუ რას შეადგენს ზიანის ოდენობა. ამასთან, ვინაიდან მოსარჩელე ითხოვს ზიანის ანაზღაურებას მიუღებელი შემოსავლის სახით, მოსარჩელეს იმგვარი მტკიცებულებები უნდა წარედგინა, რომელიც შექმნიდა ობიექტურ სურათს ასეთი შემოსავლების მიღებასთან დაკავშირებით.

ვიდრე საკასაციო სასამართლო გასაჩივრებული გადაწყვეტილების საკასაციო საჩივრის ფარგლებში შემოწმებაზე გადავა, ყურადღებას მიაქცევს სამოქალაქო კოდექსის 411-ე მუხლის მე-2 წინადადებას, რომლის თანხმად, მიუღებლად ითვლე-

ბა შემოსავალი, რომელიც არ მიუღია პირს და რომელსაც იგი მიიღებდა, ვალდებულება ჯეროვნად რომ შესრულებულიყო.

ისმის კითხვა: რა იგულისხმება ტერმინში „მიუღებელი შემოსავალი“, ან რა შინაარსის მატარებელია იგი.

დასმულ კითხვაზე პასუხის გასაცემად, საკასაციო პალატა მოიშველიებს საქართველოს უზენაესი სასამართლოს ერთგავროვან სასამართლო პრაქტიკას, კერძოდ: 2001 წლის 20 ივლის №3/629-01 საქმეზე, უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატამ განმარტა შემდეგი: „საკასაციო პალატა ვერ გაიზიარებს შპს „უ.-ს“ მოსაზრებას, რომ მიუღებელ შემოსავალში იგულისხმება არა პროდუქციის თვითლირებულებასა და საერთო შემოსავალს შორის სხვაობა, არამედ პროდუქციის რეალიზაციით მიღებული შემოსავალი. მიუღებელი შემოსავალი არის სარგებელი, რომელიც შეიძლება დამდგარიყო სამოქალაქო ბრუნვის ნორმალური განვითარების შედეგად. მოცემულ შემთხვევაში, მიუღებელი შემოსავალი არ შეიძლება იყოს პროდუქციის რეალიზაციის ფასა“. იმავე პალატამ 2007 წლის 30 მარტის №ას-509-893-06 გადაწყვეტილებაში განმარტა შემდეგი: „მიუღებელი შემოსავალი წარმოადგენს სავარაუდო შემოსავალს, რომელიც შეიძლება დამდგარიყო სამოქალაქო ბრუნვის ნორმალური განვითარების შემთხვევაში. ესაა ანაცდური მოგება, რომლის ანაზღაურებაც მოსარჩელის განსაკუთრებულ კომერციულ ინტერესში შედის, ვინაიდან კომერციულ ბრუნვაში მისა ინტერესი შემოსავლის მიღებისკენა მიმართული“. ანალოგიური შინაარსია ჩადებული „მიუღებელ შემოსავალში“ უზენაესი სასამართლოს უახლესი პრაქტიკით, კერძოდ, საკასაციო პალატამ არ გაიზიარა კასატორის პრეტენზია, რომლის თანახმადაც, მიუღებელ შემოსავალში იგულისხმება ერთობლივი შემოსავალი ყოველგვარი გამოქვითვების გარეშე. (იხ. სუსგ, საქმე №ას-218-210-2013, 10 მარტი, 2014 წ.). იმავე საქმეში, საკასაციო სასამართლომ სრულად გაიზიარა სააპელაციო სასამართლოს დასკვნა იმასთან დაკავშირებით, რომ მოსარჩელეს მიღებული შემოსავლებიდან უნდა გადაეხადა საიჯარო ქირა, ასევე თანამშრომელთა ხელფასები და კომუნალური გადასახადები. ამდენად, სასამართლო პრაქტიკის ანალიზი შესაძლებლობას გვაძლევს დასმულ კითხვაზე გავცეთ მეტნაკლებად ამომწურავი პასუხი: მიუღებელი შემოსავალი ეს არის ანაცდენი სარგებელი (მოგება), რომელიც არ გულისხმობს ერთობლივ შემოსავალს, ყოველგვარი ხარჯების გამოქვითვების გარეშე და რომელსაც დაზარალებული ობიექტურად მიიღებდა სამოქალაქო ბრუნვის ნორმალური განვითარების შედეგად. აქედან გამომ-

დინარე, ქვემდგომი ინსტანციის სასამართლოებსაც ამ თვალ-საზრისით უნდა შეემოწმდინათ სარჩელის დასაბუთებულობა.

საკასაციო პალატა სრულად იზიარებს კასატორის პრეტენზის იმასთან დაკავშირებით, რომ მხოლოდ მოსარჩელის მიერ სასამართლოში წარდგენილი შპს „პ. ა-ი“-ს 2012 წლის 27 ივლისას აუდიტორული დასკვნით შეუძლებელია მიუღებელი შემოსავლის განსაზღვრა. კასატორის ამ მოსაზრებას ასაბუთებს იმავე აუდიტორული კომპანიის წერილი, რომელიც სასამართლოს მოპასუხემ წარუდგინა და რომელშიც აღნიშნულია, რომ აუდიტორულ დასკვნაში მითითებული თანხა 229413.79 ლარი წარმოადგენს შპს „კ-ის“ კაფეტერიის პროდუქციის რეალიზაციის შედეგად მიღებულ თანხას (რომელშიც არ იგულისხმება განეული ხარჯები) და არ გულისხმობს ორგანიზაციის მისაღებ მოგებას ან ზარალს.

საკასაციო პალატა მიუთითებს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 249-ე მუხლზე, რომლის მე-3 ნაწილის მიხედვით, გადაწყვეტილების აღნერილობით ნაწილში მოკლედ უნდა მიეთითოს მოსარჩელის მოთხოვნა, მოპასუხის პოზიცია მოსარჩელის მოთხოვნასთან დაკავშირებით, სასამართლოს მიერ დადგენილი გარემოებანი, მტკიცებულებანი, რომლებსაც ემყარება სასამართლოს დასკვნები, მოსაზრებანი, რომლებითაც სასამართლო უარყოფს ამა თუ იმ მტკიცებულებას. აღსანიშნავია, რომ გასაჩივრებული გადაწყვეტილება არ შეიცავს მსჯელობას მოპასუხის მიერ წარდგენილი მტკიცებულების შესახებ. ამასთან, საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ მოპასუხებ, რომელსაც არ ეკისრება ზიანის დამტკიცების ტვირთი, საპირისპირო მტკიცებულების წარდგენით ეჭვეჭვებ დააყენა მოსარჩელის მიერ წარდგენილი მტკიცებულება (შპს „პ. ა-ი“-ს 2012 წლის 27 ივლისის აუდიტორული დასკვნა). შესაბამისად, სასამართლოს მტკიცების საკითხი უნდა გადაეწყვიტა არა მოპასუხეზე მტკიცების ტვირთის გადატანით, არამედ იმის გარკვევით, დამატებით რა უტყუარი მტკიცებულებები ჰქონდა მოსარჩელეს წარდგენილი, რომელიც სასამართლოს მოთხოვნილი ზიანის ფაქტის არსებობაში მეტ რწმენას შეუქმნიდა.

ზემოაღნიშნული მსჯელობიდან გამომდინარე, საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ კასატორმა ზიანის ფაქტთან დაკავშირებით წარმოადგინა დასაშვები და დასაბუთებული პრეტენზია (შედავება).

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 394-ე მუხლის ე' ქვეპუნქტის მიხედვით, გადაწყვეტილება ყოველთვის ჩაითვლება კანონის დარღვევით მიღებულად, თუ გადაწყვეტილების და-

საბუთება იმდენად არასრულია, რომ მისი სამართლებრივი საფუძვლიანობის შემოწმება შეუძლებელია. საკასაციო პალატის მოსაზრებით, გასაჩივრებული გადაწყვეტილების კანონიერების შემოწმება შეუძლებელია, ვინაიდან სააპელაციო სასამართლოს არ დაუდგენია დავის გადაწყვეტისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე (მტკიცების საგანში) შემავალი ფაქტი მიუღებელი შემოსავლის სახით, ამასთან, სახეზეა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 393-ე მუხლის მე-3 ნაწილის დარღვევა, რაც გამოიხატა მტკიცების ტვირთის არასწორად განაწილებასა და მტკიცებულებათა არასწორ შეფასებაში.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 412-ე მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად, საკასაციო სასამართლო აუქმებს გადაწყვეტილებას და საქმეს ხელახლა განსახილველად აპრუნებს სააპელაციო სასამართლოში, თუ: а) საქმის გარემოებები საპროცესო ნორმების ისეთი დარღვევითაა დადგენილი, რომ ამ დარღვევების შედეგად საქმეზე არასწორი გადაწყვეტილება იქნა გამოტანილი და საჭიროა მტკიცებულებათა დამატებითი გამოკვლევა; ბ) არსებობს ამ კოდექსის 394-ე მუხლით გათვალისწინებული საფუძვლები, გარდა აღნიშნული მუხლის „გ“ და „ე“ ქვეპუნქტებისა.

ამდენად, სააპელაციო სასამართლომ საქმის ხელახლა განხილვისას სწორად უნდა გაანაწილოს მხარეებს შორის მტკიცების ტვირთი და მტკიცებულებათა ყოველმხრივი, სრული და ობიექტური განხილვის შედეგად დაადგინოს დავის გადაწყვეტისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები.

### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 412-ე მუხლით და

### **დ ა ა დ გ ი ნ ა:**

1. თ. ტ-ის საკასაციო საჩივარი დაქმაყოფილდეს ნაწილობრივ.
2. გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2013 წლის 25 ივნისის გადაწყვეტილება და საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს.
3. საკასაციო პალატის განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

## მთკიცებულებათა დასავალობა

### განჩინება

№ას-788-748-2013

20 ოქტომბერი, 2014 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო  
საქმეთა პალატა  
შემადგენლობა: თ. თოლდრია (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
პ. ქათამაძე,  
პ. ალავიძე

**დავის საგანი:** სესხის ხელშეკრულების ბათილად ცნობა, მა-  
ტერიალური და მორალური ზიანის ანაზღაურება

#### აღწერილობითი ნაწილი:

მ. ა-მ, მ. კ-მ, ი. კ-მ, მ. ჯ-მ, ს. ხ-მა და ა. კ-მ სარჩელი აღძრეს  
სასამართლოში მ. ზ-ისა და ი. ჩ-ის მიმართ და სესხის ხელშეკ-  
რულების ბათილად ცნობა, მატერიალური და მორალური ზია-  
ნის ანაზღაურება მოითხოვეს შემდეგი დასაბუთებით: 2011  
წლის თებერვალში მოსარჩელებმა მ. ზ-სა და მესამე პირებ-  
თან ერთად შექმნეს ინდივიდუალური ბინათმშენებლობის ამხა-  
ნაგობა „თ. მ. ს-ო 124“. თავმჯდომარედ მ. ზ-ე აირჩიეს. მოსარ-  
ჩელებმა კეთილსინდისიერად შეასრულეს ამხანაგობის წინა-  
შე არსებული ვალდებულებები. 2012 წლის 19 ივლისს ამხანა-  
გობის კრებამ მათ ინდივიდუალურ საკუთრებაში გადასცა მშე-  
ნებარე სახლში ის ბინები, რომელებიც ეკუთვნოდათ შესრულე-  
ბული ვალდებულებების მიხედვით. საკუთრება დარეგისტრირ-  
და საჯარო რეესტრში. 2012 წლის ივნისში, თბილისის საქალაქო  
სასამართლოში ი. ჩ-ის მიერ ამხანაგობის წევრების მიმართ სარ-  
ჩელის შეტანის შემდეგ, მოსარჩელებისათვის ცნობილი გახ-  
და, რომ ამხანაგობის თავმჯდომარემ. ზ-ს ი. ჩ-ისაგან 2011 წლის  
9 მარტს უსესხია 112 000 აშშ დოლარი, ხოლო 2011 წლის 23  
მარტს – 220 000 აშშ დოლარი. მ. ზ-ის მიერ ი. ჩ-ისაგან ნასესხე-  
ბი თანხა არ დაფიქსირებულა ამხანაგობის საბუღალტრო მონა-  
ცემებში, არ დახარჯულა ამხანაგობის მიზნებისათვის, ანუ სახ-  
ლის მშენებლობაზე. ამხანაგობის თავმჯდომარემ, თუმცა დაა-  
დასტურა მის მიერ სესხის ხელშეკრულებაზე ხელისმონერა,  
მაგრამ უარყო ი. ჩ-ისაგან თანხის მიღება. მისი განმარტებით,  
მოატყუეს და შეცდომა დააშვებინეს. გამსესხებელმა ისე და-  
დო ხელშეკრულება ამხანაგობის თავმჯდომარესთან, რომ არ  
შეუმონმებია მისი უფლებამოსილება. ზემოაღნიშნული გარე-

მოქმები ადასტურებენ 2011 წლის 23 მარტს დადგებული სესხის ხელშეკრულების მოჩვენებით და თვალთმაქცურ ბუნებას, ამიტომ, ეს ხელშეკრულება, სამოქალაქო კოდექსის 54-ე და 56-ე მუხლების თანახმად, ბათილია. მოპასუხებს სოლიდარულად უნდა დაეკისროთ მიყენებული მორალური და მატერიალური ზიანის ანაზღაურება, რადგან, მ.ა-მ, უფლებრივი აკრძალვის გამო, ვერ შეძლო ბინის გაყიდვა, შეჩერდა სახლის მშენებლობა. მოსარჩელები, ხელშეკრულების გამო, არიან შეურაცხყოფილი, აქვთ ქონების დაკარგვის განცდა, გადაიტანეს სტრესი.

მოპასუხე მ. ზ-მ სარჩელინაზილობრივ ცნო. მისი განმარტებით, სესხის ხელშეკრულებაში მითითებული თანხა არ მიუღია. ხელშეკრულება დაიდო ფიქტურად. მოსარჩელის მოთხოვნა ზიანის ანაზღაურების ნანილში უსაფუძვლო და დაუსაბუთებელია. სამოქალაქო კოდექსის 413-ე მუხლით ზუსტად არის განსაზღვრული მორალური ზიანის ანაზღაურების პრონციპი. მოსარჩელები არ მიუთითებენ სამართლის ნორმას, თუ რის საფუძველზე ითხოვნენ მორალური ზიანის ანაზღაურებას. მატერიალური ზიანის ანაზღაურების შემთხვევაშიც, მოსარჩელე ვალდებულია, ზუსტად მიუთითოს, თუ რა სახის ზიანი მიადგა მას.

მოპასუხე ი. ჩ-მ წარმოდგენილი შესაგებლით სარჩელი არ ცნო. სარჩელში არ არის მითითებული და წარმოდგენილი მოთხოვნის დამადასტურებელი მტკიცებულებები. ამხანაგობა წარმოადგენს ფიზიკურ პირთა ერთობლიობას. ამხანაგობა „თ. მ. ს-ო 124-ის“ სადამფუძნებლო ხელშეკრულების VI მუხლის მესამე პუნქტის თანახმად, ამხანაგობის თავმჯდომარე უფლებამოსილია, ამხანაგობის სახელით აიღოს კრედიტი, ამიტომ ამხანაგობის წევრებმა პასუხი უნდა აგონ, როგორც სოლიდარულმა მოვალეებმა. მის მიერ გაცემული თანხით აშენდა ამხანაგობის სახლთმფლობელობა, რომლითაც, ამჟამად სარგებლობენ მოსარჩელები, ხოლო მას ადგება მატერიალური ზიანი. მის მიერ საბაზო დაწესებულებაში 332 000 აშშ დოლარის შემთხვევაში, ის მიიღებდა სარგებელს.

ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2012 წლის 8 ნოემბრის გადაწყვეტილებით მ. ა-ის, მ. კ-ის, ი. კ-ის, მ. ჯ-ის, ს. ხ-ისა და ა. კ-ის სარჩელი მ. ზ-ისა და ი. ჩ-ის მიმართ, მესამე პირების, კ. მ-ის, გ. კ-ის, ზ. ე-ის, ა. ს-ის, დ. ხ-ის, ნ. ჩ-ის, სესხის ხელშეკრულების ბათილად ცნობის, მორალური და მატერიალური ზიანის ანაზღაურების თაობაზე არ დაემყოფილდა. აღნიშნული გადაწყვეტილება მოსარჩელებმა საპატიონი წესით გაასაჩივრეს.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 2013 წლის 30 მაისის

გადაწყვეტილებით სააპელაციო საჩიგარი მ. ა-ის, მ. კ-ის, ი. კ-ის, მ. ჯ-ის, ს. ხ-ის, ა. კ-ის სააპელაციო საჩიგარი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა, ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2012 წლის 8 ნოემბრის გადაწყვეტილება გაუქმდა და მიღებულ იქნა ახალი გადაწყვეტილება. მ. ა-ის, მ. კ-ის, ი. კ-ის, მ. ჯ-ის, ს. ხ-ის, ა. კ-ის სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა, ი. ჩ-სა და მ. ზ-ს შორის დადებული 2011 წლის 23 მარტის სესხის ხელშეკრულება ბათილად იქნა ცნობილი; მ. ა-ს, მ. კ-ს, ი. კ-ს, მ. ჯ-ს, ს. ხ-ს, ა. კ-ს მატერიალური და მორალური ზიანის ანაზღაურებაზე უარი ეთქვათ. პალატამ დადგენილად მიიჩნია შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები: 2011 წლის თებერვალში, ინდივიდუალური პინათმშენებლობის შესახებ ერთობლივი საქმიანობის ხელშეკრულების საფუძველზე ცამეტმა დამფუძნებელმა წევრმა ჩამოაყალიბა ამხანაგობა „თ. მ. ს-ო 124“. ამხანაგობის თავმჯდომარედ აირჩიეს მ. ზ-ე. ამხანაგობის წევრები არიან მოსარჩელეები და მესამე პირები. ხელშეკრულებით ერთობლივი საქმიანობის (ამხანაგობის) მიზანია ქ.ქობულეთში, თ. მ. ს-ო №124-ში მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის მშენებლობა ამხანაგობის წევრების საცხოვრებელი ანდა არასაცხოვრებელი ფართით უზრუნველსაყოფად. ამავე ხელშეკრულებით განისაზღვრა თითოეული წევრის ფულადი შენატანის ოდენობა და მათი წილები. დამფუძნებელი წევრები შეთანხმდნენ და ამხანაგობის მართვისა და წარმომადგენლობითი უფლებამოსილება დააკისრეს ამხანაგობის თავმჯდომარე მ. ზ-ს (ხელშეკრულების მე-6 მუხლი). ამხანაგობის თავმჯდომარე ამხანაგობის უმაღლესი თანამდებობის პირია, რომელიც ხელმძღვანელობს და უძღვება ამხანაგობის საქმიანობას, ასევე, ამხანაგობას წარმოადგენს გარიგებები და მესამე პირებთან ურთიერთობაში; ამხანაგობის სახელით დებს ხელშეკრულებს ამხანაგობის წევრებსა და მესამე პირებთან; უფლებამოსილია, დადოს ყველა ხელშეკრულება (გარიგება), რაც საჭიროა ამხანაგობის მიზნის მისაღწევად, მათ შორის შეიძინოს უძრავი ქონება, მიწის ნაკვეთი, გაფორმოს ნარდობის ხელშეკრულება და განკარგოს, გაასხვისოს ამხანაგობის ქონება. ამხანაგობის თავმჯდომარე უფლებამოსილია, ამხანაგობის სახელით აიღოს კრედიტი. მითითებულ ხელშეკრულებას ხელს აწერენ ამხანაგობის წევრები, მათ შორის, მოსარჩელეებიც. 2011 წლის 23 მარტს ამხანაგობა „თ. მ. ს-ო 124-ის“ თავმჯდომარე მ. ზ-მ, როგორც ამხანაგობის თავმჯდომარე (მსესხებელმა), სესხის ხელშეკრულება გააფორმა ი. ჩ-სთან (გამსესხებელთან). ხელშეკრულების მიხედვით, ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს გამსესხებლის მიერ მსესხებ-

ლისათვის (მრავალბინიანი სახლის საპროექტო-სამშენებლო საქმიანობისათვის) გადაცემული სესხის თანხა - 220 000 აშშ დოლარის ეკვივალენტი ქართული ლარი.

ი. ჩ-მ 2012 წლის 8 მაისს თბილისის საქალაქო სასამართლოში სარჩელი აღძრა ამხანაგობა „თ. მ. ს-ო 124-ის“ დამფუძნებელი წევრების მიმართ და მათვის, 2011 წლის 9 მარტისა და 23 მარტის სესხის ხელშეკრულებიდან გამომდინარე, ვალდებულების შესრულება, – ნასესხები თანხის, 112 000 აშშ დოლარისა და 220 000 აშშ დოლარის დაკისრება, ასევე მიუღებელი შემოსავლის სახით შეიყნებული ზიანის ანაზღაურება (ძირითადი თანხის წლიური 10%-ის გადახდა გადაწყვეტილების აღსრულებამდე) მოითხოვა. ი. ჩ-ის სარჩელთან დაკავშირებით მოპასუხებმა სასამართლოში წარადგინეს შესაგებელი, რომლითაც სარჩელი არ ცნეს დაუსაბუთებლობისა და უსაფუძვლობის მოტივით. მოპასუხების განმარტებით, სესხის ხელშეკრულება არის ფიქტური გარიგება. სესხის თანხა გადაცემული არ არის. არც ერთ თანხაზე საბანკო გადარიცხვა არ განხორცილებულა. ხელშეკრულება თვალმაქცური და მოტყუებით დადგებული გარიგებაა. ამხანაგობა კრედიტის ალების აუცილებლობას არ საჭიროებდა. ქუთაისის სააპელაციო სასამართლომ დაკავშირდებულია აპელაციების შუამდგომლობა და ქობულეთის პოლიციის სამმართველოდან გამოითხოვილ იქნა სისხლის სამართლის საქმის მასალები, მითითებული მტკიცებულებებიდან გამომდინარე, სააპელაციო სასამართლო უდავოდ დადგენილად მიიჩნევს იმ ფაქტობრივ გარემოებას, რომ მხარეთა ი. ჩ-სა და მ. ზ-ს 2011 წლის 23 მარტს დადგებული გარიგება არის თვალმაქცური, რაც მისი ბათილობის საფუძველია.

სისხლის სამართლის საქმეში არსებული მოწმე მ. ზ-ის ჩვენებაში ვკითხულობთ: „რაც შეეხება 112 000 აშშ დოლარსა და 220 000 აშშ დოლარის სესხის ხელშეკრულებას განგიმარტავთ, რომ 2011 წლის 9 მარტს მაშინ, როდესაც უკვე 2011 წლის 12 აპრილს მომზდარიყო ამხანაგობის გამიჯვნა, ე.ო. ა. კ-ის ოჯახის წევრები სულ ექვსი წევრი გაიმიჯნა ჩვენგან იმ მოტივით, რომ მის ნილ ქონებას თვითონ განკარგვადნენ დანარჩენ ნახევარს კი, ჩვენ შეიდი წევრი განვკარგავდით ამხანაგობის წევრებთან შეთანხმებით ი. ჩ-სთან გავაფორმეთ სესხის ხელშეკრულება 112 000 აშშ დოლარზე. ი. ჩ-ისაგან ხელშეკრულებაში მითითებული თანხა არ მიუღია ამხანაგობას, რასაც დაადასტურებს ამასანაგობის წევრები და 23 მარტს მოვიდა ჩემთან კვლავ ი. ჩ-ე და მითხრა, რომ სესხის ხელშეკრულება შედგენილია უმნიშვნელო ხარვეზებით, აგერ თან მაქვს გასწორებული ტექსტი,

ნამოდი, ნოტარიუსში განვაახლოთ ხელშეკრულება. მე ვენდე მას და გავყევი ნოტარიუსთან და მოვუნერე ხელი ხელშეკრულებაში ისე, რომ ტექსტი არ წამიკითხავს. მიუხედავად განმეორებითი ხელის მოწერისა, ფული არ მოუცია ხელშეკრულების თანახმად, არც წალდი და არც უნაღდო.... მე, როდესაც განმეორებით მიყვევი ნოტარიუსთან ი. ჩ-ს მოტყუებით მომანერინა ხელი სესხის ხელშეკრულებაზე 220 000 აშშ დოლარზე, რის საფუძველზეც მოხდა მ. კ-ის და ამხანაგობის სხვა წევრების ბინების დაყადაღება... ი. ჩ-მ მომატყუა, ისარგებლა ნდობით და მოტყუებით მომანერინა ხელი სესხის ხელშეკრულებაზე და ამით თაღლითურად ცდილობს უძრავი ქონების მისაკუთრებას.... როდესაც მივიღე თბილისის საქალაქო სასამართლოდან სარჩელი, მე მაშინ გავიგე 220 000 აშშ დოლარის სესხის ხელშეკრულების შესახებ, მანამდე ვიცოდი, რომ გაფორმებული მქონდა სესხის ხელშეკრულება 112 000 აშშ დოლარზე, აქედან ნათლად სჩანს, რომ ი. ჩ-ს უკვე ქონდა შემუშავებული თაღლითური სქემა მაშინ, როდესაც შევადგინეთ 112 000 აშშ დოლარზე სესხის ხელშეკრულება. ასევე ი. ჩ-მ მოტყუებით მომანერინა ხელი 220 000 აშშ დოლარზე, რის შესახებაც გავიგე სასამართლოდან, როცა აკრძალვა დაედო მ. კ-ისა და მისი ოჯახის წევრების უძრავ ქონებას. .... მე არცერთი თეთრი არ მიმიღია ი. ჩ-ისგან აღნიშნულს დაადასტურებს ყველა ამხანაგობის წევრი.“

მ. ზ-ის ჩენებაში ვკითხულობთ: „ი. ჩ-ისგან არც ერთი თეთრი არ მიმიღია არც წალდი არც უნაღდო, მომატყუა და თაღლითურად ცდილობს ქონების მისაკუთრებას“, „.... ი. ჩ-მ შემიყვანა შეცდომაში, მომატყუა და შეცდომით ხელი მომანერინა გარდა 112 000 აშშ დოლარისა სესხის ხელშეკრულებისა 220 000 აშშ დოლარის სესხის ხელშეკრულებაზე. არც მე არც ამხანაგობას ი. ჩ-ისგან არც ერთი თეთრი არ მიგვიღია... 2011 წლის 23 მარტს დამირეკა მობილურ ტელეფონზე ი. ჩ-მ და მთხოვა სესხის ხელშეკრულებაში 112 000 აშშ დოლარზე არის რაღაც ხარვეზი გამოვასწორე და მიმყევი ნოტარიუსში ხელმეორედ მოვანერით ხელიო, მე ნოტარიუსში მივედი ნამდვილად ჩემი ავტომობილით „ვაზ 2107-ით“ თეთრი ფერის და მახლდა ჩემი მამიდაშვილი ვ. შ-ი, როდესაც მივედი გამზადებულ ხელშეკრულებაზე მოვანერე ხელი ისე რომ, არც კი წამიკითხავს, თუ რა ეწერა, მე ვიკოდი იყო სესხის ის ძველი ხელშეკრულება 112 000 აშშ დოლარზე, ხელის მოწერის შემდეგ მე მარტო წამოვედი სახლში, ხოლო ჩემი მამიდაშვილი ვ. შ-ი გაყვა ი. ჩ-სა და დ. გ-ს. ამდენად ვერც იმ დღეს ვერ გადმომცემდა 220 000 აშშ დოლარს, ვინაიდან წამოვედი მარტო და რომ ი. ჩ-ე წავიდა ვ. შ-თან და დ. გ-თან ერთად

დაადასტურებს თვით დ. გ-ი და ვ. შ-ი. როგორც მოვაწერე ხელი სესხის ხელშეკრულებას, ამის შემდეგ ი. ჩ-ე დღემდე აღარ მინახავს და მემალება, ერიდება ჩემთან შეხვედრას. ჩემს მიერ მიცემულ ჩვენებებში მინდა შევიტანო შესწორება... 2012 წლის 23 მარტს შუადღისას მე დამირეკა ჩემმა ძმისშვილმა მ-ზ ზ-მ და მთხოვა მიიღოლიყავი ოფისში, რომელიც მდებარეობდა თ. მ. ს-ო №124-ში, სადაც დამხვდა მ-ზ ზ-ე, ი. ჩ-ე და დ. გ-ა, მე მათ მივესალმე და ი. ჩ-მ და დ. გ-ამ მითხრეს, რომ იმ სესხის ხელშეკრულებაში, რომელიც გაფორმებულ იქნა 2012 წლის 9 მარტს იურიდიუალად არის რაღაცები დასაზუსტებელი, ისე ბანკში პრობლემებია, ჩვენ გვაქვს გასწორებული სესხის ხელშეკრულება და წავიდეთ ნოტარიუსში და დავამოწმებინოთ ხელმოწერები. მ-მ მითხრა, არ არის არანაირი პრობლემა, გაყევი და ხელი მოაწერეო... მე ყველას ვენდობოდი გავყევი ნოტარიუსში და მოვაწერე ხელი, ისე რომ არ წამიკითხავს ხელშეკრულება და ხელშეკრულების ტექსტი, რომ შეცდომით მომაწერინეს ხელი 220 000 აშშ დოლარზე გავიგე მაშინ, როდესაც სასამართლოდან მოვიდა შეტყობინება ამხანაგობა თ.მ. ს-ო №124-ის კუთვნილ უძრავ ქონებაზე აკრძალვის შესახებ... მე როდესაც გავიგე რომ ვიყავი მოტყუებული და შეცდომაში შეყვანილი ვუთხარი მ-ზ ზ-ს, რომელმაც მითხრა, რომ იგი საქმის კურსშია ამ ხელშეკრულებაზე და თვითონ მოაგვარებდა პრობლემას.... მე ვენდე ჩემს ძმისშვილს და მის მეგობრებს და აღარ გამიმახვილებია ამ საკითხზე ყურადღება, რომ შემერჩნია, რომ მატყუებდნენ და გარდა 112 000 აშშ დოლრისა ხელს მანერინებდნენ 220 000 აშშ დოლარზე რა თქმა უნდა ხელს არ მოვაწერდი.... მთლიან მშენებლობას და ფინანსურ საკითხებს წყვეტდა მ-ზ ზ-ე, მე მხოლოდ დოკუმენტალურად ვიყავი ამხანაგობის თავმჯდომარე დანარჩენ ყველა საკითხს წყვეტდა მ-ზ ზ-ე. ი. ჩ-ისგან ამხანაგობას არცერთი თეთრი არ მიუღია და ორივე ხელშეკრულება სესხის შესახებ გაფორმებული იქნა ფიქტიურად, თვალომაქცურად. პირველი ხელშეკრულება 112 000 აშშ დოლარზე გავაფორმე მ-ზ ზ-ის თხოვნით, ხოლო მეორე ხელშეკრულებაზე 220 000 აშშ დოლარზე მომატყუებს და ისე მომაწერინეს ხელი... თუ რა იყო მიზანი ამ თვალომაქცური ხელშეკრულების დადების ამაზე პასუხის გასცემს მ-ზ ზ-ე, ი. ჩ-ე და დ. გ-ა.“

მონმე მ-ზ ზ-ის ჩვენების მიხედვით: „ა. კ-ე შეხვდა პიძაჩემს, მ. ზ-ს, დაილაპარაკეს და შეთანხმდნენ ამხანაგობის ჩამოყალიბებაზე, ჩამოაყალიბეს ამხანაგობა და დაიწყეს მშენებლობა, სახლზე მიშენება. ვინაიდან პიძაჩემი მ. ზ-ე გახდა ამხანაგობის თავმჯდომარე მე ხშირად შეძლებისდაგავარად მივდიო-

დი მშენებლობაზე და ვაძლევდი რჩევა-დარიგებებს. სხვა საქ-  
მიან და ფინანსურ ურთიერთობაში არ ვერეოდი და არც ჩავრე-  
ულვარ.... ი. ჩ-ს ვიცნობ დაახლოებით 7-8 წელია...მე მასთან არა-  
ნაირი საქმიანი ურთიერთობა არ მქონია, მხოლოდ მეგობრული  
ურთიერთობა და სხვა არანაირი საქმიანი ურთიერთობა...ბიძა-  
მისისგან იცის, რომ გააფორმა სესხის ხელშეკრულება ი. ჩ-სთან  
112 000 აშშ დოლარზე. ხელშეკრულების გაფორმებიდან რამო-  
დენიმე დღეში დამირეკა ბიძაჩემმა მ. ზ-მ და მითხრა რომ მო-  
ვიდა ი. ჩ-ე და მოხვოს ხელშეკრულებაში შესწორებას და თუ  
გავყვე ნოტარიუსშიო. მე მ-ს ვუთხარი, ნახე მე აქეთ არ ვარ,  
თუ გასასწორებელია რამე და პრობლემა აქვს გაასწორეთ, მე  
ხელშეკრულების ტექსტს არ ვიცნობდი და არც ის ვიცოდი თუ  
რა შესწორებაზეა ლაპარაკი. დაახლოებით ერთი წლის შემდეგ  
მოდის ბიძაჩემი და მითხრა, რომ ი. ჩ-მ მომატყუა და შეცდომით  
მომანერინა ხელი 220 000 აშშ დოლარზე და აკრძალვა არის და-  
დებული ნაწილ ამხანაგობის უძრავ ქონებაზეო. მე მაშინ გავი-  
გე, რომ ი. ჩ-ს უსარგებლია ბიძაჩემის ადამიანური მხარით და  
მოტყუებით მოანერინა ხელი მეორე სესხის ხელშეკრულებაზე  
220 000 აშშ დოლარზე.... ბიძაჩემს არცერთი თეთრი არ მიუღია  
ი. ჩ-ისგან.“

მ. კ-ის ჩვენებით: „23 მარტის სესხის ხელშეკრულებას ხელს  
აწერენ ი. ჩ-ე და ამხანაგობის თავმჯდომარე მ. ზ-ე, ეს ჩვენ-  
თვის მოულოდნელი და დაუჯერებელი იყო შემდეგი გარემოე-  
ბების გამო: პირველ რიგში პირველი სესხის ხელშეკრულების  
გაფორმების პერიოდისათვის უკვე აშენებული იყო ოთხი სარ-  
თული და გამზადებული იყო მეხუთე სართული დასასხმელად  
და ასეთი სესხის თანხის ოდენობა არ იყო საჭირო....ამხანაგო-  
ბის თავმჯდომარემ ვერ აგვისხნა ამხელა სესხის სინამდვილე  
და მიგვითითა საკითხი გაგვერცვია მ-ზ ზ-სთან, მ. ზ-მ განგვი-  
მარტა, რომ ხელი ნამდვილად მისი მონერილი იყო სესხის ხელ-  
შეკრულებაზე, მაგრამ არცერთი თეთრი ხელშეკრულების მი-  
ხედვით არ მიუღია. მ-ზ და მ. ზ-ები მამაჩემს და ჩემი ოჯახის  
წევრებს აიმედებდა, ადგილი აქვს გაუგებრობას, ი. ჩ-სთან საქ-  
მეს თვითონ გაარკვევდა და ჩვენი ქონება გათავისუფლდებო-  
და ყოველგვარი აკრძალვისაგან...“ იმავეს ადასტურებს მონმე  
ი. კ-ე 21.09.12 წლს მიცემულ ჩვენებაში. ა. კ-ის ჩვენებით დგინ-  
დება: ბინათმშენებლობის ამხანაგობა „თ. მ. ს-ო 124-ის“ ჩამო-  
ყალიბებას ორგანიზაცია გაუწია ქ.ქობულეთში მცხოვრებმა მ-  
ზ ზ-მ, ზედმეტსახელად პ-მ. ფაქტობრივად იგი წარმართავდა  
და წარმართავს ამხანაგობის საქმიანობასა და მშენებლობას.  
მანვე მოელაპარაკა მოსარჩელებს, რომ ქ.ქობულეთში მათ სა-

კუთრებაში არსებულ 500 კვ.მ მიწის ნაკვეთზე და მშენებარე 4-სართულიან სახლზე 7-სართულიან საცხოვრებელ სახლ-სასტუმროს ააშენებდა. კ-ების 4-სართულიან სახლს, პროექტის შესაბამისად, მიუშენებდა და დამშენებდა სართულებს. ჩამოყალიბებული ამხანაგობის თავმჯდომარე გახდა პიძა, როგორც მისი ნდობით აღჭურვილი პირი, რომელიც ასრულებს მის, როგორც, საქმის ორგანიზატორის, მითითებებს. ამხანაგობის სახელით გამოდის მ. ზ-ე, მაგრამ ფაქტობრივ მითითებებსა და თანხმობას დებულობს მ-ზ (პ-ა) ზ-ისაგან. ამხანაგობაში კ-ებ-თან ერთად გააწევრიანდა 7 წევრი მ. ზ-ის ჩათვლით, ყველა მათგანი მ-ზ ზ-ის ახლობელი ან ნათესავია.

მ-ზ ზ-ე და ი. ჩ-ე არიან ახლობლები, მათ ერთმანეთთან აკავშირებთ საერთო ინტერესები და სხვადასხვა გარიგებები. სესხის ხელშეკრულებები დადებულია სწორედ მ-ზ ზ-ის ინიციატივითა და მითითებით, რომელსაც ამხანაგობის ფიქტიური თავმჯდომარე მ. ზ-ე ყურადღებას არ აქცევდა. ფიქტიური, მოჩვენებითი და თვალმძეური ხელშეკრულებების იდეა სწორედ მ-ზ ზ-ისაგან მომდინარეობს. 2011 წლის მარტამდე, ვიდრე დაიდებოდა სესხის ხელშეკრულება, ი. ჩ-სა და მ-ზ ზ-ს ჰქონდათ პარტნიორული და საქმიანი ურთიერთობა, რისთვისაც მ-ზ ზ-ს ი. ჩ-ისათვის ასანაზღაურებელი ჰქონდა რამდენიმე ასეული ათასი აშშ დოლარი. 2011 წლის მარტის ხელშეკრულების დადებამდე მ-ზ ზ-სა და ი. ჩ-ს ერთმანეთში ჰქონდათ დღემდე დაუმთავრებელი სამოქალაქო დავა ქობულეთში არსებულ სხვა სასტუმრო კომპლექსთან დაკავშირებით. აღნიშნულის გამო, მხარეთა შორის 2011 წლის მარტში ხელშეკრულების დადების დროს არსებობდა უნდობლობის ისეთი საფუძველი, რაც გამორიცხავდა იმას, რომ ი. ჩ-ს ამხანაგობის თავმჯდომარისათვის სესხად მტკიცე გარანტიის გარეშე გადაეცა 220000 აშშ დოლარი. ი. ჩ-ს 2011 წლის 23 მარტის სესხის ხელშეკრულებით გათვალისწინებული თანხა მ. ზ-ისათვის არ გადაუცია.

ა. კ-ის ჩვენებით დგინდება: „ი ჩ-სთან დადებული სესხის ხელშეკრულებები 2011 წლის 9 და 23 მარტს ემსახურებოდა არა ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული თანხების მიღებას, არამედ მ-ზ ზ-სა და ი. ჩ-ს შორის არსებული ვალდებულებების ჩათვლას, მ-ზ ზ-ის მიერ ვალდებულების სანაცვლოდ გარანტიის შექმნას ი. ჩ-ის მიმართ ქონებით ურთიერთვალდებულებების გასწორებას... გადახდისუუნარო მ-ზ ზ-მ და ი. ჩ-მ ურთიერთშეთანხმებით განიზრახს სესხის ხელშეკრულების ფორმალურად დადება, არსებული ვალების დაფარვის საგარანტიოდ და სამომავლოდ ჩემი და ჩემი ოჯახის წევრების ქონების გამო-

ყენება... მ. ზ-ე უარყოფს სესხის მიღებას, მაგრამ ჩვენთვის უცნობია მაშინ რა მოტივებით აწერდა იგი ხელს ფიქტიურ ხელ-შეკრულებას“. როგორც საქმეში არსებული სისხლის სამართლის საქმის მასალებიდან დგინდება გ. კ-მ მისცა ჩვენება, რომლის თანახმადაც: „...რაც შეეხება 220 000 აშშ დოლარის სესხის ხელ-შეკრულებას აბსურდია მსგავსი ხელშეკრულება ი. ჩ-სთან არ გაფორმებულა და ი. ჩ-მ მოატყუა მ. ზ-ე, რასაც დაადასტურებს ყველა ამხანაგობის წევრი, რომ არც ერთი თეთრი არ მიუღია ი. ჩ-ისგან ამხანაგობას და არასწორად არის დაყადაღებული მ. კ-ისა და მისი ოჯახის წევრების ბინები, ისარგებლა ნდობით ი. ჩ-მ და თალღითურად მოატყუა მ. ზ-ე და მოაწერინა ხელი სესხის ხელშეკრულებაზე....ი. ჩ-ს რომ არც ერთი თეთრი არ მიუცია, სესხის ხელშეკრულების თანახმად ამხანაგობისათვის არც ნაღდი არც უნაღდო ანგარიშსნორებით, ამას ადასტურებს ყველა ამხანაგობის წევრი....ი. ჩ-მ მოატყუა მ. ზ-ე და ამხანაგობის წევრები და არც ერთი თეთრი არ მიუღია ი. ჩ-ისგან ამხანაგობა „თ. მ. ს-ო 124-ს“. იგივეს ადასტურებს მოწმე ზ ე-ე 19.10.12 და 15.11.12 ნელს მიცემულ ჩვენებებში; მოწმე ნ. ჩ-ი 19.10.126 და 15.11.12 ნელს მიცემულ ჩვენებებში; მოწმე დ. ხ-ი 19.10.126 და 20.11.12 ნელს მიცემულ ჩვენებებში; მოწმე ა. ს-ე 19.10.126) და 20.11.12 ნელს მიცემულ ჩვენებებში. სისხლის სამართლის საქმეში არსებული მ. ჯ-ის ჩვენების თანახმად, „...2011 წლის 9 მარტს და 23 მარტს ამხანაგობის თავმჯდომარემ მ. ზ-მ ხელი მოაწერა სესხის ხელშეკრულებას, რომლითაც თითქოს ვინმე ი. ჩ-ისგან ისესხა პირველად 112 000 აშშ დოლარი, ხოლო მეორედ 220 000 აშშ დოლარი. ამ ვალდებულების გამო ი. ჩ-მ დაიწყო სასამართლო დავა და უზრუნველყოფის მიზნით ყადაღა დაადო ჩემი შეიღის, მ. და რძლის – მ-მ ა-ის ქონებას. კვლავ დავიწყეთ საქმის გარკვევა. ამხანაგობის თავმჯდომარემ განმარტება ვერ მოგვცა, თუმცა დაადასტურა, რომ სესხის ხელშეკრულებას მან ხელი მოაწერა მ-ზ ზ-ის მითითებით, თუმცა მას თანხა არ მიუღია, ამიტომ მიგვითითა, საქმე გაგვერკვია მ-ზ (პ-ა) ზ-სთან. ასევე მ-ზ ზ-ც უარყოფს ამ თანხების მიღებას, თუმცა ვერ განმარტა, თუ რატომ დაიდო ეს ხელშეკრულება. სესხის თანხა ამხანაგობის ბუღალტერიაში დაფიქსირებული არ არის. მე კარგად ვიცნობ პ-ას, მას დიდი ხანია პიროვნული და საქმიანი ურთიერთობა აქვს ი. ჩ-სთან. ჩემთვის ისიც ცნობილია, რომ მათ ქობულეთში არსებულ ერთ სასტუმროს გამო, აქვთ სერიოზული უთანხმოება. ამ სასტუმროში პ-ა ი. ჩ-ს წილს თხოვს. ასეთ ურთიერთობაში ყოვლად დაუჯერებელია ი. ჩ-ს ფული ესესხებინა. ჩემი ვარაუდით, ერთმანეთს შორის ვალდებულების ჩათ-

ვლისათვის მოგონილი აქვთ სქემა, რომლისთვისაც ჩემი შვილის – მ. და მისი მეუღლის მ-მის ქონებაა გამოყენებული. ამხანაგობის თავმჯდომარემ მის უფლებამოსილებას ყოველნაირად გადააჭარბა და ამხანაგობის წევრების მიმართ პასუხისმგებლობა ანაცვალა ძმის შვილის უკანონო მითითებების შესრულებას..“

მ-მ ა-ის და ს. ხ-ის ჩვენებებით დგინდება, რომ „...სესხის სახით ფულის მიღებას უარყოფს, როგორც მ-ზ ზ-ე ისე, მ. ზ-ე....ამხანაგობის თავმჯდომარეს თანხა რომ მიეღო იგი საბულალტრო ალრიცხვაზე უნდა აეყვანა, თუკი არ მიუღია, მაშინ რატომ შექმნა ისეთი გარიგების აქტი, რომლითაც საფრთხე შეუქმნა მისი ოჯახის ქონებას“... მონმის სახით დაკითხული ი. ჩ-ის ჩვენებით ირკვევა, რომ მ-ზ (პ-ა) ზ-ს იცნობს დაახლოებით 9 წელია, ისე დაუახლოვდნენ ერთმანეთს, რომ დაიწყეს ერთობლივად ბიზნესი, ააშენეს სასტუმრო ქ. ქობულეთში, თ. მ. ს-ო №126-ში. დაახლოებით ერთნახევარი წლის უკან დაიძაბა მათ შორის ურთიერთობა, მისგან თანხების მითვისების გამო. ერთიანი ბიზნეს სიტუაციიდან გამოსვლის მიზნით განაახლეს ნორმალური ურთიერთობა, მ-ზ ზ-ე შეუთანხმდა მას, რომ ეტაპობრივად დაუბრუნებდა მინის შექნასა და მშენებლობის პროექტის დამტკიცებაში გადახდილ თანხებს. 2011 წლის მარტის თვის დასაწყისში მასთან ქობულეთში ყოფნის დროს მივიდა მ-ზ ზ-ის ბიძა მ. ზ-ე და სესხად თხოვა მშენებლობისათვის 112 000 აშშ დოლარი, რომლის გადაცემის შემდეგ კვლავ თხოვა 220 000 აშშ დოლარი, რომელი თანხაც 2011 წლის 23 მარტს ჩაუტანა თბილისიდან ქობულეთში, მივიდნენ ნოტარიუსთან და გააფორმეს ახალი სესხის ხელშეკრულება 220 000 აშშ დოლარზე. ამის შემდეგ, მ. ზ-ს მის კუთხით ავტომობილში ვაზ 2107 თეთრი ფერის გადასცა მითითებული თანხა. ამავე დაკითხვის ოქმში კითხვაზე პასუხისას ი. ჩ-მ განმარტა, რომ 2011 წლის 23 მარტს მ. ზ-ს შეხვდა ნოტარიუსის მიმდებარე ტერიტორიაზე, გადასცა 220 000 აშშ დოლარი, მან ავტომობილში დაითვალა სრული თანხა, რის შემდეგ მივიდნენ ნოტარიუსში სადაც ხელშეკრულების ტექსტი დაადასტურეს ხელმოწერებით. მანვე მიუთითა ჩვენებაში, რომ, ისევე, როგორც ნოტარიუსთან ხელმოწერისას, ასევე ფულის გადაცემის დროს იყვნენ მარტი.

საქმეში არსებული ვ. შ-ის ჩვენების თანახმად: „ერთი წლის უკან ზუსტად თვე და რიცხვი არ მახსოვს, ვიყავი პირად საქმეზე მისული ჩემს ბიძაშვილთან მ. ზ-სთან და მას დაუკავშირდა ჩემი მეგობარი ი. ჩ-ე. ილაპარაკეს ტელეფონზე და მითხრა უცებ მივალ ნოტარიუსში, ი-ა მელოდება და მალე მოვალო. მე ვუთხარი, მეც წამოვალ ვნახავ ი-ს და გავყევი, მივედით ნოტარიუს

მ. კ-სთან, სადაც ეზოში ელოდებოდა ი. ჩ-ე, რომელსაც ახლდა დ. გ-ი. ჩვენ მივესალმეთ ერთმანეთს და მ. და ი. შევიდნენ ნოტარიუსთან დაახლოებით 3-5 წუთში გამოვიდნენ გარეთ და მნავიდა მეჩქარებაო, მე კი დავრჩი ი. ჩ-სთან და დ. გ-თან, ისინი ელოდებოდნენ ვიღაცას და მეც ვიდექი მათთან ერთად და ვსაუბრობდით. დაახლოებით 20-25 წუთი ერთად ვიყავით ნოტარიუსის წინ მე, დ. გ-ი და ი. ჩ-ე. ამის შემდეგ მე დავტოვე ისინი და ნავედი პირად საქმეზე.“

პალატამ განმარტა, რომ საქმეში არ მოიპოვება რაიმე მტკიცებულება იმის დასამტკიცებლად, რომ 220 000 აშშ დოლარი ი. ჩ-მ გადასცა მ. ზ-ს, აღნიშნული დადასტურებულია მოწმე დ. გ-ას მიერ (სისხლის სამართლის საქმის მასალები), ხელშეკრულება ორივე მხარის მიერ დაიდო იმ განზრახვით, რომ ეს გარიგება იყო გარანტია ი. ჩ-ისათვის, რომ მ. ზ-ის ძმისშვილს, მ-ზ ზ-ს, შეესრულებინა მის წინაშე ნაკისრი ვალდებულებები. სახელდობრ, საქმეში არსებული სისხლის სამართლის საქმის მასალებში არსებული დ. გ-ას ჩვენებაში ვაითხულობა: „2011 წლის მარტის თვეში ვახლდი ი. ჩ-ს ქობულეთში ნოტარიუსთან შეხვდა მ. ზ-ს, თუ რა თემაზე შეხვდნენ და ახლდა თუ არა მ-ს ვინმე არ მასსოვს.. მ-ზ ზ-მ აღიარა ვალი და შეპირდა ი. ჩ-ს რომ გადაუხდიდა ვალს... მ-ზ ზ-მ ვალის აღიარებასას ი. ჩ-ს შეჰპირდა, რომ ყველაფერს დავალაგებო და არაფერზე ინერვიულოვო..“

პალატამ მიიჩნია, რომ ი. ჩ-ე ერთმიშვნელონად ვერ ხსნის მიცემული ჩვენებით მ. ზ-ისათვის თანხის გადაცემის ფაქტს, რადგან აღნერილ მოვლენაში, ცალსახად დადასტურებულია ქმედებათა თანმიმდევრობის აღრევა (ნოტარიუსთან მისვლამდე მოხდა თანხის გადაცემა თუ სანოტარო ბიუროდან მისი გამოსვლის შემდეგ). ამ გარემოების უსწორობა, (თანხის გადაცემის) ასევე, დადასტურებულია ვ. შ-ისა და დ. გ-ას ჩვენებებით, რომლებიც ი. ჩ-ის აღნერილი ფაქტის უშუალო მოწმეები გახდნენ. მეტიც, გ-ა მიუთითებს, რომ მ-ზ ზ-მ აღიარა ვალის არსებობა. ამასთან, ი. ჩ-მ საუბარში განუმარტა, რომ ყველაფერს დაალაგებდა მ-ზ ზ-ე. უშუალოდ თანხა მ. ზ-სა და ი. ჩ-ის მაშინ-დელი ურთიერთობის დროს არ გადაცემულა.

პალატამ არ გაიზიარა ი. ჩ-ის მტკიცება დასახელებულ გარემოებაში თანხის გადაცემის თაობაზე. მ. ზ-ის ნარმომადგენელ მ. ა-ის ახსნა-განმარტებით დადგინდლია, რომ მისი მარწმუნებელი მ. ზ-ე გახდა ძმისშვილის – მ-ზ ზ-ის გარიგების მსხვერპლი. მ. ზ-მ ი. ჩ-ე გაიცნო უშუალოდ ნოტარიუსთან მისვლის წინ მ-ზ ზ-ის მეშვეობით. მესამე პირის, კ. მ-ის, გ. კ-ის, ზ. ე-ის, ა. ს-ის, დ. ხ-ისა და ნ. ჩ-ის ნარმომადგენელ თ. კ-ის ახსნა-

განმარტებით აღნიშნული ხელშეკრულების გაფორმების თაობაზე გაიგეს მას შემდეგ, რაც ი. ჩ-მ სარჩელი აღძრა სასამართლოში; ამხანაგობის თავმჯდომარეს რაიმე სესხი არ აუღია. უდავოდ დადგენილია და მხარეებმა სააპელაციო სასამართლოს სხდომაზე დაადასტურეს და ეს დადასტურებულია სისხლის სამართლის საქმის მასალებითაც, რომ 2011 წლის 23 მარტის სესხის ხელშეკრულების მიმართ ნოტარიუსმა დაადასტურა მხოლოდ მხარეთა ხელმოწერები და არა სესხის ხელშეკრულების შინაარსი.

უდავოა, რომ დავა შეეხება ი. ჩ-სა და მ. ზ-ს შორის 2011 წლის 23 მარტს დადებულ სესხის ხელშეკრულების ბათილობას (აპელაციების მიერ მითითებული) იმ საფუძვლებით, რომ იგი არის მოჩვენებით, თვალთმაქცურად და მოტყუებით დადებული.

სამოქალაქო კოდექსის 50-ე მუხლის თანახმად, გარიგება არის ცალმხრივი, ორმხრივი და მრავალმხრივი ნების გამოვლენა, რომელიც მიმართულია სამართლებრივი ურთიერთობის ნარმოშობის, შეცვლის ან შეწყვეტისაკენ. სამოქალაქო კოდექსის 54-ე მუხლის მიხედვით, ბათილია გარიგება, რომელიც არღვევს კანონით დადგენილ წესსა და აკრძალვებს, ენინააღმდეგება საჯარო წესრიგს ან ზენობის ნორმებს. მითითებული ნორმის სამართლებრივი ახალიზი ცხადყოფს, რომ კანონმდებელი გარიგების დადებისათვის ადგენს გარკვეულ წესებს, რომელთა დარღვევას შედეგად გარიგების ბათილად ცნობა მოჰყვება.

სამოქალაქო კოდექსის 56-ე მუხლის 1-ლი ნაწილის მიხედვით, ბათილია, გარიგება, რომელიც დადებულია მხოლოდ მოსაჩვენებლად იმ განზრახვის გარეშე, რომ მას შესაბამისი იურიდიული შედეგი მოჰყვეს (მოჩვენებითი გარიგება). ამავე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, თუ მოსაჩვენებლად დადებული გარიგებით მხარეებს სურთ სხვა გარიგების დაფარვა, მაშინ გამოიყენება დაფარული გარიგების მიმართ მოქმედი წესები (თვალთმაქცური) გარიგება.

პალატამ განმარტა, რომ სამოქალაქო კოდექსის 56-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, თვალთმაქცური გარიგება, როდესაც გარიგება იდება მოსაჩვენებლად, იმ მიზნით, რომ მისით სხვა გარიგება დაიიფაროს. პალატამ განმარტა, რომ ი. ჩ-სა და მ. ზ-ს შორის 2011 წლის 23 მარტს დადებული სესხის ხელშეკრულება ბათილია, რადგან იგი დადებულია თვალთმაქცურად, კერძოდ, სხვა გარიგების დაფარვის მიზნით. პალატამ ქობულეთის პოლიციის სამსართველოდან გამოთხოვილი სისხლის სამართლის საქმის მასალების, ასევე, მხარეთა განმარტებების მოსმენის შედეგად უდავოდ დადგენილად მიიჩნია, რომ 2011 წლის 23 მარტამ

დე, ვიდრე დაიდებოდა სესხის სადაცო ხელშეკრულება ი. ჩ-სა და მ. ზ-ის ძმისშვილს მ-ზ ზ-ს (პ-ას) ჰქონდათ პარტნიორული და საქმიანი ურთიერთობა, მ-ზ ზ-ს ი. ჩ-ისათვის უნდა აენაზღაურებინა რამდენიმე ასეული ათასი (დაახლოებით 400 000) აშშ დოლარი. სწორედ სადაცო სესხის ხელშეკრულებით დაფარულ იქნა მანამდე ი. ჩ-სა და მ-ზ ზ-ს შორის არსებული შეთანხმებები და გარიგებები, ანუ მოცემული გარიგების დადებით ი. ჩ-ის მიზანი იყო მ-ზ ზ-ის მხრიდან ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, რისთვისაც დაიდო სწორედ ეს ხელშეკრულება, მაშინ, როცა აპელანტებსაც და მ. ზ-საც ამ ხელშეკრულებით არაფერი მიუღიათ და არც რაიმე ვალდებულება დაჰკისრებიათ. ზემოთ მოხსენიებული სისხლის სამართლის მასალებით ასევე, უდავოდ დასტურდება, რომ თანხა არ გადაუციათ.

პალატამ განმარტა, რომ ამ ფაქტის დადასტურებასაც არ აქვს არსებითი მნიშვნელობა საქმისათვის, რადგან დავის საგანია: სესხი ხელშეკრულების ბათილობა და არა თანხის დაკისრება. სადაცო გარიგება თვალთმაქცურია, ვინაიდან, მისი მიზანი იყო სხვა გარიგების დაფარვა. მხარეებმა სადაცო გარიგების დადებისას დაფარეს ნამდვილი შეთანხმება ი. ჩ-სთან, ანუ დაიფარა მხარეთა შორის არსებული შეთანხმება. პალატამ განმარტა, რომ ბათუმის საქალაქო სასამრთლოს დადებული ხელშეკრულება უნდა დაეკვალითიცირებინა, როგორც თვალთმაქცური გარიგება და გამოეყენებინა დაფარული გარიგების მიმართ მოქმედი ნორმები, კერძოდ, ამ შემთხვევაში, დაფარულ გარიგებას ნარმოადგენს სესხის ხელშეკრულება. აპელანტების ნარმომადგენლის პოზიცია რომ 2011 წლის 23 მარტის სესხის ხელშეკრულება ბათილია ნაწილობრივ სწორია და იზიარებს მხოლოდ იმ საფუძლით, რომ სადაცო სესხის ხელშეკრულება ბათილია, რადგან იგი დადებულია თვალთმაქცურად.

პალატამ არ გაიზიარა აპელანტების ნარმომადგენლის პოზიცია, რომ ი. ჩ-სა და მ. ზ-ს შორის 2011 წლის 23 მარტს დადებული სესხის ხელშეკრულება არის მოჩვენებითი შემდეგი გარემოების გამო: სამოქალაქო კოდექსის 56-ე მუხლის პირველი ნაწილის მიხედვით, ბათილია, გარიგება, რომელიც დადებულია მხოლოდ მოსაჩვენებლად იმ განზრახვის გარეშე, რომ მას შესაბამისი იურიდიული შედეგი მოჰყვეს (მოჩვენებითი გარიგება). მოჩვენებითი გარიგებისათვის დამახასიათებელია ის, რომ მხარეებს არ სურთ იმ მიზნის მიღწევა, რაც დადებული გარიგებიდან გამომდინარეობს. აღნიშვნულის შედეგი არის მოჩვენებითი და არავითარი ურთიერთობა მხარეებს შორის არ ნარმოიშობა (არც ფორმალური და არც ფაქტობრივი). კონკრეტულ შემ-

თხვევაში, ამ დასკვნის გაკეთების წინაპირობები არ არსებობს, კერძოდ, საქმის მასალებიდან არ გამომდინარეობს, რომ, როგორც ნების გამომვლენი, ასევე მისი მიღები მოქმედებდნენ იმ განზრახვის გარეშე, რომ ამ გარიგებას შესაბამისი იურიდიული შედეგი მოჰყოლოდა, ანუ ორივე მხარეს არ სურდათ ხელ-შეკრულებით დასახული მიზნის მიღწევა.

მოცემულ შემთხვევაში, უდავოდ დადასტურდა ის გარემოება, რომ მხარეებმა სადავო გარიგების დადებისას დაფარეს ნამდვილი შეთანხმება ი. ჩ-სთან, ანუ დაიფარა მხარეთა შორის არსებული შეთანხმება (ი. ჩ-სა და მ. ზ-ის ძმის შვილს მ-ზ ზ-ს შორის). პალატამ განმარტა, რომ არ შეიძლება, გარიგება ერთდროულად მოჩვენებითიც იყოს და თვალთმაქცურიც, ვინაიდან, მოჩვენებითი გარიგების დროს ნამდვილი გარიგება საერთოდ არ არსებობს და არარსებული გარიგებით სხვა გარიგების დაფარვა გამორიცხულია. სესხის ხელშეკრულების დადებით დაიფარა მხარეთა შორის არსებული სხვა შეთანხმება ი. ჩ-სა და მ. ზ-ის ძმისშვილს – მ-ზ ზ-ს შორის. ანუ, ესაა ნამდვილი (დაფარული) გარიგება, მაშინ როცა მოჩვენებითი გარიგების დროს არ არსებობს ნამდვილი გარიგება და არც ზოგადად გარიგება.

პალატამ დამატებით განმარტა, რომ ფართო გაგებით თვალთმაქცური გარიგებაც წარმოადგენს მოჩვენებით გარიგებას, მაგრამ მოჩვენებითი გარიგებისაგან იმით განსხვავდება, რომ მხარეებს შორის არსებული ურთიერთობა „წარმოიშობა“ არა დადებული გარიგების საფუძველზე, არამედ ფაქტობრივად მათ შორის არსებული „შეთანხმების“ საფუძველზე. პალატამ განმარტა, რომ თვალთმაქცური გარიგება მოჩვენებით გარიგებისაგან იმით განსხვავდება, რომ გარიგების მონაწილეებს მოსაჩვენებლად დადებული გარიგებით სურთ სხვა გარიგების დაფარვა, რომლის განხორციელებასაც ისინი რეალურად ისახავენ.

მოცემულ შემთხვევაში, უდავოდ დგინდება რომ ი. ჩ-სა და მ. ზ-ს შორის 2011 წლის 23 მარტს დადებული სესხის ხელშეკრულებით დაიფარა მხარეთა შორის არსებული სხვა შეთანხმება ი. ჩ-სა და მ. ზ-ის ძმისშვილ მ-ზ ზ-ს შორის, ანუ სადავო 2011 წლის 23 მარტის სესხის ხელშეკრულება დადებულია თვალთმაქცურად სხვა გარიგების დაფარვის მიზნით (ი. ჩ-სა და მ. ზ-ის ძმის შვილს მ-ზ ზ-ს შორის არსებული შეთანხმება), რის გამოციგი ბათილი გარიგება.

პალატამ არ გაიზიარა აპელანტების წარმომადგენლის პოზიცია იმასთან დაკავშირებით, რომ სადავო 2011 წლის 23 მარტის სესხის ხელშეკრულება არის მოტყუებით დადებული გარიგება შემდეგი გარემოებების გამო: სამოქალაქო კოდექსის 81-ე

მუხლის თანახმად, თუ პირი გარიგების დადების მიზნით მოატყუეს, იგი უფლებამოსილია, მოითხოვოს ამ გარიგების ბათილობა, ეს ხდება მაშინ, როცა აშკარაა, რომ მოტყუების გარეშე გარიგება არ დაიდებოდა. მოტყუების დროს ნების ნაკლი ვლინდება, კერძოდ, რომ არა მოტყუების ფაქტი, ისე გარიგება არ დაიდებოდა. შეცილების შემდეგ სასამართლოში დავისას მოსარჩელემ უნდა დაამტკიცოს მოტყუების ფაქტის არსებობა ისე-თი მტკიცებულებების წარდგენით და ისეთ გარემოებებზე მითითებით, რომლებიც დაადასტურებენ მოტყუების ფაქტს.

მოცემულ შემთხვევაში, ქობულების პოლიციის სამშართველოდან გამოთხოვილი სისხლის სამართლის საქმის მასალებით დგინდება, რომ მხარეებმა იცოდნენ, რა გარიგებას დებდნენ რომელი გარიგების დასაფარად, ანუ ორივე მხარემ იცოდა საქმის გარემოებები და არც ერთი მხარე არ მოტყუებულა და არც მოტყუებით, მოქმედებდა. შესაბამისად, უსაფუძვლოა აპელანტების მხრიდან მითითება იმაზე, რომ 2011 წლის 23 მარტის სა-დაცვი სესხის ხელშეკრულება (გარიგება) დაიდო მოტყუებით.

ი. ჩ-სა და მ. ზ-ს შორის 2011 წლის 23 მარტს დადებული სესხის ხელშეკრულებით დაიფარა მხარეთა შორის არსებული სხვა შეთანხმება ი. ჩ-სა და მ. ზ-ის ძმის შვილს – მ-ზ ზ-ს შორის, ანუ სადაც 2011 წლის 23 მარტის სესხის ხელშეკრულება დადებულია თვალთმაქცურად სხვა გარიგების დაფარვის მიზნით (ი. ჩ-სა და მ. ზ-ის ძმის შვილს მ-ზ ზ-ს შორის არსებული შეთანხმება), ანუ მოცემული სადაცვი სესხის ხელშეკრულება არღვევს კანონით დადგენილ წესს და აკრძალვებს, შესაბამისად, იგი ბათილი გარიგებაა. ამდენად, პალატამ მიიჩნია, რომ სარჩელი ამ ნაწილში (ი. ჩ-სა და მ. ზ-ს შორის 2011 წლის 23 მარტს დადებული სესხის ხელშეკრულების ბათილად ცნობის მოთხოვნის ნაწილში) საფუძვლიანია და უნდა დაკმაყოფილდეს.

პალატამ გაიზიარა პირველი ინსტანციის სასამართლოს მსჯელობა მატერიალური და მორალური ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის ნაწილში სარჩელის დაქმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ და დამატებით განმარტა: სამოქალაქო კოდექსის 992-ე მუხლის თანახმად, პირი, რომელიც სხვა პირს მართლისანინაალმდეგო, განზრახი ან გაუფრთხილებელი მოქმედებით მიაყენებს ზიანს, ვალდებულია, აუნაზღაუროს მას ეს ზიანი. იმისათვის, რომ მოპასუხეს დაეკისროს ზიანის ანაზღაურება, საჭიროა ერთდროულად არსებობდეს რამდენიმე პირობა, კერძოდ, მოპასუხის ქმედება უნდა იყოს მართლსაწინააღმდეგო, მართლწინააღმდეგობა გამოწვეული უნდა იყოს განზრახი ან გაუფრთხილებელი ქმედებით, ქმედებას უნდა მოჰყვეს ზია-

ნი, ქმედებასა და მიღებულ შედეგს შორის უნდა არსებობდეს მიზეზობრივი კავშირი. პირს ზიანის ანაზღაურება დაეკისრება, თუ არსებობს ზიანის მიყენებისათვის პასუხისმგებლობის დაკისრების ზემოთ ჩამოთვლილი პირობები. ამ პირობათა ერთობლიობა სავალდებულოა ზიანის იურიდიული შემადგენლობისათვის, ანუ დელიქტური ვალდებულების წარმოშობისათვის.

პალატამ მოისმინა რა მხარეთა განმარტებები, შეამოწმა საქმეში არსებული დოკუმენტები, სისხლის სამართლის საქმის მასალები და მიიჩნა, რომ არ დგინდება მ. ზ-ისა და ი. ჩ-ის მხრიდან აპელანტებისათვის ზიანის მიყენების ფაქტი. არ დგინდება მ. ზ-ისა და ი. ჩ-ის ბრალებული მოქმედება, რადგან მის მიერ დადებულ ბათილ გარიგებას რაიმე მატერიალური ზიანი არ მიუყენებია აპელანტებისათვის, მათ არ უგიათ პასუხი ამ ბათილი გარიგებისათვის. აპელანტებს არაფერი მიუღიათ და, შესაბამისად, რაიმეს დაბრუნების ვალდებულება არ ეკისრებათ. რაც შეეხება, აპელანტების არგუმენტებს მატერიალურ ზიანთან დაკავშირებით, პალატამ არ გაიზიარა, ვინაიდან საქმეში წარმოდგენილი ნასყიდობის ხელშეკრულებით დგინდება, რომ მ-მ ა-მ ვერ მიიღო შემოსავალი, რადგან მისი ქონება ი. ჩ-ის განცხადების საფუძველზე დაყადაღებულია და ვერ შეძლო გაყიდვა, რითაც მიადგა ზიანი. თუნდაც ის, რომ ქონებაზე ყადაღის არსებობის გამო მ-მ ა-მ ვერ შეძლო საკუთრების გაყიდვა, პალატის მოსაზრებით, არ არის ის არგუმენტი, რითაც ი. ჩ-ისა და მ. ზ-ის ბრალებული ქმედება დადგინდება, რადგან ი. ჩ-მ ქონებაზე ყადაღის დადება მოითხოვა მის მიერ აღძრული სარჩელის უზრუნველყოფის მიზნით, რაც კანონით გათვალისწინებულია და ამაში რაიმე უკანონო ქმედება არ ჩანს. საბოლოოდ კი, ქონებაზე ყადაღის მოხსნას სარჩელზე მიღებული გადაწყვეტილება განსაზღვრავს, რაც მომავალში უნდა გადაწყვდეს და არა ამჯერად. ამდენად, ეს გარემოება მატერიალური ზიანის არსებობის განსაზღვრის საფუძველი ვერ იქნება.

პალატამ ასევე გაიზიარა პირველი ინსტანციის სასამართლოს მსჯელობა მორალური ზიანის ანაზღაურებაზე უარის თქმის ნაწილშიც და განმარტა, რომ, სამოქალაქო კოდექსის 413-ე მუხლის 1-ლი ნაწილის შესაბამისად, არაქონებრივი ზიანისათვის ფულადი ანაზღაურება შეიძლება მოთხოვილ იქნეს მხოლოდ კანონით ზუსტად განსაზღვრულ შემთხვევებში გონივრული და სამართლიანი ანაზღაურების სახით, ხოლო, მე-2 ნაწილის თანახმად, სხეულის დაზიანების ან ჯანმრთელობისათვის გნების მიყენების შემთხვევებში დაზარალებულს შეუძლია, მოითხოვს ანაზღაურება არაქონებრივი ზიანისთვისაც. მორალური ზი-

ანი განსაზღვრულია, როგორც ფიზიკური და სულიერი ტკივილი. მისი ოდენობის განსაზღვრისას სასამართლომ მხედველობაში უნდა მიიღოს, როგორც დაზარალებულის სუბიექტური დამოკიდებულება ასეთი ზიანის სიმძმის მიმართ, ისე, ობიექტური გარემოებანი, რითაც შეიძლება მისი ამ კუთხით შეფასება (ხელყოფილი სიკეთის ცხოვრებისეული მნიშვნელობა, სამართლდარღვევის შედეგთა სიმძმი, ზიანის მიმყენებლის ბრალის ხარისხი და სხვა). ყველა შემთხვევაში, როცა მორალური ზიანის ანაზღაურების საკითხი დგება, ზიანი უნდა იყოს სამართლებრივად მნიშვნელოვანი და ანგარიშგასაწევი. კომპენსაციის ოდენობის დასასაბუთებლად უნდა დამტკიცდეს ფიზიკური ტანჯვის ხარისხი. მოპასუხეებისათვის მორალური ზიანის ასანაზღაურებლად სამოქალაქო პასუხისმგებლობის დაკისრების წინაპირობები არ არსებობს. პალატის განმარტებით, ზიანში ძირითადად აპელანტები გულისხმობდნენ იმ ქონებრივ ზიანს, რომელსაც ვერ ღებულობს კ-ების მხარე, მათ ქონებაზე აკრძალვის არსებობის გამო, რამდენადაც ისინი მოკლებული არიან შეასაძლებლობას, სამოქალაქო ბრუნვაში გაუშვან მათი ძვირადლირებული ქონება. ამ ზიანის არსებობის მტკიცებულებად საქმეზე თანდართული ჰქონდათ მ-მ ა-ის მიერ მყიდველთან დადებული უძრავი ქონების ნასყიდობის ხელშეკრულება, რომლის რეგისტრაცია ვერ მოხერხდა, ვინაიდან, ჩ-ის განცხადებით, ქონებას თბილისის საქალაქო სასამართლომ ყადაღა დაადო.

პალატამ არ გაიზიარა აპელანტების მიერ საქმეში წარმოდგენილი დოკუმენტები, რომლებითაც აპელანტები მიიჩნევენ, რომ მათი მოთხოვნა მორალური ზიანის ანაზღაურების ნაწილში დასაბუთებულია, რადგან წარმოდგენილი დოკუმენტებით არ დგინდება ზიანის სახე, ხარისხი, ოდენობა. აპელანტები ვერ ადასტურებენ რა ზომით და ფარგლებში მიადგათ მათ მორალური ზიანი, ხოლო ერთ-ერთი აპელანტის, მ-მ ა-ის, უძრავ ქონებაზე ყადალის დადებით არ დასტურდება მორალური ზიანის მიყენებასთან მიზეზობრივი კავშირი, რადგან მორალური ზიანის ანაზღაურება ხდება „მხოლოდ კანონით ზუსტად განსაზღვრულ შემთხვევებში“. კონკრეტულ შემთხვევაში კი, არ დგინდება მხარეებზე მორალური ზიანის მიყენების ფაქტი, შესაბამისად, ამ მხრივ ზიანის ანაზღაურების მოთხოვნა უსაფუძვლოა და არ უნდა დაკმაყოფილდეს.

პალატამ განმარტა, რომ სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-4 მუხლის თანახმად, სამართლწარმოება მიმდინარეობს შეჯიბრობითობის საფუძველზე. მხარეები სარგებლობების თანაბარი უფლებებითა და შესაძლებლობებით, დაასაბუთონ

თავიანთი მოთხოვნები, უარყონ ან გააქარნებულონ მეორე მხარის მიერ წამოყენებული მოთხოვნები, მოსაზრებები და მტკიცებულებები. მხარეები თვითონ განსაზღვრავენ, თუ რომელი ფაქტები უნდა დაუდონ საფუძვლად მათ მოთხოვნებს ან რომელი მტკიცებულებებით უნდა იქნეს დადასტურებული ეს ფაქტები. ამავე კოდექსის 102-ე მუხლის შესაბამისად, დადგენილია, რომ თითოეულმა მხარემ უნდა დაამტკიცოს გარემობანი, რომელზეც იგი ამყარებს თავის მოთხოვნებსა და შესაგებელს, ხოლო, ამავე მუხლის მესამე ნაწილის შესაბამისად, საქმის გარემოებები, რომლებიც უნდა დადასტურდეს გარკვეული სახის მტკიცებულებებით, არ შეიძლება დადასტურდეს სხვა სახის მტკიცებულებებით. ამასთან, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 105-ე მუხლის თანახმად, სასამართლო აფასებს მტკიცებულებებს თავისი შინაგანი რწმენით, რომელიც უნდა ემყარებოდეს სასამართლო სხდომაზე მათ ყოველმხრივ, სრულ და ობიექტურ განხილვას, რის შედეგადაც გამოაქვს დასკვნა საქმისათვის მნიშვნელობის მქონე გარემოებების არსებობისა ან არარსებობის შესახებ.

ი. ჩ-მ, წარმოდგენილი საკასაციო საჩივრით ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 2013 წლის 30 მაისის გადაწყვეტილების, 2013 წლის 6 თებერვლის, 2013 წლის 14 მარტის განჩინებებისა და მტკიცებულებების დართვის თაობაზე მიღებული განჩინების გაუქმება მოითხოვა შემდეგი დასაბუთებით: ქუთაისის სააპელაციო სასამართლო გადაწყვეტილების გამოტანისას დაეყრდნო მხოლოდ სისხლის სამართლის საქმეში არსებულ ჩვენებებს. აღსანიშნავია, რომ მ. ზ-ე სისხლის სამართლის საქმეში რამდენჯერმე დაიკითხა.

მ. ზ-ის მიერ მიცემულია არსებითად შეცვლილი ჩვენებები, პროცესის განმავლობაში, მიუხედავად იმისა, რომ მხარეები, ერთი მხრივ, აპელანტი და, მეორე მხრივ, მონინააღმდეგე მხარეები რეალურად წარმოადგენდნენ ერთ მხარეს – ი. ჩ-ის მონინააღმდეგეს. აღნიშნული მტკიცებულებაც, კერძოდ, მ. ზ-ის ბოლო ჩვენებაც, სასამართლომ მიღებული განჩინების შემდგომ მიზანმიმართულად მოიპოვა, რათა სასამართლოს მიეღო აღნიშნული გადაწყვეტილება.

მეტად მნიშვნელოვანია ის ფაქტი, რომ მაშინ, როდესაც სასამართლომ უკანონოდ დააკმაყოფილა შუამდგომლობა (მიუხედავად იმისა, რომ არ იყო გასაჩივრებული პირველი ინსტაციის გადაწყვეტილება, ასევე, აპელაციაში შუამდგომლობის დაყენების რაიმე საპატიო მიზეზი არ არსებობდა), სასამართლომ მიიღო ის მტკიცებულება, რომელიც განჩინების მიღების დროს

არ არსებობდა. მ-ზ-ის მიერ მიცემულ ჩვენებაში, სხვა გარიგების გამო გაფორმებულ სესხის ხელშეკრულებებზე, არსად არის ნათქვამი, შესაბამისად, გაუგებარია, გადაწყვეტილებას რატომ დაუდო საფუძვლად სასამართლომ მ. ზ-ის მიერ მიცემული ბოლო ჩვენება და ხელშეკრულების ბათილობის საფუძვლად მიუთითა სხვა გარიგების დაფარვის მიზანი. არც ერთი მოწმის ჩვენებით არ დგინდება, რომ მ ზ-ს, სესხის ხელშეკრულების შესაბამისად, თანხა არ მიუღია, თვითონ ამხანაგობის წევრებისათვის აღნიშნული გარემოება არის საეჭვო. ვერ დგინდება, აგრეთვე, ამ ხელშეკრულებების უკან სხვა გარიგების დაფარვის მიზანი, თუმცა, სასამართლოსათვის გადაწყვეტილების გამოსატანად და ხელშეკრულების ბათილობისათვის საკმარისი აღმოჩნდა მ. ზ-ის ჩვენება, რის გამოც, გამოძიებამ არა-ერთხელ დაუშვა შეცდომა და არაერთხელ არსებითად შეცვალა ჩვენება, ხოლო ი. ჩ-ის ჩვენება არ იქნა გაზიარებული.

აქედან გამომდინარე, წინასწარ დადგენილი ძალა სასამართლოსათვის არ აქვს არც სისხლის სამართლის საქმეზე კანონიერ ძალაში შესულ განაჩენს, მით უფრო, წინასწარ დადგენილი ძალა არ აქვს გამოძიებაში მიცემულ ჩვენებებს. გამოძიება უკვე ერთი წელია მიმდინარეობს, სადაც დაკითხულია არაერთი მოწმე, რომელთა უმრავლესობამ რამდენჯერმე შეცვალა ჩვენება და ამდენი ხნის განმავლობაში ბრალი წაყენებული არავის აქვს. ი. ჩ-სა და მ. ზ-ს, როგორც ამხანაგობის თავმჯდომარეს შორის გაფორმებულ ხელშეკრულებებში აღნიშნულია, რომ ხელშეკრულებების გაფორმებისას სესხის თანხა გადაცემულია. პალატამ, მ. ზ-ის წარმომადგენლის ახსნა-განმარტების შესაბამისად, დადგენილად მიიჩნია, რომ მ ზ-მ ი. ჩ-ე მ-ზ ზ-ის მეშვეობით გაიცნო უშუალოდ ნოტარიუსთან მისვლის წინ, მაშინ, როდესაც მოწმეთა მიერ მიცემული ჩვენებებით, მათ შორის, მ. ზ-ის ჩვენებით, დადასტურებულია, რომ მ. ზ-ე და ი. ჩ-ე წლების განმავლობაში იცნობდნენ ერთმანეთს და ჰქონდათ მეგობრული დამოკიდებულება.

### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლო საკასაციო საჩივრის საფუძვლების შესწავლისა და გასაჩივრებული გადაწყვეტილების იურიდიული დასაბუთების შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ ი. ჩ-ის საკასაციო საჩივარი ნაწილობრივ უნდა დაკმაყოფილდეს და საქმე ხელახლა განსახილებულია დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს შემდეგ გარემოებათა გამო:

საკასაციო საჩივარში აღნიშნულია, რომ მიუხედავად იმისა,

რომ პირველი ინსტანციის სასამართლომ არ დააკმაყოფილა სისხლის სამართლის მასალების გამოთხოვის თაობაზე მოსარჩეულების შუამდგომლობა, სააპელაციო სასამართლომ იგივე შუამდგომლობა დააკმაყოფილა, რითაც დარღვეული იყო პროცესუალური ნორმები.

საკასაციო პალატა იზიარებს კასატორის მოსაზრებას და დამატებით განმარტავს, რომ, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 407-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, სააპელაციო სასამართლოს მიერ დამტკიცებულად ცნობილი ფაქტობრივი გარემოებები სავალდებულოა სასამართლოსათვის, თუ წამოყენებული არ არის დასაშვები და დასაბუთებული პრეტენზია (მე-დავება).

საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ კასატორის მიერ წარმოდგენილია დასაბუთებული პრეტენზია. კონკრეტულ შემთხვევაში დასაშვებ და დასაბუთებულ პრეტენზიაში იგულისხმება მითითება იმ პროცესუალურ დარღვევებზე, რომლებიც დაშვებული იყო სააპელაციო სასამართლოს მიერ საქმის განხილვის დროს, რამაც განაპირობა ფაქტობრივი გარემოებების არასწორად შეფასება და სამართლებრივმატერიალური ნორმის არასწორად გამოყენება ან განმარტება.

საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ სააპელაციო სასამართლომ გამოტანილ გადაწყვეტილებას საფუძვლად დაუდო გამოთხოვილი სისხლის სამართლის საქმის მასალებში მოცემული მოწმეთა ჩვენებები.

გასაჩივრებული გადაწყვეტილების კანონიერების შემოწმებისას საკასაციო პალატა, უპირველეს ყოვლისა, ყურადღებას ამახვილებს გადაწყვეტილების პროცესუალურსამართლებრივ მხარეზე, კერძოდ, მნიშვნელოვნია, შეფასდეს მტკიცებულებათა გამოთხოვისა და შეფასების კანონიერება.

ამ შემთხვევაში მტკიცებულების გამოთხოვისა და შეფასების ინსტიტუტები ურთიერთკავშირში იმყოფებიან. განსახილველი საკითხის თავისებურებიდან გამომდინარე უნდა აღინიშნოს, რომ მტკიცებულების გამოთხოვის საკითხის განხილვისას გათვალისწინებულ უნდა იქნეს, როგორც პროცესუალურ-სამართლებრივი, ასევე მატერიალურსამართლებრივი მხარეები, რაც საბოლოოდ აისხება მის შეფასებაზე.

სააპელაციო სასამართლომ ისე დააკმაყოფილა სისხლის სამართლის საქმიდან მტკიცებულებათა გამოთხოვის შუამდგომლობა, რომ არ დაიცა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 215-ე, 380-ე და 382-ე მუხლებით დადგენილი წესი, კერძოდ, სააპელაციო სასამართლომ 06.02.2013 საოქმო განჩი-

ნებით (სხდომის ჩანაწერი 14.48.58) ნაწილობრივ დააქმაყოფილა მოსარჩევის შუამდგომლობა მტკიცებულებათა გამოთხოვის თაობაზე, დააკმაყოფილა და გამოითხოვა სისხლის სამართლის საქმიდან მონმეთა ჩვენებები ისე, რომ არ დაასაბუთა ამ მასალების გამოთხოვის სამართლებრივი საფუძვლები და პროცესუალური წინაპირობები, რომლის არსებობის შემთხვევაში შესაძლებელია მტკიცებულებათა გამოთხოვა. მით უმეტეს სააპელაციო სასამართლო არ აკმაყოფილებს შუამდგომლობის სხვა ნაწილს იმ მოტივით, რომ მოსარჩევეს პირველ ინსტანციაში შეეძლო წარმოედგინა ეს მტკიცებულებები.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 288-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, თუ სასამართლოს თითოეული სხდომის ან სხდომის გარეშე შესრულებული თითოეული საპროცესო მოქმედების ტექნიკური საშუალებით ჩანერა შესაძლებელია, დგება ოქმი, რომელიც უნდა აღინიშნოს ამ მუხლის პირველი ნაწილის „ა“, „ე“ და „ზ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული მონაცემები. ამავე მუხლის პირველი ნაწილის „ზ“ ქვეპუნქტის თანახმად, სასამართლო სხდომის ოქმში უნდა აღინიშნოს სასამართლოს განკარგულებანი და სათათბირო ოთახში გაუსვლელად გამოტანილი განჩინებანი;

საოქმო განჩინება უნდა აკმაყოფილებდეს სასამართლო განჩინების ინსტიტუტით განსაზღვრულ წესს. ამავე კოდექსის 284-ე მუხლის მე-4 ნაწილის თანახმად, განჩინება, რომელსაც სასამართლო იღებს ადგილზე თათბირით, უნდა გამოცხადდეს მიღებისთანავე. თავმჯდომარე ან მოსამართლე, რომელმაც გამოაცხადა განჩინება, განმარტავს ამ განჩინების შინაარსს, მისი გასაჩივრების წესსა და ვადას, რაც აისახება სხდომის ოქმში.

სააპელაციო სასამართლოს მიერ არ იყო დაცული მითითებული პროცესუალური წესი, ამავე დროს სასამართლო სხდომაზე გამოცხადებული განჩინებისაგან განსხვავებით, საქმეში არსებული 2013 წლის 6 თებერვლის მტკიცებულებათა გამოთხოვის განჩინების სამართლებრივ საფუძვლად სასამართლომ მიუთითა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 103-ე მუხლის 1-ლი ნაწილის 1-ლ წინადადებაზე და მე-2 ნაწილზე. კერძოდ, განსახილველი დანაწესების თანახმად, მხარეები მტკიცებულებებს სასამართლოს წარუდგენენ. თუ მხარეებმა ამა თუ იმ მიზეზით ვერ შეძლეს მტკიცებულებების უშუალოდ მიღება და სასამართლოში წარდგენა, მხარეთა შუამდგომლობით სასამართლოს შეუძლია თვითონ გამოითხოვოს მტკიცებულებები, ვისთანაც უნდა იყოს ისინი.

საკასაციო პალატა განმარტავს, რომ ზემომითითებული და-

ნაწესი უნდა იქნეს გამოყენებული საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 215-ე მუხლის მოთხოვნათა დაცვით, შესაბამისად, სააპელაციო სასამართლომ, ასევე უნდა დაიცვას ამავე კოდექსის 380-ე და 382-ე მუხლები.

საკასაციო პალატა განმარტავს, რომ მითითებული განჩინებიდან არ ირკვევა სასამართლო სისხლის სამართლის საქმიდან მოწმეთა ჩვენებების გამოთხვის შესახებ შუამდგომლობას განიხილავს, როგორც სააპელაციო სასამართლოში ახალი ფაქტებისა და მტკიცებულებების ნარდგენის ინსტუტუტის მიხედვით (საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 380-ე მუხლი), თუ, როგორც მოსარჩელის (აპელანტის) პრეტენზიას პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ მტკიცებულებების გამოთხვაზე უარის თქმით დაშვებული პროცესუალური დარღვევების შესახებ.

იმ შემთხვევაში, თუ მივიჩნევთ, რომ აღნიშნული შუამდგომლობა წარმოადგენდა სააპელაციო სასამართლოში საქმის განხილვის ეტაპზე მითითებას ახალ ფაქტებსა თუ მტკიცებულებებზე, მაშინ სასამართლოს უნდა დაეცვა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 380-ე მუხლის მე-2 ნაწილი, რომლის თანახმად, სააპელაციო სასამართლო არ მიიღებს ახალ ფაქტებსა და მტკიცებულებებს, რომლებიც მხარეს შეეძლო, წარედგინა პირველი ინსტანციის სასამართლოში საქმის განხილვისას, მაგრამ არასაპატიო მიზეზით არ წარადგინა. შესაბამისად, გამოიყენება ამავე კოდექსის 382-ე მუხლის 1-ლი ნაწილი, რომლის თანახმად სააპელაციო სასამართლო მიიღებს ახლად წარმოდგენილ მტკიცებულებებს, თუ მათ მნიშვნელობა აქვთ საქმისათვის, 380-ე მუხლის მოთხოვნათა გათვალისწინებით.

იმ შემთხვევაში, თუ სასამართლომ განიხილა მითითებული შუამდგომლობა, როგორც პრეტენზია პირველი ინსტანციის მიერ დაშვებული პროცესუალური დარღვევების თაობაზე, მაშინ სააპელაციო სასამართლოს უნდა ეხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 377-ე მუხლით და გამოეკვლია დაშვებული იყო თუ არა პირველი ინსტანციის მიერ პროცესუალური დარღვევები ზემომითითებული მტკიცებულებათა გამოთხვაზე უარის თქმის 18.10.2012 საოქმო განჩინების გამოტანისას (სასამართლო სხდომის ჩანაწერი 14.07.14., 14.10.33, 14.11.37).

ამ უკანასკნელ შემთხვევაში სააპელაციო სასამართლოს უნდა გამოეკვლია, დარღვეული იყო თუ არა პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 215-ე მუხლით დადგენილი წესი, კერძოდ, მითითებუ-

ლი მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, მხარეთა და მათ წარმომადგენელთა შუამდგომლობები და განცხადებები ახალ მტკიცებულებათა წარმოდგენის ან გამოთხოვის შესახებ სასამართლომ შეიძლება, განიხილოს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ საქმის მოსამზადებელ სტადიაზე მხარეს არ შეეძლო მათი წარმოდგენა, აგრეთვე, თუ მათ შესახებ მისთვის ობიექტური მიზეზებით ვერ იქნებოდა ცნობილი და მათი წარმოდგენის საფუძველი წარმოიშვა მთავარ სხდომაზე ან, თუ მხარემ საპატიო მიზეზით ვერ უზრუნველყო შესაბამისი შუამდგომლობებისა და განცხადებების წარმოდგენა საქმის მოსამზადებელ სტადიაზე. ასეთ შემთხვევაში საქმის განხილვა მხარეთა თხოვნით ან სასამართლოს ინიციატივით შეიძლება, გადაიდოს.

ამავე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, ამ კანონის მიზნებისათვის, საპატიო მიზეზად ჩაითვლება მხარის მიერ შუამდგომლობისა და განცხადების წარდგენის შეუძლებლობა, რაც გამოწვეულია ავადმყოფობით, ახლო ნათესავის გარდაცვალებით ან სხვა განსაკუთრებული ობიექტური გარემოებით, რომელიც მისგან დამოუკიდებელი მიზეზით შეუძლებელს ხდის სასამართლო პროცესზე გამოცხადებას ანდა შუამდგომლობისა და განცხადების წარდგენას. ავადმყოფობა უნდა დადასტურდეს სამედიცინო დაწესებულების ხელმძღვანელის მიერ ხელმოწერილი დოკუმენტით, რომელიც პირდაპირ მიუთითებს სასამართლო პროცესზე გამოცხადების შეუძლებლობაზე.

კონკრეტულ შემთხვევაში სააპელაციო სასამართლოს მიერ არ არის დაცული მითითებული მოთხოვნები, რითაც დარღვეულ იქნა მტკიცებულებათა მიღების პროცესუალურსამართლებრივი წესი.

ამასთან ერთად, გასათვალისწინებელია, სააპელაციო სასამართლო თავის გადაწყვეტილებაში დაეყრდნო სისხლის სამართლის საქმის იმ მასალებს, რომელიც არ წარმოადგენდა სააპელაციო სასამართლოს 06.02.2013 წლის განჩინებით დაკმაყოფილებულ შეუძლებელის საგანს. სასამართლო ვალდებულია, ყველა კონკრეტული მტკიცებულების გამოთხოვის ეტაპზე ზემომითითებული პროცესუალური წესების დაცვით იმსჯელოს, თუ რა გარემოებები დასტურდება ამ მტკიცებულებით, იურიდიულად რამდენად მნიშვნელოვანია ეს გარემოებები საქმისათვის და ამ სახის მტკიცებულებებით რამდენადაა შესაძლებელი ამ გარემოებების დადასტურება. 06.02.2013 წლის განჩინების შემდეგ წარმოებულ მასალების წარდგენაზე სასამართლოს დამატებით უნდა ემსჯელა.

ამდენად, სააპელაციო სასამართლომ არ შეაფასა, თუ რამ-

დენად შესაძლებელია გამოსათხოვი (ან შემდეგ წარმოებაში მიღებული) მტკიცებულებებით სადავო ფაქტების დამტკიცება.

სააპელაციო სასამართლო დაეყრდნო სისხლის სამართლის საქმის მასალებში მოცემულ შემდეგ მოწმეთა ჩვენებებს, კერძოდ, მ. ზ-ის, მ-ზ ზ-ის, მ. კ-ის, ი. კ-ის, ა. კ-ის, გ. კ-ის, ზ. ე-ის, ნ. ჩ-ის, დ. ხ-ის, ა. ს-ის, მ. ჯ-ის, მ-მ ა-ისა და ს. ხ-ის, ი. ჩ-ის, კ. შ-ის, დ. გ-ას ჩვენებებს.

საკავაციო პალატა განმარტავს, რომ გაუგებარია, სისხლის სამართლის საქმეზე მიცემული მოწმეთა ჩვენებები, მტკიცებულების რომელ პროცესუალურ საშუალებად მიიჩნია სააპელაციო სასამართლომ. თუ მივიჩნევთ, რომ აღნიშნული ჩვენები სააპელაციო სასამართლომ შეაფასა, როგორც მოწმეთა ჩვენებები, ამ შემთხვევაში სააპელაციო სასამართლომ არ გაითვალისწინა სამოქალაქო საპროცესო კოდექსით გათვალისწინებული მოწმის ჩვენების ინსტიტუტის თავისებურებები (საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 140-ე, 148-ე მუხლები). დაუშეგვებელია პროცესის მონაწილის (მაგალითად, მხარის) და მოწმის აღრევა. სააპელაციო სასამართლომ არ გაითვალისწინა, რომ სისხლის სამართლის საქმიდან გამოთხოვილ მასალებში დაკითხული მოწმეები წარმოადგენენ განსახილველ საქმეში პროცესის მონაწილეებს (მოსარჩეულებს, მოპასუხებს, მესამე პირებს), კერძოდ, სააპელაციო სასამართლოს მიერ სისხლის სამართლის საქმეში დაკითხული მოწმეებიდან მ. კ-ე, ი. კ-ე, ა. კ-ე, მ. ჯ-ე, მ-მ ა-ე და ს. ხ-ი წარმოადგენენ მოსარჩეულებს განსახილველ საქმეში. გ. კ-ე, ზ. ე-ე, ნ. ჩ-ი, დ. ხ-ი და ა. ს-ე წარმოადგენენ მესამე პირებს დამოუკიდებელი მოთხოვნის გარეშე მოსარჩელის მხარეზე, ხოლო მ. ზ-ე და ი. ჩ-ე წარმოადგენენ მოპასუხებს, შესაბამისად, ამ პირების მიერ სისხლის სამართლის საქმეზე მიცემული ჩვენებები ის ახსნა-განმარტებებია, რომელიც მოცემულია განსახილველ სამოქალაქო საქმეზე, რაც მოითხოვს საერთო წესით შეფასებას და ყოვლად დაუშეგვებელია პროცესის მონაწილეები, თავიანთი პოზიციებში მითითებული ფაქტების დასადასტურებლად, ერთდროულად გამოდიოდნენ ამავე პროცესში მოწმეებად.

თუ სააპელაციო სასამართლომ სისხლის სამართლის საქმიდან გამოთხოვილი მასალები შეაფასა, როგორც წერილობითი მტკიცებულებები, ამ შემთხვევაშიც, უპირველეს ყოვლისა, უნდა გავითვალისწინოთ ის, რომ ეს ჩვენებები წარმოადგენენ იმ პირთა ახსნა-განმარტებებს, რომლებიც კონკრეტულ სამოქალაქო საქმეში წარმოადგენენ პროცესის მონაწილეებს და ამავე ახსნა-განმარტებებს აკეთებენ სამოქალაქო პროცესში.

ამ უკანასკნელ შემთხვევაში შესაძლებელია სისხლის სამართლის საქმის მასალებში მოცემული მოწმეთა ჩვენებები შეფასდეს, როგორც წერილობითი მტკიცებულებები, მაგრამ, ამ შემთხვევაში პროცესუალურსამართლებრივ წესებთან ერთად სასამართლომ აუცილებლად უნდა გაითვალისწინოს მტკიცებულების მატერიალურსამართლებრივი მხარე, რაც საბოლოოდ გავლენას ახდენს მტკიცებულებათა კვლევა-შეფასების ეტაპზე.

საკასაციო სასამართლოში განხილვის საგანს წარმოადგენს მოსარჩელეების მოთხოვნა ი. ჩ-სა და მ. ზ-ის შორის 2011 წლის 23 მარტს დადებული სესხის ხელშეკრულების ბათილობის წანილში. სააპელაციო სასამართლომ უპირველეს ყოვლისა სამართლებრივად უნდა შეაფასოს მოსარჩელეების მიერ მითითებულ მოთხოვნის საფუძვლები (კერძოდ, თუ რომელი მატერიალურსამართლებრივი ნორმიდან გამომდინარეობს მოსარჩელეების მოთხოვნა მათ მიერ მითითებული საფუძვლების გათვალისწინებით). შესაბამისად, სასამართლოს მიერ შესაფასებელი მტკიცებულება უნდა შეიცავდეს იმ მატერიალურსამართლებრივი ხასიათის ინფორმაციას, რომელიც სადაც ურთიერთობის მოწესრიგებელი მატერიალურ-სამართლებრივი ნორმის ფაქტორივი სიტუაციის ნორმატიული აღწერილობით არის მოცემული (მაგალითად, თუ სარჩელში მითითებულია, რომ ხელშეკრულების ორივე მხარე უკანონოდ შეთანხმდნენ სხვა გარიგების დაფარვის მიზნით დადონ სესხის ხელშეკრულება, მაშინ შესაფასებელი მტკიცებულება უნდა შეიცავდეს საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 56-ე მუხლის მე-2 ნაწილის კონტექსტში არსებულ ინფორმაციას. თუ მოსარჩელეები სარჩელის საფუძვლად უთითებენ იმაზე, რომ სესხი არ მიუღია ამხანაგობის თავჯდომარეს, რასაც ელოდა, მაშინ სესხის ხელშეკრულება არ დადებულა მისი რეალური ხელშეკრულების ბუნებიდან გამომდინარე, რაც, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 623-ე, 327-ე მუხლების კონტექსტის გათვალისწინებით მოითხოვს მტკიცებულებათა შეფასებას და ა.შ.).

ამ შემთხვევაში გამოთხოვილ მასალებში მითითებულ ჩვენებებს (ზემომითითებული პროცესუალური წესების დაცვის შემთხვევაში) შესაძლებელია, მნიშვნელობა გააჩნდეს, მაგალითად, იმის დასადგენად, არსებობდა თუ არა მხარეთა შორის ურთიერთგამომრიცხავი პოზიციები, იგივე მხარე ხომ არ უთითებდა სხვა ფაქტებზე და რამ განაპირობა ფაქტების შეცვლა და ა.შ. ამდენად, მხარის ახსნა-განმარტებაც (სსსკ-ის 102-ე მუხლის მე-2 ნაწილი) წარმოადგენს მტკიცებულებას, რომელიც, ასევე მოითხოვს სათანადო შეფასებას.

ზემოაღნიშნული პროცესუალური დარღვევების გამო საკა-საციონ სასამართლო მოკლებულია შესაძლებლობას, შეაფასოს საქმეზე დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები (ეს პროცესუალური დარღვევები მიუთითებენ ფაქტების დაუდგენლობაზე, რაც ნიშნავს იმას, რომ საკასაციო სასამართლოში არ არის შეფასების ობიექტი).

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 412-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „ა“ ქვეპუნქტის თანახმად, საკასაციო სასამართლო აუქმებს გადაწყვეტილებას და საქმეს ხელახლა განსახილველად აბრუნებს საპაპელაციო სასამართლოში, თუ საქმის გარემოებები საპროცესო ნორმების ისეთი დარღვევი-თაა დადგენილი, რომ ამ დარღვევების შედეგად საქმეზე არას-წორი გადაწყვეტილება იქნა გამოტანილი და საჭიროა მტკიცებულებათა დამატებითი გამოკვლევა.

კონკრეტულ შემთხვევაში სასამართლომ თავისი გადაწყვეტილება ძირითადად დააფუძნა სისხლის სამართლის საქმიდან გამოთხვილ მასალებს. ვინაიდან მასალები გამოითხოვეს და შეფასდა პროცესუალური დარღვევებით, საკასაციო პალატა მოკლებულია შესაძლებლობას, შეაფასოს გასაჩივრებულ გადაწყვეტილებაში მითითებული სადავო ფაქტობრივი გარემოებები.

წინამდებარე მითითებები უშუალოდ უკავშირდება საკასაციო სასამართლოს შემონბების ობიექტის (ფაქტობრივი გარემოებების) განსაზღვრას, რომლის გარეშეც საკასაციო სასამართლო მოკლებულია შესაძლებლობას, სრული სამართლებრივი დასკვნები გამოიტანოს საქმიდან.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ სააპელაციო სასამართლომ უნდა იმსჯელოს ზემოაღნიშნული მტკიცებულებების მიღების კანონიერებაზე წინამდებარე განჩინებაში მოყვანილი მითითებების საფუძველზე. და მათი გამოკვლევა-შეფასების შედეგად დაადგინოს საქმისთვის მნიშვნელოვანი ფაქტობრივი გარემოებები, რაც წარმოადგენს სამართლებრივი შეფასების ობიექტს.

### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 412-ე მუხლით და

### **დ ა ა დ გ ი ნ ა :**

1 ი. ჩ-ის საკასაციო საჩივარი ნაწილობრივ დაკმაყოფილდეს;

2. გაუქმდეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2013 წლის 30 მაისის გადაწყვეტილება, ამავე სასამართლოს 2013 წლის 6 თებერვლისა და 2013 წლის 17 აპრილის განჩინებები და საქმე ხელახალი განხილვისათვის დაუბრუნდეს იმავე პალატას;

3. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ გა-  
საჩივრდება.

## სარჩევის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენება

### განხილვა

№ას-734-696-2013

30 სექტემბერი, 2013 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო  
საქმეთა პალატა

შემადგენლობა: ბ. ალავიძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
თ. თოდრიკია,  
პ. ქათამაძე

**დავის საგანი:** ფულადი ვალდებულების შესრულება

#### აღნერილობითი ნაწილი:

შპს „ნ. ჩ. ი. ს. თ-მა“ სარჩელი აღძრა სასამართლოში შპს „ვ. ს-ის“ მიმართ და მოითხოვა ნასყიდობის ფასის – 16717 ევროს, მიუღებელი შემოსავლის – 3558,54 ევროს, ვალდებულების შეუსრულებლობის გამო, ზიანის: იურიდიული მომსახურების – 1500 ევროს, თარჯიმინისათვის და ნოტარიუსისათვის გადახდილი 866,72 ევროს, საქართველოში ჩამოსვლასთან და სასტუმროში განთავსებასთან დაკავშირებული ხარჯების – 592,26 ევროს ანაზღაურება შემდეგი საფუძვლებით:

2011 წლის 3 ნოემბერს ზეპირი ნასყიდობის ხელშეკრულების საფუძველზე შპს „ნ. ჩ. ი. ს. თ-მა“ შპს „ვ. ს-ის“ მიაწოდა სამშენებლო მასალა. გამყიდველმა ჯეროვნად შეასრულა ნაკისრი ვალდებულებები, დათქმულ დროსა და ადგილას გადასცა მყიდველს პროდუქცია. მხარეთა შეთანხმებით ნასყიდობის ფასი აისახა 2011 წლის 2 ნოემბრის ანგარიშფაქტურაში, რომლის მიხედვითაც დარჩენილი გადასახდელი თანხა შეადგენდა 16717 ევროს.

გამყიდველმა თანხა არ გადაიხადა. მხარეებს შორის მსგავსი გარიგება პირველი არ ყოფილა და ტრანზაქციები ხორციელდებოდა მოსარჩელება და მოპასუხეს შორის ხანგრძლივი დროის განმავლობაში. მოპასუხის მიერ ვალდებულების შეუსრულებლობის გამო მოსარჩელე იძულებული გახდა, მიემართა სასამართლოსათვის, რის გამოც მოუხდა მტკიცებულებათა უზრუნველსაყოფად და საკუთარი უფლებების დასაცავად ხარჯების გაღება.

მოპასუხემ სარჩელი არ ცნო და განმარტა, რომ სარჩელის დაკმაყოფილების საფუძველი არ არსებობს, რადგან მოთხოვნილი თანხების წარმომავლობა და გადახდა სულ სხვა მხარის ვალდებულებას წარმოადგენს. რაც შეეხება ვალდებულების შეუსრულებლობით გამოწვეული ზიანის ანაზღაურებას, მისი წარმომავლობა და დასაბუთება აბსურდულია და არ უნდა დაკმაყოფილდეს.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2013 წლის 26 მარტის გადაწყვეტილებით სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა, შპს „ვ. ს-ს“ შპს „ნ. ჩ. ი. ს. თ-ის“ სასარგებლოდ დაეკისრა ნასყიდობის ფასის 16 717 ევროს, მიუღებელი შემოსავლის – 3 558,54 ევროს ეკვივალენტი ლარის, იურიდიული მოშასხურებისათვის განეული 750 ევროს ეკვივალენტი ლარის, მტკიცებულებათა უზრუნველსაყოფად განეული ხარჯების 866,72 ევროს ეკვივალენტი ლარის ანაზღაურება, რაც სარჩელის დაკმაყოფილების ნაწილში მოპასუხებ გაასაჩივრა სააპელაციო წესით.

შპს „ნ. ჩ. ი. ს. თ-მა“ განცხადებით მიმართა სასამართლოს და მოითხოვა საქართველოში არსებულ ბანკებში შპს „ვ. ს-ის“ საბანკო ანგარიშებზე ყადაღის დადება გადაწყვეტილებით დაკისრებული თანხის, კერძოდ, 21 892,26 ევროსა და 1303 ლარის ფარგლებში. იმ შემთხვევაში, თუ აღმოჩნდება, რომ შპს „ვ. ს-ს“ არც ერთ ბანკში არ აქვს ანგარიში ან ანგარიშზე არ გააჩნია შესაბამისი თანხა, ყადაღა დაედო მოპასუხე შპს „ვ. ს-ის“ საკუთრებაში არსებულ 1280 კვ.მ მიწის ნაკვეთს (№01.72.14.000.432;) მდებარე: ქ. თბილისი, დ-ის სასწავლო საცდელი მეურნეობა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2013 წლის 5 ივნისის განჩინებით განცხადება დაკმაყოფილდა შემდეგ გარემოებათა გამო:

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 271-ე მუხლის, 191-ე მუხლის 1-ლი ნაწილის შინაარსიდან გამომდინარე, სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების მიზანია სარჩელზე მომავალში მისაღები გადაწყვეტილების რეალურად აღსრუ-

ლებისათვის მოსალოდნელი დაბრკოლების თავიდან აცილება. იმისათვის, რომ სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიება იქნება გამოყენებული, უნდა არსებობდეს კანონით გათვალისწინებული წინაპირობები, კერძოდ, განცხადებაში უნდა მიეთითოს ის ფაქტობრივი გარემოებები, რომელთა გამო უზრუნველყოფის ღონისძიებების მიუღებლობა გაძნელებს ან შეუძლებელს გახდის გადაწყვეტილების აღსრულებას. ასევე, მითითებული უნდა იყოს უზრუნველყოფის იმ ღონისძიებებზე, რომელთა გატარებაც განმცხადებელს მიზანშეწონილად და გამართლებულად მიაჩინია.

სააპელაციო პალატის მოსაზრებით, მოცემულ შემთხვევაში არსებობს ზემოთ მითითებული წინაპირობები.

სასამართლომ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 198-ე მუხლის მეორე ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით და მიიჩნია, რომ გასაჩივრებული გადაწყვეტილებით შპს „ვ. ს-ს“ მოსარჩელე ჰპს „ნ. ჩ. ი. ს. თ-ის“, სასარგებლოდ დაკისრებული აქვს ჯამში 21 892.26 ეროს და 1303 ლარის ანაზღაურება.

მოპასუხეს უფლებრივი ნაკლისაგან თავისუფალი უძრავი ქონება არ გააჩნია. შპს „ვ. ს-ის“ საკუთრებაში არსებული 1280 კვ.მ მინის ნაკვეთი ორჯერ არის იპოთეკით დატვირთული სს „ბ. ბ-ს“ სასარგებლოდ. პალატამ მიიჩნია, რომ აღნიშნულ გარემოებას შეუძლია, გამოიწვიოს მიღებული გადაწყვეტილების აღსრულების შეფერხება და მოსარჩელის უფლებების შელახვა, ვინაიდან ალსასრულებლად მიექცევა იპოთეკით დატვირთული უძრავი ნივთი.

ამდენად, ზემოაღნიშნული მსჯელობიდან გამომდინარე, გადაწყვეტილების აღსრულების უზრუნველყოფის მიზნით მოპასუხის საპანკო ანგარიშებზე არსებულ ფულად სახსრებს, სადაც თანხის ფარგლებში უნდა დაედოს ყადაღა.

პალატა ასევე შენიშნავს, რომ ზემოაღნიშნული მსჯელობა არ გულისხმობს მოპასუხის უფლებების უპირობოდ და ცალსახად შეზღუდვას, ვინაიდან სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიება თავისი სამართლებრივი ბუნებით, მოპასუხის უფლებისა თუ ინტერესების გონივრულ ფარგლებში შეზღუდვა-შევიწროვებას გულისხმობს. ამასთან, საკუთრების უფლება არაა აბსოლუტური ხასიათის და მთელ რიგ შემთხვევებში იგი შეზღუდვებს ექვემდებარება. სარჩელის უზრუნველყოფაც სწორედ ისეთი ღონისძიებაა, როდესაც შესაძლებელია საკუთრების უფლების მართლზომიერად შეზღუდვა დროებით, დავის გადაწყვეტამდე. იმისათვის, რომ უზრუნველყოფილ იქნეს გადაწყვეტილების აღსრულება, გამოყენებულ უნდა იქნეს უზრუნველყო-

ფის ისეთი სახის ლონისძიება, როგორიც არის საპანკო ანგარიშ-ზე რიცხულ ფულად სახსრებზე ყადაღის დადება.

ამასთან, იმ შემთხვევაში, თუ აღმოჩნდება, რომ მოპასუხეს არ გააჩნია საპანკო ანგარიშები ან ფულადი სახსრები, კერძოდ, 21 892.26 ევროს და 1303 ლარის ფარგლებში, ამ ყადაღა უნდა დაედის მის საკუთრებაში არსებულ ზემოთ აღნიშნულ უძრავ ქონებას.

სააპელაციო სასამართლოს განჩინებაზე საჩივარი შეიტანა შპს „ვ. ს-მა“ და მოითხოვა მისი გაუქმება შემდეგი საფუძვლებით:

საჩივარის ავტორის მითითებით, საქმის ნორმალური შეჯიბრებითობის პრინციპის დაცვით განხილვის შემთხვევაში აღნიშნული გადაწყვეტილება არ იქნებოდა მიღებული და, შესაბამისად, არ გახდებოდა საჭირო რაიმე სახის უზრუნველყოფის გამოყენება, მით უფრო, რომ მოსარჩელე მხარემ საერთოდ არ მიმართა სასამართლოს თავდაპირველად სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენებაზე, ვინაიდან თვითონაც იცოდა, რომ შპს „ვ. ს-ი“ სარგებლობს კარგი რეპუტაციით და არ წარმოადგენს თაღლით ან გადახდისუუნარო კომპანიას, ყოველთვის ასრულებს იმ ვალდებულებებს, რომელიც მას აქვს შესასრულებელი. რეალურად არ იკვეთება ის საშიშროება, რომ თუნდაც სადაც გადაწყვეტილების უცვლელად დატოვების შემთხვევაში, აღსრულებას რაიმე სახით შეექმნას პრობლემა, სასამართლოს მიერ მხოლოდ ვარაუდზე მიღებული გადაწყვეტილება რეალურად საფრთხეს უქმნის საწარმოს სხვა ვალდებულებების შესრულებას, იმ დროს, როდესაც ხდება თანხების დაყადალება საპანკო დაწესებულებებში, მათ შორის სახელფასო გადახდებზე, სახელმწიფო ბიუჯეტთან ანგარიშსწორებაზე.

საჩივარის ავტორმა ასევე მიუთითა, რომ გადაწყვეტილების აღსრულების უზრუნველყოფის ღონისძიების სახით ფულად სახსრებზე ყადაღის გამოყენების შემთხვევაში, მათ რეალურად ეზღუდებოდათ არა მარტო სადაც თანხაზე წვდომა და განკარგვა სხვა ვალდებულებების შესასრულებლად, არამედ სადაც თანხაზე მეტზე, ვინაიდან აღნიშნული გადაწყვეტილებით ყველა იმ დაწესებულებაში, სადაც გააჩნდათ ანგარიშები, მოხდებოდა ამ ღონისძიების განხორციელება, რითაც საწარმო მიიღებდა ზარალს.

აღნიშნულიდან გამომდინარე, საჩივარის ავტორმა მოითხოვა შპს „ვ. ს-ის“ საპანკო ანგარიშებზე და კომპანიის საკუთრებაში არსებულ უძრავ ქონებაზე ყადაღის მოხსნა ან მოპასუხისათვის მოსალოდნელი ზარალის – 400000 ლარის უზრუნველ-

ყოფის ღონისძიების გამოყენება.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმე-თა პალატის 2013 წლის 1 ივლისის განჩინებით საჩივარი განსახილველად გადაეგზავნა საქართველოს უზენაეს სასამართლოს შემდეგ გარემოებათა გამო:

პალატამ ჩათვალა, რომ მითითებული განჩინება სრულ შესაბამისობაშია სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 191-ე, 198-ე და 271-ე მუხლების მოთხოვნებთან, ხოლო საჩივარში მითითებული გარემოებები არ ქმნის ამ განჩინების გაუქმების სამართლებრივ წინაპირობებს.

სააპელაციო სასამართლომ ასევე დაუსაბუთებლად მიიჩნია საჩივრის ავტორის მოთხოვნა მოსარჩელისათვის, უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენებით მოსალოდნელი ზარალის ანაზღაურების უზრუნველყოფის მიზნით, გარანტიის სახით 400 000 ლარის შესაბამის დეპოზიტზე შეტანის ვალდებულების დაკისრების შესახებ, რადგან შპს „ვ. ს-ს“ არ წარმოუდგენია რაიმე მტკიცებულება იმ გარემოების დასადასტურებლად, რომ გამოყენებული უზრუნველყოფის ღონისძიება მას მიაყენებს ზარალს, რაც, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 102-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, მის ვალდებულებას წარმოადგენდა.

### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლო საჩივრის საფუძვლების შესწავლი-სა და გასაჩივრებული განჩინების იურიდიული დასაბუთების შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ შპს „ვ. ს-ის“ საჩივარი არ უნდა დაემაყოფილდეს, სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებული განჩინება კი დარჩეს უცვლელად შემდეგ გარემოებათა გამო:

გასაჩივრებული განჩინებით დადგენილია, რომ შპს „ნ. ჩ. ი. ს. თ-მა“ თავისი სასარჩელო მოთხოვნის უზრუნველსაყოფად აღნიშნული მოთხოვნის ფარგლებში მოითხოვა მოპასუხის – შპს „ვ. ს-ის“ საბანკო ანგარიშებზე ყადაღის დადება.

სააპელაციო სასამართლომ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 271-ე მუხლით და მიიჩნია, რომ შპს „ნ. ჩ. ი. ს. თ-მა“ ფაქტობრივად მოითხოვა მის სასარგებლოდ მიღებული თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმე-თა კოლეგის 2013 წლის 26 მარტის გადაწყვეტილების უზრუნველყოფა, რომლითაც შპს „ნ. ჩ. ი. ს. თ-ის“ სარჩელი ნაწილობრივ დაემაყოფილდა, შპს „ვ. ს-ს“ შპს „ნ. ჩ. ი. ს. თ-ის“ სასარგებლოდ დაეკისრა ნასყიდობის ფასის – 16 717 ევროს, მიუღებელი

შემოსავლის – 3 558,54 ევროს ეკვივალენტი ლარის, იურიდიული მომსახურეობისათვის განცეული 750 ევროს ეკვივალენტი ლარის, მტკიცებულებათა უზრუნველსაყოფად განცეული ხარჯების – 866,72 ევროს ეკვივალენტი ლარის ანაზღაურება.

საკასაციო სასამართლო საკსეპით იზიარებს სააპელაციო პალატის 2013 წლის 5 ივნისისა და 1 ივლისის განჩინებებს, რომელთა თანახმად შპს „ნ. ჩ. ი. ს.თ-ის“ განცხადება დაკმაყოფილდა და ყადალა დაედო შპს „ვ. ს-ის“ საბანკო ანგარიშებს 21892.26 ევროსა და 1303 ლარის ფარგლებში შემდეგ გარემოებათა გამო:

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 191-ე მუხლის 1-ლი და მე-2 ნაწილების თანახმად, მოსარჩელეს შეუძლია მიმართოს სასამართლოს სარჩელის უზრუნველყოფის შესახებ განცხადებით, რომელიც უნდა შეიცავდეს მითითებას იმ გარემოებებზე, რომელთა გამოც სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიებათა განუხორციელებლობა გააძნელებს ან შეუძლებელს გახდის გადაწყვეტილების აღსრულებას და შესაბამის დასაბუთებას, თუ სარჩელის უზრუნველყოფის რომელი ღონისძიების გატარება მიაჩინა მოსარჩელეს აუცილებლად. თუ სასამართლოს გაუჩნდება დასაბუთებული ვარაუდი, რომ უზრუნველყოფის ღონისძიებათა განუხორციელებლობა გააძნელებს ან შეუძლებელს გახდის გადაწყვეტილების აღსრულებას, იგი გამოიტანს განჩინებას სარჩელის უზრუნველყოფის შესახებ. სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენება ემყარება მოსამართლის ვარაუდს, რომ მხარის სასარჩელო მოთხოვნა შეიძლება დაკმაყოფილდეს. ასეთი ვარაუდი გავლენას არ ახდენს სასამართლოს მიერ შემდგომი გადაწყვეტილების გამოტანაზე. ამავე კოდექსის 271-ე მუხლის მიხედვით, სასამართლოს შეუძლია უზრუნველყოს იმ გადაწყვეტილების აღსრულება, რომელიც გადაცემული არ არის დაუყოვნებლივ აღსასრულებლად XXIII თავით დადგენილი წესების შესაბამისად.

დასახელებულ ნორმათა შინაარსიდან გამომდინარე, კანონმდებელი შესაძლებლობას აძლევს მოსარჩელე მხარეს, მხოლოდ საკუთარი კანონიერი უფლებების დაცვის მიზნით მოითხოვოს ჯერ კიდევ აღუსრულებელი გადაწყვეტილების უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენება. ამისათვის მოსარჩელემ სარწმუნოდ უნდა დაასაბუთოს სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების საჭიროება, რათა სასამართლოს შეუქმნას რწმენა კონკრეტულ გარემოებათა საფუძველზე გადაწყვეტილების უზრუნველყოფის აუცილებლობის შესახებ.

აღნიშნული საკითხების დამაჯერებლად დამტკიცება მნიშვნელოვანია, რამდენადაც მსგავსი სახის უზრუნველყოფა წარ-

მოადგენს ერთი მხარისათვის – მოსარჩელისათვის თავისი უფლებების დაცვის გარანტს, ხოლო მეორე მხარეს უზღუდავს კანონიერი უფლებების განხორციელების შესაძლებლობას. შესაბამისად, გადაწყვეტილების უზრუნველყოფის საკითხის გადაწყვეტისას და ერთ-ერთი მხარის უფლებების თუნდაც კანონის მიერ ფარგლებში შეზღუდვისას სასამართლო უნდა ემყარებოდეს დასაბუთებულ ვარაუდს, რომ აღნიშნული საპროცესო ღონისძიების გატარების გარეშე ობიექტურად შეუძლებელი გახდება ან მნიშვნელოვნად გართულდება საქმის განხილვის სამართლებრივი შედეგის – სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულება.

სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენებას კანონმდებელი ასევე უკავშირებს სარჩელის სამართლებრივ პერსექტიულობას და აფასებს, თუ რამდენად მოსალოდნელია სარჩელის დაკმაყოფილება, თუმცა აღნიშნული დავის სამართლებრივ პედზე გავლენას ვერ მოახდენს.

მოცემულ შემთხვევაში, როგორც ზემოთ უკვე აღინიშნა, თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2013 წლის 26 მარტის გადაწყვეტილებით შპს „ნ. ჩ. ი. ს. თ-ის“ სარჩელი 21892.26 ევროსა და 1303 ლარის ნაწილში დაკმაყოფილდა, შესაბამისად, სრულიად საფუძვლიანია მოსარჩელის მოთხოვნა ხსენებული გადაწყვეტილების აღსრულების უზრუნველყოფასთან დაკავშირებით.

საკასაციო სასამართლო ეთანხმება როგორც განმცხადებლის, ისე სააპელაციო პალატის პოზიციას გადაწყვეტილების აღსრულების უზრუნველსაყოფად ყადაღის უპირატესად შპს „ვ. ს-ის“ საბანკო ანგარიშებზე დადებასთან დაკავშირებით, რადგან მოპასუხის საკუთრებაში არსებული 1280 კვ.მ მიწის ნაკვეთი უკვე ორჯერ არის იპოთეკით დატვირთული სს „ბ. ბ-ის“ სასარგებლოდ, შესაბამისად, საჭიროების შემთხვევაში ხსენებული ნივთის რეალიზაციისას სავსებით შესაძლებელია, შპს „ნ. ჩ. ი. ს. თ-ის“ მოთხოვნის დაკმაყოფილებას ხელი შეეშალოს და უძრავი ნივთის საფასურით მოხდეს პირველი იპოთეკარის დაკმაყოფილება.

ამდენად, საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ გასაჩივრებული განჩინებით მოპასუხის საბანკო ანგარიშებს სასარჩელო მოთხოვნის გადაწყვეტილებით დაკმაყოფილებულ ნანილში ყადაღა მართლზომიერად დაედო.

დაუსაბუთებელია შპს „ვ. ს-ის“ პრეტენზია მის საბანკო ანგარიშებზე ყადაღის დადების გამო მოსალოდნელი ზარალის 400 000 ლარის ოდენობით უზრუნველყოფის თაობაზე. მართალია,

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 199-ე მუხლი ითვალისწინებს სარჩელის უზრუნველყოფით გამოწვეული ზარალის ანაზღაურებას, თუმცა ამისათვის სასამართლო უნდა დარწმუნდეს ასეთი ზარალის წარმოშობის რეალურობაში.

განსახილველ შემთხვევაში, მხარე შემოიფარგლა მხოლოდ იმაზე მითითებით, რომ საბანკო ანგარიშების დაყადალებით შპს-ს შეეზღუდებოდა წვდომა არა მხოლოდ სადაცო თანხაზე, არამედ მის კუთვნილ ყველა საბანკო ანგარიშზე, რასაც საკასაციო სასამართლო ვერ დაეთანხმება. გასაჩივრებული განჩინებით მოჰასუხის ანგარიშებს ყადალა დაედო მხოლოდ სადაცო თანხის ფარგლებში, შესაბამისად, დანარჩენი სახსრების განკარგვაში მას ხელი არ შეეშლება.

აღნიშნულიდან გამომდინარე, საჩივრის ავტორმა ვერ დაასაბუთა, კონკრეტულად რა გარემოებები უდევს საფუძვლად მის ზემოხსენებულ მოთხოვნას და რით დასტურდება მისთვის მოსალოდნელი ზიანის მიყენების ალბათობა. აღნიშნული კი, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 102-ე მუხლით დადგენილი მტკიცების სტანდარტის თანახმად, მის მოვალეობას წარმოადგენდა.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო თვლის, რომ შპს „ვ. ს-ის“ საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს, ხოლო სააპელაციო პალატის გასაჩივრებული განჩინება უნდა დარჩეს უცვლელად.

### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 419-ე მუხლით და

### **დ ა ა დ გ ი ნ ა:**

1. შპს „ვ. ს-ის“ კერძო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს.
2. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2013 წლის 5 ივნისისა და 1 ივლისის განჩინებები დარჩეს უცვლელად.
3. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

## სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენება

### განხილვა

№ას-538-511-2013

3 ივნისი, 2013 წ., ქ. თბილისი

**საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო  
საქმეთა პალატა  
შემადგენლობა: პ. ქათამაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
თ. თოდრია,  
ბ. ალავიძე**

**დავის საგანი:** ზიანის ანაზღაურება

#### **აღწერილობითი ნაწილი:**

2013 წლის 23 აპრილს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატას საარბიტრაჟო სარჩელის უზრუნველყოფის შესახებ განცხადებით მიმართა კომპანია „ე. ლ-ს“ (....) წარმომადგენელმა პ. კ-მა მოწინააღმდეგე მხარის – შპს „ფ. შ-ის“ (...) მიმართ. განმცხადებელმა მოითხოვა საარბიტრაჟო სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენება, კერძოდ, ფოთის პორტში მყოფი მოპასუხე კომპანიის (იურიდიული მისამართი: პ. ბ-გ, პ. ჩ-ის ქუჩა, ნევისი, დასავლეთი ინდიოთი, წმინდა გიტისისა და ნევისის კუნძული) გემისათვის (ტოვოს დროშით მცურავი, მშრალი ტვირთის მზიდავი გემი ...) ყადაღის დადება და საქართველოს ტერიტორიული ზღვიდან მისი გასვლის აკრძალვა, ფოთის პორტის გარე რეიდზე მისი განთავსებისა და საქმიანობის მარეგულირებელი დოკუმენტაციის ამოღების გზით.

განმცხადებელმა აღნიშნა, რომ: მისი მარწმუნებელია უცხოური კომპანია „ე. ლ-დ“, რომელმაც სარჩელი აღძრა გემთფლობელი კომპანია „ფ. შ-გ-ის“ მიმართ, განსჯად არბიტრაჟში – ღონდონის საზღვაო არბიტრების ასოციაციის არბიტრაჟში, მხარეთა შორის გაფორმებული 2013 წლის 28 იანვრის ჩარტერის (გადაზიდვის) ხელშეკრულების პირობების დარღვევით მიყენებული ზიანის ანაზღაურების მოთხოვნით. არბიტრაჟის კომპეტენციის საფუძველს წარმოადგენდა დასახელებულ ხელშეკრულებაში (დან. 1) არსებული საარბიტრაჟო დათქმა, რომლის თანახმად, მხარეთა შორის დავის წარმოშობის შემთხვევაში დავა ექვემდებარება განხილვას ღონდონის საზღვაო არბიტრების ასოციაციის არბიტრაჟში (LMAA), ინგლისის სამართლის

მიხედვით; მოპასუხე კომპანიის მიერ ზემომითითებული გემი დაქირავდა 1531.68მ.ტ. ქერის გადასაზიდად, ეისკის (რუსეთის ფედერაცია) პორტიდან ფოთის პორტამდე. ტვირთი გათვალისწინებული იყო საქართველოს რეზიდენტი იურიდიული პირისათვის – შპს „ი.ჯ.-ის“. აღნიშნული გარემოება დასტურდებოდა 2013 წლის 7 თებერვალს გემის ჩატვირთვის პორტში გამოწერილი კონსამენტით. გადაზიდვის დაწყების შემდგომ აღმოჩნდა, რომ გემი არ იყო მზადყოფნაში გადაზიდვის ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შესასრულებლად, რის გამოც იგი ფოთის პორტის რეიდზე შევიდა მნიშვნელოვანი დაგვიანებით. რეიდზე რამდენიმე დღიანი დაყოვნების შემდგომ, საბოლოოდ, ტვირთის დანიშნულების მიხედვით გადაზიდვაზე დაიხარჯა 50 დღე, ნაცვლად გეგმიური 58-60 სთისა; ტვირთის ხანგრძლივი ტრანსპორტირებით, მისი მნიშვნელოვანი ხანილი დაზიანდა. ზიანის დასადგენად მოწვეულ იქნა სურვეირული კომპანია. პირველადი გათვლებით, შპს „ე. ლ-მ“ განიცადა მნიშვნელოვანი ზიანი, რის შესახებაც მან წერილობითი პრეტენზით მიმართა გემთფლობელს. პრეტენზიასთან ერთად წარდგენილ იქნა სურვეირული კომპანიის (SGS) წინასწარი ანგარიში. (დან 6) პრეტენზიაში მითითებულ ვადაში, მოწინააღმდეგებ მხარისაგან არ განხორციელებულა რაიმე ზომები პრობლემის მოსაწესრიგებლად. რამდენიმე დღიანი უშედეგო მოლაპარაკებების შემდგომ, ზიანის იძულებითი ანაზღაურების მიზნით, შპს „ე. ლ-მ“ დაიწყო იურიდიული პროცედურები. 2013 წლის 28 იანვრის ჩარტერის (გადაზიდვის) ხელშეკრულების თანახმად, ხელშეკრულების შესრულების ადგილი იყო საქართველო, ფოთი. მოწინააღმდეგებ მხარე, გემთმფლობელი კომპანია „ფ. შ-ი“ რეგისტრირებულია ე.წ. ოფშორულ ზონაში, შესაბამისად მისი აქტივების დადგენა პრაქტიკულად შეუძლებელია. შპს „ე. ლ-ის“ მიყენებული ზიანის უზრუნველყოფის ერთადერთ საშუალებას წარმოადგენს ტოგოს დროშით მცურავი გემი ..., რომელიც ამჟამად იმყოფება საქართველოს იურიდიულის ქვეშ, კერძოდ, იგი იმყოფება ფოთის პორტში. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, შპს „ე. ლ-ს“ მიზანია მოცემულ საქმეზე გამოტანილი საარბიტრაჟო გადაწყვეტილების ცნობა და იძულებითი აღსრულების საქართველოში განხორციელება. განმცხადებლის გამარტებით, შპს „ე. ლ-ს“ გააჩნდა საფუძვლიანი ვარაუდი, რომ საარბიტრაჟო წარმოების პერიოდში, ვალდებულების თავიდან აცილების მიზნით, გემთმფლობელი კომპანია „ფ. შ-ი“ ყველანაირად შეეცდებოდა კუთვნილი გემის საქართველოდან გაყვანას, მისი შემდგომი გაასხვისების ან სხვაგვარად

დატვირთვის მიზნით, შესაძლებელი იყო გემის საიდენტიფიკაციო მონაცემების (დროშა, რეგისტრაცია) შეცვლაც. ამდენად, საქართველოს იურისდიქციის (ტერიტორიული წყლების) დატოვების შემთხვევაში, პრაქტიკულად შეუძლებელი გახდებოდა მისი (პ. კ-ის) მარწმუნებლის – შპს „ე. ლ-ს“ სასარგებლოდ გამოტანილი საარბიტრაჟო გადაწყვეტილების აღსრულება.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2013 წლის 24 აპრილის განჩინებით შპს „ე. ლ-ს“ განცხადება საარბიტრაჟო სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების თაობაზე არ დაკავშირდა.

სააპელაციო სასამართლომ სხენებული განჩინება შემდეგნაირად დაასაბუთა:

გამცხადებელი თავის მოთხოვნას ამყარებდა 2013 წლის 28 იანვარს, შპს „ე. ლ-ს“ (....) და გემთმფლობელი კომპანია „ფ. შ-გ-ს“ (...) შორის გაფორმებულ ჩარტერის (გადაზიდვის) ხელშეკრულებაზე, რომლის თანახმად, მხარეთა შორის დავის წარმოშობის შემთხვევაში დავა ექვემდებარება განხილვას ღონისძიების საზღვაო არბიტრების ასოციაციის არბიტრაჟში (LMAA), ინგლისის სამართლის მიხედვით (ხელშეკრულების გვ.2 მე-4 აბზაცი). მაშასადამე, მხარეები შეთანხმდნენ, რომ დავების განხილვისას და გადაწყვეტისას გამოიყენება ინგლისის სამართლის წესები.

ხელშეკრულებით უდავოდ დასტურდებოდა, რომ მხარეები შეთანხმდნენ დავის გადაწყვეტის კონკრეტულ საპროცესო წესზე, კერძოდ, ლონდონის საზღვაო არბიტრაჟის ასოციაციის არბიტრაჟში (LMAA) გადაწყვეტაზე, ინგლისის სამართლის მიხედვით. მხარეები შეთანხმდნენ დავის განხილვისას არა მარტო ინგლისის სამართლის საპროცესოსამართლებრივი ნორმების გამოყენებაზე, არამედ მატერიალურსამართლებრივი ნორმების გამოყენებაზეც. საქმის მასალებით ირკვეოდა, რომ სარჩელი მიიღო დავის განმხილველმა არბიტრაჟმა, რაც დადასტურდა დავის განმხილველი დანიშნული არბიტრაჟის თანხმობით, ასევე მოწინააღმდეგე მხარეს გაეცნავნა საარბიტრაჟო სარჩელის ასლი.

სააპელაციო სასამართლოს მოსაზრებით, „საზღვაო სივრცის შესახებ“ საქართველოს კანონის 26-ე მუხლი არ შეიძლებოდა გამოყენებულიყო განსახილველი სამართლებრივი ურთიერთობისა დასარეგულირებლად, ვინაიდან იგი შეეხებოდა საქართველოს სასამართლოებში არსებითად განსახილველ დავებს.

სააპელაციო სასამართლომ მიუთითა „საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლზე,

რომლის თანახმად, სარჩელის უზრუნველყოფისას საქართველოს სასამართლო კომპეტენტურია, თუ უზრუნველყოფის ღონისძიებები საქართველოშია აღსასრულებელი ან საქართველოს სასამართლოებს აქვთ საერთაშორისო კომპეტენცია.

სააპელაციო სასამართლოს შეფასებით, ზემოთ მოყვანილი ნორმა არ შეეხებოდა სახელმწიფოს ფარგლებს გარეთ მოქმედ არბიტრაჟებში განსახილველ საქმეებს, რადგან აღნიშნული ტიპის არბიტრაჟებთან მიმართებით მოცემული კანონი ადგენს განსხვავებულ წესს, კერძოდ, „საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ“, საქართველოს კანონის 73<sup>1</sup> მუხლის შესაბამისად, საქართველოს ფარგლებს გარეთ გამოტანილი საარბიტრაჟო გადაწყვეტილების ცნობა და აღსრულება ხდება „არბიტრაჟის შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილი წესით. „არბიტრაჟის შესახებ“ საქართველოს კანონის პირველი მუხლის შესაბამისად, ეს კანონი ადგენს საქართველოში არბიტრაჟის შექმნის, საარბიტრაჟო წარმოების, საარბიტრაჟო გადაწყვეტილების, აგრეთვე საქართველოს ფარგლებს გარეთ გამოტანილი საარბიტრაჟო გადაწყვეტილების ცნობისა და აღსრულების წესებს.

სააპელაციო სასამართლომ განმარტა, რომ მოცემული ნორმა ცალსახად ადგენს, საქართველოს ფარგლებს გარეთ განხილული საარბიტრაჟო დავის შემდგომ მიღებული გადაწყვეტილების ცნობისა და აღსრულების შესახებ გადაწყვეტილების მიღების შესაძლებლობას საქართველოს სასამართლოს მიერ სწორედ ამ კანონის თანახმად. უშუალოდ დავასთან დაკავშირებული საპროცესო და მატერიალური ნორმების გამოყენების თაობაზე კი მხარეები თანხმდებიან მათ შორის დადებული ხელშეკრულების ფარგლებში, ასევე საარბიტრაჟო შეთანხმებაში.

განსახილველ შემთხვევაში დადგინდა, რომ 2013 წლის 28 იანვარს შპს „ე-ლ-ს“ (...) და გემთმფლობელი კომპანია „ფ. შ-გ-ს“ (...) შორის დადებული ჩარტერის (გადაზიდვის) ხელშეკრულების თანახმად, მხარეთა შორის დავის წარმოშობის შემთხვევაში დავა ექვემდებარება განხილვას ლონდონის საზღვაო არბიტრების ასოციაციის არბიტრაჟში (LMAA), ინგლისის სამართლის მიხედვით. ამდენად, მხარეები შეთანხმდნენ, დავების განხილვისას და გადაწყვეტისას ინგლისის სამართლის წესების გამოყენებაზე (საპროცესო და მატერიალური ნორმები).

სააპელაციო სასამართლომ მიუთითა „არბიტრაჟის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-17 მუხლის პირველ ნაწილზე, რომლის თანახმად, საარბიტრაჟო განხილვის დაწყებამდე ან განხილვის ნებისმიერ სტადიაზე, საბოლოო საარბიტრაჟო გადაწყვეტილების გამოტანამდე, მხარეს შეუძლია შუამდგომლობით

მიმართოს არბიტრაჟს საარბიტრაჟო სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიებების გამოყენების შესახებ, თუ ეს არ ეწინააღმდეგება საარბიტრაჟო შეთანხმებას. „არბიტრაჟის შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად, არბიტრაჟის მიერ გამოყენებულ საარბიტრაჟო სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიებებს აქვთ სავალდებულო ძალა და, თუ მხარეთა შეთანხმებით სხვა რამ არის გათვალისწინებული, ისინი უნდა აღსრულდეს სასამართლოსთვის მიმართვის გზით, მიუხედავად იმისა, თუ რომელ ქვეყანაში იქნა გამოყენებული აღნიშნული უზრუნველყოფის ღონისძიებები, ამ მუხლისა და ამ კანონის 22-ე მუხლის დებულებათა გათვალისწინებით. „არბიტრაჟის შესახებ“ საქართველოს კანონის 23-ე მუხლის თანახმად, მხარეს შეუძლია საარბიტრაჟო სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიებების გამოყენების მოთხოვნით მიმართოს სასამართლოს. საარბიტრაჟო სარჩელის უზრუნველყოფის საკითხებში, მიუხედავად საარბიტრაჟო განხილვის ადგილისა, სასამართლოს აქვს იგივე უფლებამოსილებანი, რაც სამართალწარმოებაში სარჩელის უზრუნველყოფის საკითხებთან დაკავშირებით. სასამართლოს მიერ საარბიტრაჟო სარჩელის უზრუნველყოფასთან დაკავშირებით გამოიყენება საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის XXIII თავით დადგენილი წესები, გარდა 192-ე მუხლისა და 198-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ვ“ და „ი“ ქვეყნებისა, საერთაშორისო საარბიტრაჟო წარმოების თავისებურებათა გათვალისწინებით.

სააპელაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ მითითებული ნორმატიული აქტი ადგენს საარბიტრაჟო სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების ორ საპროცესო წესს, კერძიდ: 1. სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების თაობაზე შეიძლება მხარემ მიმართოს არბიტრაჟს, რომლის გადაწყვეტილების ცნობასა და აღსრულებაზე უნდა იმსჯელოს სასამართლომ; 2. მხარემ მოცემული საპროცესო უფლება შეიძლება განახორციელოს პირდაპირ სასამართლოსთვის მიმართვის გზით. საქართველოს ფარგლებს გარეთ არსებულ არბიტრაჟებთან მიმართებით მოცემული კანონი აწესრიგებს საქართველოს ფარგლებს გარეთ გამოტანილი საარბიტრაჟო გადაწყვეტილების ცნობისა და აღსრულების წესებს, თუმცა „არბიტრაჟის შესახებ“ საქართველოს კანონის 23-ე მუხლი მიუთითებს საერთაშორისო საარბიტრაჟო წარმოების თავისებურებათა გათვალისწინებაზე. სააპელაციო პალატის მოსაზრებით, განმცხადებელს (შეთანხმებული დავის განხილვის წესიდან გამომდინარე) ამ კუთხით განცხადება საერთოდ არ დაუსაბუთებია.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 356<sup>12</sup> მუხლის, 356<sup>13</sup> მუხლის 1-ლი და მე-3 ნაწილების შესაბამისად, არბიტრაჟთან დაკავშირებულ საქმეებს სასამართლო განიხილავს ამ კოდექსით დადგენილი წესებით, ხოლო საარბიტრაჟო სარჩელის უზრუნველყოფის შესახებ საქმეებს, იხილავენ სააპელაციო სასამართლები.

სააპელაციო სასამართლო მიიჩნია, რომ მოცემული საარბიტრაჟო სარჩელი უნდა გამომდინარებდეს „არბიტრაჟის შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილი რეგულაციებიდან. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 191-ე მუხლის თანახმად, მოსარჩელეს შეუძლია, მიმართოს სასამართლოს განცხადებით სარჩელის უზრუნველყოფის შესახებ. განცხადება უნდა შეიცავდეს მითითებას იმ გარემოებებზე, რომელთა გამოც უზრუნველყოფის ღონისძიებათა განუხორციელებლობა გააძნელებს ან შეუძლებელს გახდის გადაწყვეტილების აღსრულებას, აფრეთვე, დასაბუთებას, თუ უზრუნველყოფის რომელი ღონისძიების გატარება მიაჩნია მოსარჩელეს აუცილებლად. თუ სასამართლოს გაუჩნდება დასაბუთებული ვარაუდი, რომ უზრუნველყოფის ღონისძიებათა განუხორციელებლობა გააძნელებს ან შეუძლებელს გახდის გადაწყვეტილების აღსრულებას, მას გამოაქვს განჩინება სარჩელის უზრუნველყოფის შესახებ. სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენება ემყარება მოსამართლის ვარაუდს, რომ მხარის სასარჩელო მოთხოვნა შეიძლება დაემაყოფილდეს, ასეთი ვარაუდი გავლენას არ ახდენს სასამართლოს მიერ შემდგომი გადაწყვეტილების გამოტანაზე. სააპელაციო სასამართლოს განმარტებით, სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიება არის გადაწყვეტილების რეალურად აღსრულებისათვის მოსალოდნელი დაბრკოლების თავიდან აცილების საშუალება. ის წარმოადგენს ფიზიკური და იურიდიული პირების ქონებრივი უფლებების დაცვის გარანტიას და ემსახურება ამ უკანასკნელთა დარღვეული უფლებების სრულ და რეალურ აღდგენას, ანუ სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების მნიშვნელობა იმაში გამოიხატება, რომ იგი იცავს მოსარჩელის კანონიერ ინტერესებს მოპასუხის არაკეთილსინდისიერების შემთხვევაში. სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიებებისადმი, როგორც საპროცესო სამართლებრივი ინსტიტუტისადმი, ფორმალური მიდგომა დაუშვებელია. სარჩელის უზრუნველყოფის გამოყენების თაობაზე მოთხოვნების დაკმაყოფილება უნდა გადაწყდეს ინდივიდუალურად – სასამართლომ ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში, ფაქტობრივი და სამართლებრივი საფუძვლების შეჯერების შედეგად უნდა იმსჯელოს, გამოიყე-

ნოს თუ არა სარჩელის უზრუნველყოფის კონკრეტული ღონისძიება. ამ ღონისძიებების გამოყენება უნდა მოხდეს საპროცესო სამართლის სრული დაცვით.

მოცემულ შემთხვევაში, სააპელაციო სასამართლომ ჩათვალია, რომ განმცხადებელმა ვერ დაასაბუთა მოთხოვნილი უზრუნველყოფის ღონისძიებების გამოყენების აუცილებლობა და საპროცესო კავშირი მხარეთა შორის დავის განხილვის შეთანხმებულ წესთან, რის გამოც მისი განცხადება სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიებების გატარებაზე არ უნდა დაკმაყოფილებულიყო.

დასახელებული განჩინება საჩივრით გაასაჩივრა კომპანია „ე. ლ-მ“ და მიუთითა შემდეგ გარემოებებზე:

სასამართლომ მიიჩნია, რომ მას არ გააჩნია საქართველოს ფარგლებს გარეთ არბიტრაჟში აღძრულ დავაზე სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების შესაძლებლობა. საკითხისადმი ამგვარი მიდგომა ეწინააღმდეგება კანონს. სასამართლომ არასწორად განმარტა საარბიტრაჟო შეთანხმება, დავასთან დაკავშირებული სამართლის ნორმების გამოყენების თაობაზე. „არბიტრაჟის შესახებ“ კანონის 36-ე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, ნებისმიერი მითითება რომელიმე ქვეყნის კანონმდებლობაზე ან სამართლებრივ სისტემაზე გულისხმობს ამ ქვეყნის მატერიალურ სამართლს და არა მის საპროცესო და კოლიზიურ ნორმებს. ამდენად, სასამართლოს მიერ მხარეთა შებოჭვა საპროცესო ნორმების გამოყენებაზე შეთანხმების არსებობით, მცდარია და არ გამომდინარეობს საარბიტრაჟო შეთანხმებიდან;

უსაფუძვლოა სააპელაციო სასამართლოს დასკვნა იმასთან დაკავშირებით, რომ „საზღვაო სივრცის შესახებ“ საქართველოს კანონის 26-ე მუხლის მე-4 პუნქტით გათვალისწინებული წესი შესაძლებელია გამოყენებულ იქნას მხოლოდ საქართველოს სასამართლოებში არსებოთად განსახილველ დავებზე. აღნიშნული ნორმა გაგებულ უნდა იქნეს ზოგადად, როგორც საქართველოს სასამართლოს მიერ საქართველოს ტერიტორიულ წყლებში უცხო ქვეყნის დროშით მცურავი გემის მიმართ სამოქალაქო სარჩელის უზრუნველყოფის ზომების განხორციელების შესაძლებლობა. ნორმა არ შეიცავს სხვა რაიმე დათქმას არსებითი დავის იურისდიქციისათან დაკავშირებით. ამასთან, ასეთი ინტერპრეტაციის შესაძლებლობა არც ნორმის შინაარსიდან არ გამომდინარეობს. მოცემული მსჯელობა განმტკიცებულია საერთაშორისო სამართლის მიმით, რომელიც ოფიციალურად აღიარებულია საქართველოს მიერ და შესაბამისად, ნარმოადგენს

მისი სამართლებრივი სისტემის შემადგენელ ნაწილს. ამ შემთხვევაში, საუბარია „საზღვაო სამართლის შესახებ“ გაეროს 1982 წლის კონვენციის 28-ე მუხლზე;

„საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ“ კანონის მე-20 მუხლი აფართოვებს საქართველოს სასამართლოების იურის-დიტრიბუტორის იმ შემთხვევებამდე, როდესაც საქართველოს სასამართლოს არ გააჩნია საერთაშორისო კომპეტენცია, ანუ დავა არ-სებითად არ განიხილება საქართველოში, მაგრამ უზრუნველყოფა საქართველოშია აღსასრულებელი. საჩივრის ავტორის მო-საზრებით, საქართველოში სარჩელის უზრუნველყოფის მიზ-ნებისათვის საქართველოს სასამართლოსათვის არსებითი მნიშ-ვნელობა არ აქვს, დავა უცხო ქვეყნის არბიტრაჟში მიმდინარე-ობს თუ სასამართლოში. ამ შემთხვევაში, უზრუნველყოფის ზო-მების შესახებ განცხადების განმხილველი სასამართლო მხო-ლოდ უნდა შემოიფარგლოს დაინტერესებული მხარის მიერ მი-თითებული დავის ორგანოს კომპეტენციურობის ფორმალური კონტროლით. კერძოდ, წარდგენილი მტკაცებულებებით უნდა დადასტურდეს, რომ იმავე მხარებს შორის არსებითი დავა ნამ-დვილად აღმრულია მხარეთა შეთანხმებით გათვალისწინებულ ან დავის არსებითად განხილვის ქვეყნის კანონმდებლობით დადგენილ ორგანოში;

სასამართლომ ასევე არასწორად განმარტა „არბიტრაჟის შე-სახებ“ საქართველოს კანონის 1-ლი მუხლი და არასწორად ჩათ-ვალა, რომ აღნიშნული კანონის მოქმედების სფეროში არ შედი-ოდა საქართველოს სასამართლოს მიერ საქართველოს ფარ-გლებს გარეთ აღმრულ საარბიტრაჟო სარჩელზე უზრუნველ-ყოფის ზომების გამოყენების საკითხი. მოცემული მსჯელობა წარმოადგენს უზუსტობას, რადგან არბიტრაჟში აღმრულ და-ვაზე სარჩელის უზრუნველყოფის ზომების გამოყენება, ფაქ-ტობრივად წარმოადგენს საარბიტრაჟო წარმოების ნაწილს, რო-მელზეც ვრცელდება „არბიტრაჟის შესახებ“ საქართველოს კა-ნონი. მითითებული მსჯელობა ვრცელდება საარბიტრაჟო წარ-მოებაზე, სარჩელის არსებითი განხილვის ადგილის მიუხედა-ვად. მაგალითად, ასეთი დასკვნა გამომდინარეობს ხსენებული კანონის 23-ე მუხლიდან;

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2013 წლის 8 მაისის განჩინებით კომპანია „ე. ლ-დ“ სა-ჩივარი, როგორც დაუსაბუთებელი და უსაფუძვლო, გადმოეგ-ზავნა საქართველოს უზენასი სასამართლოს სამოქალაქო საქ-მეთა პალატას.

სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ საჩივრის ავტორი

საჩივარში ფაქტობრივად იგივე დასაბუთებით, მხოლოდ სამართლებრივ ნორმათა განსხვავებული განმარტებით შემოიფარგლა. გასაჩივრებულ განჩინებაში ნათლად დაფიქსირდა სასამართლოს პოზიცია განსახილველ საკითხთან მიმართებათ. სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიებებისადმი, როგორც საპროცესო სამართლებრივი ინსტიტუტისადმი, ფორმალური მიღობა დაუშვებელია. სარჩელის უზრუნველყოფის გამოყენების თაობაზე მოთხოვნების დაკმაყოფილება უნდა გადაწყდეს ინდივიდუალურად – სასამართლომ ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში, ფაქტობრივ და სამართლებრივ საფუძველთა შეჯერების შედეგად უნდა იმსჯელოს, გამოიყენოს თუ არა სარჩელის უზრუნველყოფის კონკრეტული ღონისძიება. ამ ღონისძიებების გამოყენება უნდა მოხდეს საპროცესო სამართლის სრული დაცვით. საპელაციო სასამართლომ დამატებით განმარტა, რომ განმცხადებელმა ვერ დაასაბუთა მოთხოვნილი უზრუნველყოფის ღონისძიებების გამოყენების აუცილებლობა და საპროცესო კავშირი მხარეთა შორის დავის განხილვის შეთანხმებულ წესთან, რის გამოც მისი მოთხოვნა სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიებების გატარების თაობაზე არ უნდა დაკმაყოფილებულიყო. ამდენად, საჩივრის ავტორმა (განმცხადებელმა) ვერ დაასაბუთა ასეთი აუცილებლობა, ხოლო საჩივარში ასახული გარემოებები, საპელაციო სასამართლოს შეფასებით არ წარმოადგენდა და საფუძველს უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენებითავს.

### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების შესწავლის, საჩივრის საფუძვლების გამოყელების შედეგად მიიჩნევს, რომ კომპანია „ე. ლ-ს“ (....) საჩივარი ნაწილობრივ უნდა დაკმაყოფილდეს, უნდა გაუქმდეს გასაჩივრებული განჩინება და საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს შემდეგ გარემოებათა გამო:

საპელაციო სასამართლოს მიერ დადგენილია, რომ შპს „ე. ლ-ს“ (....) და გემთმფლობელ კომპანია „ფ. შ-გ-ს“ (...) შორის 2013 წლის 28 იანვარს გაფორმდა ჩარტერის (გადაზიდვის) ხელშეკრულება, რომლის თანახმად, მხარეთა შორის დავის ნარმოშობის შემთხვევაში დავა ექვემდებარება განხილვას ღონისძიების საზღვაო არბიტრების ასოციაციის არბიტრაჟმი (LMAA), ინგლისის სამართლის მიხედვით. საპელაციო პალატამ ასევე დაადგინა, რომ შპს „ე. ლ-ს“ (....) საარბიტრაჟო სარჩელი წარმოებაში მიიღო დავის განმხილველმა არბიტრაჟმა. დადგენილია ისიც,

რომ მოწინააღმდეგე მხარეს გაეგზავნა საარბიტრაჟო სარჩელის ასლი.

გასაჩივრებული განჩინებით სააპელაციო სასამართლომ არ დააკმაყოფილა შპს „ე. ლ-ს“ (....) განცხადება საარბიტრაჟო სარჩელის უზრუნველყოფის შესახებ, ვინაიდან მიიჩნია, რომ განცხადებელმა ვერ დაასაბუთა უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების აუცილებლობა და საპროცესო კავშირი მხარეთა შორის დავის განხილვის შეთანხმებულ წესთან, კერძოდ, სააპელაციო პალატის მოსაზრებით, მხარეთა შეთანხმება, მათ შორის წარმოშობილი დავის ინგლისის სამართლის მიხედვით განხილვის თაობაზე, გამორიცხავდა სააპელაციო სასამართლოს მიერ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობის მიხედვით უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების შესაძლებლობას.

საკასაციო სასამართლო არ იაზიარებს სააპელაციო პალატის ზემოაღნიშნულ მოსაზრებას და მიუთითებს „საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ“ საქართველოს კანონის 73<sup>1</sup> მუხლზე, რომლის მიხედვით, საქართველოს ფარგლებს გარეთ გამოტანილი საარბიტრაჟო გადაწყვეტილების ცნობა და აღსრულება ხდება „არბიტრაჟის შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილი წესით. მართალია, მოცემულ შემთხვევაში, საქმე ეხება არა საქართველოს ფარგლებს გარეთ გამოტანილი საარბიტრაჟო გადაწყვეტილების ცნობასა და აღსრულებას, არამედ საარბიტრაჟო სარჩელის უზრუნველყოფას, მაგრამ ამ საკითხის მოსაწესრიგებლადაც ეს კანონი უნდა იქნეს გამოყენებული, ვინაიდან სწორედ იგი ადგენს საქართველოში არბიტრაჟის შექმნის, საარბიტრაჟო წარმოქბის, საარბიტრაჟო გადაწყვეტილების, აგრეთვე საქართველოს ფარგლებს გარეთ გამოტანილი საარბიტრაჟო გადაწყვეტილების ცნობისა და აღსრულების წესს.

„არბიტრაჟის შესახებ“ საქართველოს კანონის 23-ე მუხლის თანხმად, მხარეს შეუძლია საარბიტრაჟო სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების მოთხოვნით მიმართოს სასამართლოს. საარბიტრაჟო სარჩელის უზრუნველყოფის საკითხებში, მიუხედავად საარბიტრაჟო განხილვის ადგილისა, სასამართლოს აქვს იგივე უფლებამოსილებანი, რაც სამართალნარმოებაში სარჩელის უზრუნველყოფის საკითხებთან დაკავშირებით. სასამართლოს მიერ საარბიტრაჟო სარჩელის უზრუნველყოფასთან დაკავშირებით გამოიყენება საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის XXIII თავით დადგენილი წესი, გარდა 192-ე მუხლისა და 198-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ვ“

და „ი“ ქვეპუნქტებისა, საერთაშორისო საარბიტრაჟო წარმოების თავისებურებათა გათვალისწინებით.

ზემოაღნიშნულ ნორმათა შინაარსიდან გამომდინარეობს, რომ საარბიტრაჟო სარჩელის უზრუნველყოფის საკითხში უფლებამოსილი სასამართლოს (თბილისისა და ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს) მიერ „არბიტრაჟის შესახებ“ საქართველოს კანონის 23-ე მუხლის დებულებები გამოიყენება არა მხოლოდ იმ შემთხვევაში, როცა საარბიტრაჟო განხილვის ადგილი არის საქართველოს ტერიტორიაზე, არამედ იმ შემთხვევაშიც, როცა საარბიტრაჟო განხილვა საქართველოს ფარგლებს გარეთ მიმდინარეობს. ამასთან, ორივე შემთხვევაში, საარბიტრაჟო სარჩელის უზრუნველყოფასთან დაკავშირებით სასამართლო უფლებამოსილია გამოიყენოს საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის XXIII თავით დადგენილი წესები, მიუხედავად იმისა, თუ რომელი ქვეყნის სამართალი ან სამართლებრივი სისტემა აირჩიეს მხარეებმა მათ შორის წარმოშობილი დავის მოსაწესრიგებლად. აღნიშნული მსჯელობა ეფუძნება „არბიტრაჟის შესახებ“ საქართველოს კანონის 36-ე მუხლის მე-3 ნაწილის შინაარსს, რომლის მიხედვით, მხარეთა ნებისმიერი მითითება რომელიმე ქვეყნის კანონმდებლობაზე ან სამართლებრივ სისტემაზე, გულისხმობს ამ ქვეყნის მატერიალურ სამართალს და არა მის საპროცესო და კოლიზიურ ნორმებს. მითითებული ნორმის ანალიზი ცხადყოფს, რომ საარბიტრაჟო შეთანხმების მხარეთა მიერ არჩეული სამართლის ნორმები დავის შინაარსობრივი ნაწილის მომწერიგებელი მატერიალური სამართლის ნორმებია. მოცემულ შემთხვევაში, მხარეთა შეთანხმება ინგლისის სამართალზე, გულისხმობს პირდაპირ მითითებას ამ ქვეყნის მატერიალურ სამართალზე და არა მის საპროცესო ნორმებზე, შესაბამისად, „არბიტრაჟის შესახებ“ საქართველოს კანონის 23-ე მუხლის გამოიყენების დაბრკოლებას არ წარმოადგენს მხარეთა მიერ დავის გადასაწყვეტად არჩეული ინგლისის სამართალი.

საარბიტრაჟო სარჩელის უზრუნველყოფასთან დაკავშირებით, მართალია, გამოიყენება საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსით დადგენილი წესები სარჩელის უზრუნვეყოფის შესახებ, მაგრამ, ამ წესების გამოიყენებისას სასამართლომ უნდა გაითვალისწინოს საერთაშორისო საარბიტრაჟო წარმოების თავისებურებები.

საერთაშორისო არბიტრაჟის, როგორც სამართლებრივი ინსტიტუტის მარეგულირებელი ნორმები თავმოყრილია უპირატესად საერთაშორისო ხელშეკრულებებში, კანონებში და საარბიტრაჟო რეგლამენტებში. საერთაშორისო ხელშეკრულებე-

ბიდან, უპირველესად, აღსანიშნავია 1958 წლის ნიუ-იორკის კონვენცია, რომელიც საერთაშორისო კომერციული არბიტრაჟის ქვაკუთხედია. ეს კონვენცია საქართველოში ძალაშია საქართველოს პარლამენტის 1994 წლის 3 თებერვლის დადგენილებით. მითითებული კონვენცია არ შეიცავს სასამართლოს მიერ საარბიტრაჟო სარჩელის უზრუნველყოფასთან დაკავშირებით შიდა სამართლის გამოყენების ამკრძალავ ნორმებს. უფერო მეტიც, კონვენცია პირდაპირ მიუთითებს ეროვნულ სამართალზე, როცა საკითხი ეხება უცხოური და არაადგილობრივი საარბიტრაჟო გადაწყვეტილების ცნობისა და აღსრულების პროცედურას (მუხლი 3). არსებობს არბიტრაჟთან დაკავშირებული სხვა საერთაშორისო ხელშეკრულებები, მაგალითად, საერთაშორისო სავაჭრო არბიტრაჟის შესახებ 1961 წლის ევროპული კონვენცია, ვაშინგტონის 1965 წლის კონვენცია, მოსკოვის 1972 წლის და კიევის 1992 წლის კონვენციები, რომელთანაც საქართველო არ არის მიერთებული და, შესაბამისად, ამ კონვენციებს საქართველოსათვის სავალდებულო ძალა არ გააჩნიათ.

საერთაშორისო არბიტრაჟის ნორმატიულ საფუძვლებზე საუბრისას გვერდს ვერ აფულით UNCITRAL-ის 1985 წლის (2006 წელს მიღებული ცვილებების გათვალისწინებით) მოდელურ კანონს საერთაშორისო კომერციული არბიტრაჟის შესახებ, რომელიც საერთაშორისო არბიტრაჟის მარეგულირებელი ნორმების უნიფიცირებულ კანონს წარმოადგენს. ეს კანონი მიღებულ იქნა გაეროს საერთაშორისო სავაჭრო სამართლის კომისიის მიერ, რომელთან დაკავშირებით გაეროს გენერალურმა ასამბლეამ მიიღო რეზოლუცია, რომელშიც აღნიშნულია, რომ „ყველა სახელმწიფომ დადგენილი წესით მხედველობაში უნდა მიიღოს მოდელური კანონი, ვინაიდან სასურველია კანონის ერთგვაროვნება არბიტრაჟის პროცედურებთან და საერთაშორისო კერძო არბიტრაჟის პრაქტიკის კონკრეტულ მოთხოვნებთან მიმართებაში“. აღსანიშნავია, რომ საერთაშორისო არბიტრაჟის მარეგულირებელი კანონმდებლობის უნიფიცირების ფორმად სპეციალურად შეირჩა მოდელური კანონი და არა კონვენცია, ვინაიდან მოდელური კანონი, კონვენციისგან განსხვავებით, იძლევა საშუალებას მოხდეს, ერთი მხრივ, არბიტრაჟის მარეგულირებელი კანონმდებლობის უნიფიცირება მსოფლიო დონეზე, მეორე მხრივ კი, თითოეული სახელმწიფო ინარჩუნებს კანონში მისი სამართლებრივი სისტემისათვის დამახასიათებელი თავისებურებების გათვალისწინების შესაძლებლობას. ზემოხსენებული მოდელური კანონი იმპლემენტირებულ იქნა სამოცდა-

ათზე მეტ ქვეყანასა და შტატში. ქვეყნების ნაწილმა მოახდინა ამ კანონის პირდაპირი რეცეფცია, მასში ცვილებების შეტანის გარეშე. სხვა ქვეყნებმა მიიღეს მოდელური კანონით შთაგონებული თანამედროვე კანონები არბიტრაჟის შესახებ. საქართველოს კანონი „არბიტრაჟის შესახებ“ მოდელური კანონის საფუძველზე მიღებული კანონია, რომელშიც ასახულია მოდელური კანონის ძირითადი დებულებები, მათ შორის, წესები საარბიტრაჟო სარჩელის უზრუნველყოფის შესახებ.

როგორც ზემოთ აღინიშნა, საერთაშორისო არბიტრაჟის მარეგულირებელი ნორმები მოცემულია ასევე საარბიტრაჟო რეგულამენტებში, ამიტომ საარბიტრაჟო სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიებების გამოყენებისას გასათვალისწინებელია ასევე ამ რეგლამენტებით დადგენილი თავისებურებები, რომლებზედაც, როგორც წესი, მხარეებმა უნდა მიუთითონ, ხოლო, ასეთი მითითების არარსებობის შემთხვევაში, სასამართლო ხელმძღვანელობს ეროვნული სამართლით. მოცემულ შემთხვევაში, არც საარბიტრაჟო მოსარჩელე და არც მისი მოწინააღმდეგი მხარე არ უთითებენ ლონდონის საზღვაო არბიტრების ასოციაციის არბიტრაჟის რეგლამენტით დადგენილ რაიმე თავისებურებაზე (ასეთი რეგლამენტი არც საქმეშია ნარმოდგენილი), ამიტომ დაუსაბუთებელია სააპელაციო სასამართლოს მსჯელობა საარბიტრაჟო სარჩელის უზრუნველყოფასთან დაკავშირებით საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსით დადგენილი წესების გამოყენებლობის თაობაზე.

გარდა ამისა, მართალია, სააპელაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ არ არსებობს საარბიტრაჟო სარჩელის უზრუნველყოფის აუცილებლობა, თუმცა გასაჩივრებული განჩინება ამ თვალსაზრისით არ შეიცავს რაიმე დასაბუთებას, ამიტომ საკაცაციო სასამართლო მოკლებულია შესაძლებლობას შეამოწმოს ამ ნაწილში განჩინების კანონიერება.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 412-ე მუხლის 1-ლი ნაწილის თანაბმად, საკაცაციო სასამართლო აუქმებს გადაწყვეტილებას და საქმეს ხელახლა განსახილველად აპრუნებს სააპელაციო სასამართლოში, თუ: а) საქმის გარემოებები საპროცესო ნორმების ისეთი დარღვევითაა დადგენილი, რომ ამ დარღვევის შედეგად საქმეზე არასწორი გადაწყვეტილება იქნა გამოტანილი და საჭიროა მტკიცებულებათა დამატებითი გამოკვლევა; ბ) არსებობს ამ კოდექსის 394-ე მუხლით გათვალისწინებული საფუძვლები, გარდა აღნიშნული მუხლის „გ“ და „ე“ ქვეპუნქტებისა.

ამავე კოდექსის 394-ე მუხლის „ე!“ ქვეპუნქტის თანახმად,

გადაწყვეტილება ყოველთვის ჩაითვლება კანონის დარღვევით მიღებულად, თუ გადაწყვეტილების დასაბუთება იმდენად არასრულია, რომ მისი სამართლებრივი საფუძვლიანობის შემოწმება შეუძლებელია.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ არსებობს სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებული განჩინების გაუქმების და საქმის ხელახლა განსახილველად დაბრუნების აბსოლუტური საფუძველი.

### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 197<sup>1</sup> მუხლის მე-4 ნაწილით, ამავე კოდექსის 419-420-ე მუხლებით და

### **დ ა ა დ გ ი ნ ა:**

1. კომპანია „ე. ლ-ს“ (....) საჩივარი ნაწილობრივ დაკმაყოფილდეს;
2. გაუქმდეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2013 წლის 24 აპრილის და 8 მაისის განჩინებები და საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს;
3. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

## სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გაუქმება

### გადაცემის დღე საქართველოს სახელით

№ას-363-345-2013

30 ივლისი, 2014 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო  
საქმეთა პალატა  
შემადგენლობა: ბ. ალავიძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
ვ. როინიშვილი,  
პ. ქათამაძე

**დავის საგანი:** თანხის ანაზღაურება

#### აღნერილობითი ნაწილი:

შ. ლ-მ სარჩელი აღძრა სასამართლოში შპს „ა. პ-ის“ მიმართ  
180 600 აშშ დოლარის ანაზღაურების შესახებ შემდეგი საფუძ-  
ვლებით:

2007 წელს შპს „ა. პ-ის“ ერთ-ერთმა დამფუძნებელმა ი. შ-მ შესთავაზა მოსარჩელეს აშშ-დან ინდაურის ხორცის შემოტანა. გარკვეული პერიოდის შემდეგ იგი დათანხმდა თანამშრომლო-  
ბას და საწყის ეტაპზე შპს „ა. პ-ის“ შეიტანა 40 000 აშშ დოლარი.  
დაახლოებით ერთი თვის შემდეგ, 2008 წლის დასაწყისში მას ფული დაუბრუნდა მოგებით.

მოსარჩელემ აიღო მხოლოდ მოგება, ხოლო ძირი თანხა და-  
ტოვა ისევ კომპანიაში სხვა საქმიანობის ინვესტირებისათვის,  
რაზეც ასევე უნდა მიეღო მოგება. ამის შემდეგ, შპს „ა. პ-მა“  
გადაწყვიტა გაყიდვული თევზისა და ხორცის შემოტანა, რომელ-  
შიც მოსარჩელე სრულად იყო ჩართული და საზოგადოებაში და-  
მატებით შეიტანა ჯერ 40 000 აშშ დოლარი, შემდეგ 9 200 აშშ  
დოლარი და 70 000 აშშ დოლარი. სულ თანხამ შეადგინა 159 200  
აშშ დოლარი. მიუხედავად არა ერთი მოთხოვნისა, შპს „ა. პ-ს“  
მასთან სათანადო ხელშექრულება არ გაუფორმებია, რითიც  
ოფიციალური სახე მიეცემოდა მის მონაწილეობას კომპანიაში.

მოპასუხებ სარჩელი არ ცნო და განმარტა, რომ შპს „ა. პ-ის“  
დირექტორმა პ. შ-მ და აღნიშნული შპს-ს 25%-იანი წილის მფლო-  
ბელმა ი. შ-მ თანხა ისესხეს შ. ლ-ისაგან 2007-2008 წლის თებერ-  
ვლის პერიოდში.

ნასესხები თანხის ნაწილი გამოიყენეს შპს „ა. პ-ის“ ინტერე-  
სებისათვის, ხოლო ნაწილი პირადი საჭიროებისთვის.

მოსარჩელეს უფლება ჰქონდა ნებისმიერ დროს მოეთხოვა

გასესხებული თანხის უკან დაბრუნება, ვინაიდან თანხის სესხების კონკრეტული ვადები მსარეთა შორის არ განსაზღვრულა. ამჟამად, შ. ლ-ს ი და პ. შ-ებისაგან მიღებული აქვს გასესხებული თანხა სარგებლის ჩათვლით.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2012 წლის 15 მაისის გადაწყვეტილებით სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა, შპს „ა. პ-ს“ შ. ლ-ის სასარგებლოდ დაეკისრა 109 200 აშშ დოლარის გადახდა, შ. ლ-ის სარჩელი შპს „ა. პ-ისათვის“ მოგების სახით 21 400 აშშ დოლარის დაკისრების ნაწილში არ დაკმაყოფილდა.

საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება სარჩელის დაკმაყოფილების ნაწილში შპს „ა. პ-მა“, ხოლო 50 000 აშშ დოლარის დაკისრების შესახებ სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის ნაწილში შ. ლ-მ გაასაჩივრეს საპელაციო წესით.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2013 წლის 14 თებერვლის გადაწყვეტილებით შ. ლ-ის სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა, შპს „ა. პ-ის“ სააპელაციო საჩივარი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა, გასაჩივრებული გადაწყვეტილების შეცვლით მიღებულ იქნა ახალი გადაწყვეტილება, შპს „ა. პ-ს“ შ. ლ-ის სასარგებლოდ დაეკისრა 21 400 აშშ დოლარის გადახდა, ხოლო დანარჩენ ნაწილში შ. ლ-ის სარჩელს ეთქვა უარი შემდეგ გარემოებათა გამო:

სააპელაციო პალატამ არ გაიზიარა შპს „ა. პ-ის“, წარმომადგენლების მტკიცება, რომ შპს „ა. პ-ს“ შ. ლ-ისგან 159 200 აშშ დოლარი ინსვესტიციის სახით არ მიუღია, არამედ თანხა ისესხეს ფიზიკურმა პირებმა – ი. და პ. შ-ებმა.

სასამართლომ ყურადღება გაამახვილა საქმეში წარმოდგენილ შპს „ა. პ-ის“ მიერ 2009 წლის 5 ოქტომბერს გაცემულ ცნობაზე, რომლითაც დასტურდება, რომ შ. ლ-ს 2007 წლის დეკემბრიდან 2008 წლის თებერვლამდე შპს „ა. პ-ის“ განხორციელებული აქვს ინვესტიცია საერთო თანხით 159 200 აშშ დოლარი. თანხის დაბრუნებამდე, შ. ლ-ს მიეცემა სარგებელი გაყინული პროდუქციის რეალიზაციიდან მიღებული მოგების 1/3-ის ოდენობით. 159 200 აშშ დოლარი შ. ლ-ს დაუბრუნდება მოთხოვნისამებრ. აღნიშნული ცნობა შედგენილია შპს „ა. პ-ის“ სატიტულო ქაღალდზე და ხელმოწერილია პ.შ-ის მიერ.

სააპელაციო პალატა ასევე არ დაეთახმა შპს „ა. პ-ის“ წარმომადგენლების მტკიცებას, რომ მითითებულ ცნობაში ტექსტი ჩაბეჭდილია მას შემდეგ, რაც მასზე განხორციელდა დირექტორის ხელმოწერა.

სააპელაციო პალატამ მიიჩნია, რომ საქმეში წარმოდგენილი

ვიდეო (აუდიო) ჩანაწერით დასტურდება შპს „ა. პ-ის“ მიერ შ. ლ-ისათვის 159 200 აშშ დოლარის დაბრუნების ფაქტი.

სააპელაციო პალატამ არ გაიზიარა შ. ლ-ის მტკიცება მის მი-მართ განხორციელებული ზენოლის შესახებ, რადგან აღნიშნუ-ლი გარემოება რაიმე მტკიცებულებით, მათ შორის, სადაც ვი-დეო(აუდიო) ჩანაწერით არ დასტურდება.

საქმეში წარმოდგენილი შპს „ა. პ-ის“ გენერალური დირექ-ტორის პ. შ-ის 2011 წლის 1 დეკემბრის ბრძანებით დგინდება, რომ ზ. ჩ-ე 2011 წლის 1 დეკემბრიდან დაინიშნა შპს „ა. პ-ის“ დირექტორის მოადგილედ. მხარეთა განმარტებებითა და სადა-ვო ვიდეო (აუდიო) ჩანაწერით კი ირკვევა, რომ შ. ლ-სა და ზ. ჩ-ს შორის საუბარი შედგა 2011 წლის 21 დეკემბერს.

სამოქალაქო კოდექსის 316-ე მუხლის 1-ლი ნაწილის, 317-ე მუხლის 1-ლი ნაწილის, 341-ე მუხლის 1-ლი ნაწილის მიხედვით, სააპელაციო პალატამ მიიჩნია, რომ შპს „ა. პ-ის“ მიერ 2009 წლის 5 ოქტომბერს გაცემული ცნობა წარმოადგენს ვალის არსებო-ბის აღიარების შესახებ ხელშეკრულებას.

სარჩელში შ. ლ-ის სასარჩელო მოთხოვნას წარმოადგენს მო-პასუხისათვის 180 600 აშშ დოლარის დაკისრება, საიდანაც 159 200 აშშ დოლარი არის ძირი თანხა, ხოლო 21 400 აშშ დოლარი – გადაუხდელი სარგებელი.

სააპელაციო პალატამ ყურადღება გაამახვილა მოპასუხე შპს „ა. პ-ის“ შესაგებელზე, რომლითაც ეს უკანასკნელი სადაცოდ არ ხდის სარგებლის სახით მოთხოვნილი თანხის ოფენიბას, არა-მედ, უთითებს მხოლოდ იმას, რომ შ. ლ-ს მთლიანად დაუბრუნ-და ნასესხები თანხა სარგებლის ჩათვლით.

სასამართლოს მოსაზრებით, სამოქალაქო საპროცესო კო-დექსის 102-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, იმ გარემო-ების მტკიცების ტვირთი, რომ შპს „ა. პ-ს“ შ. ლ-ისათვის დაბრუ-ნებული აქვთ ინვესტირებული თანხა და სარგებელი სრულად, მოპასუხეს ეკისრება, რაც ამ უკანასკნელმა დარჩენილი სარ-გებლის – 21 400 აშშ დოლარის დაბრუნების ნაწილში სათანა-დოდ ვერ განახორციელა. შესაბამისად, არ დადასტურდა 21 400 აშშ დოლარის შ. ლ-ისათვის დაბრუნების ფაქტი.

სასამართლომ უსაფუძვლოდ ჩათვალა შ. ლ-ის სააპელაციო საჩივარი, ვინაიდან დადგინდა შპს „ა. პ-ის“ მხრიდან შ. ლ-ისათ-ვის კომპანიაში ინვესტირებული 159 200 აშშ დოლარის დაბრუ-ნების ფაქტი.

სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება შპს „ა. პ-მა“ გაასაჩივრა საკასაციო წესით. კასატორმა გასაჩივრებული გა-დაწყვეტილების გაუქმება, სარჩელის დაკმაყოფილებაზე უა-

რის თქმა და მოსარჩელისათვის მის სასარგებლოდ სასამართლო ხარჯების გადახდის დაკისრება მოითხოვა.

კასატორის განმარტებით, სააპელაციო სასამართლომ უგულვებელყო სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 377-ე მუხლის 1-ლი ნაწილი, გასცდა შ. ლ-ის სააპელაციო საჩივრით გათვალისწინებულ მოთხოვნას, როდესაც შპს „ა. პ-ს“ დაკისრა 21 400 აშშ დოლარის გადახდა.

სააპელაციო სასამართლომ არასრულად დაასაბუთა ადვოკატის მომსახურებისათვის საქალაქო და სააპელაციო ინსტანციის სასამართლოებში გაწეული ხარჯის დაანგარიშების საკითხი.

აღსანიშნავია, რომ შ. ლ-მ გაასაჩივრა საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის მხოლოდ 1.1 პუნქტი, როდესაც სააპელაციო საჩივრით მოითხოვა მხოლოდ ძირი თანხის სახით საქალაქო სასამართლოს მიერ დაუკმაყოფილები 50 000 აშშ დოლარის დაკმაყოფილება.

სააპელაციო საჩივრში შ. ლ-ს საერთოდ არ უხსესებია სარგებლის – 21 400 აშშ დოლარის დაკისრების შესახებ.

### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლო საქმის შესწავლის, საკასაციო საჩივრის საფუძვლების განხილვის შედეგად მიიჩნევს, რომ შპს „ა. პ-ის“ საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

საკასაციო პალატა ყურადღებას გაამახვილებს სააპელაციო სასამართლოს მიერ დადგენილ, დავის გადაწყვეტისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე შემდეგ გარემოებზე:

შპს „ა. პ-მა“ შ. ლ-ისაგან ინსკოსტიციის სახით მიიღო 159 200 აშშ დოლარი.

2009 წლის 5 ოქტომბერს შპს „ა. პ-მა“ გასცა ცნობა, რომლითაც ამ უკანასკნელმა შ. ლ-ის წინაშე აღიარა ძირი თანხის – 159 200 აშშ დოლარის და სარგებლის – გაყინული პროდუქციის რეალიზაციიდან მიღებული მოგების 1/3 ნაწილის გადახდის ვალდებულება.

შპს „ა. პ-მა“ შ. ლ-ს დაუბრუნა 159 200 აშშ დოლარი.

შპს „ა. პ-ს“ შ. ლ-ისათვის არ დაუბრუნებია სარჩელით მოთხოვნილი მოგების თანხა – 21 400 აშშ დოლარის ოდენობით.

სააპელაციო სასამართლომ არ გაიზიარა შ. ლ-ის მტკიცება იმასთან დაკავშირებით, რომ მასზე განხორციელდა ზენოლა იმ მოტივით, რათა ელიარებინა ვალდებულების შესრულების მიღება.

საკასაციო პალატა მიუთითებს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 393-ე მუხლის პირველ ნაწილზე, რომლის მიხედვითაც საკასაციო საჩივარი შეიძლება ეფუძნებოდეს მხოლოდ იმას, რომ გადაწყვეტილება კანონის დარღვევითა გამოტანილი. ამავე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, საპროცესო სამართლის ნორმების დარღვევა მხოლოდ მაშინ შეიძლება გახდეს გადაწყვეტილების გაუქმების საფუძველი, თუ ამ დარღვევის შედეგად საქმეზე არასწორი გადაწყვეტილება იქნა გამოტანილი.

როგორც განსახილველი საკასაციო საჩივრის შინაარსიდან ირკვევა, კასატორის ძირითადი პრეტენზია ეძღვნება სააპელაციო სასამართლოს მხრიდან საპროცესო სამართლის ნორმების დარღვევას, კერძოდ, 377-ე მუხლის მოთხოვნათა დარღვევას. აღნიშნული პრეტენზის საფუძვლიანობის შემოწმების მიზნით, საკასაციო სასამართლო ყურადღებას გაამახვილებს რამდენიმე გარემოებაზე:

სარჩელით შ. ლ-მ მოითხოვა მოპასუხე შპს „ა. პ-ისათვის“ 180 600 აშშ დოლარის დაკისრება, საიდანც მისივე განმარტებით 159 200 აშშ დოლარი წარმოადგენდა ინვესტიციის სახით გადაცემულ ძირ თანხას, ხოლო 21 400 აშშ მისაღები მოგების თანხას.

თბილისის საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილებით შ. ლ-ის სარჩელი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ. შპს „ა. პ-ს“ შ. ლ-ის სასარგებლოდ დაეკისრა ძირი თანხის – 109 200 აშშ დოლარის გადახდა. შ. ლ-ის სარჩელი შპს „ა. პ-ისათვის“ მოგების სახით 21 400 აშშ დოლარის დაკისრების ნაწილში არ დაკმაყოფილდა.

პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება შ. ლ-მ გაასაჩივრა მხოლოდ ძირი თანხიდან 50 000 აშშ დოლარის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის ნაწილში. რაც შეეხება მოგებას, ამ ნაწილში მას გადაწყვეტილება არ გაუსაჩივრებია და არც შესაბამის უსწორობაზე მიუთითებია. პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა ასევე შპს „ა. პ-მა“, რომელმაც სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა მოითხოვა. მნიშვნელოვანია, რომ თვით შ. ლ-ც არ უარყოფს სააპელაციო სასამართლოს მხრიდან საპროცესო ნორმების დარღვევის ფაქტს.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 377-ე მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად, სააპელაციო სასამართლო ამონმებს გადაწყვეტილებას სააპელაციო საჩივრის ფარგლებში ფაქტობრივი და სამართლებრივი თვალსაზრისით. ზემოთ მოყვანილ გარემოებებს თუ მივიღებთ მხედველობაში, მივალთ იმ ცალსახადასკვნამდე, რომ მოცემულ საქმეში სააპელაციო სასამართლო

გასცდა სააპელაციო საჩივრის ფარგლებს, კერძოდ, პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება შეცვალა იმ ნაწილში, იგულისხმება მოპასუხისათვის მოგების სახით 21 400 აშშ დოლარის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა, რომელიც მხარეებს სააპელაციო წესით არ გაუსაჩივრებიათ. საპროცესო ნორმათა ამ სახის დარღვევას შედეგად მოყვა არასწორი გადაწყვეტილების გამოტანა.

რაც შეეხება სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილების იმ ნაწილს, რომელითაც შ. ლ-ს უარი ეთქვა შპს „ა. პ-ისათვის“ 109 200 აშშ დოლარის დაკმასრების თაობაზე, ამ ნაწილში სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილების კანონიერების შემოწმების საფუძველი არ არსებობს, რადგან საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2014 წლის 28 ივლისის განჩინებით, შ. ლ-ის საკასაციო საჩივარი დაუშვებლად იქნა მიჩნეული.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 411-ე მუხლის მიხედვით, საკასაციო სასამართლო თვითონ მიიღებს გადაწყვეტილებას საქმეზე, თუ არ არსებობს ამ კოდექსის 412-ე მუხლით გათვალისწინებული გადაწყვეტილების გაუქმებისა და საქმის სააპელაციო სასამართლოში ხელახლა განსახილველად დაბრუნების საფუძვლები. ვინაიდან არ არსებობს საპროცესო კოდექსის 412-ე მუხლით გათვალისწინებული საქმის ხელახლა განსახილველად დაბრუნების ნინაპირობები, საკასაციო პალატა უფლებამოსილია თვითონ გადაწყვეტოს დავა.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 399-ე მუხლის თანახმად, საქმის განხილვა საკასაციო სასამართლოში წარმოებს იმ წესების დაცვით, რომლებიც დადგენილია სააპელაციო სასამართლოში საქმეთა განხილვისათვის, გარდა იმ გამონაკლისებისა, რომელთაც ეს თავი შეიცავს. ამავე კოდექსის 372-ე მუხლის შესაბამისად კი, საქმის განხილვა სააპელაციო სასამართლოში წარმოებს იმ წესების დაცვით, რაც დადგენილია პირველი ინსტანციით საქმეთა განხილვისათვის, ამ თავში მოცემული ცვლილებებითა და დამატებებით. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 199<sup>1</sup> მუხლის მიხედვით, სარჩელის მიღებაზე უარის თქმის, სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის, სარჩელის განუხილველად დატოვების ან საქმის წარმოების შეწყვეტის შემთხვევაში სასამართლო თავისი გადაწყვეტილებით (განჩინებით) აუქმებს ამ სარჩელთან დაკავშირებით გამოყენებულ უზრუნველყოფის ღონისძიებას, რაც საჩივრდება ამ გადაწყვეტილების (განჩინების) გასაჩივრებისათვის კანონით დადგენილი წესით. მხარეთა მორიგების შემთხვევაში სასამართლო აუქმებს უზრუნველყოფის ღონისძიებას, თუ მხარეები სხვა რამეზე არ

**შეთანხმდებიან.**

ვინაიდან, განსახილველ შემთხვევაში, საქართველოს უზენაესი სასამართლოს ახალი გადაწყვეტილებით შ. ლ-ის სარჩელს უარი უნდა ეთქვას დაკმაყოფილებაზე, საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ უნდა გაუქმდეს აღნიშნულ საქმეზე თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2011 წლის 20 დეკემბრის განჩინებით გამოყენებული სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიება, რომლითაც ყადალა დაედო შპს „ა. პ-ის“ საკუთრებაში არსებულ ქ.თბილიში, №1 მ. ჩიხში მდებარე უძრავ ქონებას საკადასტრო კოდით: .....

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 53-ე მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად, იმ მხარის მიერ გადებული ხარჯების გადახდა, რომლის სასარგებლოდაც იქნა გამოტანილი გადაწყვეტილება, ეკისრება მეორე მხარეს, თუნდაც ეს მხარე განთავსუფლებული იყოს სახელმწიფოს ბიუჯეტში სასამართლო ხარჯების გადახდისაგან. ამავე ნაწილით მოწესრიგებულია წარმომადგენლის დახმარებისათვის განეული ხარჯების ანაზღაურების საკითხი, კერძოდ, იმ მხარის წარმომადგენლის დახმარებისათვის განეულ ხარჯებს, რომლის სასარგებლოდაც იქნა გამოტანილი გადაწყვეტილება, სასამართლო დაკისრებს მეორე მხარეს გონიერულ ფარგლებში, მაგრამ არა უმეტეს ამ კოდექსის 47-ე მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებული ოდენობისა, რაც ქონებრივ დავებში გულისხმობს დავის საგნის ღირებულების 4 პროცენტამდე ოდენობით ანაზღაურებას.

საქმის მასალების მიხედვით, შპს „ა. პ-ის“ სახელმწიფო ბაჟის სახით სააპელაციო და საკასაციო ინსტანციის სასამართლო-ებში გადაიხადა 8765,18 ლარი, ხოლო საადვოკატო მომსახურების სახით სამიცე ინსტანციის სასამართლოში – 4980 ლარი. შესაბამისად, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ შ. ლ-ს შპს „ა. პ-ის“ სასარგებლოდ უნდა დაეკისროს სასამართლო ხარჯების გადახდა 13745,18 ლარის ოდენობით.

### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 53-ე, 411-ე მუხლებით და

### **გ ა დ ა ნ ყ ვ 3 0 ტ ა:**

1. შპს „ა. პ-ის“ საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს.
2. გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2013 წლის 14 თებერვლის გადაწყვე-

ტილების სარეზოლუციო ნაწილის მე-4 და მე-6 პუნქტები.

3. გაუქმდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2011 წლის 20 დეკემბრის განჩინებით გამოყენებული სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიება და მოეხსნას ყადაღა შპს „ა. პ-ის“ საკუთრებაში არსებულ ქ.თბილიში, №1 მ. ჩიხში მდებარე უძრავ ქონებას, საკადასტრო კოდით:..... .

4. შ. ლ-ს დაეკისროს შპს „ა. პ-ის“ სასარგებლოდ 13745,18 ლარის გადახდა.

5. საკასაციო პალატის გადაწყვეტილება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

## სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გაუქმება

### განჩინება

№ას-518-491-2014

19 სექტემბერი, 2014 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა  
შემადგენლობა: ბ. ალავიძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
თ. თოლია,  
პ. ქათამაძე

**დავის საგანი:** შრომის ხელშეკრულებიდან გამომდინარე წარმოშობილი ვალდებულებების შესრულება, ნივთის საკუთრებაში გადაცემა

### აღნერილობითი ნაწილი:

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2014 წლის 16 ივლისის განჩინებით გ. ს-ის საკასაციო საჩივარი „პიუნდაი გრენდორის“ მარკის ავტომანქანის (სახელმწიფო ნომერი „...“, სანდენტიფიკაციო №..., ღირებულება – 26 000 აშშ დოლარი) მის საკუთრებაში გადაცემის ნაწილში დარჩა განუხილველად.

შპს „რ..... ზ-მ“ განცხადებით მიმართა სასამართლოს და მოითხოვა ზემოხსენებულ სატრანსპორტო საშუალებაზე არსებული ყადაღის მოხსნა.

### სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ შეისწავლა საქმის მასალები, შეა-

მოწმა წარმოდგენილი განცხადების საფუძვლიანობა და მიაჩნია, რომ შპს „რ..... ზ-ის“ განცხადება სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გაუქმების თაობაზე უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

საქმის მასალებიდან ირკვევა, რომ თბილისის საქალაქო სასამართლოს 2013 წლის 13 მაისის განჩინებით გ. ს-ის განცხადება დაკმაყოფილდა, ყადაღა დაედო შპს „რ..... ზ-ის“ სახელზე საკუთრების უფლებით რიცხულ ავტომანქანას, ჰიუნდაი გრენდორი გამოშვების წელი 2011, სახელმწიფო №...., კოდი №.....

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმე-თა პალატის 2014 წლის 16 ივლისის განჩინებით გ. ს-ის საკასაციო საჩივარი „ჰიუნდაი გრენდორის“ მარკის ავტომანქანის (სახელმწიფო ნომერი „...“, სანდენტიფიკაციო №...., ლირებულება – 26 000 აშშ დოლარი) მის საკუთრებაში გადაცემის ნაწილში დარჩა განუხილველად.

ამდენად, წარმოდგენილი დავის იმ ნაწილზე, რომელიც ზემოხსენებულ ავტომანქანას ეხება, წარმოება დასრულებულია და, სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების მიზნებიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო იზიარებს განცხადებლის მოსაზრებას, რომ განსახილველ შემთხვევაში არსებობს გამოყენებულ უზრუნველყოფის ღონისძიების გაუქმების საფუძველი, კერძოდ:

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 191-ე მუხლის 1-ლი და მე-2 ნაწილების ანალიზი ცხადყოფს, რომ კანონმდებელი შესაძლებლობას აძლევს მხარეს, მოითხოვოს სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენება, თუ იქმნება ვარაუდი, რომ საქმეზე მიღებული გადაწყვეტილების აღსრულება შემდგომში გაძნელდება ან შეუძლებელი გახდება. შესაბამისად, სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენება საჭიროა საქმეზე საბოლოო გადაწყვეტილების მიღებამდე და მის აღსრულებამდე.

აღნიშნულ მსჯელობას ამყარებს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 199<sup>1</sup> მუხლის დანაწესი, რომლის თანახმად სარჩელის მიღებაზე უარის თქმის, სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის, სარჩელის განუხილველად დატოვების ან საქმის წარმოების შეწყვეტის შემთხვევაში სასამართლო თავისი გადაწყვეტილებით (განჩინებით) აუქმებს ამ სარჩელთან დაკავშირებით გამოყენებულ უზრუნველყოფის ღონისძიებას.

ყოველივე ზემოხსენებულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ შპს „რ..... ზ-ის“ განცხადება სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გაუქმების შესახებ უნდა

დაქმაყოფილდეს, ხოლო შპს „რ..... ზ-ის“ კუთვნილ „ჰიუნდაი გრენდორის“ მარკის ავტომანქანას (სახელმწიფო ნომერი „.....“, სანდენტიფიკაციო №.....) ყადალა უნდა მოეხსნას.

#### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 1991-ე მუხლით და

#### **დ ა ა დ გ ი ნ ა:**

1. შპს „რ..... ზ-ის“ განცხადება სარჩელის უზრუნველყოფის ორნიშნების გაუქმების შესახებ დაქმაყოფილდეს.
2. შპს „რ..... ზ-ის“ კუთვნილ „ჰიუნდაი გრენდორის“ მარკის ავტომანქანას (სახელმწიფო ნომერი „.....“, სანდენტიფიკაციო №.....) ყადალა მოეხსნას.
3. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ გა-საჩივრდება.

#### **დაუსრუებელი გადაწყვეტილების გაუქმების საფუძველი**

#### **განხილვა**

№ას-513-486-2014

27 ივნისი, 2014 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა  
შემადგენლობა: ვ. როინიშვილი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
ბ. ალავიძე,  
პ. ქათამაძე

**დავის საგანი:** ბრძანების ბათილად ცნობა, სამუშაოზე აღ-დგენა, განაცდურის ანაზღაურება

#### **აღნერილობითი ნაწილი:**

დ. ს-ამ თბილისის საქალაქო სასამართლოში სარჩელი აღდრა და მოითხოვა შპს „თ. ს. ს. დ. ც-ის“ დირექტორის 2013 წლის 5 აპრილის დ. ს-ას გათავისუფლების შესახებ №338/1 ბრძანების ბათილად ცნობა, სამსახურში აღდგენა, განაცდურის, ყოველ-თვიურად 2 080 ლარის, ანაზღაურება 2013 წლის 5 აპრილიდან

სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულებამდე.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2013 წლის 12 დეკემბრის გადაწყვეტილებით დ. ს-ას სარჩელი დაკმაყოფილდა, ბათილად იქნა ცნობილი შპს „ს. ს. დ. ც-ის“ დირექტორის 2013 წლის 5 აპრილის №338/1 ბრძანება დ. ს-ას გათავისუფლების შესახებ. დ. ს-ა აღდგენილ იქნას შპს „ს. ს. დ. ც-ის“ დირექტორის მოადგილის თანამდებობაზე. მოპასუხე შპს „ს. ს. დ. ც-ს“ დ. ს-ას სასარგებლობდ დაეკისრა იძულებით განაცდურის ანაზღაურება თვეში ხელზე ასაღები 2080 ლარი 2013 წლის 5 აპრილიდან სამსახურში აღდგენის დღემდე.

აღნიშნული გადაწყვეტილება მოპასუხემ სააპელაციო წესით გაასაჩივრა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2014 წლის 22 აპრილის განჩინებით, სასამართლოს სხდომაზე აპელანტის გამოუცხადებლობის გამო, სააპელაციო საჩივარი დარჩა განუხილველად. სააპელაციო სასამართლომ მიუთითა, რომ შპს „ს. ს. დ. ც-ს“, სააპელაციო სასამართლოში საქმის ზეპირი განხილვის სხდომის დღის თაობაზე სასამართლო უწყება გაეგზავნა 2014 წლის 7 აპრილს, სააპელაციო საჩივარში მხარის მიერ მითითებულ მისამართზე. გზავნილის ჩაბარების შესახებ შეტყობინების ბარათით დასტურდება, რომ სასამართლო უწყება ჩაბარდა აპელანტს შპს „ს. ს. დ. ც-ის“ საქმის წარმოების სპეციალისტს ე. მ-ს, 2014 წლის 10 აპრილს, რაც დასტურდება გზავნილზე აღნიშნული პიროვნების ხელმოწერით და მითითებული პირადობის მოწმობით №....; აპელანტს არ უცნობებია სააპელაციო სასამართლოსათვის სხდომაზე მისი გამოუცხადებლობის მიზეზის თაობაზე.

სააპელაციო სასამართლოს განჩინება შპს „ს. ს. დ. ც-მი“ კერძო საჩივრით გაასაჩივრა. მისი მითითებით, უწყება ჩაბარდა სისი „ს. ს. დ. ც-ს“, რომელიც იმავე მისამართზე მდებარეობს. უწყებაზე ხელმოწერი პირი – ე. მ-ი არ არის შპს „ს. ს. დ. ც-ის“ თანამშრომელი. საშტატო განრიგი ადასტურდებს, რომ საქმის მწარმოებლის პოზიციაზე გათვალისწინებულია ერთი საშტატო ერთეული. შესაბამისი ბრძანებით დასტურდება, რომ ნ. კ.-თ-ი 2014 წლის 8 იანვრიდან დღემდე მუშაობს საქმისმწარმოებლად.

### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ განიხილა კერძო საჩივარი, შეისავლა საქმის მასალები, გასაჩივრებული განჩინების სამართლებრივი დასაბუთებულობა და მიიჩნევს, რომ შპს „ს. ს. დ. ც-ის“ კერძო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოე-

**ბათა გამო:**

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 229-ე მუხლის 1-ლი და მე-2 ნაწილების თანახმად, თუ სასამართლოს მთავარ სხდომაზე არ გამოცხადდება მოსარჩელე, რომელსაც გაეგზავნა შეტყობინება 70-78-ე მუხლებით დადგენილი წესით და მოპასუხე არ მოითხოვს დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანას, სასამართლოს გამოქვეს განჩინება სარჩელის განუხილველად დატოვების შესახებ.

მოცემულ შემთხვევაში სასამართლოს სხდომაზე აპელანტი არ გამოცხადდა, ვინაიდან მოწინააღმდეგე მხარე არ ითხოვდა დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანას, თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2014 წლის 22 აპრილის განჩინებით სააპელაციო საჩივარი დარჩა განუხილველად.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 241-ე მუხლის მიხედვით, დაუსწრებელი გადაწყვეტილება უნდა გაუქმდეს და საქმის განხილვა განახლდეს, თუ არსებობს ამ კოდექსის 233-ე მუხლით გათვალისწინებული საფუძვლები ან, თუ მხარის გამოუცხადებლობა გამოწვეული იყო სხვა საპატიო მიზეზით, რომლის შესახებაც მას არ შეეძლო თავის დროზე ეცნობებინა სასამართლოსათვის, მართალია, მოცემული მუხლი ეხება დაუსწრებელი გადაწყვეტილების გაუქმებას, მაგრამ, ვინაიდან განსახილველ შემთხვევაში სააპელაციო საჩივრის განუხილველად დატოვება განპირობებული იყო მთავარ სხდომაზე აპელანტის გამოუცხადებლობით, საკასაციო პალატამ დაუსწრებელი გადაწყვეტილების მომწერიგებელი ნორმებით უნდა იხელმძღვანელოს.

იმავე კოდექსის 233-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „ა“ ქვეპუნქტის თანახმად, მხარის გამოუცხადებლობის შემთხვევაში სასამართლოს დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანა დაუშვებელია, თუ გამოუცხადებელი მხარე მოწვეული არ იყო ამ კოდექსის 70-ე-78-ე მუხლებით დადგენილი წესით.

საკასაციო სასამართლო ყურადღებას ამახვილებს, რომ უწყების ჩაბარების შესახებ შეტყობინების ბარათზე დასმულია არა შპს „ს. ს. დ. ც-ის“, არამედ სსპ „ს. ს. დ. ც-ის“ ბეჭედი, რომელიც მოპასუხის იდენტური დასახელების, მაგრამ განსახვავებული სამართლებრივი ფორმის ორგანიზაციაა. შეტყობინების ბარათზე ბეჭედი დასმულია იმგვარად, რომ არ ჩანს იურიდიული პირის უნიკალური გადასახადის გადამხდელის საიდენტიფიკაციო კოდი. ამ გარემოებების გათვალისწინებით, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ საქმეში არსებული მტკიცებულე-

ბებით უტყუარად არ დასტურდება ის გარემოება, რომ უწყება ჩაბარდა შპს „ს. ს. დ. ც-ს“, ყოველგვარი ეჭვი კი მხარის სასარგებლოდ უნდა გადაწყდეს, შესაბამისად, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ მოცემულ საქმეზე არსებობს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 233-ე მუხლით გათვალისწინებული გა-საჩივრებული განჩინების გაუქმების საფუძველი.

### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 420-ე, 412-ე მუხლებით და

### **დ ა ა დ გ ი ნ ა:**

1. შპს „ს. ს. დ. ც-ის“ კერძო საჩივრი დაკმაყოფილდეს;
2. გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2014 წლის 22 აპრილის განჩინება და საქმე შპს „ს. ს. დ. ც-ის“ სააპელაციო საჩივრის განსახილველად დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს;

საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

### **სასამართლო სცდომაზე გამოუცხადებლობის საპატიო მიზანი**

#### **განხილვა**

№ას-1646-1543-2012

22 მაისი, 2014 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა  
შემადგენლობა: პ. ქათამაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
პ. როინიშვილი,  
პ. ალავიძე

**დავის საგანი:** ინდივიდუალური ბინათმშენებლობის ამხანაგობის სადამთურებლო ხელშეკრულების ბათილად ცნობა

### **აღწერილობითი ნაწილი:**

მ. მ-მა, მ. ჩ-მა, ი. მ-მა, მ. რ-მა, ა. ვ-მა, ი. მ-მ, გ. მ-მა, თ. დ-მა და გ. ც-მა სარჩელი აღძრეს სასამართლოში ინდივიდუალური

ბინათმშენებლობის ამხანაგობა „ა-ის ჩიხის“ წევრების: ო. კ-ის, მ. ხ-ის, ე. ს-ის, თ. ს-ის, ი. ს-ის, თ. ს-ის, რ. თ-ის, თ. ლ-ას, ს. კ-ის, ა. კ-ის, ნ. ბ-ის, მ. დ-ის, ვ. ნ-ის, ა. ა-ის, ე. ი-ის, ე. პ-ის, ნ. გ-ის, ნ. ბ-ის, თ. დ-ის, ე. მ-ის, მ. ი-ის, ბ. ყ-ის, თ. ყ-ი-დ-ის, გ. ა-ის, ი. მ-ის, ი. კ-ის, გ. გ-ის, ნ. გ-ის, ი. გ-ის, გ. მ-ის, ს. ი-ის, ნ. დ-ის, მ. ლ-ის, მ. ქ-ის, რ. კ-ის, ნ. ა-ისა და ი. მ-ის მიმართ და მოითხოვეს 2007 წლის 27 ნოემბრის ნოტარიულად დამოწმებული ინდივი-დუალურ ბინათმშენებლობის ამხანაგობა „ა-ის ჩიხის“ სადამ-ფუძნებლო ხელშეკრულების ბათილად ცნობა მოსარჩელების: თ. დ-ის, მ. რ-ის, ი. მ-ის, მ. ჩ-ის, ა. ვ-ის, გ. ც-ის, გ. მ-ის, ი. მ-ის, მ. მ-ის ნაწილში.

მოპასუხეებმა სარჩელი არ ცნეს და მის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა მოითხოვეს.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2012 წლის 23 მაისის გადაწყვეტილებით სარჩელი არ დაკმაყოფილდა, რაც სააპელაციო წესით გაასაჩივრეს თ. დ-მა, მ. რ-მა, ი. მ-მა, მ. ჩ-მა, ა. ვ-მა, გ. მ-მა, ი. მ-მ და მ. მ-მა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმე-თა პალატის 2012 წლის 9 ოქტომბრის საოქმო განჩინებით პე-ლანტ თ. დ-ის შუამდგომლობა სხდომის გადადების თაობაზე არ დაკმაყოფილდა, მ. რ-ის, ი. მ-ის, მ. ჩ-ის, ა. ვ-ის, გ. მ-ის, ი. მ-ისა და მ. მ-ის სააპელაციო საჩივრი დარჩა განუხილველად შემ-დეგი საფუძვლებით:

სააპელაციო სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ პე-ლანტების წარმომადგენელ თ. კ-ს საქმეში წარმოდგენილი სა-ტელეფონო შეტყობინების აქტის თანახმად, სასამართლო სხდომის თარიღისა და დროის შესახებ სამოქალაქო საპროცე-სო კოდექსის 70-78-ე მუხლებით დადგენილი წესით ეცნობა 2012 წლის 5 სექტემბერს, აპელანტების წარმომადგენელს სააპელა-ციო სასამართლოსთვის არ მიუმართავს სხდომის გადადების შესახებ და არც გამოუცხადებლობის საპატიო მიზეზი უცნო-ბებია, შესაბამისად, პალატამ მოწინააღმდეგე მხარეების წარ-მომადგენელ ა. გ-ს შუამდგომლობა მ. რ-ის, ი. მ-ის, მ. ჩ-ის, ა. ვ-ის, გ. მ-ის, ი. მ-სა და მ. მ-ის სააპელაციო საჩივრის განუხილვე-ლად დატოვების შესახებ საფუძვლიანად მიიჩნია სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 372-ე, 216-ე მუხლების, 215-ე მუხლის მე-3 ნაწილის, 387-ე მუხლის პირველი ნაწილისა და 229-ე მუხ-ლის შესაბამისად.

სააპელაციო სასამართლოს ზემოაღნიშნულ განჩინებაზე მ. მ-ის, ი. მ-სა და გ. მ-ის სახელით კერძო საჩივარი შეიტანა თ. კ-მ, მოითხოვა განჩინების გაუქმება და საქმის იმავე სასამართლო-

სათვის დაბრუნება შემდეგი საფუძვლებით:

სააპელაციო სასამართლოში 2012 წლის 9 ოქტომბერს დანიშნულ სასამართლოს სხდომაზე თ. კ-ე იცავდა მ. მ-ის, ი. მ-ს, გ. მ-ისა და თ. დ-ის ინტერესებს. ამავე დღეს ბოლნისის რაიონულ სასამართლოში დანიშნულ სხდომაზე თ. კ-ე იცავდა ბ-ს №... საოლქო საარჩევნო კომისიის ინტერესებს. ვინაიდან, საარჩევნო კანონმდებლობიდან გამომდინარე დავები განიხილება შემჭიდროებულ ვადებში – 2 დღეში და საარჩევნო დავის თაობაზე სასამართლო სხდომის დანიშვნა თ. კ-ს ეცნობა 8 ოქტომბრის საღამოს, მან ველარ შეძლო ვერც სააპელაციო სასამართლოს სხდომაზე გამოცხადება და ვერც სასამართლოს გაფრთხილება საპატიო მიზეზის თაობაზე.

კერძო საჩივარს ავტორმა დაუურთო ბოლნისის რაიონული სასამართლოს მოხელის მიერ გაცემული ცნობები, რომელთა თანახმადაც თ. კ-ე ამავე სასამართლოში 2012 წლის 9 ოქტომბერს მიმდინარე სხდომებზე (12:26 სთ-დან 16:16 სთ-მდე; 16:45 სთ-დან 17:53 სთ-მდე) იცავდა №... ბ-ის საოლქო საარჩევნო კომისიის ინტერესებს, ასევე წარმოდგენილია საოლქო საარჩევნო კომისიის 2012 წლის 1 სექტემბრის №14/2012 განკარგულება №... ბ-ის საოლქო საარჩევნო კომისიის იურისტად თ. კ-ის დანიშვნის თაობაზე.

მ. მ-ის, მ. ჩ-ის, ი. მ-ის, მ. რ-ის, ა. ვ-ის, ი. მ-ისა და გ. მ-ის სახელით სააპელაციო სასამართლოს განჩინებაზე ასევე წარადგინა კერძო საჩივარი აპელანტთა წარმომადგენელმა ლ. ტ-მა, მოითხოვა გასაჩივრებული განჩინების გაუქმება და საქმის იმავე სასამართლოსათვის დაბრუნება შემდეგი საფუძვლებით:

ლ. ტ-ს განმარტებით, მან, როგორც აპელანტების წარმომადგენელმა, ვერ შეძლო სასამართლო სხდომაზე გამოცხადება ავადმყოფობის (ჰიპერტონიული კრიზი) გამო, რაც დასტურდება სამედიცინო დოკუმენტაციით. სააპელაციო სასამართლომ კი, დაადგინა სააპელაციო საჩივრის განუხილველად დატოვება. გარდა ამ გარემოებისა, ვინაიდან 2012 წლის აგვისტოში გარდაიცვალა მოპასუხე ნ. გ-ე, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 279-ე მუხლის „ა“ ქვეპუნქტის თანახმად, სასამართლოს უნდა შეეჩერებინა საქმის განხილვა და არ განხილა სააპელაციო საჩივარი.

კერძო საჩივრის ავტორმა წარმომადგინა საავადმყოფო ფურცელი, სამედიცინო სამსახურ „ი. ჩ-ის“ პირადი ექიმის მიერ გაცემული ცნობა და შპს სამედიცინო ცენტრ „ი-ს“ მიერ გაცემული ცნობა ჯანმრთელობის მდგომაროების შესახებ.

## **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების შესწავლის, კერძო საჩივრის მოტივების საფუძვლიანობისა და გასაჩივრებული განჩინების დასაბუთებულობა-კანონიერების შემოწმების შედეგად მივიდა იმ დასკვნამდე, რომ მ. მ-ის, ი. მ-სა და გ. მ-ის კერძო საჩივარი არ უნდა დაემაყოფილდეს, ხოლო მ. ჩ-ის, ი. მ-ის, მ. რ-ისა და ა. ვ-ის კერძო საჩივარი უნდა დაემაყოფილდეს, ამ ნაწილში გასაჩივრებული განჩინება უნდა გაუქმდეს და საქმე ხელახლა განსაზღველად დაუპრუნდეს იმავე სასამართლოს შემდეგ გარემოებათა გამო:

საქმეში წარმოდგენილი კერძო საჩივრების ფარგლებში საკასაციო სასამართლოს შეფასების საგანს წარმოადგენს სასამართლო სხდომაზე აპელაცითა გამოუცხადებლობის გამო, სააპელაციო სასამართლოს მიერ, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 387-ე მუხლის პირველი და მე-3 ნაწილების, 229-ე მუხლის მე-2 ნაწილისა და 275-ე მუხლის პირველი ნაწილის „გ“ ქვეპუნქტის გამოყენებისა და ამ ნორმათა საფუძვლებზე სააპელაციო საჩივრის განუხილველად დატოვების კანონიერების შემოწმება. საკითხის სწორად გადაწყვეტის მიზნით პალატა ყურადღებას გაამახვილებს შემდეგ გარემოებებზე:

წინამდებარე დავა გამომდინარეობს ერთობლივი საქმიანობის ხელშეკრულებიდან და მისი წევრები მოითხოვენ სადამუჯდნებლო ხელშეკრულების ბათილად ცნობას, ამდენად, სახეზე არ არის მხარეთა სავალდებულო თანამონაწილეობა;

საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილებით სარჩელი არ დაკმაყოფილდა, რაც სააპელაციო წესით გაასაჩივრეს თ. დ-მა, მ. რ-მა, ი. მ-მა, მ. ჩ-მა, ა. ვ-მა, გ. მ-მა, ი. მ-მ და მ. მ-მა;

საქმეში წარმოდგენილი სანოტარო წესით დამოწმებული მინდობილობების თანახმად, ი. მ-ის, გ. მ-ის, მ. მ-ის, ი. მ-ის, თ. დ-ის, მ. ჩ-ის, მ. რ-ისა და ა. ვ-ის ინტერესებს იცავს ლ. ტ-ი;

გ. მ-ის, მ. მ-ის, ი. მ-სა და თ. დ-ის სახელით ასევე გაცემულია საზოგარო წესით დამოწმებული მინდობილობები, რომელთა თანახმადაც ამ უკანასკნელ პირებს სასამართლოში წარმოადგენს თ. კ-ე;

საქმეში წარმოდგენილი სატელეფონო აქტით, ასევე სასამართლო უწყებითა და მათი ჩაბარების დამადასტურებელი საფოსტო შეტყობინებებით დადასტურებულია და კერძო საჩივრის ავტორები სადავოდ არ ხდიან იმ გარემოებას, რომ სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 70-78-ე მუხლების მოთხოვნათა დაცვით აპელაციები ინფორმირებული იყვნენ 2012 წლის 9 ოქტომბერს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო

საქმეთა პალატაში დანიშნული სასამართლო სხდომის თაობაზე;

უდავოა, რომ სააპელაციო სასამართლოს სხდომაზე გამოცხადდა მხოლოდ თ. დ-ი, ხოლო, სხვა აპელანტები, ასევე მათი წარმომადგენლები სასამართლო სხდომაზე არ გამოცხადებულან და არც რაიმე ინფორმაცია წარუდგენიათ გამოუცხადებლობის თაობაზე;

სააპელაციო პალატამ არ დააკმაყოფილა გამოცხადებული აპელანტის შუამდგომლობა სასამართლო სხდომის გადადების თაობაზე და გამოუცხადებელ აპელანტთა სააპელაციო საჩივარი განუხილველად დატოვა.

მოცემულ შემთხვევაში, სააპელაციო პალატის განჩინების გაუქმების თაობაზე მ. მ-ის, ი. მ-სა და გ. მ-ის სახელით კერძო საჩივარი წარმოადგინა მათმა წარმომადგენელმა თ. კ-მ, რომელიც ემყარება წარმომადგენლის საპატიო მიზეზით გამოცხადების შეუძლებლობას, კერძოდ, თ. კ-ე იმავე დღეს, რა დღესაც თბილისის სააპელაციო სასამართლოში დანიშნული იყო წინამდებარე საქმის განხილვა, საარჩევნო კომისიის ინტერესებს იცავდა ბოლნისის რაიონულ სასამართლოში. მითითებული გარემოება დადასტურებულია, როგორც სასამართლო მოხელეების მიერ შედგენილი ცნობით, ისე საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის განკარგულებით, თ. კ-ს იურისტად დანიშვნის თაობაზე. იმ გარემობის დადასტურებას, რომ წარმომადგენლის სხვა სასამართლო სხდომაში მონაწილეობის თაობაზე დღრულად ვერ აცნობებდა სააპელაციო სასამართლოს, კერძო საჩივრის ავტორი ცდილობს წარმომადგენლის განმარტებაზე მითითებით, რომლის თანახმად, ბოლნისის რაიონულმა სასამართლომ სხდომის თაობაზე წარმომადგენელს აცნობა 2012 წლის 8 ოქტომბრის საღამოს.

მეორე მხრივ, საქმეში წარმოდგენილია აპელანტების წარმომადგენელ ლ. ტ-ის კერძო საჩივარი, რომელიც მ. ჩ-ის, ი. მ-ის, მ. რ-ისა და ა. ვ-ის ინტერესებთან ერთად იცავს მ. მ-ის, ი. მ-სა, გ. მ-ის ინტერესებს და ამ უკანასკნელის მიერ განჩინების გაუქმების მიზეზად მითითებულია მისი ავადმყოფობა, რამაც განაპირობა სასამართლო სხდომაზე გამოცხადების შეუძლებლობა. კერძო საჩივარში მითითებული ეს გარემოება დამყარებულია სამედიცინო დოკუმენტაციაზე: 2012 წლის 9 ოქტომბერს 12:45 საათზე გახსნილი საავადმყოფო ფურცლის თანახმად, ლევან ტატიშვილს დაესვა ჰიპერტონიული კრიზის დიაგნოზი და მიეცა მითითება, შედგომდა სამუშაოს 15 ოქტომბრიდან. ანალოგიური შინაარსისაა სამედიცინო დაწესებულების ხელმძღვა-

ნელის ხელმოწერილი და ბეჭდით დამოწმებული 2012 წლის 15 ოქტომბერს გაცემული ფორმა №100/ა, ხოლო სამედიცინო სამსახურ „ი. ჩ-ის“ 2012 წლის 9 ოქტომბრის ცნობით, 2012 წლის 9 ოქტომბერს ლ. ტ-ი იტარებდა ამბულატორიულ მკურნალობას.

საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ მ. მ-ის, ი. მ-სა და გ. მ-ის სახელით სხვადასხვა წარმომადგენლის მიერ სხვადასხვა დროს შემოტანილი კერძო საჩივრები ფაქტობრივად მითითებულ მხარეთა ერთ საჩივარს წარმოადგენს და მასში მითითებული პრეტენზიები ერთად უნდა იქნეს განხილული.

თავის მხრივ, წარმომადგენლთა სასამართლო სხდომაზე გამოცხადების შეუძლებლობის შეფასებამდე, საკასაციო პალატა განმარტავს შემდეგს:

სასამართლო სხდომაზე აპელანტის გამოუცხადებლობის გამო სააპელაციო საჩივრის განუზილველად დატოვების შესახებ განჩინების გადასინჯვა და საქმის განახლება უნდა მოხდეს იმ წესების დაცვით, რაც გათვალისწინებულია დაუსწრებელი გადაწყვეტილების გადასინჯვის მიმართ.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 241-ე მუხლის თანახმად, დაუსწრებელი გადაწყვეტილება უნდა გაუქმდეს და საქმის განხილვა განახლდეს, თუ არსებობს 233-ე მუხლით გათვალისწინებული საფუძვლები, ან თუ მხარის გამოუცხადებლობა გამოწვეული იყო სხვა საპატიო მიზეზით, რომლის შესახებაც მას არ შეეძლო თავის დროზე ეცნობებინა სასამართლოსათვის.

აღნიშნული მუხლი განსაზღვრავს იმ გარემოებათა წრეს, რომელთა არსებობის შემთხვევაში დაუსწრებელი გადაწყვეტილება (სააპელაციო საჩივრის განუზილველად დატოვების შესახებ განჩინება) უნდა გაუქმდეს და საქმის განხილვა განახლდეს. ეს გარემოებები მითითებულია 233-ე მუხლის პირველ ნაწილში, მაგრამ ამ მუხლის ჩამონათვალი არაა ამომწურავი. გამოუცხადებელ მხარეს, რომლის ნინაალმდეგაც გამოტანილია დაუსწრებელი გადაწყვეტილება, შეუძლია მიუთითოს სხვა გარემოებებზეც, რაც სასამართლო სხდომაზე მისი საპატიო მიზეზით გამოუცხადებლობის საფუძველი გახდა.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსი აგებულია რა მხარეთა შეჯიბრებითობაზე, კოდექსის 102-ე მუხლი თითოეულ მხარეს უდეგენს ვალდებულებას, სათანადო მტკიცებულებით დაასაბუთოს მოთხოვნა, თავის მხრივ, მე-4 მუხლით განსაზღვრულია მხარის აბსოლუტური შესაძლებლობა, თავადვე განსაზღვროს სადაც გარემოებების დამადასტურებელი მტკიცებულებები და წარუდგინოს ისინი სასამართლოს, ნინაალმდეგ შემთხვევაში, ფაქტობრივი გარემოებები, რომლებიც დამტკიცებას საჭი-

როებენ, მხოლოდ მხარის განმარტებით ვერ იქნება დადგენილად მიჩნეული. ამდენად, მხარის გამოუცხადებლობის საპატიო მიზეზის თაობაზე საჩივარში მითითებული ფაქტების მტკიცება ეკისრება მომჩივანს, ხოლო ამ გარემოებათა შეფასება იმ თვალსაზრისით, თუ რამდენად საპატიოა მხარის გამოუცხადებლობა – სასამართლოს უფლებამოსილებაა.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 215-ე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, ამ კანონის მიზნებისათვის, საპატიო მიზეზად ჩაითვლება მხარის მიერ შუამდგომლობისა და განცხადების წარდგენის შეუძლებლობა, რაც გამოწვეულია ავადმყოფობით, ახლო ნათესავის გარდაცვალებით ან სხვა განსაკუთრებული ობიექტური გარემოებით, რომელიც მისგან დამოუკიდებელი მიზეზით შეუძლებელს ხდის სასამართლო პროცესზე გამოცხადებას ან/და შუამდგომლობისა და განცხადების წარდგენას. ავადმყოფობა დადასტურებულ უნდა იქნეს სამედიცინო დანესებულების ხელმძღვანელის მიერ ხელმოწერილი დოკუმენტით, რომელიც პირდაპირ მიუთითებს სასამართლო პროცესზე გამოცხადების შეუძლებლობაზე.

დასახელებული ნორმა წარმოადგენს მხარის მიერ შუამდგომლობის წარდგენისა თუ მისი წარდგენის შეუძლებლობის საკანონმდებლო რეგლამენტაციას და, ერთი მხრივ, მიუთითებს განსაკუთრებული ობიექტური გარემოების არსებობის აუცილებლობაზე, ხოლო, მეორე მხრივ, ადგენს ამ გარემოების თაობაზე მხარის ობიექტურ შეუძლებლობას, წინასწარ აცნობოს სასამართლოს. ნორმის ამ ელემენტთაგან ერთ-ერთის არარსებობა მხარისათვის არახელსაყრელი შედეგის მომტანია.

როგორც უკვე აღინიშნა, მ. მ-ის, ი. მ-სა და გ. მ-ის ინტერესებს სასამართლოში იცავდა ორი წარმომადგენელი. თ. კ-მ საპელაციო სასამართლოს სხდომაზე გამოცხადების შეუძლებლობა დაადასტურა ობიექტური გარემოების არსებობით – სხვა სასამართლოში დანიშნულ სხდომაზე მონაწილეობით, თუმცა ის ფაქტი, რომ მან დროულად ვერ აცნობა საპელაციო სასამართლოს, რაიმე მტკიცებულებით არ დაუდასტურებია, შესაბამისად, მხოლოდ მისი განმარტება ამ გარემოების თაობაზე არ არის საკარისი და ვერ იქნება გაზიარებული საკასაციო პალატის მიერ.

იმ გარემოების მხედველობაში მიღებით, რომ თ. კ-მ, როგორც მ. მ-ის, ი. მ-სა და გ. მ-ის წარმომადგენელმა, სასამართლო სხდომაზე გამოუცხადებლობის საპატიოობა ვერ დაადასტურა, პალატა მიიჩნევს, რომ ამავე მხარების მიმართ არ არსებობს ლ. ტ-ის სახელით წარდგენილ კერძო საჩივარში მითი-

თებული გარემოებების შემოწმების საფუძველი, ვინაიდან ერთი წარმომადგენლის გამოუცხადებლობის საპატიო მიზეზის არსებობა არ ამართლებს მეორე წარმომადგენლის არასაპიტიო მიზეზით გამოუცხადებლობას და, შესაბამისად, მხარის გამოუცხადებლობასაც. აქედან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ არ არსებობს მ. მ-ის, ი. მ-ისა და გ. მ-ის კერძო საჩივრის დაკმაყოფილების საფუძველი.

რაც შეეხება მ. ჩ-ის, ი. მ-ის, მ. რ-ისა და ა. ვ-ის პრეტენზიას, საკასაციო პალატა მას საფუძვლიანად თვლის და მიიჩნევს, რომ ამ წანილში უნდა გაუქმდეს სააპელაციო პალატის განჩინება შემდეგი საფუძვლებით:

როგორც უკვე აღინიშნა, საქმის სააპელაციო წესით განხილვის ეტაპზე ლ. ტ-ი ზემოაღნიშნული პირების წარმომადგენელი იყო;

კერძო საჩივარზე დართული სამედიცინო დოკუმენტაციით, რომელიც 2012 წლის 9 ოქტომბრის მდგომაროებით (12:45 საათზე) ასახავს ლ. ტ-ის ჯანმრთელობის მდგომარეობასა და მის სასამართლო სხდომაზე გამოცხადების შეუძლებლობას, პალატა მიიჩნევს, რომ არსებობს სააპელაციო საჩივრის განუხილველად დატოვების შესახებ განჩინების გაუქმების საფუძველი, რადგანაც, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 241-ე მუხლის თანახმად, დაუსწრებელი გადაწყვეტილება უნდა გაუქმდეს და საქმის განხილვა განახლდეს, თუ არსებობს 233-ე მუხლით გათვალისწინებული საფუძვლები, ან თუ მხარის გამოუცხადებლობა გამოწვეული იყო სხვა საპატიო მიზეზით, რომლის შესახებაც მას არ შეეძლო თავის დროზე ეცნობებინა სასამართლოსათვის.

### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 419-ე, 420-ე მუხლებით და

### **დ ა ა დ გ ი ნ ა:**

1. მ. მ-ის, ი. მ-ისა და გ. მ-ის კერძო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს;
2. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2012 წლის 9 ოქტომბრის განჩინება მ. მ-ის, ი. მ-სა და გ. მ-ის სააპელაციო საჩივრის განუხილველად დატოვების ნაწილში დარჩეს უცვლელად;
3. მ. ჩ-ის, ი. მ-ის, მ. რ-ისა და ა. ვ-ის კერძო საჩივარი დაკმა-

ყოფილდეს;

4. გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2012 წლის 9 ოქტომბრის განჩინება მ. ჩ-ის, ი. მ-ის, მ. რ-ისა და ა. ვ-ის სააპელაციო საჩივრის განუხილველად დატოვების ნაზილში და ამ ნაზილში საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს;

5. საკასაციო პალატის განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

## სასამართლო სადოგაზე გამოუცხადებლობის საპატიო მიზანი

### განჩინება

№ას-724-692-2014

2 ოქტომბერი, 2014 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა  
შემადგენლობა: ვ. როინიშვილი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
ბ. ალავიძე,  
პ. ქათამაძე

**დავის საგანი:** უკანონო მფლობელობიდან ნივთის გამოთხოვა, ხელშეკრულების ბათილად ცნობა, ზიანის ანაზღაურება

#### აღწერილობითი ნაწილი:

ი. გ-მ ოზურგეთის რაიონულ სასამართლოს აიპ „ფ. 2009-ას“, შპს „ფ. ც-ის“ წინააღმდეგ სარჩელით მიმართა უკანონო მფლობელობიდან ნივთის გამოთხოვის, ხელშეკრულების ბათილად ცნობის, ასევე, ზიანის ანაზღაურების მოთხოვნით.

ოზურგეთის რაიონული სასამართლოს 2014 წლის 7 აპრილის გადაწყვეტილებით ი. გ-ის სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა, ბათილად იქნა ცნობილი აიპ „ფ. 2009-ასა“ და შპს „ფ. ც-ს“ შორის 2013 წლის 2 სექტემბერს გაფორმებული იჯარის ხელშეკრულება, მოპასუხე „ფ. 2009 ას“ დაევანა ხელშეკრულების საფუძველზე დაკავებული ი. გ-ის კუთვნილი შენობის დაუყოვნებლივ გათავისუფლება, მოპასუხებს სოლიდარულად დაეკისრათ ზიანის ანაზღაურების, 2800 ლარის, გადახდა, ხოლო შპს „ფ. ც-ს“ – დამატებით 2300 ლარი ზიანის ანაზღაურების სახით. აღნიშნული გადაწყვეტილება სააპელაციო წესით ორივე მხა-

რემ გაასაჩივრა.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2014 წლის 9 ივნისის განჩინებით ი. გ-ის სააპელაციო საჩივარი განუხილველად დარჩა. სააპელაციო სასამართლოს მითითებით, ოზურგეთის რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილი 2014 წლის 7 აპრილს გამოცხადდა. ი. გ-ს კანონით დადგენილ ვადაში გადაწყვეტილება არ ჩაუბარებია, შესაბამისად, სააპელაციო საჩივრის შეტანისათვის დადგენილი 14-დღიანი ვადის დენა 7 მაისიდან დაიწყო და 20 მაისს ამონწურა, სააპელაციო საჩივარი კი, 21 მაისსაა შეტანილი.

აღნიშნული განჩინება ი გ-მ კერძო საჩივრით გაასაჩივრა. მისი მითითებით, გასაჩივრებისათვის დადგენილი ვადის ათველა იწყება არა 30-ე, არამედ მომდევნო დღიდან, 8 მაისიდან, შესაბამისად, სააპელაციო საჩივარი ვადაშია შეტანილი.

### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ განიხილა კერძო საჩივარი, შეისწავლა საქმის მასალები და მიიჩნევს, რომ ი. გ-ის კერძო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 420-ე მუხლის მიხედვით, კერძო საჩივრების განხილვა ზემდგომ სასამართლოებში წარმოებს შესაბამისად ამ სასამართლოებისათვის გათვალისწინებული წესების დაცვით.

იმავე კოდექსის 404-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, საკასაციო სასამართლო ამონმებს გადაწყვეტილებას საკასაციო საჩივრის ფარგლებში, ხოლო 410-ე მუხლის მიხედვით კი, საკასაციო სასამართლო არ დააკმაყოფილებს საკასაციო საჩივარს, თუ კანონის მითითებულ დარღვევას არა აქვს ადგილი.

საკასაციო სასამართლო არ იზიარებს კერძო საჩივრის ავტორის მტკიცებას, რომ მას გასაჩივრებისათვის დადგენილი ვადა არ დაურღვევია.

ი. გ-ე სადავოდ არ ხდის იმ ფაქტს, რომ კანონით დადგენილ ვადაში სასამართლოში არ გამოცხადებულა გადაწყვეტილების ჩასაბარებლად. კერძო საჩივარი მხოლოდ იმ დასაბუთებას ემყარება, რომ გასაჩივრების ვადის ათველა იწყება არა გადაწყვეტილების გამოცხადებიდან 30-ე, არამედ მომდევნო დღიდან, შესაბამისად, სააპელაციო საჩივარი ვადაშია შეტანილი.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 369-ე მუხლის 1-ლი ნაწილის მიხედვით, სააპელაციო საჩივრის შეტანის ვადაა 14 დღე. ამ ვადის გაგრძელება და აღდგენა დაუშვებელია და იგი იწყება

მხარისათვის დასაბუთებული გადაწყვეტილების გადაცემის მონიტორინგი.

იმავე კოდექსის 259<sup>1</sup>-ე მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად, თუ გადაწყვეტილების გამოცხადებას ესწრება გადაწყვეტილების გასაჩივრების უფლების მქონე პირი, ან თუ ასეთი პირისათვის საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით ცნობილი იყო გადაწყვეტილების გამოცხადების თარიღი, გადაწყვეტილების გასაჩივრების მსურველი მხარე (მისი წარმომადგენელი) ვალდებულია გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის გამოცხადებიდან არა უადრეს 20 და არა უგვიანეს 30 დღისა გამოცხადდეს სასამართლოში და ჩაიბაროს გადაწყვეტილების ასლი; წინააღმდეგ შემთხვევაში გასაჩივრების ვადის ათვლა დაიწყება გადაწყვეტილების გამოცხადებიდან 30-ე დღეს. ამ ვადის გაგრძელება და აღდგენა დაუშვებელია; ხოლო მე-60 მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად კი, წლებით, თვეებით ან დღეებით გამოსათვლელი საპროცესო ვადის დენა იწყება იმ კალენდარული თარიღის ან იმ მოვლენის დადგომის მომდევნო დღიდან, რომლითაც განსაზღვრულია მისი დასაწყისი.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-60 მუხლი ზოგადი ნორმაა, რომელიც მოქმედებს იმ შემთხვევაში, როდესაც ამავე კოდექსის სპეციალური ნორმა განსხვავებულ ქცევის წესს არ ადგენს. მოცემულ შემთხვევაში სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 259<sup>1</sup>-ე მუხლი სპეციალური ნორმაა, რომელიც გადაწყვეტილების გასაჩივრების ვადის ათვლის მომენტად მისი გამოცხადებიდან 30-ე დღეს განსაზღვრავს, ამდენად, იმ შემთხვევაში, როდესაც მხარე გადაწყვეტილების გამოცხადებიდან არა უადრეს 20 და არა უგვიანეს 30-ე დღისა სასამართლოში არ გამოცხადდება გადაწყვეტილების ასლის ჩასაბარებლად, ამ გადაწყვეტილების გასაჩივრებისათვის დადგენილი ვადის დენა დაიწყება სარეზოლუციო ნაწილის გამოცხადებიდან 30-ე კალენდარულ დღეს.

განსახილველ შემთხვევაში, ოზურგეთის რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილი 2014 წლის 7 აპრილს გამოცხადდა და სხდომას მხარეები ესწრებოდნენ. ი. გ-ს კანონით დადგენილ ვადაში გადაწყვეტილება არ ჩაუბარებია, შესაბამისად, სააპელაციო საჩივრის შეტანისათვის დადგენილი 14-დღიანი ვადის დენა 7 მაისიდან დაიწყო და 20 მაისს ამოიწურა, სააპელაციო საჩივარი კი, 21 მაისსაა შეტანილი, რის გამოც, სააპელაციო სასამართლომ განუხილველად მართებულად დატოვა.

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ი. გ-ის კერ-

ძმ საჩივარი უსაფუძვლოა და არ უნდა დაკმაყოფილდეს.

### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 420-ე, 410-ე მუხლებით და

### **დ ა ა დ გ ი ნ ა:**

1. ი. გ-ის კერძო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს;
2. უცვლელად დარჩეს ქუთასის საპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2014 წლის 9 ივნისის განჩინება;  
საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

### **გადაწყვეტილების გასაჩივრების ვალის ათველა**

#### **განერიცხა**

№ას-24-35-2014

19 თებერვალი, 2014 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა

შემადგენლობა: ვ. როინიშვილი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),

ბ. ალავიძე,

პ. ქათამაძე

**დავის საგანი:** საკრედიტო ხელშეკრულებიდან გამომდინარე დავალიანების ანაზღაურება, იპოთეკის საგნის რეალიზაცია

### **აღნერილობითი ნაწილი:**

სს „პ. ბ-მა“ სარჩელი აღძრა სასამართლოში ჭ. ჯ-ის, შპს „ლ 2005-ის“, მ. ჯ-სა და შპს „მ-ის“ მიმართ დავალიანების გადახდის დაგალდებულებისა და იპოთეკით დატვირთული ქონების რეალიზაციის მოთხოვნით.

მოპასუხებმა სარჩელი არ ცნეს.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2009 წლის 6 ნოემბრის გადაწყვეტილებით სს „პ. ბ-ის“ სარჩელი ჭ. ჯ-ის, შპს „ლ-2005-ის“, მ. ჯ-ის, შპს „მ-ის“ მიმართ საკრედიტო ხელშეკრულებიდან გამომდინარე დავალიზაციის მოთხოვნით.

ნების გადახდის, მიუღებელი შემოსავლის ანაზღაურების დაკისრებისა და იპოთეკით დატვირთული ქონების რეალიზაციის თაობაზე დაკმაყოფილდა, ჭ. ჯ-ეს, მ. ჯ-ეს, შპს „მ-სა“ და შპს „ლ-2005-ს“ სს „პ. ბ-ის“ სასარგებლოდ სოლიდარულად დაეკისრათ 1 073 263,97 აშშ დოლარის გადახდა. დავალიანების დაფარვისას თითოეული თავდების – შპს „ლ-2005-ის“, შპს „მ-სა“ და მ. ჯ-ის – სოლიდარული პასუხისმგებლობა განისაზღვრა 650 000 აშშ დოლარით.

საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრეს მოპასუხებმა, მოითხოვეს გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილების მიღებით სარჩელის დაკმაყოფილება 627.360.28 აშშ დოლარისა და მ. ჯ-ის, შპს „მ-ს“, შპს „ლ-2005-ის“ საკუთრებაში არსებული ქონების რეალიზაციის ნაწილში, დანარჩენ ნაწილში სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის 14 ივლისის გადაწყვეტილებით ჭ. ჯ-ის, მ. ჯ-ის, შპს „მ-ის“, შპს „ლ-2005-ის“ სააპელაციო საჩივარი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა, შეიცვალა თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2009 წლის 6 ნოემბრის გადაწყვეტილება მოპასუხებისათვის 1 073 263,97 აშშ დოლარის დაკისრებისა და სახელმწიფო ბაჟის განაწილების ნაწილში და ამ ნაწილში მიღებულ იქნა ახალი გადაწყვეტილება, სს „პ. ბ-ის“ სარჩელითანხის დაკისრების ნაწილში დაკმაყოფილდა ნაწილობრივ, ჭ. ჯ-ეს, მ. ჯ-ეს, შპს „მ-ს“, შპს „ლ-2005-ს“ სს „პ. ბ-ის“ სასარგებლოდ სოლიდარულად დაეკისრათ 627,360.28 აშშ დოლარისა და 2009 წლის 30 მაისიდან ძირითადი თანხის – 577,101.73 აშშ დოლარის 15% წლიური სარგებლის გადახდა გადაწყვეტილების ალსრულებამდე. დავალიანების დაფარვისას თითოეული თავდების – შპს „ლ-2005-ის“, შპს „მ-სა“ და მ. ჯ-ის – სოლიდარული პასუხისმგებლობა განისაზღვრა 650 000 აშშ დოლარით, დანარჩენ ნაწილში თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2009 წლის 6 ნოემბრის გადაწყვეტილება დარჩა უცვლელად.

სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება საკასაციო წესით გაასაჩივრეს ჭ. ჯ-ემ, მ. ჯ-ემ, შპს „მ-მა“ და შპს „ლ-2005-მა“ გასაჩივრებული გადაწყვეტილების ნაწილობრივ გაუქმებისა და სააპელაციო საჩივრის სრულად დაკმაყოფილების მოთხოვნით.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2011 წლის 18 მარტის განჩინებით შპს „მ-სა“ და შპს „ლ-2005-ის“ საკასაციო საჩივარი განუხილველად იქნა დატო-

ვებული, ხოლო ამავე პალატის 2011 წლის 1 აგვისტოს განჩინებით მ. და ჭ. ჯ-ის საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა.

ჭ. ჯ-ემ განცხადებით მიმართა თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2010 წლის 14 ივლისის გადაწყვეტილების აღსრულების 3 თვით გადადების მოთხოვნით.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2013 წლის 27 დეკემბრის განჩინებით ჭ. ჯ-ის შუამდგომლობა დაკმაყოფილდა, თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის 14 ივლისის გადაწყვეტილების აღსრულება გადაიდო 3 თვით, 2014 წლის 27 მარტამდე შემდეგი დასაბუთებით:

პალატამ დადგენილად მიჩნია, რომ თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2010 წლის 14 ივლისის გადაწყვეტილებით ჭ. ჯ-ის, მ. ჯ-ის, შპს „მ-ის“, შპს „ლ-2005-ის“ სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა ნანილობრივ და ჭ. ჯ-ეს, მ. ჯ-ეს, შპს „მ-ს“, შპს „ლ-2005-ს“ სს „პ. პ-ის“ სასარგებლოდ სოლიდარულად დაეკისრათ 627,360.28 აშშ დოლარის და 2009 წლის 30 მაისიდან ძირითადი თანხის 577,101.73 აშშ დოლარის 15%-ის წლიური სარგებლის გადახდა გადაწყვეტილების აღსრულებამდე. დავალიანების დაფარვისას თითოეული თავდების: შპს „ლ-2005-ის“, შპს „მ-სა“ და მ. ჯ-ის სოლიდარული პასუხისმგებლობა განისაზღვრა 650 000 აშშ დოლარით. დანარჩენ ნანილში თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგის 2009 წლის 6 ნოემბრის გადაწყვეტილება დარჩა უცვლელად.

2012 წლის 17 იანვრის მდგომარეობით აღსასრულებელი მოთხოვნის ოდენობა შეადგენდა 855 519.82 აშშ დოლარსა და 14 ლარს.

დავალიანების ამოლების მიზნით განხორციელდა მ. ჯ-ის კუთვნილი, ქ. თბილისში, მ-ის ქ. №8-ში მდებარე უძრავი ქონების აუქციონზე რეალიზაცია. ნივთი მესამე პირმა შეიძინა 131 790 ლარად. ასევე, აუქციონზე 306 800 ლარად რეალიზებულ იქნა მ. ჯ-ის საკუთრებაში არსებული, ქ. თბილისში, სოფელ ტ-ი მდებარე უძრავი ქონება.

ჭ. ჯ-ის საკუთრებაშია ქ. თბილისში, ი-ის ქ. №12-ში მდებარე უძრავი ქონება, რომელიც დაყადალებულია თბილისის სააპელაციო სასამართლოს მიერ გაცემული №2ბ/272-10 საალსრულებო ფურცლის აღსრულების უზრუნველსაყოფად. ქონება შეფასებულია 1 360 00 ლარად.

ჭ. ჯ-ეს ჰყავს ... წლის ... დეკემბერს დაბადებული შეილი – დ. ჯ-ე, ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ 2013 წლის 11 ნოემბერს გაცემული ცნობის თანახმად, არასრულწლოვანს დაეს-

ვა დიაგნოზი: ფილტვის ვენების ნაწილობრივი ანომალური დრენაჟი. გაიცა სამკურნალო და შრომითი რეკომენდაციები – პაციენტი საჭიროებს მანკის რადიკალურ კორექციას სისხლის ხელოვნური მიმოქცევით.

დადგენილი გარემოებების გათვალისწინებით, სააპელაციო პალატამ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 263-ე მუხლის 1-ლი, მე-2 ნაწილებით და განმარტა, რომ გადაწყვეტილების აღსრულების გადადება წარმოადგენს მისი აღსრულების ვადის გადატანას სხვა, უფრო გვიანი პერიოდისათვის, ვიდრე დადგენილია კანონით. გადაწყვეტილების აღსრულების გადადებით, ფაქტობრივად მოვალეს ეძლევა შესაძლებლობა, ნებაყოფლობით აღსრულოს გადაწყვეტილება. აღსანიშნავია, რომ ეს შესაძლებლობა გამოყენებული უნდა იქნეს ისეთ ობიექტურ ფაქტორებზე დაყრდნობით, რომ ამით გაუმართლებლად არ შეიძლახოს კრედიტორის ინტერესი. მითითებული ღონისძიება ხელს უწყობს მხარის მიერ სასამართლო გადაწყვეტილების ნებაყოფლობით აღსრულებას.

სააპელაციო სასამართლომ მიჩნია, რომ ამგვარი საპროცესო ლონისძიების განხორციელებისას მინიშვნელოვანია ორივე მხარის უფლებათა დაცვა. ამ შემთხვევაში, ერთ მხარეზეა სს „პ. ბ-ის“ ინტერესი, დროულად იქნეს უზრუნველყოფილი გადაწყვეტილების აღსრულება, და, მეორე მხრივ, ჭ. ჯ-ის ინტერესი, რომ აღსრულების გადადებით მას მიეცეს შესაძლებლობა, ნებაყოფლობით აღსრულოს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილება, რომლითაც თავიდან იქნება აცილებული იძულებით აღსრულებასთან დაკავშირებული პროცედურები და, შესაბამისად, მის საკუთრებაში არსებული ქონების აუქციონზე რეალიზაცია.

სასამართლოს განმარტებით, ქონების აუქციონზე რეალიზაცია არახელსაყრელია მოვალისათვის იმდენად, რამდენადაც აუქციონზე რეალიზაციით მისი გასხვისება ხდება გაცილებით დაბალ ფასში, ვიდრე მისი რეალური საბაზრო ღირებულებაა. ნივთის საბაზრო ღირებულება, შესაძლებელია ორჯერ და მეტჯერაც აღემატებოდეს რეალურ ვალდებულებას. შესაბამისად, მოვალისათვის ხელსაყრელია, ვალდებულების ნებაყოფლობით შესრულება, იძულებითი აღსრულების მცდელობის გარეშე.

კონკრეტულ შემთხვევაში, მოვალეს მძიმე ფინანსური მდგომარეობა გააჩნია, რაზედაც მეტყველებს თავად ვალდებულების შეუსრულებლობა და დაკისრებული თანხების ამოღების მიზნით მ. ჯ-ის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების აუქციონზე რეალიზაციის ფაქტი. აღსრულების მიზანი, სასა-

მართლოს განმარტებით, კრედიტორის დაკმაყოფილებაა, მაგრამ კანონი უშვებს შესაძლებლობას, აღსრულება განხორციელდეს იმგვარად, რომ აღნიშნულით მნიშვნელოვნად არ იქნეს დაზარალებული მოვალე. დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების საფუძველზე, პალატამ ჩათვალა, რომ აღსრულება უნდა გადავადებულიყო 3 თვით, რა პერიოდშიც მოვალეს, შესაძლებელია, ნებაყოფლობით აღესრულებინა გადაწყვეტილება ისე, რომ აღნიშნული მნიშვნელოვან ზიანს არ გამოიწვევდა კრედიტორისათვის, ხოლო მოვალე თავიდან აიცილებდა აუქციონზე ქონების რეალიზაციის შედეგად გამოწვეულ ზიანს.

სააპელაციო სასამართლოს განჩინებაზე კერძო საჩივარი შეიტანა სს „პ. ბ-მა“, მოითხოვა მისი გაუქმება და სააღსრულებო წარმოების განახლება შემდეგი საფუძვლებით:

სს „პ. ბ-ს“, შპს „მ-სა“ და ჭ. ჯ-ეს შორის წლების განმავლობაში მიმდინარეობს დავა საკრედიტო ურთიერთობიდან გამომდინარე ვალდებულების თაობაზე. ჭ. ჯ-ე, ვალდებულების თავიდან აცილების მიზნით, ასხისებდა ქონებას და სასამართლოს გადაწყვეტილებით ეს ქონება კვლავ მოვალეს დაუბრუნდა, შესაბამისად, დაიწყო სააღსრულებო საქმის წარმოება და ქ. თბილისში, ი-ის ქ.№12-ში მდებარე ქონებაზე დაინიშნა აუქციონი. ჭ. ჯ-ის განცხადება აღსრულების გადავადების თაობაზე ემსახურება კვლავ საქმის გაჭიანურებას და ლახავს კრედიტორის ინტერესებს. მართალია, მოვალის შვილს ჩაუტარდა ოპერაცია, თუმცა იგი ამჟამად სახლში იმყოფება და გამოჯანმრთელებულია, თავად ქონება, რომელიც აუქციონზე უნდა გასხვისდეს, არ წარმოადგენს საცხოვრებელ სახლს და გადაწყვეტილების აღსრულება მოვალის შვილის ჯანმრთელობის მდგომარეობაზე უარყოფითად არ იმოქმედებს. რაც შეეხება მოვალის ქონებრივ მდგომარეობას საქმეში არსებული მასალებითა და კერძო საჩივარზე დართული სასამართლო გადაწყვეტილებებით ირკვევა, რომ ჭ. ჯ-ე ამა თუ იმ ქმედებას ახორციელებდა მხოლოდ იმ მიზნით, რომ თავიდან აეცილებინა ბანკის მიმართ არსებული ვალდებულების შესრულება. გარდა აღნიშნულისა, განმცხადებელს არ წარუდგენია დოკუმენტი, რომელიც დაადასტურებდა მის ქონებრივ მდგომარეობას, ასევე იმას, თუ ქონების რეალიზაცია რა უარყოფით გავლენას იქონიებდა შვილის ნორმალურ აღზრდა-განვითარებაზე, ასევე არაა დასაბუთებული მოვალის პოზიცია, თუ რა გზით უზრუნველყოფს დარჩენილი დავალიანების 3 თვის შემდგომ გადახდას. საყურადღებოა ისიც, რომ ქონება კრედიტორის სასარგებლოდ იპოთეკით არ არის დატვირთული, იგი მხოლოდ დაყადაღებულია, აღსრულების გა-

დავადების განმავლობაში სხვა კრედიტორის მიერ ქონების სარეალიზაციოდ მიქცევის შემთხვევაში, შესაძლოა ბანკი უზრუნველყოფის საგნის გარეშე აღმოჩნდეს, ვინაიდან ყადალა, იპოთეკის მსგავსად, არ ადგენს ვალდებულების შესრულების რიგოთობის საკითხს.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2014 წლის 20 იანვრის განჩინებით სს „პ. ბ-ის“ კერძო საჩივარი მიღებულ იქნა განსახილველად.

### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლო კერძო საჩივარის საფუძვლების ანალიზის, საქმის მასაბუბის შესწავლისა და გასაჩივრებული განჩინების იურიდიული დასაბუთების შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ სს „პ. ბ-ის“ კერძო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგი გარემოებების გამო:

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 420-ე მუხლის თანახმად, კერძო საჩივრების განხილვა ზემდგომ სასამართლოებში წარმოებს შესაბამისად ამ სასამართლოებისათვის გათვალისწინებული წესების დაცვით. ამავე კოდექსის 410-ე მუხლის თანახმად კი, საკასაციო სასამართლო არ დაკმაყოფილებს საკასაციო საჩივარს, თუ: ა) კანონის მითითებულ დარღვევას არა აქვს ადგილი; ბ) სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილებას საფუძვლად არ უდევს კანონის დარღვევა; გ) სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება არსებითად სწორია, მიუხედავად იმისა, რომ გადაწყვეტილების სამოტივაციო ნაწილი არ შეიცავს შესაბამის დასაბუთებას.

მოცემულ შემთხვევაში, მხარეთა შორის დავას არ იწვევს შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები:

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთ აპალატის 2010 წლის 14 ივლისის გადაწყვეტილებით ჭ. ჯ-ის, მ. ჯ-ის, შპს „მ-ის“, შპს „ლ-2005-ის“ სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ და ჭ. ჯ-ეს, მ. ჯ-ეს, შპს „მ-სა“ და შპს „ლ-2005-ს“ სს „პ. ბ-ის“ სასარგებლოდ სოლიდარულად დაეკისრათ 627,360.28 აშშ დოლარისა და 2009 წლის 30 მაისიდან ძირითადი თანხის, 577,101.73 აშშ დოლარის 15%-ის წლიური სარგებლის გადახდა გადაწყვეტილების აღსრულებამდე. დავალიანების დაფარვისას თითოეული თავდების: შპს „ლ-2005-ის“, შპს „მ-სა“ და მ. ჯ-ის სოლიდარული პასუხისმგებლობა განისაზღვრა 650 000 აშშ დოლარით. დანარჩენ ნაწილში თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგის 2009 წლის 6 ნოემბრის გადაწყვეტილება დარჩა უცვლელად;

2012 წლის 17 იანვრის მდგომარეობით აღსასრულებელი მოთხოვნის ოდენობა შეადგენდა 855 519.82 აშშ დოლარსა და 14 ლარს;

დავალიანების ამოლების მიზნით განხორციელდა მ. ჯ-ის კუთვნილი, ქ.თბილისში, მ-ის ქ. №8-ში მდებარე უძრავი ქონების აუქციონზე რეალიზაცია. ნივთი მესამე პირმა შეიძინა 131 790 ლარად. ასევე, აუქციონზე 306 800 ლარად რეალიზებულ იქნა მ. ჯ-ის საკუთრებაში არსებული, ქ.თბილისში, სოფელ ტ-ი მდებარე უძრავი ქონება;

ჭ. ჯ-ის საკუთრებაშია ქ.თბილისში, ი-ის ქ. №12-ში მდებარე უძრავი ქონება, რომელიც დაყადაღებულია თბილისის სააპელაციო სასამართლოს მიერ გაცემული №2ბ/272-10 საალსრულებო ფურცლის აღსრულების უზრუნველსაყოფად, ქონება შეფასებულია 136 000 ლარად;

ჭ. ჯ-ეს ჰყავს ... წლის ... დეკემბერს დაბადებული შვილი – დ. ჯ-ე;

ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ 2013 წლის 11 ნოემბერს გაცემული ცნობის თანახმად, არასრულწლოვანს დაესვა დიაგნოზი: ფილტვის ვენების ნაწილობრივი ანომალიური დრენაჟი. სამკურნალო და შრომითი რეკომენდაციები – პაციენტი საჭიროებს მანკის რადიკალურ კორექციას სისხლის ხელოვნური მიმოქცევით.

უდავოა, რომ მოვალე ჭ. ჯ-ე, გადაწყვეტილების დარჩენილი ნაწილის იძულებით აღსრულების გადავადების მოთხოვნას ამყარებს მის ქონებრივ მდგომარობას, რაც ასევე განპირობებულია არასრულწლოვანი შვილის ჯანმრთელობით, ამასთანავე, მიიჩნევს, დარჩენილი უძრავი ქონების აუქციონის გარეშე რეალიზაციით ის შეძლებს დავალიანების სრულ დაფარვას.

საკასაციო პალატა იზიარებს გასაჩივრებული განჩინების დასკვნას, რომ არსებობს აღსრულების გადადების წინაპირობა და მიუჟითებს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 263-ე მუხლის პირველ ნაწილზე, რომლის თანახმადაც სასამართლოს, რომელმაც გამოიტანა საქმეზე გადაწყვეტილება, უფლება აქვს, მხარეთა თხოვნით, მათი ქონებრივი მდგომარეობისა და სხვა გარემოებათა გათვალისწინებით, ერთჯერადად, 3 თვემდე ვადით გადადოს ან ერთ წლამდე ვადით გაანაწილვადოს გადაწყვეტილების აღსრულება, აგრეთვე შეცვალოს მისი აღსრულების საშუალება და წესი.

ნორმის დისპოზიციიდან გამომდინარე, გადაწყვეტილების აღსრულების გადადება თუ მისი განაწილვადება დაიშვება შემდეგ შემთხვევებში: ა) მხარის რთული ქონებრივი მდგომაროე-

ბის და/ან ბ) სხვა გარემოებების არსებობისას. ეს უკანასკნელი დათქმა მოიაზრებს ყველა იმგვარ მოვლენასა თუ ხდომილებას, რაც ოპიექტური შეფასების შემთხვევაში იძლევა იმის დასკვნის საფუძველს, რომ ზემოაღნიშნული ღონისძიების გამოუყენებლობა ზიანის მომტანი იქნება მხარეთათვის.

მართალია, ზოგადად, კერძოსამართლებრივი ურთიერთობები დამყარებულია მხარეთა თანასწორობაზე, თუმცა კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილების აღსრულების ეტაპზე უპირატესი კრედიტორის ინტერესის სააღსრულებო წარმოება ხორციელდება სწორედ კრედიტორის ინტერესების დასაკმაყოფილებლად მოვალის ქონებისა თუ სხვა მატერიალური ხარჯების განკარგვის გზით. მხარეთა ამგვარ მდგომარეობას ლეგიტიმურს ის გარემოება ხდის, რომ კრედიტორს, რომლის დარღვეული უფლებრივი მდგომარეობა მართლმასაჯულების კანონიერ ძალაში შესული აქტით არის აღდგენილი, ჰქონდეს რეალური გარანტია, უფლების რეალიზაციისა.

მიუხედავად ამგვარი ვითარებისა, კანონმდებლობა გარკვეულ ბალანსს ადგენს კრედიტორისა და მოვალის ინტერესებს შორის და კრედიტორის უფლებრივი მდგომარეობის უპირატესი გათვალისწინებით, დასაშვებად მიიჩნევს მოვალის უფლებების დაცვას, რათა ხელისუფლების ორგანოს ქმედებით (სააღსრულებო ორგანოები) მოვალეს არ მიადგეს გამოუსწორებელი ზიანი. ამგვარ საშუალებათავაგან ერთ-ერთს წარმოადგენს სწორედ საპროცესო კოდექსით გათვალისწინებული აღსრულების ერთჯერადად გადადება, მისი განაწილვადება და სხვა, ამ თვალსაზრისით საინტერესოა ასევე „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-18 მუხლით დადგენილი კრედიტორისა და მოვალის უფლებები, სადაც ასევე გათვალისწინებულია გადაწყვეტილების აღსრულების ეტაპზე მხარეთა მორიგების შესაძლებლობა.

მოცემულ შემთხვევაში, სააპელაციო პალატამ მხარის მძიმე ქონებრივი მდგომარეობა დადგენილ გარემოებად მიიჩნია, რაც დაამყარა თავად ვალდებულების ფარგლებში მხარის შეუძლებლობას, დროულად დაეფარა სესხის თანხა, ასევე იძულებით აუქციონზე რეალიზებული ქონებების ლირებულება და სხვა, სასამართლო ასევე დაემყარა საქმეში წარმოადგენილ მოვალის შვილის ჯანმრთელობის მდგომარეობის ამსახველ ცნობას, რომელიც შესაძლოა პირდაპირ გავლენას არ ახდენს მოვალის ქონებრივ მდგომარეობაზე (საყურადღებოა, რომ სამედიცინო დაწესებულების ცნობის თანახმად საჭიროა გარკვეული მკურნალობა ექიმის რეკომენდაციიდან გამომდინარე), თუმცა

საქმის მასალების ერთობლიობაში შეფასებით (სსსკ 105-ე მუხ-ლი) სასამართლო საესებით მართებულად მივიღდა დასკვნამდე, რომ არსებობდა გადაწყვეტილების აღსრულების ერთჯერადად 3 თვემდე ვადით გადადების საფუძველი.

ამ კუთხით კერძო საჩივრის ავტორი მიუთითებს იმ გარემო-ებაზე, რომ მოვალის შეილი, მისი ინფორმაციით, უკვე შინ იმ-ყოფება და იძულებით აუქციონი მის მდგომარეობას არ გაარ-თულებს; ჭ. ჯ-ე თავს არიდებს გადაწყვეტილების აღსრულე-ბას და აჭიანურებს აღსრულების პროცესს, რაც ასევე დასტურ-დება კერძო საჩივარზე დართული გადაწყვეტილებებით; მოვა-ლეს არ წარმოუდგენია მტკიცებულება, რომ მისი ქონებრივი მდგომარეობა გაუარესდა; ასევე, თუ რა გზით შეძლებს აუქცი-ონის გვერდის ავლით ჭ. ჯ-ე დავალიანების გადახდას; ქონება-ზე დადებული ყადაღა არ წარმოადგენს კრედიტორის დაცვის ეფექტურ გარანტიას.

ამ პრეტენზიათა შესწავლის გზით საკასაციო პალატა მიდის დასკვნამდე, რომ კერძო საჩივარი არ ემყარება იმგვარ დასა-ბუთებულ არგუმენტს, რაც გასაჩივრებული განჩინებით დად-გენილი გარემოების – მხარის ქონებრივი მდგომარეობის სხვაგ-ვარად შეფასებას გამოიწვევდა, რადგანაც თავად მძიმე ქონებ-რივი მდგომარეობა წარმოადგენს იმგვარ ფაქტობრივ ვითარე-ბას, რომელიც შესაძლოა ნებისმიერი სარწმუნო მტკიცებულე-ბით დადგინდეს, იმგვარად, რომ რაიმე სპეციალური მტკიცე-ბულების არსებობას კანონი არ ითვალისწინებს, ამასთან, იმ შემ-თხვევაშიც კი, თუ მხარე არაკეთილსინდისიერად თავს არიდებს ვალდებულების შესრულებას, ეს პირდაპირ გავლენას ქონებ-რივი მდგომარეობის ფაქტზე არ ახდენს, მათ შორის არც ის ფაქ-ტი შეიძლება იქნას მიღებული მხედველობაში, რომ ჭ. ჯ-ის შვი-ლი მეურნალობის კურსს სააგადმყოფოში არ გადის.

რაც შეეხება მხარის პრეტენზიას, რომ ყადაღა არ წარმოა-გენს მისი უფლებების დაცვის ეფექტურ საშუალებას, ქონება არ არის კრედიტორის სასარგებლოდ იპოთეკით დატვირთული და სხვა პირის მიერ აღსასრულებლად ამ ქონების მიქცევა მის უფ-ლებრივ მდგომარეობას გააუარესებს, საკასაციო პალატა გან-მარტავს, რომ „საალსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართვე-ლოს კანონის 25<sup>1</sup> მუხლის „ბ“ ქვეპუნქტით ქონებაზე ყადაღის დადება გადაწყვეტილების აღსრულების ერთ-ერთი რეალური საშუალებაა, ხოლო ამავე კანონის 54-ე მუხლით რეგლამენტი-რებულია მრავალჯერადი ყადაღის დადებისა და ფულად მოთ-ხოვნათა აღსრულების რიგითობა.

ამდენად, ისეთ ვითარებაში, როდესაც ქონებაზე ყადაღის

დადების გზით უზრუნველყოფილია კრედიტორის ინტერესები, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ გადაწყვეტილების აღსრულების ერთჯერადად 3 თვემდე გადავადებითა და მოვალის ინტერესის ე.წ „დაცვით“ (რათა მან შეძლოს ამ ვადაში გადაწყვეტილების ნებაყოფლობით აღსრულება), სააპელაციო სასამართლოს არ დაურღვევია კრედიტორისა და მოვალის ინტერესების კანონმდებლობით დადგენილი ბალანსი, შესაბამისად, არ არსებობს განჩინების გაუქმების საფუძველი.

### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 419-ე, 420-ე მუხლებით და

### **დ ა ა დ გ ი ნ ა:**

1. სს „პ. ბ-ის“ კერძო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს უსაფუძვლობის გამო.
2. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2013 წლის 27 დეკემბრის განჩინება დარჩეს უცვლელად.
3. კერძო საჩივარზე სახელმწიფო ბაჟი გადახდილია.
4. საკასაციო პალატის განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

## საქართველოს შეჩერება

### განერიცხვა

№ას-429-406-2014

6 ივნისი, 2014 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო  
საქმეთა პალატა  
შემადგენლობა: ვ. როინიშვილი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
ბ. ალავიძე,  
პ. ქათამაძე

**დავის საგანი:** ძირითად სარჩელში – ქირავნობის ხელშეკულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულება, უკანონო მფლობელობიდან ნივთის გამოთხოვა, ზიანი ანაზღაურება, შეგებებულ სარჩელში – ხელშეკრულების ბათილად ცნობა

#### აღწერილობითი ნაწილი:

შპს „.... I-მა“ სარჩელი აღძრა სასამართლოში შპს „.... XXI-ს“ მიმართ შპს „.... XXI-ისთვის“ შპს „.... I-ის“ სასარგებლოდ 10 295 ლარის დაკისრების, მოპასუხის უკანონო მფლობელობიდან შპს „.... I-ის“ საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების გამოთხოვისა და სარჩელის აღძვრიდან ქირავნობის საგნის დაბრუნებამდე ყოველთვიურად 3 244.5 ლარის, ასევე და პირაგასამტებლოს – 94.5 ლარის დაკისრების მოთხოვნით.

მოპასუხებ სარჩელი არ ცნო და შეგებებული სარჩელით მიმართა სასამართლოს შპს „.... I-ის“ მიმართ მხარეთა შორის 2011 წლის 1 ივნისის და 2012 წლის 1 აგვისტოს დადებული იჯარის ხელშეკრულებების ბათილად ცნობის მოთხოვნით.

შპს „.... I-მა“ ასევე არ ცნო შეგებებული სარჩელი და მის დაკაყაყოფილებაზე უარის თქმა მოითხოვა.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2013 წლის 22 ივლისის გადაწვეტილებით შპს „.... I-ის“ სარჩელი შპს „.... XXI-ის“ მიმართ დაკმაყოფილდა, შპს „.... XXI-ს“ შპს „.... I-ის“ სასარგებლოდ დაეკისრა 10 295 ლარის გადახდა, შპს „.... XXI-ის“ უკანონო მფლობელობიდან გამოთხოვილი იქნეს შპს „.... I-ის“ საკუთრებაში არსებული ქ. თბილისში, ც-ის ქ. №8-ში მდებარე შენობა-ნაგებობა. შპს „.... XXI-ს“ შპს „.... I-ის“ სასარგებლოდ, სარჩელის აღძვრიდან გადაწყვეტილებაში მითითებული ქირავნობის უფლებით მიღებული შენობა-ნაგებობის დაბრუნებამდე ყოველთვიურად დაეკისრა 3 244,5 ლარის გადახდა, საიდანაც 3 150 ლარი წარმოადგენს ქონების და-

უბრუნებლობით გამოწვეულ ზიანს, ხოლო 94,5 ლარის პირგა-  
სამტებლოს. შპს „.... XI-ის“ შეგებებული სარჩელი შპს „.... I-ის“  
მიმართ არ დაკმაყოფილდა.

საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება სააპელაციო წე-  
სით გაასაჩივრა შპს „.... XI-მ“.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმე-  
თა პალატის 2014 წლის 11 აპრილის საოქმო განჩინებით შპს „....  
XXI-ის“ შუამდგომლობა საქმის წარმოების შეჩერების თაობა-  
ზე დაკმაყოფილდა, შეჩერდა შპს „.... XI-ის“ სააპელაციო სა-  
ჩივრის განხილვა შპს „.... I-ის“ მიმართ ადმინისტრაციული საქ-  
მის წარმოების დასრულებამდე შემდეგი საფუძვლებით:

პალატამ დადგენილად ცნო, რომ მოცემულ დავაში სადა-  
ვოს წარმოადგენდა მოსარჩელის კუთვნილ მინის ნაკვეთზე გან-  
ლაგებული შენობა-ნაგებობა №2/1-ზე მოპასუხის მფლობელო-  
ბის კანონიერება, მოპასუხე მფლობელობის კანონიერებას ამ-  
ყარებდა იმ გარემოებაზე, რომ სადავო ნაგებობა მის მიერ იყო  
აშენებული სახელმწიფოს მიერ გაცემული ნებართვის საფუძ-  
ველზე.

საქმის სააპელაციო წესით განხილვის ეტაპზე თბილისის სა-  
ქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის  
წარმოებაში იმყოფებოდა შპს „.... XXI-ის“ სარჩელი, რომლითაც  
მოსარჩელე მოითხოვდა მოპასუხის სახელზე თბილისის მინის  
მართვის დეპარტამენტის მიერ გაცემულ საკადასტრო მონა-  
ცემებში შესწორებების შეტანას, რის შედეგადაც შპს „.... XI-  
ის“ მიერ აშენებული სადავო №2/1 შენობა-ნაგებობა აღარ და-  
ფიქსირდება შპს „.... I-ის“ კუთვნილ მინის ნაკვეთზე.

დადგენილად იქნა მიჩნეული ის გარემოებაც, რომ თბილი-  
სის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლე-  
გიის 2001 წლის 11 მაისის გადაწყვეტილება, რომლითაც შპს „....  
XXI-ს“ უარი ეთქვა შპს „.... I-ის“ სახელზე გაფორმებული იჯა-  
რა-გამოსყიდვის ხელშეკრულებისა და შპს „.... I-ის“ სახელზე  
გაცემული საკუთრების მოწმობის ბათილად ცნობაზე, სააპე-  
ლაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2011  
წლის 20 ივლისის განჩინებით გაუქმდა და მოსარჩელის მიერ  
სარჩელის გამოხმობის გამო დარჩა განუხილველად.

სააპელაციო სასამართლომ, სამოქალაქო საპროცესო კო-  
დექსის 279-ე მუხლის „დ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, მიიჩნია,  
რომ მოცემული საქმის განხილვა ადმინისტრაციულ საქმეზე  
საბოლოო გადაწყვეტილების მიღებამდე შეუძლებლად მიიჩნია,  
რადგანაც ადმინისტრაციული წესით განსახილველ დავაში უნ-  
და დადგენილიყო ქ.თბილისში, ც-ის №8-ში მდებარე მინის ნაკ-

ვეთთან დაკავშირებით შედგენილი საკადასტრო მონაცემები შეიცავდა თუ არა ხარვეზს და ხარვეზის დადგენის შემთხვევაში ექვემდებარებოდა თუ არა აღნიშნულ მიწის ნაკვეთზე საკადასტრო მონაცემები იმგვარ შესწორებას, რომ №2/1 ნაგებობა შპს „.... I-ის“ კუთვნილი მიწის ნაკვეთის გარეთ აღმოჩენილიყო.

სააპელაციო პალატის განჩინებაზე კერძო საჩივარი შეიტანა შპს „.... I-მა“, მოითხოვა მისი გაუქმება და საქმის განხილვის განახლება შემდეგი საფუძვლებით:

სააპელაციო პალატამ დაარღვია სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 380-ე მუხლის მე-2 ნაწილი, რომლის თანახმადაც, სასამართლო არ იყო უფლებამოსილი მიეღო ახალი ფაქტები და მტკიცებულებები. მხარეს სასამართლოს განჩინება, რომელიც საქმის წარმოების შეჩერების საფუძვლები გახდა, შეეძლო წარეგინა პირველი ინსტანციის წესით საქმის განხილვისას. მხარეს შუამდგომლობა სათანადოდ არ დაუსაბუთებია, სასამართლომ კი წარდგენილი დოკუმენტები დაურთო საქმეს, რითაც დაირღვა შეჯიბრებითობის პრიციპი.

საყურადღებოა, რომ საქმის წარმოების შეჩერების შესახებ შუამდგომლობა, არ შეიცავს დასაბუთებას და მხარეს არც საქმის ზეპირი განხილვისას მიუთითების შეჩერების აუცილებლობაზე, სააპელაციო სასამართლო არ არის უფლებამოსილი საკითხი განხილოს მხარის არგუმენტების არარსებობისას, რითაც ასევე დაირღვა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-4 მუხლის მოთხოვნები. სასამართლომ მხარეს ასევე შეუზღუდა უფლების სასამართლო წესით დაცვის შესაძლებლობა, რაც იმაში გამოიხატა, რომ მას არ მიეცა შესაძლებლობა, უარეყო მხარის შუამდგომლობა, ამასთანავე, დარღვეულია საქმის სწრაფად გადაწყვეტისა და განხილვის გაჭიანურების თავიდან აცილების აუცილებლობა.

გარდა აღნიშნულისა, არასწორია სასამართლოს დასკვნა, რომ სამოქალაქო და ადმინისტრაციულ საქმეებს შორის არსებობს კავშირი და შოცემული საქმის გადაწყვეტა ადმინისტრაციულ საქმეზე გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლამდე შეუძლებელია, რადგანაც ადმინისტრაციულ დავაში აპელანტი ედავება საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს 2004 წელს განხორციელებული პრივატიზაციის გამო, ხოლო სარჩელი 3-წლიანი ხანდაზმულობის გამო აღძრულია 7 წლის შემდეგ.

შუამდგომლობის ავტორის საკუთრების უფლება ქონებაზე არც სარჩელის და არც სააპელაციო საჩივრის საგანს არ წარმოადგენდა, ამასთანავე, კერძო საჩივრის ავტორი, როგორც მე-

საკუთრე, უფლებამოსილია განახორციელოს უფლებები, მიუხედავად მესამე პირებს შორის არსებული ადმინისტრაციული წესით გადასაწყვეტი დავის არსებობისა, საყურადღებოა, რო არც ადმინისტრაციული დავის საგანს ნარმოადგეს მესაკუთრისათვის საკუთრების უფლების ჩამორთმევა ან შეზღუდვა. ამდენად, ნებისმიერი საკადასტრო მონაცემების კორექტირებისა, მხარის მოთხოვნა საფუძველს მოკლებულია.

კერძო საჩივრის ავტორის მოსაზრებით, მხარის შუამდგომლობა საქმის წარმოების შეჩერების თაობაზე მიმართულია მხოლოდ საქმის წარმოების გაჭიანურებისაკენ, ამ თვალსაზრისით მხარემ მიუთითა შპს „..... XXI-ის“ მიერ სხვადასხვა დროს აღძრულ სარჩელებსა თუ ადმინისტრაციული ორგანოებისათვის მიმართვაზე.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2014 წლის 13 მაისის განჩინებით „..... I-ის“ კერძო საჩივარი მიღებულ იქნა განსახილველად.

### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლო კერძო საჩივრის საფუძვლების ანალიზის, საქმის მასალების შესწავლისა და გასაჩივრებული განჩინების იურიდიული დასაბუთების შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ „..... I-ის“ კერძო საჩივარი არ უნდა დაქმაყოფილდეს შემდეგი გარემოებების გამო:

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 420-ე მუხლის თანახმად, კერძო საჩივრების განხილვა ზემდგომ სასამართლოებში წარმოებს შესაბამისად ამ სასამართლოებისათვის გათვალისწინებული წესების დაცვით. ამავე კოდექსის 410-ე მუხლის თანახმად კი, საკასაციო სასამართლო არ დააკმაყოფილებს საკასაციო საჩივარს, თუ: ა) კანონის მითითებულ დარღვევას არა აქვს ადგილი; ბ) სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილებას საფუძვლად არ უდევს კანონის დარღვევა; გ) სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება არსებითად სწორია, მიუხედავად იმისა, რომ გადაწყვეტილების სამოტივაციო ნაწილი არ შეიცავს შესაბამის დასაბუთებას.

განსახილველ შემთხვევაში, საკასაციო სასამართლოს მსჯელობის საგანს წარმოადგენს სააპელაციო პალატის მიერ სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 279-ე მუხლის „დ“ ქვეპუნქტის გამოყენების მართებულობა.

საკასაციო სასამართლო განმარტავს: სამართალწარმოების სხვადასხვა სტადიაზე სადაც გარემოებათა გამო, შესაძლებელია შეიქმნას იმგვარი ფაქტობრივი ვითარება, რომელთა არ-

სებობის პირობებში შეუძლებელია ან არის მიზანშეწონილი მოცემული დავის განხილვა და გადაწყვეტა.

სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობა დიფერენცირებას ახდენს შემთხვევებისა, როცა სასამართლო ვალდებულია შეაჩეროს საქმის წარმოება, საპროცესო კოდექსით პირდაპირ განსაზღვრული საფუძვლების არსებობისას და როცა სასამართლო არ არის ვალდებული, მაგრამ უფლებამოსილია, შეაჩეროს საქმის წარმოება. საქმის წარმოების შეჩერების ფაკულტატური შემთხვევებისას, სასამართლოს მინიჭებული აქვს დისკრეციული უფლებამოსილება, რა დროსაც ობიექტური შეფასების საფუძველზე, მართლმსაჯულების ინტერესებიდან გამომდინარე, შეუძლია კანონით გათვალისწინებული საპროცესო ინსტიტუტის გამოყენება.

საკასაციო სასამართლო სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 279-ე მუხლით დადგნილი საქმის წარმოების სავალდებულო შეჩერების საფუძვლების გაანალიზების შედეგად განმარტავს, რომ ჩამოთვლილი, მაგ: „ა“, „ბ“ და „გ“ პუნქტებით გათვალისწინებული საფუძვლების არსებობისას საქმის წარმოების შეჩერება ემსახურება პროცესუალური მონაბილის უფლების – სამართლიანი სასამართლო განხილვის უფლების უზრუნველყოფას, რათა მან სრულფასოვნად მოახდინოს თავისი პროცესუალური უფლებების რეალიზება და მის შედეგად სადავო მატერიალურ-სამართლებრივი უფლების დაცვა, „ე“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული საფუძველი – სასამართლოს კონსტიტუციური წარდგინებით მიმართვის უფლების რეალიზება გამორიცხავს საქმის განხილვის შესაძლებლობას, რამდენადაც სასამართლო ამ უფლებამოსილებას იყენებს მართლმსაჯულების მიზნიდან გამომდინარე, კერძოდ, საკონსტიტუციო სასამართლომ დაადასტუროს ან უარყოს მოსამართლის ვარაუდი, დავის გადაწყვეტისათვის საჭირო სამართლებრივი ნორმის არაკონსტიტუციურობის თაობაზე. განსახილველ საქმეში საქმის წარმოების სავალდებულო შეჩერების ინსტიტუტი გამოყენებულია „დ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული საფუძვლით: „თუ საქმის განხილვა შეუძლებელია სხვა საქმის გადაწყვეტამდე, რომელიც განხილულ უნდა იქნეს სამოქალაქო სამართლის ან ადმინისტრაციული წესით“.

საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ აღნიშნული საფუძვლით საქმის წარმოების შეჩერების სავალდებულო ხასიათი მდგომარეობს შემდეგში:

სამართალწარმოების წებისმიერ სტადიაზე, შესაძლებელია, პარალელურად მიმდინარეობდეს სხვა საქმის განხილვა სამო-

ქალაქო ან ადმინისტრაციული წესით, რომლის გადაწყვეტამ-დე, შეუძლებელია მოცემული საქმის განხილვა.

ნორმატიული დათქმა – საქმის განხილვის შეუძლებლობა სხვა საქმის გადაწყვეტამდე, გამომდინარეობს სასამართლო დავის განხილვის სამართლებრივი ბუნების ღოგიერდან, კერძოდ, ყოველი კონკრეტული საქმის გადაწყვეტა სასამართლოში დაკავშირებულია გარკვეული ფაქტების დადგენასთან. ფაქტების დადგენის აუცილებლობა განპირობებულია იმით, რომ სასამართლო იხილავს და წყვეტს მხარეთა შორის წარმოქმნილ დავებს, რომლებიც სამართლით რეგულირებული ურთიერთობებიდან წარმოიშობან. სამართლებრივი ურთიერთობა კი, შეიძლება აღმოცენდეს, განვითარდეს ან შეწყდეს მხოლოდ იურიდიული ფაქტების საფუძველზე. ე.ი ისეთი ფაქტების საფუძველზე, რომლებსაც სამართლის ნორმა უკავშირებს გარკვეულ იურიდიულ შედეგს.

მითითებული საფუძვლით საქმის წარმოების შეჩერების ვალდებულება პირდაპირ კავშირშია ისეთ საპროცესო ინსტიტუტთან, როგორიცაა მტკიცების ტვირთი და ემსახურება ფაქტების დამტკიცების ვალდებულებისაგან მხარეთა გათავისუფლების მიზანს. სამართალწარმოების ერთ-ერთი პრინციპის – პროცესის ეკონომის პრინციპის რეალიზაციის უზრუნველყოფას, რაც, თავის მხრივ, ეფექტუანი მართლმსაჯულების განხორციელების წინაპირობაა.

სხვა სამართალწარმოებით (წარმოებით) საქმის განხილვისას სასამართლოს მიერ ფაქტობრივი გარემოებების დადგენა რიგ შემთხვევაში შეუძლებელს ხდის კონკრეტული საქმის განხილვას, რამდენადაც ფაქტები, რომლებიც უნდა დადგინდეს სამოქალაქო ან ადმინისტრაციული წესით განხილვისას, ვერ იქნება გამორკვეული, შეფასებული და დადგენილი კონკრეტული საქმის წარმოებისას, ამავდროულად, ამ ფაქტების დადგენამდე შეუძლებელი უნდა იყოს მოცემული საქმის განხილვა.

განსახილველ შემთხვევაში საქმის შასალებით ირკვევა შემდეგი:

მხარეთა შორის წარმოშობილი წინამდებარე დავის უმთავრეს საფუძველს წარმოადგენს თავდაპირველი მოსარჩევის უფლება ნაგებობაზე, რომლის მოპასუხის უკანონო მფლობელობიდან გამოთხოვასაც მოითხოვს.

სამოქალაქო კოდექსის 172-ე მუხლის 1-ლი წანახმად, უკანონო მფლობელობიდან ნივთის გამოთხოვისათვის სავალდებულოა დადგინდეს გამოთხოვის მომთხოვნი მოსარჩევის საკუთრების უფლების ნამდვილობა, რამდენადაც მესა-

კუთრეს შეუძლია მფლობელს მოსთხოვოს ნივთის უკან დაბრუნება, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა მფლობელს ჰქონდა ამ ნივთის ფლობის უფლება.

თავის მხრივ, საკუთრების უფლების ნორმატიული დათქმის თანახმად (სკ 170.1 მუხლი), მესაკუთრეს შეუძლია, კანონისმიერი ან სხვაგარი, კერძოდ, სახელმწერულებო შებოჭვის ფარგლებში თავისუფლად ფლობდეს და სარგებლობდეს ქონებით (ნივთით), არ დაუშვას სხვა პირთა მიერ ამ ქონებით სარგებლობა, განკარგოს იგი, თუკი ამით არ იღავება მეზობლების ან სხვა მესამე პირთა უფლებები, ანდა, თუ ეს მოქმედება არ წარმოადგნა უფლების ბოროტად გამოყენებას.

მოცემულ შემთხვევაში მოპასუხე შესაგებლითვე შეედავა რეესტრში არსებული ჩარანერის სისწორეს, ხოლო სააპელაციო საჩივრის განხილვის ეტაპზე წარადგინა მტკიცებულება, რომლის თანახმადაც საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის შეფასების საგანს წარმოადგენს საკადასტრო მონაცემების სისწორე, აღნიშნული კი წარმოადგენს ერთერთ იმ საფუძველსა, რასაც ემყარება რეესტრში რეგისტრირებული ნივთის უფლებრივი მდგომაროება.

საკასაციო პალატა ვერ იმსჯელებს მხარის მოსაზრებაზე, რომ სასამართლომ არასწორად დაუშვა მტკიცებულებები, რადგანაც მტკიცებულებათა დაშვების განჩინება შეიძლება შემაჯამებელ გადაწყვეტილებასთან ერთად გასაჩივრდეს საპროცესო კოდექსის 404-ე მუხლით დადგენილი წესით, რაც შეეხება საპროცესო კოდექსის 380-ე მუხლის მე-2 ნაწილის დარღვევასა და ამ კონტექსტში შუამდგომლობის გაყენების საფუძვლიანობას, საკასაციო პალატა მიუთითებს იმ გარემოებაზე, რომ ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიამ სარჩელი წარმოებაში მიიღო 2014 წლის 24 იანვარს, მას შემდეგ, რაც მოცემულ საქმეზე საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგის გამოტანილი ჰქონდა შემაჯამებელი გადაწყვეტილება, აღნიშნული გარემოება არგუმენტის გაზიარებაზე უარის თქმის საფუძველია.

დაუსაბუთებელია ასევე კერძო საჩივრის ავტორის მტკიცება, რომ დაირღვა შეჯიბრებითობის პრინციპი და მხარეს არ მიეცა შესაძლებლობა, დაეცვა საკუთარი პოზიცია, რადგანაც საქმეში წარმოდგენილია წერილობითი მოსაზრება, რომლითაც აპელანტის მონინააღმდეგე მხარე მიუთითებს შუამდგომლობის თაობაზე მის მოსაზრებებს. რაც შეეხება აპელანტის მიერ შუამდგომლობის არასათანადო დასაბუთებას, საკასაციო პალატა ყურადღებას გაამახვილებს იმ გარემოებაზე, რომ მხარე

წარადგინა სასამართლო აქტი – განჩინება, რომლითაც ირკვევა სასამართლოს წარმოებაში არსებული დავის საგანი, მოთხოვნა და სხვა აუცილებელი ელემენტები. მხარე ზოგადად (სსს 215-ე მუხლი) ვალდებულია, შუამდგომლობა სათანადოდ დაასაბუთოს (გარდა ფაქტობრივ გარემოებაზე მითითებისა, წარადგინოს ასევე მისი მოსაზრება სამართლებრივ საფუძვლიანობას-თან დაკავშირებით), თუმცა მოსამართლისათვის საგალდებულო არ არის მხარეთა მოსაზრებები, თუ მოთხოვნის დასაკმაყოფილებლად რა სამართლებრივი საფუძველი უნდა იქნეს გამოყენებული და არც კანონის იმპერატიული დათქმაა, რომ გამოტანილი გადაწყვეტილება დაეფუძნოს მხარეთა მიერ მითითებულ მოთხოვნის სამართლებრივ საფუძველს. მაშინაც კი, თუ მხარები განსაზღვრულ საკითხებთან მიმართებით არასწორ ან არამყარ სამართლებრივ პოზიციებს ირჩევენ, თუ საქმის მასალებზე დაყრდნობით და სხვაგვარი დასაბუთებით კანონიერი გადაწყვეტილების გამოტანა შესაძლებელია. სწორედ აღნიშნული წარმოადგენს სამოსამართლო საქმიანობას, რომელიც უზრუნველყოფს კერძო სამართლის სუბიექტთა დარღვეული უფლებებისა და ინტერესების სრულყოფილად და ეფექტურად დაცვას (იხ. სუსგ №ას-877-825-2010, 28 დეკემბერი, 2010 წელი).

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო იზიარებს გასაჩივრებული განჩინების დასკვნებს ფაქტობრივ გარემოებებთან დაკავშირებით, ამ გარემოებების სამართლებრივ შეფასებას და მიიჩნევს, რომ მოცემულ შემთხვევაში არსებობდა საქმის წარმოების შეჩერების საფუძველი, რომელიც განპირობებულია სამოქალაქო დავის სწორად გადაწყვეტითა და არა მისი განხილვის გაჭიანურებით, ხოლო ის გარემოება, ადმინისტრაციული სარჩელი უსაფუძვლო და ხანდაზმული არის თუ არა, წარმოადგენს ადმინისტრაციული სამართალწარმოების და არა წინამდებარე საქმეზე საკასაციო სასამართლოს შეფასების საგანს.

### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 419-ე, 420-ე მუხლებით და

### **დ ა ა დ გ ი ნ ა:**

1. შპს „.... I-ის“ კერძო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს უსაფუძვლობის გამო.

2. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2014 წლის 11 აპრილის საოქმო განჩინება დარჩეს უცვლელად.
3. კერძო საჩივარზე სახელმწიფო ბაჟი გადახდილია.
4. საკასაციო პალატის განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

## სააპელაციო საჩივრის ღირებულება

### განჩინება

№ას-1-1-2014

19 თებერვალი, 2014 წ., ქ. თბილისი

**საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა  
შემადგენლობა: ვ. როინიშვილი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
ბ. ალავიძე,  
პ. ქათამაძე**

**დავის საგანი:** ნასყიდობის თანხის დაკისრება, გარიგების ბათილად ცნობა

#### **აღწერილობითი ნაწილი:**

გ. ს-იმ სარჩელი აღმდრა სასამართლოში შპს „ვ. 2009-სა“ და შპს „G – 2012-ის“ მიმართ მოპასუხებისათვის სოლიდარულად 252536 ლარის დაკისრებისა და 2012 წლის 20 სექტემბერს შპს „ვ. 2009-სა“ და შპს „G – 2012-ს“ შორის დადებული უძრავი ქონების გადაცემის ხელშეკრულების ბათილად ცნობის მოთხოვნით.

მოპასუხებმა სარჩელი არ ცნეს და მოითხოვეს მის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა.

ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2013 წლის 26 ივნისის გადაწყვეტილებით გ. ს-ის სარჩელი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ, შპს „ვ. 2009-სა“ და შპს „G – 2012-ს“ მოსარჩელის სასარგებლოდ სოლიდარულად დაეკისრათ 252536 ლარის გადახდა, ხოლო შპს „ვ. 2009-სა“ და შპს „G – 2012-ს“ შორის 2012 წლის 20 სექტემბერს დადებული უძრავი ქონების გადაცემის შესახებ ხელშეკრულების ბათილად ცნობის ნანილში მოსარჩელეს უარი ეთქვა სარჩელის დაკმაყოფილებაზე.

საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება სააპელაციო წე-

სით გაასაჩივრეს მოპასუხეებმა.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 31 ოქტომბრის განჩინებით შპს „ვ. 2009-სა“ და შპს „G – 2012-ის“ სააპელაციო საჩივარი მიღებულ იქნა განსახილვებად.

სააპელაციო სასამართლოს შეგებებული სააპელაციო საჩივარით მიმართა ასევე მოსარჩელემ და სარჩელის სრულად დაკმაყოფილება ითხოვა.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2013 წლის 5 დეკემბრის განჩინებით გ. ს-ის შეგებებული სააპელაციო საჩივარი დარჩა განუხილველად შემდეგი დასაბუთებით:

სააპელაციო სასამართლომ, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 368-ე მუხლის მე-5 ნაწილის თანხმად, აღნიშნა, რომ სახელმწიფო ბაჟის გადახდა, კანონით დადგენილი ოდენობით, სააპელაციო საჩივარის დასაშვებობის ერთ-ერთი პირობაა. თუ იგი გადახდილი არ არის და არ არსებობს მისი გადახდისაგან გათავისუფლების ან მისი გადახდის გადავადების კანონით გათვალისწინებული საფუძვლები, სააპელაციო საჩივარი ხარვეზიანია და აპელანტს უნდა დაერიშნოს გონივრული საპროცესო ვადა ხარვეზის შესავსებად.

სახელმწიფო ბაჟის ოდენობის დადგენისათვის სააპელაციო სასამართლომ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 39-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით, მე-3 ნაწილის „ბ.ა“ ქვეპუნქტით, 41-ე მუხლის პირველი ნაწილის „ი“ ქვეპუნქტითა და 365-ე მუხლით და მიუთითა იმ გარემოებაზე, რომ აპელანტი ასაჩივრებდა რა გადაწყვეტილებას სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის ნაწილში, ფაქტიურად, მოითხოვდა სააპელაციო სასამართლოს ეცნო შპს „ვ 2009-ის“ საკუთრების უფლება 2012 წლის 20 სექტემბრის ხელშეკრულებაში აღნიშნულ უძრავ ნივთზე, შესაბამისად, სააპელაციო საჩივრის ღირებულება განისაზღვრა სადაც ხელშეკრულებაში მითითებული ფასით – 482090 ლარით, რომლის 4% შეადგენდა 19283.6 ლარს, თუმცა, ვინაიდან სააპელაციო სასამართლოში ფიზიკური პირის მიერ გადასახდელი სახელმწიფო ბაჟის მაქსიმალური ოდენობა 5000 ლარს წარმოადგენდა, სააპელაციო სასამართლომ გ. ს-ის დააკისრა სწორედ აღნიშნული თანხის გადახდა წარმოდგენილი შეგებებული სააპელაციო საჩივრისათვის.

პალატამ მიუთითა აპელანტის წარმომადგენელ ა. რ-ის 2013 წლის 2 დეკემბრის განცხადებაზე, რომელიც ხარვეზის გამოსწორების მიზნით იყო წარდგენილი და მიიჩნია, რომ ხარვეზის

გამოსასწორებლად საპროცესო ვადის გაგრძელებას აზრი არ ჰქონდა, რაფგან აპელანტი არ აპირებდა სახელმწიფო ბაჟის გადახდას სააპელაციო სასამართლოს მიერ განსაზღვრული ოდენობით. შესაბამისად, სასამართლომ ჩათვალა, რომ გ. სარის შეგებებული სააპელაციო საჩივარი დაუშვებელი იყო და განუხილველად უნდა ყოფილიყო დატოვებული.

სააპელაციო სასამართლოს განჩინებაზე კერძო საჩივარი შეიტანა გ. ს-იმ, მოითხოვა მისი გაუქმება და სააპელაციო საჩივრის განსახილველად დაშვება შემდეგი საფუძვლებით:

კერძო საჩივრის ავტორი არ ეთანხმება გასაჩივრებულ განჩინებას და მის გაუქმებას მოითხოვს იმ საფუძვლით, რომ სასამართლომ არასწორად განსაზღვრა დავის საგნის ლირებულება. შეგებებული სააპელაციო საჩივრით აპელანტს არ უთხოვია სადავო ქონების „შპს „ვ. 2009-ისათვის“ საკუთრებაში დაბრუნება, მისი მოთხოვნა ქონების გადაცემის შესახებ ხელშეკრულების ბათილად ცნობას წარმოადგენდა, რაც განსხვავებულია. მოსარჩევე არ არის დაინტერესებული შპს „ვ. 2009-ის“ მიერ საკუთრების უფლების აღდგენით ქონებაზე, რომლის ლირებულებაც 482090 ლარს შეადგენს, ასევე არ წარმოადგენს უფლებამოსილ პირს, იდავოს აღნიშნულზე. მხარის მოთხოვნის საფუძველს წარმოადგენს ის გარემოება, რომ დადასტურდეს შპს „ვ. 2009-ის“ საზოგადოების საწესდებო კაპიტალში შეტანის შესახებ გარიგების ამორალურობა და ის ფაქტი, რომ გარიგება მხოლოდ გ. ს-ის ინტერესების წინააღმდეგ არის მიმართული. თავად გარიგება ეწინააღმდეგება საჯარო წესრიგსა და ზნეობის ნორმებს და დადგებულია მხოლოდ მოსაჩვენებლად. ამ გარემოებათა გათვალისწინებით, სააპელაციო სასამართლომ, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 39-ე მუხლის მე-3 ნაზილის „ბ.ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად, არასწორად განსაზღვრა სააპელაციო სასამართლოში გადასახდელი სახელმწიფო ბაჟის ოდენობა 5000 ლარით. სასამართლოს ეს მსჯელობა არღვევს როგორც აპელანტის, ისე მოწინააღმდეგე შხარის ინტერესებს.

შეგებებული სააპელაციო საჩივრის განუხილველად დატოვების შესახებ განჩინების გაუქმების მეორე საფუძვლად კერძო საჩივრის ავტორმა მიუთითა იმ გარემოებაზე, რომ ხარვეზის დადგენის შესახებ განჩინება გამოტანილია 2013 წლის 19 ნოემბერს, ხარვეზის გამოსწორების 10-დღიანი ვადა ამოიწურა 2013 წლის 6 დეკემბერს 24:00 საათზე, ვინაიდან თავად განჩინება მხარეს 2013 წლის 26 ნოემბერს ჩაბარდა, ამდენად, სასამართლოს შეგებებული სააპელაციო საჩივარი განუხილველად დატოვების განჩინება უნდა გამოეტანა არა უადრეს 2013 წლის 7 დეკემბრი-

სა და არა ამავე წლის 5 დეკემბერს. ეს გარემოება მნიშვნელოვანია იმდენად, რამდენადაც 2013 წლის 5 დეკემბერს მხარემ სასამართლოს მიმართა განცხადებით, სადაც მოთხოვნილი იყო ხარვეზის გამოსწორების ვადის 15 დღით გაგრძელება, რაც მოტივირებული მონინააღმდეგე მხარის ქმედებით, გ.ს-ის სახელმწიფო ბაჟის თანხის მოსაძიებლად ესაჭიროება გარკვეული დრო. საპელაციო პალატამ მონინააღმდეგე მხარის შუამდგომლობა საპროცესო ვადის გაგრძელების თაობაზე დააკამაყოფილა, ხოლო შეგებებული სააპელაციო საჩივრის ავტორი არათანაბარ მდგომარეობაში ჩააყენა. მხარის განმარტებით, შესაძლოა, გ.ს-იმ ვერც უზრუნველყოს საჭირო რაოდენობით თანხის მოგროვება, რის გამოც, მის მიერ სავსებით კანონიერადა გადახდილი სახელმწიფო ბაჟის სახით 150 ლარი და სააპელაციო სასამართლოს არ უნდა გაეზარდა მხარის მოთხოვნა.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმე-თა პალატის 2014 წლის 16 იანვრის განჩინებით გ. ს-ის კერძო საჩივარი მიღებულ იქნა განსახილველად.

### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლო კერძო საჩივრის საფუძვლების ანალიზის, საქმის მასალების შესწავლისა და გასაჩივრებული განჩინების იურიდიული დასაბუთების შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ გ. ს-ის კერძო საჩივარი ნაწილობრივ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგი გარემოებების გამო:

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 420-ე მუხლის თანახმად, კერძო საჩივრების განხილვა ზემდგომ სასამართლოებში წარმოებს შესაბამისად ამ სასამართლოებისათვის გათვალისწინებული წესების დაცვით. ამავე კოდექსის 412-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „ა“ ქვეპუნქტის თანახმად, საკასაციო სასამართლო აუქმებს გადაწყვეტილებას და საქმეს ხელახლა განსახილველად აბრუნებს სააპელაციო სასამართლოში, თუ საქმის გარემოებები საპროცესო წორმების ისეთი დარღვევითა დადგენილი, რომ ამ დარღვევების შედეგად საქმეზე არასწორი გადაწყვეტილება იქნა გამოტანილი და საჭიროა მტკიცებულებათა დამატებითი გამოკვლევა.

მოცემულ შემთხვევაში, საქმის მასალებით დასტურდება, რომ ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმე-თა პალატის 2013 წლის 31 ოქტომბრის განჩინებით შპს „ვ. 2009-ისა“ და შპს „G – 2012-ის“ სააპელაციო საჩივარი მიღებულ იქნა განსახილველად;

სააპელაციო სასამართლოს შეგებებული სააპელაციო საჩივ-

რით მიმართა გ. ს-იმ და ითხოვა უძრავი ქონების გადაცემის შესახებ ხელშეკრულების ბათილად ცნობის მოთხოვნის ნაწილში მისი სარჩელის დაკმაყოფილება;

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2013 წლის 19 ნოემბრის განჩინებით გ. ს-ის შეგებებული სააპელაციო საჩივარი მიჩნეულ იქნა ხარვეზიანად და მხარეს დაევალა სააპელაციო საჩივარზე სახელმწიფო ბაჟის – 5000 ლარის გადახდის დამადასტურებელი მტკიცებულების სააპელაციო სასამართლოში წარდგენა;

საპროცესო მოქმედების განხორციელების ვადა განისაზღვრა განჩინების ჩაბარებიდან 10 დღით;

საკასაციო პალატა სავსებით იზიარებს სააპელაციო სასამართლოს მოსაზრებას შეგებებულ სააპელაციო საჩივარზე სახელმწიფო ბაჟის განსაზღვრის ნაწილში და თვლის, რომ სასამართლომ შეგებებული სააპელაციო საჩივრის საგნის ლირებულება, შესაბამისად, სახელმწიფო ბაჟის ოდენობა სწორად განსაზღვრა 5000 ლარით. ამ კუთხით დასაბუთებულ შედაგებას კერძო საჩივარი არ შეიცავს.

მოცემულ შემთხვევაში, დავას არ იწვევს ის გარემოება, რომ ხელშეკრულებით, რომლის ბათილად ცნობასაც შეგებებული სააპელაციო საჩივრის ავტორი მოითხოვს, სადაც ქონების ღირებულება 482090 ლარია.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 365-ე მუხლისა და 41-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „ი“ ქვეპუნქტიდან გამომდინარე, სააპელაციო საჩივრის საგნის ლირებულება განისაზღვრება უძრავი ნივთის საპაზრო ლირებულებით. ამ თვალსაზრისით პალატა ვერ დაეთანხმება კერძო საჩივრის ავტორს, რომ მას ქონების თავდაპირველი მოპასუხისათვის დაბრუნება არ უთხოვია და ამ სარჩელზე ის არ წარმოადგენს უფლებამოსილ (სათანადო) მხარეს. საკასაციო პალატა განმარტავს, რომ გარიგების ბათილად ცნობის შესახებ სარჩელის დაკმაყოფილება თავისთავად იწვევს იმ სამართლებრივი რეალობის აღდგენას, რომელიც ბათილი გარიგების დადებამდე არსებობდა, ამასთანავე, ამ ტიპის სარჩელს ალძვრისათვის მხოლოდ ქონების თავდაპირველი მესაკუთრე შესაძლოა არც იყოს ერთადერთი უფლებამოსილი პირი. გარიგების ბათილად ცნობა ალიარებითი სარჩელია, რომლის შეტანაზეც, როგორც უშუალოდ ამ გარიგების მხარეს, ისე მესამე პირს სათანადოდ აქცევს მისი იურიდიული ინტერესი, თანახმად სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 180-ე მუხლისა, ამასთან, საქმის განსახილველად მიღების ეტაპზე სასამართლო ამ იურიდიულ ინტერესს მხოლოდ ფორმალური თვალსაზრისით შე-

ისწავლის, ხოლო მისი ნამდვილობა საქმის გადაწყვეტაზე აისახება იმდენად, რამდენადაც ამ საქმის არსებითად განხილვისას დადგინდება ამ ინტერესის მართებულობა. ამდენად, ის გარემოება, რომ მოსარჩელეს (შეგებებული საპელაციო საჩივრის ავტორს) არ უთხოვია თავდაპირველი მესაუთრისათვის ნივთის დაბრუნება, დავის საგნის ღირებულების სხვაგვარად განსაზღვრას არ გამოიწვევს, ხოლო სააპელაციო სასამართლოს მსჯელობის კანონიერებას დავის საგნის ღირებულებაზე ადასტურებს სწორედ ის გარემოება, რომ მხარის მიზანს წარმოადგენს გარიგების ბათილობის დადგენა, რომელიც მიმართულია მხოლოდ გ. ს-ის ინტერესების საწინააღმდეგოდ.

ამდენად, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ დავის საგნის ღირებულების გათვალისწინებით, სააპელაციო სასამართლომ სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 39-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „ბ“ და ამავე ნორმის მე-3 ნაწილის „ბ.ა“ ქვეპუნქტების გამოყენებით, სწორად დააკისრა ფიზიკურ პირს, შეგებებული სააპელაციო საჩივრის ავტორს სახელმწიფო ბაჟის სახით 5000 ლარის გადახდა, ეს გარემოება კი, თავისთვად გამორიცხავს კერძო საჩივრის ავტორის მოსაზრებას სადაც თანხის 150 ლარით განსაზღვრის თაობაზე.

რაც შეეხება კერძო საჩივრის მეორე არგუმენტს, რომ მხარემ სასამართლოს მიერ დადგენილი საპროცესო ვადის დაცვით მიმართა სასამართლოს შუამდგომლობით, ხოლო პალატას ეს შუამდგომლობა არ გამოუკლევია, საკასაციო პალატა სავსებით იზიარებს აღნიშნულს და მიიჩნევს, რომ სამართლებრივად ეს მოსაზრება სწორედ სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 393-ე მუხლის მე-3 ნაწილით გათვალისწინებული დასაბუთებული შედავებაა. ამ კუთხით სასამართლო ყურადღებას გაამახვილებს შემდეგზე:

ხარვეზის დადგენის შესახებ განჩინებით საპროცესო მოქმედების განხორციელების ვადა 10 დღითაა განსაზღვრული;

2013 წლის 19 ნოემბრის განჩინება მხარის უფლებამოსილ წარმომადგენელს გაეგზავნა 2013 წლის 20 ნოემბერს, და სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 70-78-ე მუხლების მოთხოვნათა დაცვით, ადრესატს პირადად 2013 წლის 26 ნოემბერს ჩაბარდა;

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-60 მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, საპროცესო ვადის დენა დაიწყო 2013 წლის 27 ნოემბერს და ამოაწურა ამავე წლის 6 დეკემბერს, პარასკევს, 24:00 საათზე. აღნიშნული ვადა წარმოადგენდა სწორედ იმ საპროცესო ვადას, რომლის განმავლობაშიც მხარე უფლებამოსილი იყო განეხორციელებინა საპროცესო მოქმედება.

მართალია, აპელანტის უფლებამოსილმა წარმომადგენლმა 2013 წლის 30 ნოემბერს ჩააბარა ფოსტას განცხადება, რომლითაც არ დაეთანხმა სააპელაციო სასამართლოს მსჯელობას სახელმწიფო ბაჟის ოფენობის განსაზღვრის თაობაზე, თუმცა 2013 წლის 6 დეკემბრის 24:00 საათამდე მხარე უფლებამოსილი იყო, მიემართა სასამართლოსათვის, სააპელაციო პალატაშ კი, ამ ვადის ამონურვამდე, 2013 წლის 5 დეკემბერს გამოიტანა განჩინება გ.ს-ის შეგებებული სააპელაციო საჩივრის განუხილველად დატოვების თაობაზე.

საყურადღებოა, რომ 2013 წლის 5 დეკემბრის განჩინება მხარის წარმომადგენელს ჩაბარდა 2013 წლის 12 დეკემბერს, ხოლო ხარვეზის გამოსწორების ვადის დაცვით, 2013 წლის 5 დეკემბერს, ვიდრე მისთვის ცნობილი გახდებოდა შეგებებული სააპელაციო საჩივრის განუხილველად დატოვების შესახებ, ა. რემ შუამდგომლობით მიმართა სასამართლოს და ითხოვა დადგენილი საპროცესო ვადის 20 დღით გაგრძელება, რაც სააპელაციო სასამართლოს არ შეუსწავლია.

საკასაციო პალატის შეფასებით, ამ შუამდგომლობის წარდგენა, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 83-ე მუხლით გარანტირებული მხარის საპროცესო უფლებამოსილებას წარმოადგენს, რომლის განხილვამ შესაძლოა დავის გადაწყვეტაზე იქონიოს გავლენა.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ უნდა გაუქმდეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2013 წლის 5 დეკემბრის განჩინება და ხარვეზის გამოსწორების საპროცესო ვადის გაგრძელების შესახებ გ. ს-ის წარმომადგენელ ა. რ-ის შუამდგომლობის შესწავლის ეტაპიდან საქმე ხელახლა განსახილველად უნდა დაუბრუნდეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს, რომელმაც ამ შუამდგომლობის შესწავლის გზით განმეორებით უნდა შეამონმოს შეგებებული სააპელაციო საჩივრის დასაშვებობის საკითხი.

### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 419-ე, 420-ე მუხლებით და

### **დ ა ა დ გ ი ნ ე ბ ა:**

1. გ. ს-ის კერძო საჩივარი ნაწილობრივ დაკმაყოფილდეს.
2. გაუქმდეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქა-

ლაქო საქმეთა პალატის 2013 წლის 5 დეკემბრის განჩინება და საქმე შეგებებული სააპელაციო საჩივრის დასაშვებობის ეტა-პიდან ხელახლა განსახილველად დაუბრუნდეს იმავე სასამარ-თლოს.

3. კერძო საჩივარზე სახელმწიფო ბაჟი გადახდილია.
4. საკასაციო პალატის განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივ-რდება.

## სააპელაციო საჩივრის შეტანის ვადა

### განრიცხვა

№ას-419-396-2014

6 ივნისი, 2014 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა

შემადგენლობა: ვ. როინიშვილი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),

ბ. ალავიძე,

პ. ქათამაძე

**დავის საგანი:** სესხის ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებუ-ლების შესრულება, ვალდებულების დარღვევით გამოწვეული ზიანის ანაზღაურება

### აღწერილობითი ნაწილი:

ო. ბ-მ სარჩელი აღძრა სასამართლოში მ. რ-ის მიმართ სეს-ხის ხელშეკრულებიდან გამომდინარე ძირი თანხის – 100000 აშშ დოლარის, სარგებლის – 24500 აშშ დოლარისა და გადაწყვეტი-ლების აღსრულებამდე ხელშეკრულებით გათვალისწინებული სარგებლის – 3,5%-ის გადახდის დაკისრების მოთხოვნით.

მოპასუხებ სარჩელი არ ცნო.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2013 წლის 24 დეკემბრის გადაწყვეტილებით სარჩე-ლი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა, მ. რ-ს ო. ბ-ის სასარგებლოდ დაეკისრა 124500 აშშ დოლარის გადახდა, საიდანაც 100000 აშშ დოლარი წარმოადგენდა ძირითად თანხას, 24500 აშშ დოლარი მასზე დარიცხულ სარგებელს, ხოლო მ. რ-ს ო. ბ-ის სასარგებ-ლოდ დაეკისრა 2010 წლის 13 თებერვლიდან გადაწყვეტილე-ბის აღსრულებამდე 100000 აშშ დოლარის 8,5%-ის (8500) აშშ დოლარის ანაზღაურება.

საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება სააპელაციო ნე-  
სით გაასაჩივრა მ. რ-მა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმე-  
თა პალატის 2014 წლის 6 მარტის განჩინებით მ. რ-ის სააპელა-  
ციო საჩივარი დარჩა განუხილველად შემდეგი საფუძვლებით:

სააპელაციო პალატამ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპრო-  
ცესო კოდექსის 373-ე მუხლის 1-ლი ნაწილით, 374-ე მუხლის  
მე-2 ნაწილით, 369-ე, 2591 მუხლებით და დადგენილად მიიჩ-  
ნია, რომ 2013 წლის 24 დეკემბრის გადაწყვეტილების სარეზო-  
ლუციო ნაწილის გამოცხადებას ესწრებოდა მ. რ-ის უფლება-  
მოსილი წარმომადგენელი მ. ჯ-ი. პალატამ მიუთითა სამოქალა-  
ქო საპროცესო კოდექსის მე-60 მუხლის მე-2 ნაწილზე და აღ-  
ნიშნა, რომ გადაწყვეტილების გამოცხადებიდან მე-20 დღე იყო  
2014 წლის 13 იანვარი, ხოლო 30-ე დღე – 23 იანვარი. საქმის  
მასალებით დასტურდებოდა, რომ მ. ჯ-მა გადაწყვეტილების ჩა-  
ბარების თხოვნით სასამართლოს მიმართა 2014 წლის 24 იან-  
ვარს, კანონით დადგენილი ვადის გასვლის შემდგომ და გადაწ-  
ყვეტილება ჩაიპარა 2014 წლის 3 თებერვალს. სასამართლოს შე-  
ფასებით, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-60 მუხლის მე-  
2 ნაწილის თანახმად, სააპელაციო საჩივრის წარდგენის ვადის  
დენა დააწყო გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის გა-  
მოცხადებიდან 30-ე დღეს – 2014 წლის 24 იანვარს და ამოინუ-  
რა 6 თებერვალს, სააპელაციო საჩივარი კი მხარეს წარდგენი-  
ლი ჰქონდა 2014 წლის 13 თებერვალს, რაც, სამოქალაქო საპ-  
როცესო კოდექსის 374-ე მუხლის 1-ლი ნაწილის საფუძველზე  
სააპელაციო საჩივრის განუხილველად დატოვების საფუძვლად  
იქნა მიჩნეული.

სააპელაციო პალატის განჩინებაზე კერძო საჩივარი შეიტა-  
ნა მ. რ-ის წარმომადგენელმა მ. ჯ-ი, მისი გაუქმება და სააპელა-  
ციო საჩივრის განსახილველად დაშვება ითხოვა შემდეგი სა-  
ფუძვლებით:

სააპელაციო სასამართლომ განჩინებაში მიუთითა სამოქა-  
ლაქო საპროცესო კოდექსის 259<sup>1</sup> მუხლზე და აღნიშნა, რომ გა-  
დაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის გამოცხადებიდან მე-  
20 დღე იყო 2014 წლის 13 იანვარი, ხოლო 30-ე დღე – 23 იანვარი  
და მხარეს ამ ვადაში შეეძლო, ჩაებარებინა გადაწყვეტილება.  
აპელანტის წარმომადგენელმა სატელეფონო კომუნიკაციის სა-  
შუალებით არაერთხელ ითხოვა გადაწყვეტილების ჩაბარება,  
თუმცა უშედეგოდ. 2014 წლის 24 იანვარს კანონით განსაზღვრუ-  
ლი ვადის გასვლის შემდგომ წარმომადგენელმა სასამართლოს  
ნერილობით თხოვა გადაწყვეტილების გადაცემა, რომლის მო-

პოვებაც მხოლოდ 3 თებერვალს გახდა შესაძლებელი.

კერძო საჩივრის ავტორის მოსაზრებით, ზემოაღნიშნული საპროცესო ნორმა არაა მიმართული მხარისათვის გასაჩივრების უფლების ჩამორთმევისაკენ. მოცემულ შემთხვევაში, მხარისათვის დასაბუთებული გადაწყვეტილების გადაცემას თავად სასამართლომ აარიდა თავი, რის გამოც საპროცესო ვადის გამოთვლა არა ზემოაღნიშნული ნორმის, არამედ საყოველთაოდ გარანტირებული გასაჩივრების უფლების დაცვით უნდა განხორციელდეს.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2014 წლის 7 მაისის განჩინებით მ. რ-ის კერძო საჩივარი მიღებულ იქნა განსახილველად.

### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ განიხილა კერძო საჩივარი, შეისწავლა საქმის მასალები და მიიჩნევს, რომ მ. რ-ის კერძო საჩივარი უნდა დაგმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 420-ე მუხლის თანახმად, კერძო საჩივრების განხილვა ზემდგომ სასამართლოებში წარმოებს შესაბამისად ამ სასამართლოებისათვის გათვალისწინებული წესების დაცვით. ამავე კოდექსის 412-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „ა“ ქეპუნქტის თანახმად კი, საკასაციო სასამართლო აუქმებს გადაწყვეტილებას და საქმეს ხელახლა განსახილველად აბრუნებს სააპელაციო სასამართლოში, თუ საქმის გარემოების საპროცესო ნორმების ისეთი დარღვევითაა დადგენილი, რომ ამ დარღვევების შედეგად საქმეზე არასწორი გადაწყვეტილება იქნა გამოტანილი და საჭიროა მტკიცებულებათა დამატებითი გამოკვლევა.

განსახილველ შემთხვევაში, სააპელაციო სასამართლომ სააპელაციო საჩივრის განსახილველად დაშვებაზე უარი იმ საფუძვლით განაცხადა, რომ აპელანტიმა დაარღვია სააპელაციო საჩივრის წარდგენის 14-დღიანი ვადა, კერძოდ, სასამართლომ დაადგინა, რომ საქალაქო სასამართლოს 2013 წლის 24 დეკემბრის გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის გამოცხადებას ესწრებოდა მ. რ-ის უფლებამოსილი წარმომადგენელი მ. ჯ-ი. გადაწყვეტილების გამოცხადებიდან მე-20 დღე იყო 2014 წლის 13 იანვარი, ხოლო 30-ე დღე – 23 იანვარი. საქმის მასალებით დასტურდებოდა, რომ მ. ჯ-მა გადაწყვეტილების ჩაბარების თხოვნით სასამართლოს მიმართა 2014 წლის 24 იანვარს, კანონით დადგენილი ვადის გასვლის შემდგომ და გადაწყვეტილება ჩაიბარა 2014 წლის 3 თებერვალს. სასამართლოს შეფასე

ბით, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-60 მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, სააპელაციო საჩივრის წარდგენის ვადის დენა დაიწყო გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის გამოცხადებიდან 30-ე დღეს – 2014 წლის 24 იანვარს და ამონურა 6 თებერვალს, სააპელაციო საჩივრი კი მხარეს წარდგენილი ჰქონდა 2014 წლის 13 თებერვალს.

კერძო საჩივრის ავტორის განმარტებით, მან კანონით დაგენილ ვადაში არაერთხელ მიმართა სასამართლოს, თუმცა გადაწყვეტილება მას არ გადაეცა მისგან დამოუკიდებელი მიზეზით, რის გამოც, საპროცესო ვადის გამოთვლა უნდა დაიწყოს სწორედ გადაწყვეტილების მხარისათვის ჩაბარებიდან.

საკასაციო პალატა მიუთითებს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 369-ე მუხლის პირველ ნაწილზე, რომლის თანახმადაც სააპელაციო საჩივრის შეტანის ვადაა 14 დღე. ამ ვადის გაგრძელება და აღდგენა დაუშვებელია და იგი იწყება მხარისათვის დასაბუთებული გადაწყვეტილების გადაცემის მომენტიდან.

იმავე კოდექსის 259<sup>1</sup> მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად, თუ გადაწყვეტილების გამოცხადებას ესწრება გადაწყვეტილების გასაჩივრების უფლების მქონე პირი, ან თუ ასეთი პირისათვის საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით ცნობილი იყო გადაწყვეტილების გამოცხადების თარიღი, გადაწყვეტილების გასაჩივრების მსურველი მხარე (მისი წარმომადგენელი) ვალდებულია გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის გამოცხადებიდან არა უადრეს 20 და არა უგვიანეს 30 დღისა გამოცხადდეს სასამართლოში და ჩაიბაროს გადაწყვეტილების ასლი; ნინააღმდეგ შემთხვევაში გასაჩივრების ვადის ათველა დაიწყება გადაწყვეტილების გამოცხადებიდან 30-ე დღეს. ამ ვადის გაგრძელება და აღდგენა დაუშვებელია.

აღნიშნული ნორმიდან გამომდინარე, გადაწყვეტილების გასაჩივრებისათვის დადგენილი ვადის დენა გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის გამოცხადებიდან 30-ე დღეს მხოლოდ იმ შემთხვევაში დაიწყება, თუ მხარე ამავე მუხლით განსაზღვრულ ვადაში სასამართლოში არ გამოცხადდება და გადაწყვეტილებას არ ჩაიბარებს.

საკასაციო პალატა განმარტავს, რომ ზემომითითებული მუხლი, ერთი მხრივ, მხარის ვალდებულებას ადგენს, მითითებულ ვადაში სასამართლოში გამოცხადდეს გადაწყვეტილების მისაღებად (გარდა იმავე მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებული გამონაკლისებისა), ხოლო, მეორე მხრივ, ითვალისწინებს სასამართლოს ვალდებულებას, იმავე ვადაში მზად ჰქონდა.

დეს დასაბუთებული გადაწყვეტილება მხარისათვის გადასაცემად.

საკასაციო პალატა იმ გარემოებაზეც ამახვილებს ყურადღებას, რომ სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 257-ე მუხლის მე-2 ნაწილის მიხედვით, გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის გამოცხადებიდან 14 დღის ვადაში სასამართლო ამზადებს დასაბუთებულ გადაწყვეტილებას მხარეთათვის გადასაცემად, აღნიშნულის გათვალისწინებით, არ არსებობს დამაბრკოლებელი გარემოება, რის გამოც სასამართლო, მიმართვის შემთხვევაში, გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის გამოცხადებიდან მე-20 დღესვე ვერ შეძლებს მხარისათვის გადაწყვეტილების ჩაბარებას.

საქმეში წარმოდგენილი განცხადების თანახმად, მ. რ-ის წარმომადგენელ სასამართლოში მართლაც საპროცესო ვადის დარღვევით, 2014 წლის 24 იანვარს გამოცხადდა და წერილობით ითხოვა დასაბუთებული გადაწყვეტილების ჩაბარება, თუმცა საქმეშივე არსებული ხელწერილით ირკვევა, რომ მხარეს დასაბუთებული გადაწყვეტილება ჩაბარდა 2014 წლის 3 თებერვალს.

საქმეში არ არის წარმოდგენილი მტკიცებულება, რაც დაადასტურებდა დადგენილ ვადაში სასამართლოს მიერ დასაბუთებული გადაწყვეტილების მომზადებას და მისი მხარის მიერ ბრალეულად ჩაუბარებლობას, თავის მხრივ, ის გარემოება, რომ მხარეს თუნდაც საპროცესო ვადის დარღვევით მიმართვისას არ ბარდება გადაწყვეტილება, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 105-ე მუხლის დანაწესიდან გამომდინარე, იძლევა იმ ვარაუდის საფუძველს, რომ საპროცესო ვადის დარღვევა აპელანტის მიერ არ არის განპირობებული.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ მოცემულ საქმეზე გასაჩივრების ვადის ათვლა გადაწყვეტილების ჩაბარების მომენტიდან – 2014 წლის 4 თებერვლიდან უნდა დაიწყოს, შესაბამისად, სააპელაციო საჩივრის შეტანის ბოლო ვადა 2014 წლის 17 თებერვალი იყო. მ. რ-მა სააპელაციო საჩივარი სასამართლოში 2014 წლის 12 თებერვალს წარადგინა, ამდენად, არ არსებობდა საპროცესო ვადის დარღვევის მოტივით სააპელაციო საჩივრის განუხილველად დატოვების საფუძველი, ხოლო მხარემ ამ კუთხით საპროცესო კოდექსის 393-ე მუხლის მე-2 და მე-3 ნაწილებით გათვალისწინებულ დასაბუთებული შედავება წარმოადგინა (იხ, ასე-ვე სუსგ №ას-184-173-2014, 14 აპრილი, 2014 წელი).

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 412-ე მუხლის მე-2 ნა-

წილის თანახმად, სააპელაციო სასამართლომ განმეორებით უნდა გამოიკვლიოს სააპელაციო საჩივრის შესაბამისობა საპროცესო კოდექსის 368-ე მუხლის მოთხოვნებთან და გარემოებათა სწორი შეფასების გზით იმსჯელოს სააპელაციო საჩივრის დასაშვებობაზე.

### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 419-ე, 420-ე მუხლებით და

### **დ ა ა დ გ ი ნ ა:**

1. მ. რ-ის კერძო საჩივარი დაკმაყოფილდეს.
2. გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2014 წლის 6 მარტის განჩინება და საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს.
3. კერძო საჩივარზე სახელმწიფო ბაჟი გადახდილია.
4. საკასაციო პალატის განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

## **სააპელაციო საჩივრის შეტანის ვადა**

### **განხილვა**

№ას-229-214-2014

24 აპრილი, 2014 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა  
შემადგენლობა: ვ. როინიშვილი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
ბ. ალავიძე,  
პ. ქათამაძე

**დავის საგანი:** ხელშეკრულების ბათილად ცნობა, თანხის დაკისრება, ზიანის ანაზღაურება

### **აღნერილობითი ნაწილი:**

შპს „ო. ტ-ამ“, შპს „დ. თ-მა“ და შპს „ა-ა-მა“ სარჩელი აღძრეს თბილისის საქალაქო სასამართლოში სს „ს. ბ-ის“ მიმართ ხელშეკრულების ბათილად ცნობის, თანხის დაკისრებისა და ზიანის ანაზღაურების მოთხოვნით.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2013 წლის 6 დეკემბრის გადაწყვეტილებით შპს „ო. ტ-ას“, შპს „d. თ-სა“ და შპს „ა-ა-ის“ სარჩელი სს „ს. ბ-ის“ მიმართ არ დაკმაყოფილდა.

ზემოაღნიშნული გადაწყვეტილება მოსარჩელებმა სააპელაციო წესით გაასაჩივრეს.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2014 წლის 3 თებერვლის განჩინებით შპს „ო. ტ-ას“, შპს „d. თ-სა“ და შპს „ა-ა-ის“ სააპელაციო საჩივარი დარჩა განუხილველად დაუშვებლობის გამო. სააპელაციო სასამართლოს მითითებით, პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილების გასაჩივრების ვადის ათვლა, სსსკ-ის 259<sup>1</sup>-ე მუხლის შესაბამისად, 2014 წლის 6 იანვრიდან დაიწყო და 2014 წლის 19 იანვარს ამოინურა, რომელიც იყო კვირა დღე, შესაბამისად, გასაჩივრების ვადა ამოინურა მომდევნო პირველ სამუშაო დღეს – 20 იანვარს. საქმის მასალებით დასტურდება, რომ სააპელაციო საჩივარი თბილისის საქალაქო სასამართლოში წარდგენილია დაგვიანებით – 21.01.2014 წელს.

აღნიშნული განჩინება აპელანტებმა კერძო საჩივრით გაასაჩივრეს. მათი მითითებით, სააპელაციო სასამართლომ არ გაითვალისწინა ის გარემოება, რომ სააპელაციო საჩივარი ფოსტას 20 იანვარს ჩაბარდა. საჩივარს ერთვოდა საფოსტო ქვითარი, სადანაც ირკვეოდა ჩაბარების თარიღი. კერძო საჩივრის ავტორებმა ასევე წარმოადგენს შპს „სკს-ს“ ცნობა, რომლის თანახმადაც, გზვნილი №001778744 თბილისის სააპელაციო სასამართლოში 2014 წლის 20 იანვარს გაიგზავნა.

### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკავაციო სასამართლომ განიხილა კერძო საჩივარი, შეისწავლა საქმის მასლები და მიიჩნევს, რომ შპს „ო. ტ-ას“, შპს „d. თ-სა“ და შპს „ა-ა-ის“ კერძო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 369-ე მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად, სააპელაციო საჩივრის შეტანის ვადაა 14 დღე. ამ ვადის გაგრძელება და აღდგენა დაუშვებელია და იგი იწყება მხარისათვის დასაბუთებული გადაწყვეტილების გადაცემის მომენტიდან. დასაბუთებული გადაწყვეტილების გადაცემის მომენტად ითვლება დასაბუთებული გადაწყვეტილების ასლის მხარისათვის ჩაბარება ამ კოდექსის 70-ე–78-ე მუხლების ან 259<sup>1</sup> მუხლის შესაბამისად, ასევე 259<sup>1</sup> მუხლის პირველი ნაწილით დადგენილი ვადის გასვლის შემდეგ.

იმავე კოდექსის 259<sup>1</sup>-ე მუხლის 1-ლი ნაწილის მიხედვით კი, თუ გადაწყვეტილების გამოცხადებას ესწრება გადაწყვეტილების გასაჩივრების უფლების მქონე პირი, ან თუ ასეთი პირისათვის საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით ცნობილი იყო გადაწყვეტილების გამოცხადების თარიღი, გადაწყვეტილების გასაჩივრების მსურველი მხარე (მისი ნარმომადგენელი) ვალდებულია გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის გამოცხადებიდან არა უადრეს 20 და არა უგვიანეს 30 დღისა გამოცხადეს სასამართლოში და ჩაიბაროს გადაწყვეტილების ასლი; წინააღმდეგ შემთხვევაში გასაჩივრების ვადის ათვლა დაიწყება გადაწყვეტილების გამოცხადებიდან 30-ე დღეს. ამ ვადის გაგრძელება და აღდგენა დაუშვებელია.

მოცემულ შემთხვევაში, თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილი 2013 წლის 6 დეკემბერს გამოცხადდა. საკასაციო სასამართლო იზიარებს საპელაციო სასამართლოს დასკვნას, რომ სააპელაციო საჩივრის შეტანის ვადის ათვლა 2014 წლის 6 იანვრიდან უნდა დაიწყოს, შესაბამისად, სსსკ-ის 369-ე მუხლით გათვალისწინებული ვადა 19 იანვარს ამოინურა, რომელიც არა-სამუშაო დღე იყო, ამდენად, სსსკ-ის 61-ე მუხლის საფუძველზე, საპროცესო მოქმედების შესრულების ბოლო ვადა იყო მომ-დევნო სამუშაო დღე – 20 იანვარი.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 61-ე მუხლის მე-3 ნაწილის მიხედვით, საპროცესო მოქმედება, რომლის შესასრულებლადაც დადგენილია ვადა, შეიძლება შესრულდეს ვადის უკანასკნელი დღის ოცდაოთხ საათამდე. თუ საჩივარი, საბუთები ან ფულადი თანხა ფოსტას ან ტელეგრაფს ჩაჰპარდა ვადის უკანასკნელი დღის ოცდაოთხ საათამდე, ვადა გასულად არ ჩაითვლება.

საკასაციო სასამართლო ყურადღებას ამახვილებს იმ გარემოებაზე, რომ სააპელაციო საჩივარს ერთვოდა საფოსტო ქვითარი, რომლის მიხედვითაც, №001778744 გზავნილი ფოსტას 20.01.2014 წელს ჩაბარდა, ხოლო 21.04.2014 იყო თბილისის საქალაქო სასამართლოს მიერ გზავნილის მიღების თარიღი. კერძო საჩივრის ავტორმა ასევე ნარმოადგინა შპს „სკს-ს“ ცნობა, რომლის თანახმადაც №001778744 გზავნილი 2014 წლის 20 იანვარს გაიგზავნა და თბილისის საქალაქო სასამართლოს კანცელარიას 2014 წლის 21 იანვარს ჩაბარდა.

ზემოაღნიშნული მტკიცებულებების ერთობლივად შეფასების შედეგად საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ მოსარჩევებმა სააპელაციო საჩივარი კანონით დადგენილი ვადის ამო-

წურვამდე გააგზავნეს ფოსტით, შესაბამისად, სსსკ-ის 369-ე მუხლით გათვალისწინებული ვადა დარღვეული არ ყოფილა.

ყოველივე აღნიშნულის გათვალისწინებით, საკასაციო სა-სამართლო მიიჩნევს, რომ კერძო საჩივარი საფუძვლიანია და უნდა დაკმაყოფილდეს.

### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპ-როცესო კოდექსის 420-ე, 412-ე მუხლებით და

### **დ ა ა დ გ ი ნ ი ა:**

1. შპს „ო. ტ-ას“, შპს „დ. თ-სა“ და შპს „ა-ა-ის“ კერძო საჩივარი დაკმაყოფილდეს;

2. გაუქმდეს თბილისის სასამართლოს სამოქა-ლაქო საქმეთა პალატის 2014 წლის 3 თებერვლის განჩინება და საქმე შპს „ო. ტ-ას“, შპს „დ. თ-სა“ და შპს „ა-ა-ის“ სააპელაციო საჩივრის დასაშვებობის შესამოწმებლად დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს

3. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ გა-საჩივრდება.

### **სააპელაციო საჩივრის შეტანის ვალი**

#### **განჩივება**

№ას-242-227-2014

15 აპრილი, 2014 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა  
შემადგენლობა: ვ. როინიშვილი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
ბ. ალავიძე,  
პ. ქათამაძე

**დავის საგანი:** ლიზინგისა და სესხის ხელშექრულების შეწ-ყვეტილად აღიარება, ვალდებულების შესრულება, თანხის და-კისრება

### **აღწერილობითი ნაწილი:**

შპს „ა. ჯ. ლ-მა“ სარჩელი აღძრა სასამართლოში ნ. ქ-ის, მ. მ-

ის, თ. ა-სა და თ. ა-ის მიმართ, შპს „ა. ჯ. ლ-სა“ და ნ. ქ-ეს შორის 2011 წლის 24 ნოემბერს გაფორმებული №10369 ლიზინგის ხელ-შეკრულების ჩამორთმეული საგნის ღირებულების გათვალის-წინებით დავალიანების – 2702.5 ლარის, 2012 წლის 20 თებერ-ვალს გაფორმებული №10370 სესხის ხელშეკრულებიდან გამომ-დინარე დავალიანების – 1050,07 ლარის, 2012 წლის 19 ოქტომ-ბერს მხარეებს შორის დადებული სესხის ხელშეკრულებიდან გამომდინარე დავალიანების – 3241,7 ლარის დაკისრების მოთ-ხოვნით.

მოპასუხე ნ. ქ-ემ სარჩელი არ ცნო და მის დაკმაყოფილება-ზე უარის თქმა მოითხოვა, ამასთან შეგებებული სარჩელით მი-მართა სასამართლოს შპს „ა. ჯ. ლ-ის“ მიმართ, თავდაპირველი მოსარჩელის მიერ ვალდებულების არაჯეროვანი შესრულების გამო, მხარეთა შორის გაფორმებული ლიზინგის ხელშეკრულე-ბის მოშლილად აღიარების მოთხოვნით.

თეთრიწყაროს რაიონული სასამართლოს 2013 წლის 11 სექ-ტემბრის გადაწყვეტილებით შპს „ა. ჯ. ლ-ის“ სარჩელი დაკმაყო-ფილდა ნაწილობრივ, შეწყდა შპს „ა. ჯ. ლ-სა“ და ნ. ქ-ეს შორის 2011 წლის 24 ნოემბრის გაფორმებული №10369 ლიზინგის ხელ-შეკრულება, ასევე 2012 წლის 20 თებერვლის №10370 და 2012 წლის 19 ნოემბრის №10401 სესხის ხელშეკრულებები, ლიზინ-გის ხელშეკრულებიდან გამომდინარე მოთხოვნის ნაწილში ნ. ქ-სა და თ. ა-ეს სოლიდარულად დაეკისრათ 697,5 ლარის გადახ-და; 2012 წლის 20 თებერვლის №10370 სესხის ხელშეკრულები-დან გამომდინარე მოთხოვნის ნაწილში ნ. ქ-ეს დაეკისრა 1050,07 ლარის გადახდა; 2012 წლის 19 ნოემბრის №10401 სესხის ხელ-შეკრულებიდან გამომდინარე მოთხოვნის ნაწილში ნ. ქ-ეს, მ. მ-სა და თ. ა-ეს სოლიდურად დაეკისრათ 3241,7 ლარის გადახდა. ამავე გადაწყვეტილებით არ დაკმაყოფილდა ნ. ქ-ის შეგებებუ-ლი სარჩელი, ხოლო მიღებული გადაწყვეტილება მიექცა დაუ-ყოვნებლივ აღსასრულებლად.

რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილება სააპელაციო წე-სით გაასაჩივრა ნ. ქ-ემ.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმე-თა პალატის 2013 წლის 14 ნოემბრის განჩინებით ნ. ქ-ის სააპე-ლაციო საჩივარი დარჩა განუხილვევლად შემდეგი დასაბუთე-ბით:

სააპელაციო პალატამ მიუთითა სამოქალაქო საპროცესო კო-დექსის 369-ე მუხლის პირველ ნაწილზე და განჩარტა, რომ მი-თითებული ნორმა იმპერატიულია და გასაჩივრების 14-დღიანი ვადის გაგრძელებას არ ითვალისწინებს, შესაბამისად, დადგე-

ნილად მიიჩნია, რომ 2013 წლის 11 სექტემბრის სხდომაზე, რომელსაც ესწრებოდა მოპასუხე ნ. ქ-ე, გამოცხადდა გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილი, აპელანტმა 2013 წლის 11 სექტემბრის გადაწყვეტილება ჩაიბარა 2013 წლის 9 ოქტომბერს, გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის გამოცხადებიდან 28-ე დღეს.

სააპელაციო პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 259<sup>1</sup> მუხლით, 61-ე მუხლის მე-3 ნაწილით, მე-60 მუხლის მე-2 ნაწილით და განმარტა, რომ პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილების გასაჩივრების ვადის ათვლა დაიწყო 2013 წლის 10 ოქტომბრიდან და ამოინურა 2013 წლის 23 ოქტომბერს. საქმის მასალებით დასტურდებოდა, რომ სააპელაციო საჩივარი თეთრიწყაროს რაიონულ სასამართლოში წარდგენილი იქნა დაგვიანებით – 2013 წლის 24 ოქტომბერს, რაც, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 374-ე მუხლის 1-ლი ნაწილის შესაბამისად, სააპელაციო საჩივრის განუხილველად დატოვების საფუძველს წარმოადგენდა.

სააპელაციო სასამართლოს განჩინებაზე კერძო საჩივარი შეიტანა ნ. ქ-ემ, მოითხოვა მისი გაუქმება და სააპელაციო სასამართლოს დავალდებულება, წარმოებაში მიიღოს ნ. ქ-ის საპელაციო საჩივარი. კერძო საჩივარი ემყარება შემდეგ გარემოებებს:

სააპელაციო სასამართლოს მსჯელობა, რომ ნ. ქ-ემ პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება ჩაიბარა 2013 წლის 9 ოქტომბერს და სააპელაციო საჩივრის წარდგენის ვადა დაარღვია ერთი დღით, არასწორია, რადგანაც 2013 წლის 9 ოქტომბერს რაიონულ სასამართლოში ნ. ქ-ეს ხელი მოაწერინეს ხელნერილზე და გადასცეს მისი ასლი. ხელნერილით მოთხოვნილია 2013 წლის 9 ოქტომბრის გადაწყვეტილების ჩაბარება №2/35 საქმეზე, თუმცა გაურკვეველია, გადასცეს თუ არა მხარეს გადაწყვეტილება, ამასთანავე, გადაცემის შემთხვევაში, ასევე შეუძლებელია იმის გარკვევა, თუ რა გადაწყვეტილება გადასცეს მას, რადგანაც ამ რიცხვით სასამართლოს რაიმე გადაწყვეტილება არ მიუღია, ერთადერთი, რაც თეორიულად შეიძლება ამ თარიღით არსებობდეს, 2013 წლის 10 სექტემბრის სხდომაზე მიღებული განჩინებაა, მოპასუხის შუამდგომლობების დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ. სააპელაციო პალატამ კი, ყოველგვარი დასაბუთების გარეშე გაურკვეველი საფუძვლით მიიჩნია, რომ მხარემ 2013 წლის 9 ოქტომბერს ჩაიბარა 2013 წლის 11 სექტემბრის გადაწყვეტილება. სააპელაციო პალატის მიერ ფაქტობრივი გარემოებების არასწორ შეფასებას ადასტუ-

რეპს ისიც, რომ ნ.ქ-ე მხარეს წარმოადგენდა №2/35-13 საქმეზე და არა №2/35 საქმეზე, როგორც ეს სადაცო ხელწერილშია მითითებული. საყურადღებოა ის გარემოება, რომ რაიონულმა სასამართლომ მოცემულ საქმეზე მიიღო 2 გადაწყვეტილება, 2013 წლის 11 სექტემბრისა და 2013 წლის 16 სექტემბრის განჩინება, რომლითაც ნ.ქ-ის განცხადება განუხილველად იქნა დატოვებული, გარდა იმ გარემოებისა, რომ ხელწერილში მითითებული თარიღი არც ერთ მათგანს არ შეესაბამება, ასევე გაუკვეველია, თუ რომელი მათგანი გადასცა სასამართლომ მოპასუხეს. კერძო საჩივრის ავტორის მოსაზრებით, ვინაიდან საქმის მასალებით არ დასტურდება აპელანტის მიერ გადაწყვეტილების ჩაბარება, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 259<sup>1</sup> მუხლის შესაბამისად, სააპელაციო საჩივრის წარდგენის ვადის დენა გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის გამოცხადებიდან 30-ე დღეს – 2013 წლის 11 ოქტომბერს დაიწყო და 2013 წლის 24 ოქტომბერს ამოინურა, სწორედ ამ დროს ჩაბარდა ფოსტას ნ.ქ-ის სააპელაციო საჩივრი, ამდენად, აპელანტს სააპელაციო საჩივრის წარდგენის ვადა არ დაურღვევია.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2014 წლის 17 მარტის განჩინებით ნ.ქ-ის კერძო საჩივარი მიღებულ იქნა განსახილველად.

### **სამოტივაციო წანილი:**

საკავაციო სასამართლომ სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 404-ე მუხლის პირველი ნაწილით დადგენილი წესით შეისწავლა კერძო საჩივრის საფუძვლები, საქმის მასალები, შეამოწმა გასაჩივრებული განჩინების იურიდიული დასაბუთება და მიიჩნევს, რომ ნ.ქ-ის კერძო საჩივრი უნდა დაკრძალულდეს შემდეგი გარემოებების გამო:

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 420-ე მუხლის თანახმად, კერძო საჩივრების განხილვა ზემდგომ სასამართლოებში წარმოებს შესაბამისად ამ სასამართლოებისათვის გათვალისწინებული წესების დაცვით. ამავე კოდექსის 412-ე მუხლის „ა“ ქვეპუნქტის თანახმად კი, საკავაციო სასამართლო აუქმებს გადაწყვეტილებას და საქმეს ხელახლა განსახილველად აბრუნებს სააპელაციო სასამართლოში, თუ საქმის გარემოებები საპროცესო ნორმების ისეთი დარღვევითაა დადგენილი, რომ ამ დარღვევების შედეგად საქმეზე არასწორი გადაწყვეტილება იქნა გამოტანილი და საჭიროა მტკიცებულებათა დამატებითი გამოკვლევა. განსახილველ შემთხვევაში, საქმის სააპელაციო სასამართლოსათვის ხელახლა განსახილველად დაბრუნების საფუძ-

ველს მტკიცებულებათა არასრულყოფილად გამოკვლევა და და-  
ვის ფაქტობრივი გარემოებების არასწორი დადგენა წარმოად-  
გენს.

საქმის მასალებით დასტურდება, რომ თეთრიწყაროს რაიო-  
ნულმა სასამართლომ მოცემულ საქმეზე შემაჯამებელი გადაწ-  
ყვეტილება 2013 წლის 11 სექტემბერს მიიღო და, ბუნებრივია,  
ამავე რიცხვით გამართულ სხდომაზე გამოაცხადა გადაწყვე-  
ტილების სარეზოლუციო ნაწილი.

საქმის მასალებით დადგენილია და ამას არც კერძო საჩივ-  
რის ავტორი ხდის სადაცოდ, რომ 2013 წლის 11 სექტემბრის  
სხდომას ესწრებოდა გასაჩივრების უფლების მქონე პირი – 6.  
ქ-ე.

6. ქ-ის საპელაციო საჩივარზე დართული საფოსტო კონვერ-  
ტით დადგენილია, რომ აპელანტმა ფოსტას საჩივარი 2013 წლის  
24 ოქტომბერს ჩააბარა.

სადაცო არაა ის გარემოება, რომ 6. ქ-ე სამოქალაქო საპრო-  
ცესო კოდექსის 259<sup>1</sup> მუხლის მე-2 ნაწილის სუბიექტს არ წარ-  
მოადგენს.

საპელაციო პალატამ გასაჩივრებული განჩინების მიღების  
საფუძვლად მიიჩნია ის გარემოება, რომ აპელანტმა დაარღვია  
სააპელაციო საჩივრის წარდგენის ვადა, თავის მხრივ ეს ფაქტი  
პალატამ დაამყარა საქმეში წარმოდგენილ ხელწერილს და დად-  
გენილად მიიჩნია, რომ გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნა-  
წილის გამოცხადებიდან 28-ე დღეს, 2013 წლის 9 ოქტომბერს  
ჩაიბარა მხარემ დასაბუთებული გადაწყვეტილება, რის გამოც,  
სააპელაციო საჩივრის წარდგენის 14-დღიანი ვადის დენა და-  
იწყო ამავე წლის 10 ოქტომბრიდან და ამოიწურა 23 ოქტომბერს.

კერძო საჩივრის ავტორი არ ეთანხმება სასამართლოს ამ  
მსჯელობას და მიიჩნევს, რომ პალატამ არასწორი შეფასება  
მისცა საქმის ფაქტობრივ გარემოებებს, რადგანაც სადაცო  
მტკიცებულება არ ადასტურებს აპელანტის მიერ 2013 წლის 11  
სექტემბრის გადაწყვეტილების ჩაბარების ფაქტს. ხელწერილის  
თანახმად, მან ჩაიბარა 2013 წლის 9 ოქტომბრის გადაწყვეტი-  
ლება, საქმეში ამგვარი გადაწყვეტილება კი არ არის, ასევე არას-  
წორია საქმის ნომერი, თავის მხრივ, სასამართლომ ასევე მიი-  
ღო განჩინება განცხადების განუხილველად დატოვების თაო-  
ბაზე და იმის უტყუარად დადგენა, თუ რა გადაწყვეტილება ჩა-  
ბარდა ადრესატს, ვერ ხერხდება.

საკასაციო პალატა იზიარებს კერძო საჩივრის ავტორის ზე-  
მოაღნიშნულ არგუმენტებს და მიიჩნევს, რომ სამართლებრი-  
ვად ის სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 393-ე მუხლის მე-3

ნაწილით გათვალისწინებული იმგვარი დასაბუთებული შედა-  
ვებაა, რასაც საქმეზე არასწორი გადაწყვეტილების მიღება მოჰ-  
ყვა.

სადავო ხელწერილის საპროცესო კოდექსის 105-ე მუხლით  
დადგენილი წესით შესწავლის შედეგად, პალატა მიიჩნევს, რომ  
მართლაც არ დასტურდება 6. ქ-ებ რა საქმეზე ჩაბარა გადაწ-  
ყვეტილება და მის მიერ ჩაბარებული საპროცესო დოკუმენტი  
ნარმოადგენს თუ არა რაიონული სასამართლოს მიერ გამოტა-  
ნილ შემაჯამებელ გადაწყვეტილებას, ამასთანავე, შინაგანი  
რწმენის თვალსაზრისით სასამართლო ყურადღებას გააძახვი-  
ლებს საქმეში წარმოდგენილ 6. ქ-ის ხელწერილზე (სადაც ასე-  
ვე არასრულყოფილადაა მითითებული საქმის ნომერი), რომლის  
თანახმადაც მან გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის გა-  
მოცხადებიდან მე-20 დღეს – 2013 წლის 1 ოქტომბერს მიმარ-  
თა სასამართლოს 2013 წლის 11 სექტემბრის გადაწყვეტილე-  
ბის ჩაბარების მოთხოვნით, ხოლო ხელწერილზე არსებული მო-  
სამართლის თანაშემნის ხელმოწერით დადასტურებულია გა-  
დაწყვეტილების მხარისათვის გადაუცემლობის ფაქტი, რაც შე-  
ეხება სადავო ხელწერილს, რომელიც სააპელაციო სასამარ-  
თლომ გადაწყვეტილების ჩაბარების დამადასტურებელ მტკი-  
ცებულებად შიომინა, გადაწყვეტილების ჩაბარების ფაქტთან  
ერთად, სასამართლო მოხელის ხელმოწერით ასევე დადასტუ-  
რებულია მისი ჩატარებლობის ფაქტი.

პალატა შენიშვნას იმ გარემოებასაც, რომ სასამართლო მო-  
ხელის ხელმოწერის საკანონმდებლო რეგულაცია არსებული  
საპროცესო კოდექსის ფარგლებში გათვალისწინებული არ არის,  
თუმცა სადავო ფაქტობრივი გარემოებების სწორი შეფასების  
მიზნით აღნიშნულმა შეიძლება გარკვეული გავლენა იქონიოს  
საკითხის სწორი გადაწყვეტისათვის.

საკასაციო პალატა განმარტავს, რომ საპელაციო საჩივრის  
წარდგენის ვადის დენის დასაწყისის არსებითად სწორად დად-  
გენა მნიშვნელოვანია იმდენად, რამდენადაც, სამოქალაქო საპ-  
როცესო კოდექსის 369-ე მუხლის 1-ლი ნაწილისა და 259<sup>1</sup> მუხ-  
ლის თანახმად, სააპელაციო საჩივრის შეტანის ვადაა 14 დღე.  
ამ ვადის გაგრძელება და აღდგენა დაუშვებელია და იგი იწყება  
მხარისათვის დასაბუთებული გადაწყვეტილების გადაცემის მო-  
მენტიდან. დასაბუთებული გადაწყვეტილების გადაცემის მო-  
მენტად ითვლება დასაბუთებული გადაწყვეტილების ასლის  
მხარისათვის ჩაბარება ამ კოდექსის 70-ე–78-ე მუხლების ან  
259<sup>1</sup> მუხლის შესაბამისად, ასევე 259<sup>1</sup> მუხლის პირველი ნაწი-  
ლით დადგენილი ვადის გასვლის შემდეგ.

თუ გადაწყვეტილების გამოცხადებას ესწრება გადაწყვეტილების გასაჩივრების უფლების მქონე პირი, ან თუ ასეთი პირი-სათვის საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით ცნობილი იყო გადაწყვეტილების გამოცხადების თარიღი, გადაწყვეტილების გასაჩივრების მსურველი მხარე (მისი წარმომადგენელი) ვალდებულია გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის გამოცხადებიდან არა უადრეს 20 და არა უგვიანეს 30 დღისა გამოცხადდეს სასამართლოში და ჩაიბაროს გადაწყვეტილების ასლი; წინააღმდეგ შემთხვევაში გასაჩივრების ვადის ათვლა დაიწყება გადაწყვეტილების გამოცხადებიდან 30-ე დღეს. ამ ვადის გაგრძელება და აღდგენა დაუშვებელია. ამ კოდექსის 46-ე მუხლით გათვალისწინებული პირებისათვის, ასევე პატიმრობაში მყოფი იმ პირებისათვის, რომლებსაც არ ჰყავთ წარმომადგენელი, გადაწყვეტილების ასლის გაგზავნასა და ჩაპარებას უზრუნველყოფს სასამართლო ამავე კოდექსის 70-ე-78-ე მუხლებით დადგენილი წესით.

ამდენად, იმისათვის, რომ გადაწყვეტილების გასაჩივრებისათვის დადგენილი საპროცესო ვადის დენა დაუკავშირდეს კანონით გათვალისწინებულ ვადას, სავალდებულო წინაპირობას წარმოადგენს გადაწყვეტილების გასაჩივრების მსურველი მხარის მიერ კანონის მოთხოვნათა დაცვის ფაქტის გამოკვლევა. იმ შემთხვევაში, თუ მხარე არ წარმოადგენს საპროცესო კოდექსის 46-ე მუხლის სუბიექტს ან პატიმრობაში მყოფ პირს, რომელსაც არ ჰყავს წარმომადგენელი და ის კანონით დადგენილ ვადაში – სარეზოლუციო ნაწილის გამოცხადებიდან არა უადრეს 20 და არა უგვიანეს 30 დღისა არ ჩაიბარებს გადაწყვეტილებას, მის მიმართ საჩივრის წარდგენის დენის დასაწყისად მიჩნეული უნდა იყოს სწორედ კანონით გათვალისწინებული მომენტი – გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის გამოცხადების 30-ე დღე, რომელიც ამავდროულად გასაჩივრების პირველ დღეს წარმოადგენს.

მოცემულ შემთხვევაში, სააპელაციო საჩივარზე დართული კონვერტით დასტურდება მხარის მიერ სააპელაციო საჩივრის წარდგენის ფაქტი სწორედ გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის გამოცხადების 30-ე დღიდან 14-დღიანი ვადის დაცვით, რაც საკასაციო სასამართლოს შეფასებით გასაჩივრებული განჩინების გაუქმების საფუძველია.

ამდენად, პალატა მიიჩნევს, რომ საქმე ხელახლა განსახილვებად უნდა დაუბრუნდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს, რომელმაც უტყუარად უნდა გამოარკვიოს საქმეში წარმოდგენილი სააპელაციო საჩივრის სამოქალაქო საპროცესო კო-

დექსის 368-ე მუხლთან შესაბამისობა.

### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპ-როცესო კოდექსის 419-ე, 420-ე მუხლებით და

### **დ ა ა დ გ ი ნ ა:**

1. 6. ქ-ის კერძო საჩივარი დაკმაყოფილდეს.
2. გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 14 ნოემბრის განჩინება და საქმე სააპელაციო საჩივრის დასაშვებობის ეტაპიდან ხელახლა განსახილველად დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს.
3. კერძო საჩივარზე სახელმწიფო ბაჟი გადახდილია.
4. საკასაციო პალატის განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

### **ახალი ფაქტები და მთაცემებულებები**

#### **განჩინება**

№ას-204-191-2014

20 ოქტომბერი, 2014 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა  
შემადგენლობა: ბ. ალავიძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
ვ. როინიშვილი,  
პ. ქათამაძე

**დავის საგანი:** ალიმენტის დაკისრება

#### **აღნერილობითი ნაწილი:**

ი. გ-მა სარჩელი აღძრა სასამართლოში მ. მ-ის მიმართ .... წლის ... მარტს დაბადებული ლ. გ-ის სასარგებლოდ ალიმენტის სახით ყოველთვიურად 300 ლარის ანაზღაურების შესახებ შემდეგი საფუძვლებით:

მხარეები იმყოფებოდნენ არარეგისტრირებულ ქორწინება-ში, რა დროსაც შეეძინათ შვილი – ლ. გ-.

ამჟამად მხარეები ცხოვრობენ ცალ-ცალკე. მოპასუხე ბავშვის აღზრდაში მონაწილეობას არ იღებს. იგი ინდივიდუალური

მეწარმეა, გააჩნია ძვირადლირებული ქონება და სტაბილური შემოსავალი, ხოლო მოსარჩეულე უმუშევარია.

მოპასუხებმ სარჩელი ალიმენტის სახით ყოველთვიურად მხოლოდ 50 ლარის გადახდის ნაწილში ცნო და მიუთითა, რომ ჯანმრთელობის გაუარესების გამო გადაიტანა სერიოზული ოპერაცია. აღნიშნულის შედეგად, იგი მეწარმეობას აღარ ეწევა და საჭიროებს ძვირადლირებულ მკურნალობას. ამასთან, მ.მ-ი არჩენს ასაკოვან მშობლებს, მეუღლეს და შვილს. შესაბამისად, მეტი თანხის ანაზღაურების შესაძლებლობა მას არ გააჩნია.

გორის რაიონული სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგის 2013 წლის 26 აგვისტოს გადაწყვეტილებით ი. გ-ის სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა, მოპასუხეს არასრულწლოვანი ლ. გ-ის სარჩენად 2013 წლის 10 ივლისიდან ბავშვის სრულწლოვანებამდე დაეკისრა ყოველთვიურად 80 ლარის ანაზღაურება, რაც სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის ნაწილში მოსარჩელემ გაასაჩივრა სააპელაციო წესით.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2013 წლის 11 დეკემბრის გადაწყვეტილებით სააპელაციო საჩივარი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა, გასაჩივრებული გადაწყვეტილება გაუქმდა და ი. გ-ის სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა, მოპასუხეს არასრულწლოვანი ლ. გ-ის სარჩენად 2013 წლის 10 ივლისიდან ბავშვის სრულწლოვანებამდე დაეკისრა ყოველთვიურად 120 ლარის ანაზღაურება შემდეგ გარემოებათა გამო:

სააპელაციო სასამართლომ დაადგინა, რომ ი. გ-სა და მ. მ-ს ჰყავთ არასრულწლოვანი შვილი – .... წლის ... მარტს დაბადებული ლ. გ-ი. უდავოა, რომ არასრულწლოვანი ლ. გ-ი იზრდება დედასთან, ი. გ-თან.

საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მიერ 2013 წლის 1 ივლისს გაცემული №112167 წერილით დასტურდება, რომ 2003 წლის 25 აგვისტოდან მ. მ-ი რეგისტრირებულია გორის საგადასახადო ინსპექციაში როგორც ინდივიდუალური მეწარმე.

მოპასუხებმ ნარადგინა მის მიერ შემოსავლების სამსახურის სახელზე 2013 წლის 12 აგვისტოს შედგენილი განცხადება იმის თაობაზე, რომ იგი 2013 წლის 9 აგვისტოდან საქართველოს საგადასახადო კოდექსის 153-ე მუხლის საფუძველზე წყვეტდა ეკონომიკურ საქმიანობას, თუმცა საქმის მასალებით არ დგინდება, კონკრეტულად რა იურიდიული შედეგები მოჰყვა მ. მ-ის აღნიშნულ განცხადებას. რამე მტკიცებულება, რაც ზემოაღნიშნულ გარემოებაზე მიუთითებდა, მოპასუხის მიერ ნარმოდგენილი არ ყოფილა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმე-თა პალატაში 2013 წლის 11 დეკემბრის სასამართლო სხდომაზე მ. მ-მა განმარტა, რომ იგი ეწეოდა ეკონომიკურ საქმიანობას, კერძოდ, ჰქონდა მობილური ტელეფონების მაღაზია, თუმცა ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო აღნიშნული საქმიანობა სხვას გადააბარა. რამეთ მტკიცებულება, რაც დაადასტურებდა, რომ მ. მ-ი აღარ იღებს შემოსავალს სამენარმეო საქმიანობიდან, მოპასუხის მიერ წარმოდგენილი არ არის.

გორის რაიონული სასამართლოს მიერ დადგენილია და სააპელაციო საჩივრით სადაცოდ არ გამხდარი ის ფაქტი, რომ მ. მ-ს გააჩნია ჯანმრთელობასთან დაკავშირებული პრობლემები, თუმცა წარმოდგენილი მტკიცებულებებით არ დასტურდება მოპასუხის მიერ გარკვეული სახის სამუშაოების შესრულების შეუძლებლობა.

მ. მ-ის განმარტებით დგინდება, რომ მას მინიჭებული არ აქვს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირის სტატუსი.

პირველი ინსტანციის სასამართლომ დაადგინა და სააპელაციო საჩივრით სადაცო არ გამხდარი ის გარემოება, რომ, როგორც მოსარჩელეს, ასევე მოპასუხეს გააჩნდა სარჩელის შემოტანის დროისთვის ავტოსატრანსპორტო საშუალება.

მ. მ-ს ლ. გ-ის გარდა ჰყავს ორი არასრულწლოვანი შვილი, ... წლის ... მაისს დაბადებული რ. მ-ი და.... წლის ... ნოემბერს დაბადებული ს. მ-ი.

პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ დადგენილია და სააპელაციო საჩივრით სადაცოდ გამხდარი არ არის, რომ მ. მ-ი არჩენს მეუღლეს და შვილს, ხოლო მოპასუხის მშობლები მის კმაყოფაზე არ იმყოფებიან. პალატამ ყურადღება გაამახვილა იმ გარემოებაზე, რომ პირველი ინსტანციის სასამართლოში საქმის განხილვის შემდგომ, .... წლის ... ნოემბერს, მოპასუხეს შეეძინა შვილი – ს. მ-ი.

სააპელაციო პალატამ მიიჩნია, რომ რაიონული სასამართლოს მიერ დაკისრებული ალიმენტი ყოველთვიურად 80 ლარის ოდენობით არაგონიკულია, ვინაიდან ვერ უზრუნველყოფს ბავშვის ნორმალური რჩენა-აღზრდისათვის აუცილებელ, მინიმალურ მოთხოვნებს. დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების გათვალისწინებით, სასამართლომ გონივრულად და სამართლიანად მიიჩნია ყოველთვიურად გადასახდელი ალიმენტის 120 ლარით განსაზღვრა.

სააპელაციო სასამართლომ იხელმძღვანელა სამოქალაქო კოდექსის 1198-ე მუხლით, 1212-ე მუხლით და მიუთითა „ბავშვის უფლებათა შესახებ კონვენციის“ პრეამბულაზე, რომლი-

თაც ალიარებულია, რომ ბავშვის პიროვნების სრული და ჰარმონიული განვითარებისათვის აუცილებელია, იგი იზრდებოდეს ოჯახურ გარემოში, ბედნიერების, სიყვარულის და ურთიერთობა-გების ატმოსფეროში. ბავშვს, მისი ფიზიკური და გონებრივი მოუმწიფებლობის გამო, ესაჭიროება სპეციალური დაცვა და ზრუნვა, შესატყვისი სამართლებრივი დაცვის ჩათვლით, როგორც დაბადებამდე, ისე დაბადების შემდეგ.

„ბავშვის უფლებათა კონვენციის“ 27-ე მუხლით ალიარებულია ყოველი ბავშვის უფლება, უზრუნველყოფილი იყოს ცხოვრების ისეთი დონით, რომელიც აუცილებელია მისი ფიზიკური, გონებრივი, სულიერი, ზნეობრივი და სოციალური განვითარებისათვის. მშობელს (მშობლებს) ან ბავშვის სხვა აღმზრდელებს ეკისრებათ ძირითადი პასუხისმგებლობა, თავისი უნარისა და ფინანსური შესაძლებლობების ფარგლებში უზრუნველყონ ბავშვის განვითარებისათვის საჭირო ცხოვრების პირობები.

სააპელაციო სასამართლომ განმარტა, რომ საქართველოს სამოქალაქო კოდექსისა და „ბავშვთა უფლებების შესახებ“ კონვენციის მიხედვით, საოჯახო-სამართლებრივ ურთიერთობებში უპირატესი ყურადღება ეთმობა ბავშვის უფლების სათანადოდ დაცვას. შესაბამისად, ალიმენტის ოდენობის განსაზღვრისას უპირატესია ბავშვის უფლება, მიიღოს ნორმალური განვითარებისათვის აუცილებელი მატერიალური სახსრები. „ბავშვთა უფლებების შესახებ კონვენციის“ მიხედვით, ბავშვისათვის ნორმალური განვითარების პირობების შექმნის ძირითადი ვალდებულება ეკისრებათ მის მშობლებს.

სამოქალაქო კოდექსის 1214-ე მუხლის შესაბამისად, სააპელაციო პალატამ განმარტა, რომ ალიმენტის გადახდევინება მიზნად ისახავს ბავშვის ინტერესების დაცვას, მისთვის ძირითადი საარსებო პირობების შექმნასა და, თუ ეს შესაძლებელია, ცხოვრების იმ დონის შენარჩუნებასაც, რომელიც მას ექნებოდა მშობლების ნორმალური ურთიერთობის პირობებში. ალიმენტის ოდენობა განისაზღვრება გონივრული და სამართლიანი შეფასების საფუძველზე. კანონმდებლობით განსაზღვრულია მშობელთა ვალდებულება, არჩინონ თავიანთი შვილები და ამ ვალდებულების არსებობა არ შეიძლება დამოკიდებული იყოს მხოლოდ მშობლის ფინანსურ მდგომარეობაზე.

მოცემულ შემთხვევაში, ბავშვის ასაკისა და მისი ნორმალური რჩენა-აღზრდისათვის აუცილებელი მინიმალური მოთხოვნილებების გათვალისწინებით, პალატამ გონივრულად და სამართლიანად მიიჩნია ყოველთვიურად გადასახდელი ალიმენტი განისაზღვროს 120 ლარით.

საკასაციო სასამართლოს გადაწყვეტილება სარჩელის დაკამაყოფილებაზე უარის თქმის ნაწილში ი. გ-მა გაასაჩივრა საკასაციო წესით, მოითხოვა მისი გაუქმება და სარჩელის სრულად დაკმაყოფილება შემდეგი საფუძვლებით:

სასამართლომ არ გამოიყენა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 352-ე და 354-ე მუხლები, რომელიც უნდა გამოეყენებინა.

კანონმდებელი გამორიცხავს სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის მიზეზად მოსარჩელის მიერ მტკიცებულების ნარუდგენლობაზე მითითებას და სასამართლოს უფლებას აძლევს, თავისი ინიციატივით დაადგინოს ფაქტობრივი გარემოებანი და გამოითხოვოს მტკიცებულებანი.

მართალია, პირველი ინსტანციისაგან განსხვავებით, სააპელაციო პალატამ მტკიცების ტვირთი სამართლიანად გადაანანილა, მაგრამ არა იმდაგვარად, რასაც საალიმენტო საქმე მოითხოვდა.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსი საოჯახო საქმეების განსახილველად განსხვავებულ წესებს ადგენს, სწორედ ამ თავისებურებების გათვალისწინებით უნდა განხილულიყო ეს დავაც. დაუშვებელია საოჯახო დავების განხილვისას მოსამართლემ მტკიცების ტვირთი გაანანილოს ისე, როგორც სამეწარმეო, სანივთო ან სხვა ქონებრივი შინაარსის დავის განხილვისას.

სამოქალაქო კოდექსის 1212-ე მუხლის თანახმად, მოვალეს ვალდებულების შესრულება მხოლოდ მისი ქონებრივი მდგომარეობის პროპორციულად უნდა დაეკისროს და არა ვალდებულების მოცულობის მიხედვით. სასამართლომ მართებულად გაიზიარა მოსარჩელის ეს პოზიცია, მაგრამ არასწორად განსაზღვრა აღიმენტის ოდენობა.

არ არსებობს მტკიცებულება, რომელიც მოპასუხის მიერ შეილის რჩენის ვალდებულებას გააქარწყლებს, რამეთუ მოპასუხეს შვილის სარჩენი აღიმენტი უნდა დაეკისროს შვილის რჩენის საჭიროებების და არა მისი ფინანსური მდგომარეობის პროცეციულად.

სასამართლომ გამოიჩინა პასიურობა და არ მიმართა სამოქალაქო საპროცესო კოდექსით გათვალისწინებულ ღონისძიებებს, არ მიაქცია ყურადღება მოსარჩელის მიერ მითითებულ გარემოებებს, არ დაუსვა შეკითხვა მოპასუხეს და არ გამოიკვლია შესაბამისი გარემოებანი, არ მისცა მათ სამართლებრივი შეფასება. სასამართლომ დადასტურებულად ცნო ის ფაქტი, რომ მოპასუხეს ინდივიდუალური მენარმეა, მაგრამ არ მოსთხოვა მოპასუხეს ინდივიდუალური მენარმეობით მიღებული შემო-

სავლების დამადასტურებელი მტკიცებულებანი. ასევე არ გა-  
მოიკვლია, რატომ ემთხვევა მის მიერ ავტომობილის სხვაზე გა-  
დაფორმება საქმის განხილვის ეტაპს. რატომ და რა შემოსავ-  
ლით შეიძინა მისმა შრომისუნარო მამამ ბინა გორის ცენტრში  
და რატომ ცხოვრობს მოპასუხე მამის ბინაში, თუკი ეს ბინა ფაქ-  
ტობრივად მისი საკუთრება არ არის.

სასამართლომ არ გამოიკვლია ჰყავს თუ არა მას პირად სა-  
კუთრებაში ავტომობილი.

სააპელაციო პალატამ ალიმენტის გონივრულ და სამართლიან  
ოდენობად 120 ლარი არასწორად დაადგინა.

აღნიშნული ოდენობა არა მარტო ბავშვის უფლებების კონ-  
ვენციით, არამედ ქართული სტანდარტებითაც შვილის რჩენის-  
თვის არასაკმარისია, რაც საყოველთაოდ ცნობილი ფაქტია და  
მტკიცებას არ საჭიროებს.

საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონედ სასამარ-  
თლომ არასწორად არ მიიჩნია მოპასუხის, როგორც ინდივიდუ-  
ალური მენარმის შემოსავლების ოდენობა და არასწორად არ გა-  
მოიკვლია იგი.

მოსარჩელის შუამდგომლობის მიუხედავად, სასამართლო  
არ გამოითხოვა ასეთი ინფორმაცია და მიზეზად მიუთითა, რომ  
მოსარჩელეს არ მიუმართავს და არ მიუღია უარი ინფორმაციის  
გაცემაზე. რელურად ასეთი უარი უკვე არსებობდა სააპელა-  
ციონ სასამართლოში საქმის განხილვისას. ასეც რომ არ ყოფი-  
ლიყო, სასამართლო ვალდებული იყო, თავისი ინიციატივით და-  
ედგინა ეს ფაქტობრივი გარემოება და გამოეთხოვა შესაბამისი  
მტკიცებულება, ან სულაც მათი წარმოდგენა მოპასუხისათვის  
დაევალებინა.

სასამართლოს უარი უმნიშვნელოვანესი ინფორმაციის გა-  
მოთხოვაზე მხოლოდ ფორმალური საბაბით დაუშვებელია,  
რადგანაც საოჯახო საქმეთა განხილვისას, კანონი იცნობს „აქ-  
ტიურ სასამართლოს“, მოსამართლე აღჭურვილია ერთგვარი  
„ინკვიზიური უფლებამოსილებით“ და აქვს უფლება, გა-  
მოითხოვოს ნებისმიერი ინფორმაცია, მათ შორის, ისეთიც, რა-  
ზეც მხარეებს საერთოდ არ მიუთითებით.

სასამართლოს შეეძლო, თავადაც ერთპიროვნულად მიელო  
გადაწყვეტილება ინფორმაციის გამოთხოვის შესახებ, თუ რამ-  
დენი აქვს შემოსავალი მოპასუხეს.

### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციოსასამართლომ შეისწავლა საკასაციო საჩივრის სა-  
ფუძვლები, შეამონება გასაჩივრებული გადაწყვეტილების იური-

დიული დასაბუთებულობა და მიაჩნია, რომ ი. გ-ის საკასაციო საჩივარი ნაწილობრივ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემო-ებათა გამო:

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 393-ე მხრივის პირველი ნაწილის მიხედვით, საკასაციო საჩივარი შეიძლება ეფუძნებო-დეს მხოლოდ იმას, რომ გადაწყვეტილება კანონის დარღვევი-თა გამოტანილი. ამავე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, საპ-როცესო სამართლის ნორმების დარღვევა მხოლოდ მაშინ შეიძ-ლება გახდეს გადაწყვეტილების გაუქმების საფუძველი, თუ ამ დარღვევის შედეგად საქმეზე არასწორი გადაწყვეტილება იქ-ნა გამოტანილი.

როგორც საკასაციო საჩივრის შინაარსიდან ირკვევა, კასა-ტორის პრეტენზიები ძირითადად ეძღვნება სასამართლოს მხრიდან საპროცესო სამართლის ნორმათა დარღვევას, რაც გა-მოიხატა ერთის მხრივ საქმეში არსებული მტკიცებულებების არასწორ შეფასებაში, ხოლო მეორეს მხრივ საოჯახო საქმეთა განხილვის საპროცესო კოდექსით დადგენილი სპეციალური ნორმების უგულვებელყოფაში. ამასთან, კასატორი არ ეთანხმე-ბა სააპელაციო სასამართლოს 2013 წლის 11 დეკემბრის საოქ-მო განჩინებას, რომლითაც აპელანტს უარი ეთქვა შემოსავლე-ბის სამსახურიდან მოპასუხის, როგორც გადასახადის გადამ-ხდელის შემოსავლების შესახებ ინფორმაციის გამოთხოვაზე.

საკასაციო პალატა მიუთითებს სამოქალაქო კოდექსის 1198-ე მუხლზე, რომლის 1-ლი ნაწილის თანახმად, მშობლები უფლე-ბამოსილი და ვალდებული არიან, აღზარდონ თავიანთი შვილე-ბი, იზრუნონ მათი ფიზიკური, გონებრივი, სულიერი და სოცია-ლური განვითარებისათვის, აღზარდონ ისინი საზოგადოების ღირსეულ წევრებად, მათი ინტერესების უპირატესი გათვალის-წინებით. ამავე კოდექსის 1202-ე მუხლის 1-ლი ნაწილის მიხედ-ვით, მშობლებს თანაბრად აქვთ ყველა უფლება და მოვალეობა თავიანთი შვილების მიმართ, მიუხედავად იმისა, რომ ისინი გან-ქორწინებული არიან ან ცალ-ცალკე ცხოვრობენ. არასრულწლო-ვანი შვილების რჩენის მოვალეობა განსაზღვრულია ასევე სა-მოქალაქო კოდექსის 1212-ე მუხლით.

როგორც წესი, არასრულწლოვანი შვილებისათვის გადასახ-დელი ალიმენტების ოდენობას განსაზღვრავენ მშობლები ურ-თიერთშეთანხმებით, თუმცა, მშობელთა შეუთანხმებლობის შემთხვევაში, ალიმენტის ოდენობას განსაზღვრავს სასამარ-თლო. სამოქალაქო კოდექსის 1214-ე მუხლის თანახმად, ალი-მენტის ოდენობას სასამართლო განსაზღვრავს გონივრული, სა-მართლიანი შეფასების საფუძველზე შვილის ნორმალური რჩე-

ნა-აღზრდისათვის აუცილებელ მოთხოვნათა ფარგლებში. ალი-მენტის იდენტის განსაზღვრისას სასამართლო მხედველობა-ში იღებს როგორც მშობლების, ისე შვილის რეალურ მატერია-ლურ მდგომარეობას. მითითებული ნორმის ანალიზი გვაძლევს იმ დასკვნის გაკეთების შესაძლებლობას, რომ ალიმენტის იდე-ნობა ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში უნდა გადაწყვდეს ისე-თი გარემოებების იპიექტურად და სამართლიანად შეფასების შედეგად, როგორიცაა მშობლების რეალური ფინანსური შესაძლებლობები, სარჩენი ბავშვის ასაკი, ჯანმრთელობის მდგომარეობა, მისი საჭიროებანი, თითოეული მშობლის კმაყოფაზე მყოფ პირთა რიცხვი და სხვა.

საკასაციო პალატა ყურადღებას მიაქცევს სარჩელის ფაქ-ტობრივ საფუძვლებში მითითებულ იმ გარემოებაზე, რომლის თანახმადაც, მოპასუხე მ. მ-ი წარმოადგენს ინდივიდუალურ მე-ნარმეს, საიდანაც აქვს გარკვეული შემოსავლები, თუმცა, მო-სარჩელე არ აკონკრეტებს შემოსავლების ოდენობას. მოპასუ-ხის სამენარმეო საქმიანობის დასადასტურებლად, მოსარჩელემ სასამართლოს წარუდგენა საჯარო რეესტრის ამონაწერი, ამას-თან, სააპელაციო სასამართლომ არ გაიზიარა მოპასუხის გან-მარტება სამენარმეო საქმიანობის შეწყვეტის თაობაზე. ამდე-ნად ის ფაქტობრივი გარემოება, რომ მ. მ-ი ინდივიდუალური მენარმეა შედავებული არ არის და საკასაციო სასამართლოსათ-ვის საპროცესო კოდექსის 407-ე მუხლის მე-2 ნაწილის ძალით სავალდებულოა. რაც შეეხება მ. მ-ის შემოსავლების ოდენო-ბას, აღნიშნული გარემოების დასაკონკრეტებლად და დასადას-ტურებლად მოსარჩელემ სასამართლოს წინაშე იშუამდგომლა შემოსავლების სამსახურიდან შესაბამისი მტკიცებულების გა-მოთხოვაზე. შუამდგომლობა გორის რაიონული სასამართლოს 2013 წლის 26 აგვისტოს საოქმო განჩინებით არ დაკმაყოფილ-და იმ მოტივით, რომ მტკიცებულებათა წარდგენა მხარეთა უფ-ლებამოსილებას განეკუთვნება, ხოლო ასეთის შეუძლებლობის შემთხვევაში, რაც მოსარჩელემ ვერ დაადასტურა, სასამართლო გამოითხოვს მათ.

საკასაციო პალატა განმარტავს, რომ სამოქალაქო სამარ-თალნარმოების ზოგადი წესის მიხედვით, წერილობითი მტკი-ცებულებები თვითონ მხარეებმა უნდა წარუდგინონ სასამარ-თლოს. მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მხარემ ვერ მიიღო წერი-ლობითი მასალები ფიზიკური თუ იურიდიული პირისაგან, მას შეუძლია მიმართოს სასამართლოს შუამდგომლობით მტკიცე-ბულებათა გამოთხოვის თაობაზე. შუამდგომლობა წერილობი-თი მასალების გამოთხოვის შესახებ უნდა აღიძრას საქმის მომ-

ზაღების სტადიაზე, ამასთან, შუამდგომლობის აღმძვრელმა პირმა უნდა დაასაბუთოს, თუ საქმისათვის მნიშვნელოვანი რა გარემოების დადგენა შეიძლება ამ მტკიცებულებით და რა ეფუძნება მისი ვარაუდი, რომ მტკიცებულება მის მიერ მითითებული პირის ხელთა (სსკ-ის 134-ე მუხლის მე-3 ნაწილი). განსახილველ შემთხვევაში, მოსარჩელემ მოპასუხის შემოსავლების შესახებ მტკიცებულებათა წარუდგენლობის მიზეზად მიუთითა ის გარემოება, რომ მოპასუხის, როგორც გადასახადის გადამხდელის შემოსავლების შესახებ ინფორმაცია არ განეკუთვნება საჯარო ინფორმაციას, რაც პრაქტიკულად გამორიცხავდა მის მოპოვებას. ამ ფაქტის დასადასტურებლად, მოსარჩელემ სააპელაციო საჩივარს დაურთო შემოსავლების სამსახურის წერილობითი უარი და კვლავ იშუამდგომლა შემოსავლების სამსახურიდან მტკიცებულებათა გამოთხოვაზე.

საკასაციო პალატა ვერ გაიზიარებს სააპელაციო სასამართლოს 2013 წლის 11 დეკემბრის საოქმო განჩინებაში მოყვანილ დასკვნას აპელანტის მიერ სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 380-ე მუხლის მოთხოვნათა დარღვევის თაობაზე, ვინაიდან, როგორც სააპელაციო სასამართლო აღნიშნავს, მოსარჩელეს შემოსავლების სამსახურიდან სათანადო მტკიცებულებათა გამოთხოვის შესახებ შუამდგომლობა დაყენებული ჰქონდა პირველი ინსტანციის სასამართლოშიც. ამასთან, სააპელაციო სასამართლო სწორი შეფასება არ მისცა იმ ფაქტს, შეეძლო თუ არა მოსარჩელეს თავად მოეპოვებინა მოპასუხის შემოსავლების შესახებ ინფორმაცია. საკასაციო პალატა მიუთითებს საგადასახადო კოდექსის 39-ე მუხლის 1-ლ ნაწილზე, რომლის მიხედვით, საგადასახადო ორგანოს მიერ გადასახადის გადამხდელის შესახებ მიღებული ნებისმიერი ინფორმაცია, გარდა გადასახადის გადამხდელის სტატუსისა, სახელწოდებისა, მისამართისა, საიდენტიფიკაციო ნომრისა, საგადასახადო დავალიანების შესახებ ინფორმაციისა და მენარმეთა და არასამენარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრში რეგისტრირებული საჯარო ინფორმაციისა, მისი საგადასახადო აღრიცხვაზე აყვანის მომენტიდან განეკუთვნება საგადასახადო საიდუმლოებას. მოხმობილი ნორმის ანალიზი ცალსახად იძლევა იმ დასკვნის გაკეთების შესაძლებლობას, რომ გადასახადის გადამხდელის შემოსავლების შესახებ ინფორმაცია არ განეკუთვნება საჯარო ინფორმაციას, აქედან გამომდინარე, შემოსავლების სამსახურის წერილობითი უარის სააპელაციო სასამართლოში წარდგენა სასამართლოს არ უნდა განეხილა როგორც საპროცესო კოდექსის 380-ე მუხლით გათვალისწინებული ახა-

ლი მტკიცებულების წარდგენა, ვინაიდან ამგვარი უარის მიღება სასამართლოსთვის იმთავითვე ცხადი იყო საკანონმდებლო დანაწესის საფუძველზე. ასევე ვერ იქნება გაზიარებული საპატელაციო სასამართლოს დასკვნა იმის შესახებ, თითქოს მხარეს არ გაუსაჩივრებია პირველი ინსტანციის სასამართლოს 2013 წლის 26 აგვისტოს საოქმო განჩინება. საქმეში წარმოდგენილ სააპელაციო საჩივარში აპელანტი აღნიშნავს, რომ მისი შუამდგომლობის მიუხედავად სასამართლომ არ გამოითხოვა მოპასუხის შემოსავლების შესახებ ინფორმაცია მხოლოდ ფორმალური მიზეზით, რაც გამოიხატა სათანადო ორგანოდან წერილობითი უარის წარუდგენლობაში, იმ პირობებში, როდესაც სამოქალაქო საპროცესო კოდექსი საოჯახო საქმეთა განხილვისათვის სასამართლოს აქტიურ როლს აკისრებს. საკასაციო პალატის მოსაზრებით, სააპელაციო საჩივარში გამოითქმული ეს პრეტენზიები ერთმნიშვნელოვნად გაგებულ უნდა იქნეს, როგორც მხარის პროტესტი პირველი ინსტანციის სასამართლოს საოქმო განჩინებაზე.

ზემოთ მოყვანილი მსჯელობიდან გამომდინარე, საკასაციო პალატა მიჩნევს, რომ მოსაზრებები სრულად დაიცვა საპროცესო კოდექსით გათვალისწინებული შუამდგომლობის წარდგენისა და მისი გასაჩივრების წესები, რაც მართებულად არ იქნა შესაფასებული ქვემდგომი ინსტანციის სასამართლოების მიერ. ამასთან, საკასაციო პალატა სრულად იზიარებს კასატორის პრეტენზიას სპეციალური ნორმის – სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 354-ე მუხლის გამოყენებასთან დაკავშირებით. აღნიშნული მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, სასამართლოს შეუძლია თავისი ინიციატივით განსაზღვროს დასადგენ გარემოებათა წრე და მხარეთა ახსნა-განმარტების შემდეგ თვითონ გამოითხოვოს მტკიცებულებები, რომლებზედაც მხარეებს არ მიუთითებიათ. კასატორის მოსაზრება, იმის შესახებ, რომ მოცემული ნორმის საფუძველზე, სასამართლოს შეეძლო თავადაც მიეღო გადაწყვეტილება სადაცო მტკიცებულების გამოითხოვის თაობაზე, რაც ხელს შეუწყობდა დავის გადაწყვეტისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოების დადგენას, ემყარება საპროცესო სამართლის ნორმათა სწორ ანალიზს და გაზიარებულ უნდა იქნეს.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 412-ე მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად, საკასაციო სასამართლო აუქმებს გადაწყვეტილებას და საქმეს ხელახლა განსაზილეველად აბრუნებს საპატელაციო სასამართლოში, თუ: ა) საქმის გარემოებები საპროცესო ნორმების ისეთი დარღვევითაა დადგენილი, რომ ამ დარ-

ლვევების შედეგად საქმეზე არასწორი გადაწყვეტილება იქნა გამოტანილი და საჭიროა მტკიცებულებათა დამატებითი გამოკვლევა; ბ) არსებობს ამ კოდექსის 394-ე მუხლით გათვალისწინებული საფუძვლები, გარდა აღნიშნული მუხლის „გ“ და „ე“ ქვეპუნქტებისა. ამდენად, სააპელაციო სასამართლომ საქმის ხელახლა განხილვისას უნდა გამოითხოვოს მოპასუხის შემოსავლების შესახებ ინფორმაცია და მტკიცებულებათა ყოველმხრივი, სრული და ობიექტური განხილვის შედეგად უნდა გამოიტანოს დასკვნა საქმისათვის მნიშვნელობის მქონე გარემოებების არსებობის ან არარსებობის შესახებ.

### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 412-ე მუხლით და

### **დ ა ა დ გ ი ნ ა:**

1. ი. გ-ის საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ.
2. გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2013 წლის 11 დეკემბრის გადაწყვეტილება და საოქმო განჩინება და საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს.
3. საკასაციო პალატის განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

**„გადახდისუნარობის შესახებ“ კანონის მიხედვით  
გაცეხადების წარმოებაში მიღება**

**გადახდის ფილება  
საქართველოს სახელი**

№ას-1822-1796-2011

7 ივნისი, 2012 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო  
საქმეთა პალატა  
შემადგენლობა: მ.სულხანიშვილი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
ვ.როინიშვილი,  
თ. თოდრია

**დავის საგანი:** თანხის დაბრუნება

**აღნერილობითი ნაწილი:**

შპს „.... ....-მ“ სარჩელი აღძრა სასამართლოში სს „.... ....-ის“ მი-  
მართ 100 000 ლარის დაბრუნების შესახებ შემდეგი საფუძვლე-  
ბით:

2006 წლის 22 სექტემბერს შპს „.... ....-სა“ და საქართველოს  
სოფლის მეურნეობის სამინისტროს შორის გაფორმდა სესხის  
ხელშეკრულება, რომლითაც შპს „.... ....-ს“ სახელზე გაიცა სესხი  
1 500 000 ლარის ოდენობით. აღნიშნული ხელშეკრულებით ნა-  
კისრი ვალდებულებები უზრუნველყოფილ იქნა 2008 წლის 30  
დეკემბერს შპს „.... ....-ს“ და სს „.... ....-ს“ შორის გაფორმებული სა-  
ბანკო გარანტის ხელშეკრულებით 165 000 ლარის ფარგლებ-  
ში.

სასამართლოს 2010 წლის 20 იანვრის განჩინებით შპს „.... ....-  
ს“ ქონებაზე კრედიტორის განცხადების საფუძველზე გაიხსნა  
გადახდისუუნარობის საქმის წარმოება.

2010 წლის 27 იანვარს სოფლის მეურნეობის მინისტრის მო-  
ადგილებ წერილით მიმართა სს „.... ....-ს“ და მოითხოვა ზემოხსე-  
ნებული საბანკო გარანტიით გათვალისწინებული თანხის სოფ-  
ლის მეურნეობის სამინისტროს ანგარიშზე ჩარიცხვა. ბანკის  
დირექტორმა აცნობა სამინისტროს, რომ მისი მოთხოვნის შე-  
სასრულებლად საჭირო იყო უფლებამოილი პირის მიერ ხელმო-  
წერილი და ბეჭდით დადასტურებული მომართვა.

შპს „.... ....-ს“ მიმართ გადახდისუუნარობის საქმის წარმოების  
შესახებ ინფორმაცია 2010 წლის 2 თებერვალს საჯაროდ გამოქ-  
ვეყნდა „საქართველოს საკანონმდებლო მაცნის“ №10-ში.

სამინისტროს განმეორებით მიმართვის საფუძველზე სს „....

...-მ“ მას გარანტით გათვალისწინებული 165 000 ლარი ჩაურიცხა.

ბანკმა რეგრესის წესით მოსთხოვა მოსარჩელეს სამინისტროსათვის გადახდილი თანხის დაფარვა, რის პასუხადაც 2010 წლის 3 თებერვალს ბანკს ეცნობა შპს „...-ს“ მიმართ გადახდისუუნარობის საქმის წარმოების გახსნის თაობაზე და განემარტა, რომ მოთხოვნილ თანხას მიიღებდა გადახდისუუნარობის საქმეში მოთხოვნის წარდგენის საფუძველზე, ხოლო თავად მოსარჩელეს მეურვის გარეშე საკუთარი ანგარიშიდან თანხის გატანის უფლება არ ჰქონდა. მეურვის ხსენებული განცხადება ბანკს 2010 წლის 4 თებერვალს ჩაბარდა.

აღნიშნული გაფრთხილების მიუხედავად, 2010 წლის 15 თებერვალს სს „...-ს“ მოსარჩელის ანგარიშიდან უკანონოდ ჩამოაჭრა 100 000 ლარი.

2010 წლის 17 მარტს ბანკმა კვლავ წერილით მიმართა მოსარჩელეს, აღნიშნა, რომ მისთვის გადახდისუუნარობის საქმის გახსნის თაობაზე ცნობილი არ ყოფილა და დახმარება სთხოვა სოფლის მეურნეობის სამინისტროსაგან მის მიერ გადარიცხული თანხის დაბრუნებაში, რის შემდეგაც დაპირდა სადავო თანხის დაბრუნებას.

მოპასუხებ სარჩელი არ ცნო შემდეგი დასაბუთებით: სადავო თანხის მოსარჩელის ანგარიშიდან ჩამოაჭრა განხორციელდა კანონიერად. სასამართლოს განჩინება შპს „...-ს“ მიმართ გადახდისუუნარობის საქმის წარმოების შესახებ ბეჭდვით ორგანოში გამოქვეყნდა არა დაუყოვნებლივ, როგორც ეს სასამართლომ დაადგინა, არამედ ორი კვირის დაგვიანებით და თანხის ჩამოჭრის მომენტისათვის მოპასუხებ აღნიშნული წარმოების გახსნის თაობაზე არ იცოდა. ამასთან, მხარეთა შორის დადებული საბანკო გარანტის ხელშეკრულების მე-5 მუხლით, ბანკს მინიჭებული ჰქონდა შპს „...-ს“ ანგარიშიდან თანხის ჩამოჭრის უფლება.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2010 წლის 7 ივნისის გადაწყვეტილებით სარჩელი დაკმაყოფილდა, მოპასუხეს დაევალა მოსარჩელის საბანკო ანგარიშზე 100 000 ლარის დაბრუნება, რაც ბანკმა გაასაჩივრა საპელაციო წესით.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2011 წლის 2 მაისის განჩინებით სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა, ხოლო გასაჩივრებული გადაწყვეტილება დარჩა უცვლელად.

სს „...-ს“ საკასაციო საჩივრის საფუძველზე საქართველოს

უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2011 წლის 2 მაისის განჩინებით სააპელაციო პალატის განჩინება გაუქმდა და საქმე დაუბრუნდა იმავე სასამართლოს ხელახლა განსახილველად.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2011 წლის 28 ოქტომბრის განჩინებით სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა და პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება დარჩა უცვლელად შემდეგ გარემოებათა გამო:

სასამართლომ დაადგინა შემდეგი ფაქტობრივი გარემოებანი:

საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროსა და შპს „... ...-ს“ შორის 2006 წლის 22 სექტემბერს გაფორმდა სესხის ხელშეკრულება.

2008 წლის 30 დეკემბერს სს „... ...-სა“ და შპს „... ...-ს“ შორის გაფორმდა საბანკო გარანტიის გაცემის შესახებ ხელშეკრულება და ამავე დღეს გაიცა საბანკო გარანტია №3012-07/02, 165 000 ლარზე, რომლითაც ბენეფიციარია საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტრო, ხოლო პრინციპალი – შპს „... ...“.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2010 წლის 20 იანვრის განჩინებით შპს „... ...-ს“ მიმართ გაიხსნა გადახდისუუნარობის საქმის წარმოება. განცხადება შპს „... ...-ს“ მიმართ გადახდისუუნარობის საქმის წარმოების გახსნის შესახებ სასამართლოში წარდგენილ იქნა 2010 წლის 15 იანვარს.

შპს „... ...-ს“ მიმართ გადახდისუუნარობის საქმის წარმოების გახსნის შესახებ თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2010 წლის 20 იანვრის განჩინება გამოქვეყნდა „საქართველოს საკანონმდებლო მაცნის“ №10 ნომერში 2010 წლის 2 თებერვალს.

საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტრომ სს „... ...-ს“ გაუგზავნა წერილი, რომელიც ბანკს ჩაბარდა 2010 წლის 3 თებერვალს. ამ დოკუმენტით დასტურდება, რომ ბანკმა ჩაიბარა 3 დოკუმენტი (სულ 4 ფურცელი) – სოფლის მეურნეობის სამინისტროს წერილი, მინდობილობა და საბანკო გარანტია.

შპს „... ...-ს“ მეურვემ მოვალის მიმართ გადახდისუუნარობის საქმის წარმოების გახსნის შესახებ აცნობა წერილობით სს „... ...-ს“, რომელსაც აღნიშნული წერილი ჩაბარდა 2010 წლის 4 თებერვალს.

სადავო 100 000 ლარის ჩამოჭრა შპს „... ...-ს“ ანგარიშიდან მოხდა 2010 წლის 4 თებერვალს.

შპს „.... ...-ს“ სამეურვეო ქონების გაყიდვისათვის გამართული №2 აუქციონის ოქმის თანახმად, შპს „.... ...-ის“ სამეურვეო ქონების ერთიანი კომპლექსის სახით გაყიდვისათვის გამართულ აუქციონზე, 2010 წლის 25 ივნისს, გამარჯვებულად გამოცხადდა შპს „ქ. წ. კ. . შპს „.... ...-ს“ სამეურვეო ქონება, მათ შორის, სს „.... ...-ს“ მიმართ შპს „.... ...-ის“ კუთვნილი ფულადი მოთხოვნა სარჩელით სადაც 100 000 ლარზე, შეიძინა შპს „ქ. წ. კ-მ“.

თბილისის საქალაქო სასამართლოს 2010 წლის 5 ივლისის განჩინების შესაბამისად, მოვალე შპს „.... ...-ს“ მიმართ (ს/კ ...) გაკოტრების საქმის წარმოება დასრულდა. შპს „.... ...-ს“ სამეურვეო ქონების ერთიანი კომპლექსის სახით შემძენ შპს „ქ. წ. კ-ს“ შპს „.... ...-ს“ 100%-იანი ნილის მფლობელად დასარეგისტრირებლად მიეცა განჩინების საკანონმდებლო მაცნეში გამოქვეყნებიდან ერთი თვის ვადა.

დადგინდა, რომ აღნიშნული ვადის უშედეგოდ გასვლის შემდეგ სსიპ „საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში“ (მენარმეთა და არასამენარმეო (არაკომერციულ) იურიდიულ პირთა რეესტრში) შპს „.... ...-ს“ რეგისტრაცია გაუქმდა (სამენარმეო რეესტრიდან ამოიშალა). სასამართლოს განჩინებით ასევე დაგინდა, რომ გაკოტრების მმართველმა კრედიტორებზე თანხა გაანაწილა. ამონაწერით მენარმეთა და არასამენარმეო (არაკომერციულ) იურიდიულ პირთა რეესტრიდან ირკვევა, რომ შპს „ქ. წ. კ.“ დარეგისტრირდა შპს „.... ...-ს“ 100%-იანი ნილის მფლობელად, შესაბამისად, არ მომხდარა მენარმეთა და არასამენარმეო (არაკომერციულ) იურიდიულ პირთა რეესტრიდან შპს „.... ...-ს“ ამოშლა. გაკოტრების პროცესი დასრულდა ერთიანი ქონებრივი კომპლექსის შემძენი შპს „.... ...-ს“ პარტნიორად რეგისტრაციით („გადახდისუუნარობის საქმის წარმოების შესახებ“ კანონის 38.13 მუხლის საფუძველზე).

სააპელაციო სასამართლომ იხელმძღვანელა „გადახდისუუნარობის საქმის წარმოების შესახებ“ კანონის პირველი, მე-3 მუხლებით და დაეთანხმა საქალაქო სასამართლოს მსჯელობას, რომ გადახდისუუნარობის საქმის წარმოების გახსნის დროისათვის მოვალის საბანკო ანგარიშზე არსებული თანხა წარმოადგენს მის საკუთრებას და, შესაბამისად, ითვლება სამეურვეო ქონებად. ამდენად, სს „.... ...-მ“ 2010 წლის 4 თებერვალს საბანკო ანგარიშიდან ჩამოჭრა ის თანხა, რასაც ამ დროისათვის უკვე სამეურვეო ქონების სტატუსი ჰქონდა და მისი განკარგვა ასეთი ფორმით, „გადახდისუუნარობის საქმის წარმოების შესახებ“ კანონის პირველი მუხლის შესაბამისად, დაუშვებელი იყო.

სააპელაციო პალატა დაეთანხმა საქალაქო სასამართლოს განმარტებას, რომ ამავე კანონის მე-19 მუხლის თანახმად, 21-ე მუხლის მოქმედება იწყება განცხადების შემოტანის დღიდან, ამდენად, ყველანაირი იძულებითი აღსრულების შესაძლებლობა ამოიწურა 2010 წლის 15 იანვრიდან, რადგან კრედიტორმა სასამართლოში განცხადება შპს „...-ს“ მიმართ გადახდისუუნარობის საქმის ნარმოების გახსნის შესახებ ამ დღეს შეიტანა.

სასამართლომ იხელმძღვანელა „გადახდისუუნარობის საქმის ნარმოების შესახებ“ კანონის 25-ე, 35.1, მუხლებით და მიიჩნია, რომ ამავე კანონის მე-40 მუხლი ადგენს კრედიტორთა დაკმაყოფილების რიგითობას, რომელიც მკაცრადაა განერილი და იმპერატიულ დებულებებს შეიცავს, სწორედ ამ ნორმის დაცვისა და კანონის ძირითად მიზნის – კრედიტორთა ინტერესების კანონშესაბამისი და თანაზომიერი დაცვისთვის არის გამიზული კანონის ყველა ნორმა, რომლის საწინააღმდეგოდ განხორციელებული ქმედება ითვლება კანონსაწინააღმდეგოდ და კრედიტორის მიმართ ზიანის მიმყენებლად.

პალატამ დაადგინა, რომ სს „....-მ“ 2010 წლის 4 თებერვალს მოახდინა შპს „....-ს“ ანგარიშიდან თანხის ჩამოჭრა მაშინ, როცა 2010 წლის 2 თებერვალს გამოქვეყნებული იყო სასამართლოს განჩინება კანონით დადგენილი წესით და მეურვის წერილიც ბანქს ჩაბარდა 2010 წლის 4 თებერვალს. აღნიშნულიდან გამომდინარე, დავის გადაწყვეტისათვის სამართლებრივად მნიშვნელობის არმქონება სააპელაციო საჩივრის პრეტენზია, რომ მეურვემ დაარღვია დაუყოვნებლივ გამოცხადების ვალდებულება და განჩინება მთელი ორი კვირის დაგვიანებით გამოაქვეყნა, ამასთან, მეურვისათვის ხელმისაწვდომი იყო ინფორმაცია, რომ სს „.... ... წარმოადგინდა შპს „....-ს“ კრედიტორს და გამოქვეყნების გარეშეც შეეძლო, მეურვეს შეეტყობინებინა სს „....-სთვის“. ამავე გარემოებიდან გამომდინარე, სასამართლომ არ გაიზიარა აპელანტის მითითება, რომ მისთვის ცნობილი არ იყო გადახდისუუნაროების საქმის ნარმოების დაწყების შესახებ, შესაბამისად, არ იცოდა და არც შეიძლება სცოდნოდა, რომ შპს „....-ს“, ქონებაზე გადახდევინების მიქცევა არ შეიძლებოდა.

სააპელაციო პალატა დაეთანხმა სასამართლოს მსჯელობას, რომ სადაცვო თანხის ჩამოჭრისას ბანკს შპს „....-ს“ მეურვის წერილი მიღებული რომ არც ჰქონოდა, აღნიშნული ვერ შეცვლიდა კანონის დანაწესს – საკანონმდებლო მაცნეში გამოქვეყნების დღიდან იგი მიიჩნევა საყოველთაოდ ცნობილად. ამდენად, 2010 წლის 4 თებერვალს სს „....-ს“ მიერ ჩამოჭრილი თანხა უნდა დაუბრუნდეს შპს „....-ს“ საბანკო ანგარიშზე.

პალატამ გაითვალისწინა, რომ გასაჩივრებული გადაწყვეტილების გამოტანის შემდგომ დასრულდა მოვალის მიმართ გაკოტრების საქმის წარმოება და დამატებით ყურადღება გაამახვილა, თუ რამდენად არსებობს ამ ეტაპზე შპს „...-ს“ მოთხოვნის სამართლებრივი საფუძველი.

„გადახდისუუნარობის საქმის წარმოების შესახებ“ საქართველოს კანონის 38-ე მუხლის მე-13 პუნქტის თანახმად, სწორედ შპს „...-ს“ ერთიანი ქონებრივი კომპლექსის შემძენი დარეგისტრირდა გაკოტრების რეჟიმში მყოფი კომპანიის 100%-იანი წილის შესაკუთრედ, შესაბამისად, შპს „...-ს“ განაგრძობს ფუნქციონირებას იმავე საიდენტიფიკაციო კოდით (ს/კ ...), რომელიც მას გააჩნდა გადახდისუუნარობის პროცესის დაწყებამდეც და გაკოტრების რეჟიმშიც. ყველა ის ქონება და უფლება (უძრავ-მოძრავი ქონება თუ დებიტორული მოთხოვნები), რაც მას მანამდე გააჩნდა, საწარმოს შეუნარჩუნდა. „...-ს“ მიმართ მოთხოვნა სარჩელით სადაც 100000 ლარზე შეტანილი იყო გაკოტრების მასაში სხვა დებიტორულ მოთხოვნებთან ერთად და ისიც შეიძინა შპს „ქ. ნ. კ-მ“, როგორც ერთიანი ქონებრივი კომპლექსის ნაწილი. იმ შემთხვევაშიც კი, „...-ს“ მიმართ მოთხოვნა შეტანილი რომ არ ყოფილიყო შპს „...-ს“ გაკოტრების მასაში, დასახელებული კანონის 38.13 მუხლის საფუძველზე, ნასყიდობის ხელშეკრულების დადების შემდეგ აუქციონზე გაყიდული სამეურვეო ქონების პირველადი მესაკუთრე იურიდიული პირის საკუთრებაში აღმოჩნდა რაიმე ქონება, ეს ქონებაც საკუთრების უფლებით ახალ შემძენს ეკუთვნის.

სააპელაციო სასამართლოს განჩინება შპს „...-ს“ გაასაჩივრა საკასაციო წესით, მოითხოვა მისი გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა შემდეგი საფუძვლებით:

სასამართლომ არასწორად შეაფასა „გადახდისუუნარობის საქმის წარმოების შესახებ“ კანონის ნორმები და ამ ნორმების მიმართ სამოქალაქო კოდექსით დადგენილი ნორმების ურთიერთმოქმედება.

მოცემული საქმე სასამართლოს უწყებრივად არ ექვემდებარება, იგი არბიტრაჟის განსახილველია. სადაც თანხა, რომელიც ბანკმა ჩამოჭრა შპს „...-ს“ ანგარიშიდან წარმოადგენდა გირავნობის საგანს. 2009 წლის 20 აპრილის გირავნობის თაობაზე ბანკსა და პრინციპალს შორის არსებობდა გირავნობის ხელშეკრულება, რომლის 9.2 პუნქტის თანახმად, მხარეთა შორის ამ ხელშეკრულებიდან წარმოშობილი ნებისმიერი დავა განხილულ უნდა იქნეს შპს „თბილისის საარბიტრაჟო ინსტიტუტის“

მიერ. ვინაიდან დავის საგანი დაგირავებული, უაქცეპტოდ ჩა-მოჭრილი თანხის დაბრუნებაა, აღნიშნული დავა არა სასამარ-თლოს, არამედ ხელშეკრულებაში მითითებული არბიტრაჟის განსახილველია. აღნიშნულის შესახებ სააპელაციო ინსტანცი-აში წარდგენილ იქნა შუამდგომლობა საქმის შეწყვეტის შესა-ხებ, თუმცა სასამართლოს მხრიდან იგი დაუსაბუთებლად არ დაკმაყოფილდა.

სს „...-სა“ და შპს „...-ს“ შორის 2008 წლის 30 დეკემბრის საბანკო გარანტიის გაცემის შესახებ ხელშეკრულებიდან გა-მომდინარე, 2009 წელს 27 იანვარს გაფორმდა თავდებობის ხელ-შეკრულება ბ. ბ-სთან. ხელშეკრულების საფუძველზე თავდებ-მა იყისრა სოლიდარული პასუხისმგებლობა და მთელი თავისი ქონებით ბანკის წინაშე თავდებად დაუდგა მსესხებელს ბანკის წინაშე ნაკისრი ვალდებულებების შესრულებაზე, რომლის dн-რითადი პირობებიც მოცემულია ხელშეკრულების 1.5 პუნქტში. აღნიშნული მოიცავს საბანკო გარანტიის ხელშეკრულების პი-რობებს. თავდები ასევე კისრულობს პასუხისმგებლობას, dн-რითად მოვალესთან ერთად ან მის გარეშე შეასრულოს ის ვალ-დებულებები, რომლის მოთხოვნის უფლებაც ბანკს გააჩნია ძი-რითადი მოვალის მიმართ. შესაბამისად, სასამართლოს მიერ მი-ღებული წებისმიერი გადაწყვეტილება უშუალოდ ეხება თავ-დების ინტერესებს.

ამდენად, სააპელაციო სასამართლომ არასწორად არ დააკ-მაყოფილა კასატორის მოთხოვნა, სამოქალაქო საპროცესო კო-დექსის 90-ე მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად, საქმეში მესამე პირად თავდები ბ. ბ-ის ჩაბმის თაობაზე.

სააპელაციო სასამართლოში წარმოდგენილი ახალი მტკიცე-ბულებებით ირკვევა, რომ სამეცნიერო ქონების რეალიზაციის შედეგად უზრუნველყოფილი კრედიტორები დაკმაყოფილდუნენ ნაწილობრივ, ხოლო მომდევნო რიგის კრედიტორთა დავალია-ნების გასასტუმრებლად საჭირო თანხა არ იყო საკმარისი. სა-დავო თანხა წარმოადგენდა უზრუნველყოფილ კრედიტორულ დავალიანებას და არა დებიტორულს.

ამდენად, ბანკს სრული უფლება აქვს, არ დააბრუნოს ჩა-მოჭრილი თანხა, რომელიც შპს „...-ს“ კვლავ უკან უნდა დაუბ-რუნოს ბანკს.

მხარეთა შორის 2008 წლის 30 დეკემბერს გაფორმებული სა-ბანკო გარანტიის №3012-08/02 ხელშეკრულების საფუძველზე გარანტი სს „... ...“ იღებდა ვალდებულებას, გაეცა საბანკო გა-რანტია პრინციპიალის ვალდებულებების უზრუნველსაყოფად. ბენეფიციარს წარმოადგენდა სოფლის მეურნეობის სამინის-

ტრო, რომელმაც გადახდისუუნარობის საქმის წარმოების გახსნის შემდეგ ბანკისაგან დაიკუმაყოფილა თავისი მოთხოვნა სრულად 165000 ლარის ოდენობით. შესაბამისად, ბანკს წარმოებვა უფლება, პრინციპალი შპს „....-სათვის“ მოეთხოვა გადახდილი თანხის ანაზღაურება. კრედიტორთა სიაში სს „.... ...“ მითითებულია მე-6 რიგის კრედიტორად 65000 ლარის ოდენობით, ვინაიდან გარანტია უზრუნველყოფილი იყო ნაწილობრივ, მხოლოდ 100 000 ლარის ოდენობით, რომელიც ბანკმა ჩამოჭრა შპს „.... -ს“ ანგარიშიდან და ამ ნაწილში იგი მითითებულია დებიტორად. აღნიშნული თანხის დაბრუნება გამოიწვევს შპს „.... ...-ს“ უსაფუძვლო გამდიდრებას.

ბანკი 100000 ლარით კრედიტორთა სიაში 2009 წლის 2 პრილის გირავნობის №3012-08/02-1 ხელშეკრულების საფუძველზე კრედიტორად ასახული არ ყოფილა, რადგან სასამართლომ ჩათვალა, რომ ბანკმა თავად დაიკუმაყოფილა მოთხოვნა და იგი კრედიტორად ვერ დაფიქსირდებოდა. შპს „.... ...-ს“ მოთხოვნა თანხის დაბრუნების თაობაზე უსაფუძვლოა იმ კუთხითაც, რომ საბანკო გარანტიის ხელშეკრულების კონკრეტული პირობების სპეციფიკურობიდან გამომდინარე, ბენეფიციარის მოთხოვნის დაკუმაყოფილება ხდება პრინციპალის კუთვნილი თანხებიდან, ბანკის ფუნქცია მხოლოდ იმაში გამოიხატება, რომ ის გარანტიის ვადის გადასვლამდე კლიენტისავე თანხმობით ბლოკავს მის ანგარიშზე არსებულ თანხებს. აღნიშნულის გათვალისწინელით ბენეფიციარის მოთხოვნის დაკუმაყოფილება მოხდა კლიანტის ანგარიშზე არსებული ფულადი თანხებიდან. გადახდისუუნარობის საქმის წარმოების შესახებ ბანკის დროული ინფორმირების შემთხვევაში, ბანკი ბენეფიციარს შეატყობინებდა დაწყებული გადახდისუუნარობის საქმის წარმოების შესახებ, რის გამოც ბენეფიციარს არ ექნებოდა უფლება, მიეთითებინა პრინციპალის მიერ ვალდებულების დარღვევაზე. ბანკი ამ შემთხვევაში წარმოადგენდა საბანკო ოპერაციის განმახორციელებელ სუბიექტს და შპს „.... ...-ს“ სასარჩელო მოთხოვნა უნდა წაეყენებინა სოფლის მეურნეობის სამინისტროსათვის თანხის უკან დაბრუნების შესახებ, ვინაიდან გადახდისუუნარობის შესახებ განცხადების წარმოებაში მიღების თაობაზე სასამართლოს განჩინება 21.1 მუხლის „გ“, „დ“ პუნქტების შესაბამისად, აღნიშნულს უკავშირდება სამოქალაქო კოდექსის 989-ე, 976-ე და 988-ე მუხლებით გათვალისწინებული შედეგები. ზიანის ანაზღაურების საკითხის გადასააწყებად კი გამოიყენება ამავე კოდექსის 979-981-ე მუხლების მოთხოვნები. ასევე სასამართლომ ყურადღება უნდა გაამახვილოს „გადახდისუუნარობის შესახებ საქმის

წარმოების შესახებ“ კანონის პირველი მე-3 მუხლის „გ“ და „ე“ ქვეპუნქტებზე.

### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო პალატამ განიხილა საქმის მასალები, გაეცნო საკასაციო საჩივრის საფუძვლებს და თვლის, რომ სს „.... ...-ს“ საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს, სააპელაციო პალატის გასაჩივრებული განჩინება უნდა გაუქმდეს და მიღებული იქნას ახალი გადაწყვეტილება, ხოლო შპს „.... ...-ს“ სარჩელი არ დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

სააპელაციო სასამართლოს მიერ დადგენილია, რომ საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროსა და შპს „.... ...-ს“ შორის 2006 წლის 22 სექტემბერს გაფორმდა სესხის ხელშეკრულება.

2008 წლის 30 დეკემბერს სს „.... ...-სა“ და შპს „.... ...-ს“ შორის გაფორმდა საბანკო გარანტიის გაცემის შესახებ ხელშეკრულება და ამავე დღეს გაიცა საბანკო გარანტია №3012-07/02 165 000 ლარზე, რომლითაც ბენეფიციარია საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტრო, ხოლო პრინციპალი – შპს „.... ...“.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2010 წლის 20 იანვრის განჩინებით შპს „.... ...-ს“ მიმართ გაიხსნა გადახდისუუნარობის საქმის წარმოება. განცხადება შპს „.... ...-ს“ მიმართ გადახდისუუნარობის საქმის წარმოების გახსნის შესახებ სასამართლოში წარდგენილ იქნა 2010 წლის 15 იანვარს.

შპს „.... ...-ს“ მიმართ გადახდისუუნარობის საქმის წარმოების გახსნის შესახებ თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2010 წლის 20 იანვრის განჩინება გამოქვეყნდა „საქართველოს საკანონმდებლო მაცნის“ №10 ნომერში 2010 წლის 2 თებერვალს.

საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტრომ სს „.... ...-ს“ გაუგზავნა წერილი, რომელიც ბანკს ჩაბარდა 2010 წლის 3 თებერვალს. ამ დოკუმენტით დასტურდება, რომ ბანკმა ჩაიბარა 3 დოკუმენტი (სულ 4 ფურცელი) – სოფლის მეურნეობის სამინისტროს წერილი, მინდობილობა და საბანკო გარანტია.

შპს „.... ...-ს“ მეურვემ მოვალის მიმართ გადახდისუუნარობის საქმის წარმოების გახსნის შესახებ აცნობა წერილობით სს „.... ...-ს“, რომელსაც აღნიშნული წერილი ჩაბარდა 2010 წლის 4 თებერვალს.

სადავო 100 000 ლარის ჩამოჭრა შპს „.... ...-ს“ ანგარიშიდან მოხდა 2010 წლის 4 თებერვალს.

შპს „.... ...-ს“ სამეურვეო ქონების გაყიდვისათვის გამართული №2 აუქციონის ოქმის თანახმად, შპს „.... ...-ს“ სამეურვეო ქონების ერთიანი კომპლექსის სახით გაყიდვისათვის გამართულ აუქციონზე, 2010 წლის 25 ივნისს, გამარჯვებულად გამოცხადდა შპს „ქ. წ. კ. . შპს „.... ...-ს“ სამეურვეო ქონება, მათ შორის, სს „.... ...-ს“ მიმართ შპს „.... ...-ს“ კუთხითილი ფულადი მოთხოვნა სარჩელით სადაც 100 000 ლარზე, შეიძინა შპს „ქ. წ. კ-მ“.

თბილისის საქალაქო სასამართლოს 2010 წლის 5 ივლისის განჩინების შესაბამისად, მოვალე შპს „.... ...-ს“ მიმართ (ს/კ ...) გაკოტრების საქმის წარმოება დასრულდა. შპს „.... ...-ს“ სამეურვეო ქონების ერთიანი კომპლექსის სახით შემძენ შპს „ქ. წ. კ-ს“ შპს „.... ...-ს“ 100%-იანი ნილის მფლობელად დასარეგისტრირებლად მიეცა განჩინების საკანონმდებლო მაცნეში გამოქვეყნებიდან ერთი თვის ვადა.

დადგინდა, რომ აღნიშნული ვადის უშედეგოდ გასვლის შემდეგ სსიპ „საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში“ (მენარმეთა და არასამენარმეო (არაკომერციულ) იურიდიულ პირთა რეესტრში) შპს „.... ...-ს“ რეგისტრაცია გაუქმდა (სამენარმეო რეესტრიდან ამოიშალა). სასამართლოს განჩინებით ასევე დაგინდა, რომ გაკოტრების მმართველმა კრედიტორებზე თანხა გაანაწილა. ამონაწერით მენარმეთა და არასამენარმეო (არაკომერციულ) იურიდიულ პირთა რეესტრიდან ირკვევა, რომ შპს „ქ. წ. კ.“ დარეგისტრირდა შპს „.... ...-ს“ 100%-იანი ნილის მფლობელად, შესაბამისად, არ მომზადარა მენარმეთა და არასამენარმეო (არაკომერციულ) იურიდიულ პირთა რეესტრიდან შპს „.... ...-ს“ ამოშლა. გაკოტრების პროცესი დასრულდა ერთიანი ქონებრივი კომპლექსის შემძენი შპს „.... ...-ს“ შპს „.... ...-ს“ მიმართ გადახდისუნარობის საქმის ნარმოების პროცესში.

„გადახდისუნარობის შესახებ საქმის წარმოების შესახებ“ კანონის პირველი მუხლი განმარტავს მითითებული კანონის მიზანს, რაც გულისმობს მოვალისა და კრედიტორის ინტერესების თანაზომერ დაცვას, შესაძლებლობის შემთხვევაში მოვალის ფინანსური საძნელების გადაჭრას და კრედიტორთა მოთხოვნის დაკმაყოფილებას, ან მისი შეუძლებლობის შემთხვევაში მოვალის ქონების რეალიზაციით მიღებული თანხების განაწილებით კრედიტორთა მოთხოვნების დაკმაყოფილებას. მითითებული ნორმის ანალიზიდან შეიძლება დავასკვნათ, რომ კანონის მოქმედება მთლიანად დაკავშირებულია გადახდისუნარობის საქმის წარმოების პროცესთან, რომლის დამთავრება შეუძლებელს ხდის მითითებული ნორმების გამოყენებას.

საკასაციო პალატა იზიარებს სააპელაციო სასამართლოს

მოსაზრებას იმასთან დაკავშირებით, რომ მოპასუხემ დაარღვია მითითებული ნორმატიული აქტის 21.1 მუხლის მოთხოვნა, რომ-ლის თანახმადაც გადახდისუუნარობის შესახებ განცხადების წარმოებაში მიღების თაობაზე სასამართლოს განჩინების გამოტანის მომენტიდან:

ა) მოვალეს ეკრძალება ნებისმიერი გარიგების დადება ან/და დადებული გარიგების შეწყვეტა მეურვის თანხმობის გარეშე, ხოლო მეურვესთან შეუთანხმებლობის შემთხვევაში – სასამართლოს თანხმობის გარეშე;

ბ) ნებისმიერი კრედიტორი უფლებამოსილია კანონით განსაზღვრულ ვადაში წარუდგინოს სასამართლოს თავისი მოთხოვნები ვალის წარმოშობის საფუძვლის მითითებით;

გ) ჩერდება მოვალის წინააღმდეგ დაწყებული იძულებითი აღსრულების ყველა ღონისძიება და არ დაიშვება იძულებითი აღსრულების ახალი ღონისძიებების დაწყება;

დ) იკრძალება გადახდისუუნარობის შესახებ განცხადების წარმოებაში მიღების თაობაზე სასამართლოს განჩინების გამოტანამდე აღებული ვალების უზრუნველყოფა, ჩერდება ვალების გადახდა და პროცენტების, პირგასამტებლოს, საურავების (მათ შორის, საგადასახადოსი) დარიცხვა/გადახდა;

ე) საქმიანობის უწყვეტობის შენარჩუნების მიზნით საწარმო უფლებამოსილია მეურვის თანხმობით, ხოლო მეურვესთან შეუთანხმებლობის შემთხვევაში – სასამართლოს თანხმობით იკისროს ახალი სახელშეკრულებო ვალდებულებები.

საკავაციო სასამართლო მიჩნევს, რომ მოპასუხე არ იყო უფლებამოსილი, მოსარჩელისათვის ჩამოქარა ეს თანხა. მიუხედავად აქ გაკეთებული დასკვნისა, პალატა მიიჩნევს, რომ სასამართლოს მიერ სარჩელის დაკმაყოფილება არ გამომდინარებას საქმის მასალებიდან.

სადავო არ არის ის გარემოება, რომ გადახდისუუნარობის საქმის გახსნამდე მოსარჩელეს თავად ჰქონდა გადასახდელი თანხა მოპასუხისათვის. ხოლო ამ უკანასკნელს არავითარი დავალიანება მოსარჩელის მიმართ არ გააჩნდა. ფაქტია ისიც, რომ მოპასუხეს ამ თანხის მიღება არ შეეძლო გადახდისუუნარობის საქმის წარმოების დროს. კანონის მითითებული მოთხოვნა დაკავშირებულია სამეურვეო ქონებაში მოვალის მთელი ქონების აკუმულირების უზრუნველყოფასთან, რომლის მეშვეობითაც უნდა დაკმაყოფილდეს ყველა კრედიტორის მოთხოვნა. მითითებული ქონების სამეურვეო ქონებაში შესვლის შემდგომ უნდა დაკმაყოფილებულიყო ყველა პირი, მათ შორის მოპასუხე, როგორც მისი ერთ-ერთი კრედიტორი.

დავას არ იწვევს ის გარემოება, რომ დღეისათვის „....-ს“ გადახდისუუნარობის საქმის წარმოება დამთავრებულია და საწარმოს სხვა მესაკუთრე ჰყავს. ასეთ პირობებში პალატა მიიჩნევს, რომ ნორმამ, რომელიც აჩერებდა გადახდისუუნარობის შესახებ განცხადების წარმოებაში მიღების თაობაზე სასამართლოს განჩინების გამოტანამდე აღებული ვალების გადახდასა და პროცენტების, დარიცხვა/გადახდას ძალა დაკარგა (იგულისხმება „გადახდისუუნარობის საქმის წარმოების შესახებ“, კანონის 21.1 მუხლი). შესაბამისად, შეუძლებელია, დღეისათვის ამ ნორმის საფუძველზე ბანკს მოეთხოვოს ვალდებულების შესრულება.

სამოქალაქო კოდექსის 317-ე მუხლის თანახმად, ვალდებულების წარმოიშობისათვის აუცილებელია მონაწილეთა შორის არსებული ხელშეკრულება, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა ვალდებულება წარმოიშობა ზიანის მიყენების, უსაფუძვლო გამდიღრების ან კანონით გათვალისწინებული შემთხვევებისა. მოცემულ შემთხვევაში სახელშეკრულებო ვალდებულება მოპასუხეს მოსარჩევის მიმართ მითითებული თანხის დაბრუნების თაობაზე არ გააჩნია. (ასეთი ვალდებულება გააჩნდა მოსარჩევეს და არა მოპასუხეს). არც „გადახდისუუნარობის შესახებ საქმის წარმოების შესახებ“ კანონი ითვალისწინებს გადახდისუუნარობის საქმის წარმოების დამთავრების შემდგომ სამეურვეო ქონებაში შესატანი თანხის დაბრუნების ვალდებულებას, მითუმეტეს, თუ ხელშეკრულებიდან გამომდინარე ასეთი თანხის გადახდის ვალდებულება გაკოტრებულ მხარის მიმართ არ არსებობდა და რომ არა გადახდისუუნარობის საქმე, სწორედ მას უნდა შეესრულებინა ასეთი ვალდებულება. არ შეიძლება იმის თქმაც, რომ ადგილი აქვს მოპასუხეს უსაფუძვლო გამდიღრებას, რადგან მოცემულ შემთხვევაში მოპასუხებ მიიღო ის თანხა, რისი გადახდის ვალდებულებაც ჰქონდა მოსარჩევეს.

მიუხედავად ზემოაღნიშნულისა, პალატა თვლის, რომ აღნიშნული თანხის მიღება გადახდისუუნარობის საქმის წარმოების პროცესში ბანკის მოქმედებას არამართლზომიერს ხდის, რასაც სამართლებრივად შეიძლება მხოლოდ ზიანის ანაზღაურების შედეგი დაუკავშირდეს. სამოქალაქო კოდექსის 992-ე მუხლის თანახმად, პირი, რომელიც სხვა პირს მართლსაწინააღმდეგო, განზრახი ან გაუფრთხილებელი მოქმედებით მიაყენებს ზიანს, ვალდებულია აუნაზღაუროს მას ეს ზიანი. პალატა თვლის, რომ ბანკი ვალდებულია, აანაზღაუროს ის ზიანი, რომელიც ამ თანხის ჩამოჭრით მიადგა გაკოტრებულ მოვალესა თუ მის კრედიტორებს. ასეთი საკითხზე მსჯელობას კი მოცემულ საქმეზე ადგილი არ ჰქონია, რის გამოც შეუძლებელია

დღეის მდგომარეობით ამ საკითხის გადაწყვეტა.

რაც შეეხება იმ გარემოებას, რომ სს „....-ს“ ახალმა მესა-  
კუთრემ სხვა ქონებასთან ერთად შეიძინა აღნიშნული თანხას-  
თან დაკავშირებული მოთხოვნა, უნდა ითქვას, რომ „გადახდი-  
სუნარობის საქმის წარმოების შესახებ“ კანონის მე-3 მუხლის  
თანახმად გარანტისთან დაკავშირებული მოთხოვნა პირობი-  
თი მოთხოვნაა და არა უტყუარად დადასტურებული მოთხოვნა  
და მისი უპირობო დაკმაყოფილება არ ხდება, რაც ნათელი უნ-  
და ყოფილყო შემძინისავის მისი შეძენის დროს.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, პალატა მიიჩნევს, რომ  
უნდა გაუქმდეს სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება  
და საკასაციო სასამართლოს მიერ მიღებული ახალი გადაწყვე-  
ტილებით სარჩელი არ უნდა დაკმაყოფილდეს.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 53-ე მუხლის 1-ლი ნაწი-  
ლის 1-ლი წინადადების თანახმად, იმ მხარის მიერ გაღებული  
ხარჯების გადახდა, რომლის სასარგებლოდაც იქნა გამოტანი-  
ლი გადაწყვეტილება, ეკისრება მეორე მხარეს, თუნდაც ეს მხა-  
რე განთავისუფლებული იყოს სახელმწიფოს ბიუჯეტში სასა-  
მართლო ხარჯების გადახდისაგან.

მოცემულ შემთხვევაში დავა გადაწყდა სს „....-ის“ სასარ-  
გებლოდ, შესაბამისად, შპს „....-ს“ სს „....-ის“ სასარგებლოდ  
უნდა დაეკისროს ბანკის მიერ სააპელაციო საჩივარზე გადახ-  
დილი 4000 ლარისა და საკასაციო საჩივრებზე ორჯერ გადახ-  
დილი 5000 ლარის, სულ 14000 ლარის გადახდა.

### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპ-  
როცესო კოდექსის 411-ე მუხლით და

### **გ ა დ ა ნ ყ ვ ი ფ ა:**

სს „....-ის“ საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს.

გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალა-  
ქო საქმეთა პალატის 2011 წლის 28 ოქტომბრის განჩინება და  
მიღებულ იქნას ახალი გადაწყვეტილება.

შპს „....-ის“ სარჩელი არ დაკმაყოფილდეს.

შპს „....-ს“ სს „....-ის“ სასარგებლოდ დაეკისროს ამ უკა-  
ნასკნელის მიერ გადახდილია სახელმწიფო ბაჟის, სულ 14000  
ლარის გადახდა.

საკასაციო პალატის გადაწყვეტილება საბოლოოა და არ გა-  
საჩივრდება.

## საპირელო

სახელმწიფო ბაჟის გადახდისგან გათავისუფლება .....	3
სახელმწიფო ბაჟის ოდენობის შემცირება .....	9
საპროცესო მოქმედების შესრულების ვადა .....	14
საპროცესო უფლებამონაცვლეობა .....	20
წარმომადგენლის უფლებამოსილება .....	26
მტკიცებს ტვირთი, მტკიცებულებათა შეფასება .....	33
მტკიცებულებათა დასაშვებობა .....	43
სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენება .....	69; 77
სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გაუქმება .....	91; 98
დაუსწრებელი გადაწყვეტილების გაუქმების საფუძველი .....	100
სასამართლო სხდომაზე გამოუცხადებლობის	
საპატიო მიზეზი .....	103; 111
გადაწყვეტილების გასაჩივრების ვადის ათვლა .....	114
საქმის წარმოების შეჩერება .....	124
სააპელაციო საჩივრის ღირებულება .....	132; 139; 144; 147
ახალი ფაქტები და მტკიცებულებები .....	154
„გადახდის უუნარობის შესახებ“ კანონის მიხედვით	
განცხადების წარმოებაში მიღება .....	165